
შუამავალთა ჯაჭვი

- 1 -



ბათუმი - 2020

თარგმნა:
ნინო ჩოგაძემ

სარედაქციო კოლეგია:
ზურაბ მიქელაძე
ადამ შანათაძე
მიხეილ გელაძე
უშანგი ბოლქვაძე
დანიელ ბოლქვაძე

თეოლოგიური რედაქტორი:

გელა გოგიტიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

უშანგი ბოლქვაძე

ISBN:
978-9941-0-8477-5 / 978-9941-0-8478-2

თარგმნილია:

Osman Nuri TOPBAŞ

NEBİLER SİLSİLESİ DERS KİTABI (1)

წიგნი გამოცემულია საქართველოს ახალგაზრდებზე დახმარების ასოციაციის მიერ, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს რეკომენდაციით

გამომცემლობა ერქამი: 2020 - წელი

შუამავალთა ჯაჭვი

- 1 -

ოსმან ნური თოფბაში

ბათუმი – 2020

წინასიტყვაობა

ყოვლისშემძლე ღმერთმა თავის მონა-მსახურებს, ჭეშმარიტებაში ჩასაწვდომად, უამრავი საშუალება უწყალობა. ამათგან ერთერთი, ღვთისმოსავი ადამიანების სახით, სწორი გზის მაჩვენებლების მოვლენაა. ეს ადამიანები შუამავლებია, რომელთაც ერგოთ პატივი უზენაესი ალლაჰისგან ზეშთაგონება გარდმოვლინებოდათ. თავიანთი მიმდევრებისთვის უბადლო მაგალითებად მოვლენილ შუამავლებს სამი მოვალეობა დაეკისრათ:

ა. ალლაჰის აიათების კითხვა და ქადაგება,

ბ. სულის განწმენდა,

გ. წიგნისა და სიბრძნის სწავლება.

შუამავლების გამოგზავნა დიადი ღმერთის წყალობის მნიშვნელოვანი გამოხატულებაა, იგი შუამავალი ადამით იწყება და სრულიად კაცობრიობას მოიცავს.

უდავოა ჭეშმარიტების ის გზა, რომელსაც თანმიმდევრული მატებით 124 ათასი შუამავალი გარკვეულ დროსა და ადგილას ქადაგებდა. თითოეული მათგანის როლი სრულყოფილებისკენ გადადგმული ახალი ნაბიჯი იყო და საბოლოოდ იგი ალლაჰმა ბოლო შუამავლით მუჰამმედით სრულჰყო. ყურანი, რომელიც კაცობრიობისთვის ქვეყნიერების აღსასრულამდე ჭეშმარიტების გიდია და თავისი ჭეშმარიტებით ურწმუნოს უძლურებას აგრძნობინებს, ხოლო მორწმუნეები აღტაცებაში მოჰყავს, სრულიად კაცობრიობის წყალობად გადაიქცა.

წმინდა ყურანი ადამიანებს, ჭეშმარიტების შემეცნების, წუთისოფლისა და საიქიო სიმშვიდის მოსაპოვებლად ებოძათ. ამ მიზნის განსახორციელებლად, ჭეშმარიტი გზის საჩვენებლად, რამდენიმე თემა იქნა გამოყენებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია, წარსულში იმ ადამიანების შესახებ ამბების თხრობა, რომლებსაც ერთი ღმერთი სსწამდათ. ეს ყურანის განსაკუთრებული თავისებურებაა. წმინდა ყურანი წინაპართა თავს გადახდენილი საოცარი შემთხვევების მოთხრობით ადამიანებს აფრთხილებს და ღმერთის მონა-მსახურების

სტიმულს აძლევს. ამგვარად, ყურანში, ისევე როგორც მცდარი ქმედებების შესახებაა მოთხრობილი, ასევე ასახულია მათი საპირისპირო ღვთიური სამართლის გამოვლინება, სწორი მოქმედებები და მათ სანაცვლოდ ბედნიერების მომნიჭებელი ჯილდო. ესეც, მსგავსი შეცდომების თავიდან ასაცილებლად, მოცემული მაგალითების მსგავსად, სამარადისო ბედნიერების მოიპოვებას ემსახურება.

მსგავსი ამბების გადმოცემით ყურანმა ჭეშმარიტი გზის ჩვენებას დიდი მნიშვნელობა მიანიჭა. ამიტომ ისეთი ამბები დაახლოებით ყურანის ერთ მესამდს მოიცავს, რაც ამ საკითხის მნიშვნელობას, კიდევ ერთხელ, ხაზს უსვამს.

ამ მოთხრობების მნიშვნელობასა და მათგან მიღებულ სულიერ სარგებელს, მევლანა შემდეგნაირად აფასებს:

„თუ ყურანს მორჩილად და წრფელი გულით წაიკითხავ, სხეული სულისთვის ისე ვიწრო მოგეჩვენება, როგორც ჩიტს გალია“.

„ამ გისოსებისგან თავის დასაღწევად, მონოთეიზმის გარდა, სხვა გზა არ არსებობს."

„არ გინახავს ქარმა „აადის“ მოდგმას რა უქნა? არ იცი წყალი როგორ მოექცა ნუჰის (ნოეს) გემს?"

„წითელმა ზღვამ ფარაონი როგორ გაანადგურა, ან ყარუნი მიწის ფსკერზე როგორ ჩაიტანა?"

„ებაბილის ჩიტებმა სპილოს ჯარს რა გაუკეთეს, ან ნემრუდს, რომელიც თავს ღმერთად აცხადებდა, ტვინი პატარა მწერმა როგორ შეუჭამა?"

„განა არ იცი? ლუტის უზნეო მოდგმას თავს ქვის წვიმა რომ დაატეხა და ისინი ჭუჭყიან ტბაში როგორ ჩაიძირნენ?"

მოკლედ, იმისთვის რომ გულები ერთი ღმერთის რწმენით გავიძლიეროთ, უნდა მივყვეთ შუამავლების ნაქადაგებს და მისი თანამიმდევრების ქცევებს.

ამ ამბების სიბრძნე, ყურანის მოვლენის მიზნის შესაბამისად, შეიძლება, ასე განვმარტოთ:

მუჰამმედის ﷺ შუამავლობა, მტკიცებულებაა იმისა, რომ ყველა ადრინდელი შუამავალი ერთღმერთიანობას ქადაგებდა, თითოეული შუამავლის ღვთიური მოვალეობა, ადამიანების გაფრთხილება, გულების გამოფხიზლება, ხალხის ღვთისმსახურებისკენ წახალისება და აშკარად ცოდვის ჩამდენთაგან თავის შორს დაჭერისკენ მოწოდება იყო. ყველაფერ ამის შედეგად კი, მონა-მსახურებმა შუამავლების მიერ გადატანილი სიძნელეები უნდა წარმოიდგინონ, რათა მოთმინება ისწავლონ და ღმერთს მოცემული წყალობისთვის მადლობა გადაუხადონ.

ჩვენ მიერ შედგენილი ეს ნაშრომი, შუამავლობის კალენდრის პირველიდან ბოლო ფურცლამდე, ყურანში ნახსენები ყველა შუამავლის, ცხოვრებისეულ სიბრძნესა და საოცრებებს მოიცავს. წიგნში ნახსენებია:

წმინდა **ადამი,** რომლის წინაშეც ანგელოზებს სეჯდეს შესრულება (თაყვანისცემა) ებრძანათ;

ზეციური საოცრებებისა და საიდუმლოების მატარებელი წმინდა **იდრისი;**

წარღვნის საშუალებით დედამიწის ცოდვისგან გამწმენდი წმინდა **ნუჰი (ნოე);**

აადის მოდგმის შუამავალი წმინდა **ჰუდი**, რომელმაც ქარიშხლის მეშვეობით, გამჩენის უარმყოფელთა სამშობლო თავდაყირა დააყენა;

სემუდის ტომის შუამავალი წმინდა**ლიჰი**, რომელმაც აბობოქრებული და გამძვინვარებული კერები მიწისძვრის საშუალებით აღგავა პირისაგან მიწისა;

წმინდა **იბრაჰიმი,** რომლისთვისაც ყოვლისშემძლე ღმერთმა ტირანი ნემრუდის ბრძანებით, აგიზგიზებული ცეცხლი ვარდის ბაღად გადააქცია.

გულწრფელობის, მოწყალების, მორჩილებისა და ღმერთის იმედად ყოფნის გამაიდეალებელი წმინდა **ისმაილი**;

ისრაილის შუამავლების შთამომავალი **ისჰაკი.**

ტირანი და უზნეო ხალხისთვის ბოლო წუთამდე ჭეშმარიტების მქადაგებელი, სოდომისა და გომორის ნაღვლიანი შუამავალი წმინდა **ლუტი;**

წმინდა **ზულყარნეინი,** რომელმაც ერთღმერთიანობის ალამი აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე ატარა;

მონანიებისა და სიყვარულით მოთმინების საუკეთესო მაგალითად ქცეული წმინდა **იაყუბი.**

წმინდა **იუსუფი,** რომელმაც გამოიარა მონობისა და პატიმრობის ტანჯვა და საბოლოოდ ეგვიპტეში დათრგუნული გულების სულთნად იქცა;

ქადაგების საუკეთესო ნიჭით ჭეშმარიტების გამცხადებელი წმინდა **შუაიბი**;

წმინდა **მუსა,** რომელმაც ფარაონი წითელი ზღვის ტალღებში დაამარცხა;

მუსას ღვთისმოსავი ძმა წმინდა **ჰარუნი**, რომელიც მას ყოველთვის გვერდში ედგა და ეხმარებოდა:

ღმერთის ხსენებით მთების, ქვებისა და ველური ცხოველების აღმაფრთოვანებელი წმინდა **დავუდი**;

წმინდა **სულეიმანი**, რომელმაც უზარმაზარი სასულთნოს სიყვარული გულს ახლოსაც არ გააკარა.

სიკვდილის შემდეგ მკვდრეთით აღმდგარი, განკითხვის დღეს ხელახლა გაცოცხლების მაგალითი, წმინდა **უზეირი**;

წმინდა **ეიიუბი**, რომელიც ღმერთზე გამუდმებული ფიქრით მოთმინების შეუდარებელ მაგალითად იქცა.

წმინდა **იუნუსი,** რომელიც ღმერთზე ცოდვების მიტევების თხოვნის, ვედრებისა და ღმერთის ხსენების ჭეშმარიტების მაგალითია.

წმინდა **ილიასი**, რომელიც უზენაესი ალლაჰისგან ეზიარა მიმართვას — *„სალამი ილიასს!"*, რაც ღმერთის წყალობისა და ყურადღების დამსახურების გამომხატველია;

წმინდა **ელიასი**, რომელიც აღმატებულ იქნა არსებათა შორის;

ზულქიფლი, რომელსაც ღმერთი უხვად სწყალობდა.

საოცარი რჩევებით ლეგენდადქცეული, ხილულ და უხილავ დაავადებათა უხუცესი ექიმი, წმინდა **ლოყმანი;**

შუამავალი **ზექერია**, რომელიც უსამართლობის მსხვერპლი გახდა.

წმინდა **იაჰია**, რომელიც მამის-ზექერიას მსგავსად, ღმერთის გზაზე შეჰიდად დაეცა;

წმინდა **ისა (იესო)**, რომელიც სულით განწმენდილი, ღმერთისადმი მორჩილებითა და ვედრებით კურნავდა ავადმყოფებს და აცოცხლებდა მიცვალებულებს.

მოკლედ, ვეცადეთ ყველა შუამავლისა და მათი მიმდევრების თავგადასავლები გადმოგვეცა; ამგვარად თანამედროვე ადამიანის სულში ჩაგვეგდო ის საოცარი ნაპერწკალი, რომელიც მათ დარდს გაუქრობს. ამავე დროს, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში, ვეცადეთ მათი უწყვეტი ჯაჭვით, მახარობელთა ქარავნით, ჭეშმარიტების ნაყოფიერი ნაკადულის დინებით გადმოგვეცა, გვეცნობებინა თქვენთვის როგორ მომზადდა ნიადაგი უკეთილშობილესი მუჰამმედის ﷺ მოსაბრძანებლად.

წიგნმა „შუამავლთა ჯაჭვი" დიდი გამოხმაურება ჰპოვა და სხვადასხვა ისლამურმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მისი სასწავლო სახელმძღვანელოდ გამოყენება ირჩია. ამიტომაც ნაშრომი მოვამზადეთ როგორც „სახელმძღვანელო."

იმისათვის, რომ მოსწავლეებისთვის ადვილი ყოფილიყო მისი გამოყენება და თემები კარგად გაეთავისებინათ, წიგნი სურათებითა და რუკებით გავამდიდრეთ, საჭირო აიათები, რომელთა და-

ზეპირება საკმაოდ ადვილია, თარგმანთან ერთად დაიწერა ისე, როგორც ყურანშია.

შევეცადეთ ნაშრომი გაგვემარტივებინა, მაგრამ იმისთვის, რომ მომავალი თაობებისთვის გადაგვეცა ისლამის მდიდარი კულტურა, ამავდროულად ყურადღება მივაქციეთ მის შემადგენელ ტერმინებს. მხედველობაში იქნა მიღებული აიათები, ჰადისები. აქ გადმოცემული თემები თუ ამბები შედგა ისე, რომ მთლიანობა და თანამიმდევრობა არ დარღვეულიყო.

ყოველი შუამავლის თავგადასავლის თხრობის ბოლოს კომენტარები, ახსნა-განმარტებები, შედარებები, შესაფასებული, კერძოდ, ზოგადი და გამოტოვებული ადგილების შესავსებელი კითხვები და ტესტები მომზადდა. წიგნის ბოლოში კი მოცემულია კითხვების სწორი პასუხები. მათი არჩევისა და მომზადებისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმას, რომ ყველაფერი ეს მოსწავლეების ცოდნის გაღრმავების წყაროდ იქცეს და მათ გრძნობებში, ფიქრებსა და ქმედებებში აისახოს. ისინი უნდა დაფიქრდნენ გადმოცემულ ამბებზე, რათა მათგან აიღონ მაგალითები და ეს ყველაფერი დღევანდელობას დაუკავშირონ.

ღმერთს ვთხოვ, ეს ნაშრომი მუდმივი სიკეთის წყაროდ აქციოს. მიგვიტევოს ნებსით თუ უნებლიედ დაშვებული შეცდომები.

შემწეობა მხოლოდ მას ხელეწიფება!

ოსმან ნური თოფბაში

უსქუდარი

22.04.2004

შესავალი

ქება-დიდება უზენაეს ალლაჰს რომელმაც ჩვენ, უძლური მონა-მსახურები, რწმენით, სიხარულითა და სიმშვიდით დაგვაჯილოვა!

სელათი და სალამი სამყაროს წყალობად მოვლენილ წმინდა მუჰამმედ შუამავალს ﷺ.

გამჩენი ღმერთი, ყურანში, მოგვითხრობს რა მანამდე არსებული ერთმორწმუნეების შესახებ, გვამცნობს ღვთიურ საოცრებას, სიბრძნესა და ამ ცნობების ჭეშმარიტებას. ამას გადმოგვცემს ისტორიების ფორმით, რათა მათი გაგება ადამიანის შემეცნებისთვის იოლი იყოს. ეს საკითხი აიათში ასეა გადმოცემული:

„(შუამავალო!) ჩვენ გიყვებით შენ საუკეთესო ამბებს, რაც ამ ყურანით შთაგაგონეთ! *(სურა იუსუფი, აიათი 3)*

ყურანისეული ისტორიების თავისებურებები

ყურანი შემთხვევებს სათანადო ყურადღებას აქცევს. დროსა და ადგილის სახელებს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს, ვინაიდან იმ დეტალებისთვის ყურადღების მიქცევა, რომლებიც შემთხვევების დამრიგებლურ მიზანს არ ემსახურება, ამბავს გაუგებარს ხდის.

ყურანი ამბის მხოლოდ იმ შინაარს ყვება, რაც დასახულ მიზანს ემსახურება. ის უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ ისტორია რელიგიურ მიზანს ემსახურებოდეს, ისე რომ არ ითვალისწინებს ისტორიულ თანამიმდევრობას. ამბის მოყოლას თავიდან ან შუა ნაწილიდან ან კიდევ ბოლოდან იწყებს. ამ ამბებს შორის გაბნეულია გულის ამაჩუყებელი რელიგიური ჭეშმარიტების, სიბრძნისა და საოცრებათა სურათები.

ყურანისეული ისტორიები, საზოგადოდ, ადამიანის ყურადღების მიმპყრობი შესავლით იწყება. იქ მოცემული შემთხვევები მხოლოდ ამბის ზედაპირული ასახვა არ არის. პირიქით, ცოცხლად და თეატრალურად არის აღწერილი. თვალნათლივაა წარმოდგენილი მნიშვნელოვანი სცენები; ნოველების მხოლოდ რამდენიმე დეტალიც კი ადამიანს ღრმად ჩააფიქრებს და წარმოდგენებს შეუქმნის. მაგალითად, სურა „იუსუფში“ გადმოცემული ამბავი, რომელიც იუსუფის მიერ მამის, იაყუბისთვის მოთხრობილი სიზმრით იწყება, ცოცხალ სურათს ქმნის. აიათში ნაბრძანებია:

„აკი, უთხრა იუსუფმა თავის მამას: ჰეი, მამიკო! უეჭველად, მე (სიზმარში) დავინახე თერთმეტი ვარსკვლავი, მზე და მთვარე. დავინახე ისინი ჩემთვის ასრულებდნენ სეჯდეს. (მამამ) უთხრა: „შვილო ჩემო! არ მოუყვე ეს შენი სიზმარი შენს ძმებს, თორემ მახეს დაგიგებენ. უეჭველად, ეშმაკი ადამიანთა აშკარა მტერია." *(იუსუფი 4, 5)*

ᘐ

ყურანისეული ისტორიების ყველაზე მნიშვნელოვანი თავისებურება განმეორებაა. განმეორება, ყურანში სხვა თემებზე მეტად ნოველებში იგრძნობა. ეს სინამდვილეში სრული განმეორება კი არა, ყოველ ჯერზე განსხვავებული დეტალების მომცველი ფორმის გამოსახულებაა. სწორედ, სხვადასხვა საოცრებების მომცველი ყოველი განმეორება, საიდუმლო სამყაროსკენ გულებს ათასობით დიდებულ ფანჯარას უღებს.

ამის ერთ-ერთი მაგალითია იბლისის მიერ ადამის წინაშე სეჯდეს შეუსრულებლობის აღნიშვნა და აიათებში ამაზე მრავალჯერ ხაზგასმა.

მაგალითად, სურა „სად-ის“ 74-ე აიათში მოთხრობილია, რომ ეშმაკის სიამაყე და თავმომწონეობა მის მიერ ღმერთის გმობის მიზეზი გახდა. ეს ადამიანს მიანიშნებს, რომ სიამაყე საშიში ავადმყოფობაა და მას თუ არ უმკურნალებს, ის ადამიანს ურწმუნოებამდე მიიყვანს. სურა „აღრაფის“ მე-11 და მე-12 აიათებში გადმოცემულია, რომ ეშმაკმა, რომელსაც თავდაპირველად ანგელოზთა შორის ეკავა ადგილი და უამრავი სიკეთით იყო დაჯილდოებული, მადლიერების გამოხატვას უმადურობა არჩია და ღმერთის ბრძანებების წინააღმდეგ გამოვიდა. სურა „ჰიჯრას“ 31-ე აიათში კი ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ეშმაკში ჩასახლებულმა სიამაყემ და თავმომწონეობამ მისი შორსმჭვრეტელობა დააბრმავა და მას ადამი მხოლოდ და მხოლოდ მიწისგან შექმნილ არსებად დაანახა, ყურადღება აღარ მიაქცევინა იმაზე, რომ პირველ ადამიანს სული თვით ღმერთმა შთაბერა.

განმეორება - ძირითადი მიზნის განსხვავებული ფორმებით ახსნაა. ამიტომ უბრალო ამბები, მაგალითად, შუამავალი მუსას დაბადების, ახალგაზრდობისა და ქორწინების ეპიზოდები არ მეორდება. რამდენიმე ადგილას მეორდება მხოლოდ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: ფარაონთან შეხვედრა, ჯადოქრებთან შეჯიბრება და თავნება ისრაელის შვილთა მოდგმის ისტორიის მსგავსი, შუამავლობის მიზანთან დაკავშირებული ამბები.

ნოველების განმეორებისას მთავარი საკითხი ღვთიური და დიადი მიზნებით სულებისა და გულების შემკობაა. ადამიანი ნებისმიერ ამბავს უკეთესად გაიგებს, თუკი ის მისთვის სხვადასხვა ფორმითა და გამოხატულებით იქნება წარმოდგენილი. ეს აჩვენებს, რომ ღვთიურ წიგნში განმეორება ადამიანის ფსიქოლოგიის შესაბამისად, მისი ღვთიური აღზრდის მიზნით იკავებს ადგილს.

განმეორებები ზოგჯერ დაწვრილებითაა მოცემული, ზოგჯერ მოკლედ. ყურანში ყოველივე ეს ადამიანების ჭკუისა და შემეცნების სხვადასხვა დონის გათვალისწინებით ხდება, ვინაიდან ყურანი ხალხის დაბალი ფენიდან დაწყებული არისტოკრატებამდე, მთელ კაცობრიობას მიმართავს. აქედან გამომდინარე, მისი გამოყენება ნებისმიერი ფენის, კლასისა თუ უნარის ადამიანს შეუძლია.

ყურანში სიტყვებისა და წინადადებების, უფრო მეტად კი აზრის განმეორება, ადამიანის გაოცებასა და თავზარდაცემაში ჩაგდებას, ამგვარად მის გაფრთხილებას ისახავს მიზნად. მაგალითად, სურა „ყარიაში“ სიტყვების სამჯერ განმეორება ადამიანს ღრმად შეაგრძნობინებს განკითხვის დღის საშინელ სურათს.

სურა „რაჰმანში“ ერთმანეთის მიყოლებითაა ჩამოთვლილი ადამიანისა და ჯინებისთვის ბოძებული წყალობები და ამის შემდეგ ნათქვამია: **„მაშ, თქვენი ღმერთის რომელ მოწყალებანს შერაცხავთ ცრუდ?“** ზემოთხსენებული აიათის ერთ სურაში ოცდაათჯერ განმეორება, მონა-მსახურებს, ღმერთის მრავალ სიკეთეს ახსენებს, რათა მათ მადლობის გადახდის ვალდებულება იგრძნონ. ყურანი, როგორც ჭეშმარიტებისკენ მიმავალი ერთადერთი გზა, ამავე დროს ვედრებისა და ხსენების წიგნიცაა. ვედრებისა და ხსენების მიზანი კი უმეტესად განმეორებით ხდება ნათელი.

ᔓ

ყურანის ნოველებში შუამავლები წარმოდგენილი არიან როგორც კაცობრიობის ყველაზე პრივილეგირებული პირები. მათ შუამავლობა შრომით კი არ მოიპოვეს, არამედ ისინი ღმერთის მიერ იქნენ არჩეული. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„მათ მამათაგან, შთამომავალთაგან და ძმათაგან ამოვარჩიეთ და დავადგინეთ სწორ გზაზე. *(სურა ენამი, აიათი 87)*

გამომდინარე აქედან, რომ შუამავლები არჩეულ იქნენ ღვთიური დავალების შესასრულებლად, მათ უდიდესი პასუხისმგებლობა დაეკისრათ. დიადი ღმერთი მათ თავმდაბლობას უსვამს ხაზს და ამბობს, რომ მათ დიდებულება არ უნდა დაიბრალონ.

„მაშინ, აუცილებლად მოვკითხავთ მათ, რომელთაც შუამავალნი მოევლინათ და აუცილებლად მოვთხოვთ შუამავალთაც". *(სურა აარაფ, აიათი 7/6)*

როგორც აიათშია განმარტებული, მიუხედავად იმისა, რომ შუამავლები ღმერთის მფარველობის ქვეშ იმყოფებიან, თავიანთი ნაქადაგების ხარისხის მიხედვით განისჯებიან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა მუჰამმედ შუამავლის ﷺ გარდა, ყველა შუამავლისთვის მიცემული ღვთიური ბრძანების ქადაგება, განსაზღვრული დროით იყო შემოფარგლული. გამომდინარე აქედან, ადგილი არ ჰქონია მათი იმ ქცევების დაწვრილებით აღწერას, რომელთაგანაც მომდევნო თაობებს მაგალითის აღება შეეძლოთ. მაგრამ რადგანაც წმინდა მუჰამმედი ﷺ ქვეყნიერების აღსასრულამდე ყველა თაობისთვის იქნა შუამავლად მოვლენილი, მისი ყოველი სიტყვა და მოქმედება მაქსიმალური სიზუსტით იქნა აღრიცხული და ჩვენამდე ჭეშმარიტი სახით მოაღწია. ეს ქვეყნიერების აღსასრულამდე ასე გაგრძელდება. ვინაიდან მას წილად ხვდა, რომ ერთმორწმუნეებისთვის უბადლო, უნაკლო მაგალითად ქცეულიყო.

შუამავლის მორალი - ყურანის მორალია. ყურანი მოვლენის დღიდან დღემდე ამქვეყნიური და საიქიო მიმართულებით სამყაროსთვის ჭეშმარიტების გიდია. ამიტომაც მან შეძლო გულებზე ზეგავლენის მოხდენა და უმეცრების თუ ურწმუნოების წყვდიადში ჩაძირული საზოგადოების გაუკუღმართებული ცხოვრების გამოსწორება, მან კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ყველაზე დიდი გარდატეხა მოახდინა. ყურანი ამ მოვალეობის შესრულებას მანამ გააგრძელებს სანამ კაცობრიობა იარსებებს.

ᘓ

ყურანის მსგავსის შექმნის შეუძლებლობის საჩვენებლად, დიადი ღმერთი მთელ კაცობრიობასა და ჯინების სამყაროს იწვევს. ეს გამოწვევა დღემდე უპასუხოდაა დარჩენილი. აიათში ეს ჭეშმარიტება ასეა გამოხატული:

„უთხარი: „რომც გაერთიანდნენ კაცნი და ჯინნი, რათა შექმნან

მსგავსი ამ ყურანისა, ვერ შექმნიან მის მსგავსს, თუნდაც ერთიმეორეს დაეხმარონ!“ *(სურა ისრა, 17/88)*

მიუხედავად იმისა, რომ დიადმა ღმერთმა ეს გამოწვევა ათ სურამდე შეამცირა, ადამიანები მის წინაშე მაინც უძლურნი აღმოჩდნენ. აიათში ნაბრძანებია:

„ან კიდევ ამბობენ: „იგი (ყურანი) მან შეთხზაო.“ უთხარი: „მაშ, მოიტანეთ ათიოდე სურა ამის მსგავსი შეთხზული და მოუხმეთ (დასახმარებლად) ვისაც შეძლებთ, გარდა ალლაჰისა, თუ თქვენ მართალნი ხართ!" *(სურა ჰუდი, 11/13)*

საბოლოოდ, როცა უზენაესმა ალლაჰმა ამ გამოწვევის რიცხვი ერთამდე დაიყვანა და ადამიანებს მაინც არ ეყოთ ძალა მის შესაქმნელად, ცხადი გახდა, რომ ის ნამდვილად ღვთიური სიტყვა იყო და ადამიანი მის მსგავსს ვერ შექმნიდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, შემდეგი აიათია მოვლენილი:

„თუ რამ ეჭვი შეგეპარათ მასში, რაც მოვუვლინეთ ჩვენს მსახურს (მუჰამმედს), მაშინ მოუხმეთ ყველას, ვისიც თქვენ გწამთ, გარდა ალლაჰისა, და თუკი თქვენ ხართ მართალნი, ერთი სურა მაინც მოიტანეთ მსგავსი მისი. რომ ვერ შექმნათ და ვერც ვერასდროს შექმნით, მაშინ იმ ცეცხლისა გეშინოდეთ, რომელიც ურწმუნოთათვის არის გამზადებული და რომლის საწვავი ქვები და ადამიანებია." *(სურა ბაყარა 2/23-24)*

ყურანის გაგების, შემეცნების, შეგრძნებისა და მის საიდუმლოში ჩაწვდომისთვის უნაკლო გულის საჭიროება არსებობს, რადგან ყურანი თავისი საიდუმლოს კარებს გულის მდგომარეობის მიხედვით აღებს. ალლაჰი აიათში ბრძანებს:

أَفَلَا يَتَدَبَّرُونَ الْقُرْآنَ أَمْ عَلَى قُلُوبٍ أَقْفَالُهَا

„ნუთუ ისინი ყოველმხრივად არ გაიაზრებენ ყურანს? ან იქნებ გულთა ზედა აბია საკეტნი თვისი?" *(სურა მუჰამმედი, აიათი 24)*

გაშავებული გულები ყურანისგან ვერანაირ წილს ვერ მიიღებენ. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთმცოდნე ორიენტალისტები გარეგნულად დიდ ცოდნას ფლობენ, გულის ცხოვრებას მოკლებულნი არიან, ამიტომ ყურანი მათ სარგებელს არ მოუტანს და თავის საიდუმლოში არ ჩააწვდენს. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„ჩემი სასწაულებისგან განვაშორებ მათ, რომელნიც უსამართლოდ მედიდურობენ დედამიწაზე. და რომც იხილონ ყველა სასწაული, არ ირწმუნებენ მას და რომც დაინახონ გზა ჭეშმარიტი, არ აირჩევენ

მას გზად. ხოლო თუ დაინახავენ მრუდე გზას, დაიდგენენ მას გზად. ეს იმისთვის, რომ ცრუდ შერაცხეს ჩვენი სასწაულები და იყვნენ მისადმი უსულგულო." *(სურა აარაფი, აიათი 146)*

აიათების შინაარსის მიხედვით, ყურანის ყველაზე კარგად განმმარტებელი წმინდა მუჰამმედ შუამავალია ﷺ. ამიტომ ყველა ჰადისი ყურანის კომენტარის მნიშვნელობის მატარებელია. წმინდა შუამავლის შემდეგ, ყურანის ყველაზე დიდი განმმარტებლები სწავლულები არიან.

ყურანის სუფთა გულით წაკითხვის შემთხვევაში, გული სიბრძნითა და საოცრებებით ივსება, შესაძლებელი ხდება მის საიდუმლოში ჩაწვდომა. ყოველივე ამას მევლანა შემდეგნაირად გამოხატავს: „სანამ ყურანის აიათებსა და წმინდა შუამავლის ჰადისებს წაიკითხავდე, საკუთარი თავი გამოასწორე! ვარდის ბაღში სასიამოვნო სუნს თუ ვერ გრძნობ, მიზეზი არა ბაღში, არამედ შენში ეძიე!“

ყურანი ის ბრწყინვალე წიგნია, რომლის უკიდეგანო შინაარსში გადმოცემული ისტორიების ნაწილი თანამედროვეობისთვის ჭეშმარიტების გიდი და გამაფრთხილებელია.

ღმერთმა გვარგუნოს ბედნიერება, ყურანში მოხსენიებული, შუამავალთა საოცარი, საიდუმლოებებით აღსავსე ცხოვრებაში განცდილი მოთმინების, ღმერთზე მადლიერების, მორჩილების, მინდობის, გულისხმიერების, თანაგრძნობის თუ თავაზიანობის წილის მიღებისა და მისი საკადრისი მონა-მსახურობა გაგვაწევინოს! აამიინ!


წმინდა ალიანი

წმინდა ადამი

რომლის წინაშეც ანგელოზებს
სეჯდეს შესრულება ებრძანათ.

გაჩენა

უზენაეს გამჩენს უამრავი თავისებურება გააჩნია, რომელსაც ჩვენი შემეცნება ვერ ჩასწვდება.



ო ადამიანო, სამყაროს თვალის ჩინი,
ადამი ხარ შენ!

ადგილები, სადაც მისი ყველა ნიშან-თვისება სრულყოფილად გამოვლინდება, შემდეგია:

ა. სამყარო

ბ. ყურანი

გ. ადამიანი

სამყარო ღმერთის ყველა თავისებურების „ფაქტობრივი“, ყურანი კი „სიტყვიერი“ გამოვლინებაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყურანი სიტყვად გადაქცეული სამყაროა.

ადამიანი კი ამ სამყაროს რაობის მსგავსია, რადგან ის არის ერთადერთი არსება, რომელშიც მეტნაკლებად თავმოყრილია ღმერთის ყველა თავისებურება. მხოლოდ მას-

ში გამოვლინდება ისეთი თვისებები, როგორიცაა: სამართლიანობა, შეცდომის დაშვებისკენ მისწრაფება, ყველაფერზე მაღლა საკუთარი თავის წარმოჩენა და მათი საპირისპირო თვისებები: ჭეშმარიტებაში ჩაწვდომა, ყველა გაჩენილის მიმართ გულისხმიერების გამოჩენა, საიქიოში მხოლოდ მორწმუნეებისადმი მოწყალება და სხვა. როგორც ვხედავთ, ადამიანი არის არსება, რომელშიც თავმოყრილია ყველა პოზიტიური და ნეგატიური თვისება. აქედან გამომდინარე, ადამიანში ძევს სიკეთეც და ბოროტებაც. ადამიანი ვალდებულია, სულისა და გულის განწმედით ცუდ თვისებებსა და მიდრეკილებებს განერიდოს და სულიერების თვალსაზრისით, სრულყოფილ ადამიანად იქცეს. ამის განხორციელება კი მხოლოდ შუამავლებისა და სწავლულების დახმარების შედეგად მიღწეული, ჭეშმარიტების შემეცნებითაა შესაძლებელი.

ადამიანს ღმერთთან დაახლოების გზაზე, ანგელოზებზე უფრო მეტად ამაღლების ძალაც კი შესწევს. გამომდინარე აქედან, ადამიანის საფეხური „ანგელოზებზე უფრო მაღალ საფეხურსა" და „ცხოველებზე უფრო დაბალ, საფეხურს" შორის მერყეობს. ამგვარი გარეგნული სახის მიღმა სულიერი არსება, ღვთიური თვისებების უამრავი საიდუმლო, ნათელი და ჭეშმარიტი სახეა დამალული.

ხორბლის ერთ მარცვალში ამ მცენარის ყველა თავისებურებაა თავმოყრილი. ასევე, ყველა სახის ხორბალში მისი ჯიშის ყველა თავისებურებაა შეკრებილი. ადამიანიც გამონაკლისი არსებაა, რომელიც მოიცავს სამყაროში არსებულ ყველა ქმნილებას. ადამიანი ხორბლის მარცვლის მსგავსია. ამ ჭეშმარიტებას შეიჰი გალიბი ასე გადმოგვცემს:

„ადამიანო, საკუთარ თავს გულითა და თვალით შეხედე, შენ ხარ გაჩენილ არსებებს შორის განსაკუთრებული, შენ ხარ სამყაროს თვალისჩინი, ადამი!"

ᘓ

ყოვლისშემძლე ღმერთმა რამდენიმე სამყარო გააჩინა. სამყაროთა რაოდენობის შესახებ არსებობს განსხვავებული ვერსიები. ზოგადად, ეს სამყარო ორ კატეგორიად იყოფა: „გაჩენილთა სამყარო" და „ბრძანებათა სამყარო". სამყაროთაგან პირველი ადამიანია, რომელიც „გაჩენისა და ბრძანების" სამყაროს ერთად მოიცავს.

უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს:

„განა მხოლოდ მას არ ეკუთვნის გაჩენა და მბრძანებლობა? რაოდენ დიადია ალლაჰი, სამყაროთა ღმერთი!" (სურა ეღრაფი, აიათი 54)

„გაჩენილთა სამყარო" ეწოდება სამყაროს, რომლის განზომილებები ხელით შესახები ან თვალით დასანახია. ეს არის სამყარო, რო-

მელიც შედგება გაჩენილთაგან, რომლებიც დამოკიდებული არიან ადგილსა და დროზე. ამას ყოფიერი და მოწმეობის სამყაროც ეწოდება. ამ სამყაროში არსებობს ის, რასაც გრძნობის ხუთი ორგანოს (მხედველობა, სმენა, შეხება, ყნოსვა და გემოვნება) საშუალებით აღვიქვამთ. „გაჩენილთა სამყაროში" არსებობს: მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი და სხვა.

ხოლო სამყაროს, სადაც არ არსებობს ადგილისა და დროის ცნება და გაჩენილია უდიდესი ღმერთის ბრძანებით - **„იქმენ"**- ბრძანების სამყარო" ეწოდება.

ყურანში ვკითხულობთ:

„უთხარი: „სული ჩემი ღმერთის მბრძანებლობაშია!" *(სურა ისრა, აიათი 85)*

ამ მეტაფიზიკურ, სულიერ სამყაროს, ბრძანების სამყაროც ჰქვია.

ჩვენი გაჩენის უმთავრესი მიზანი და საიდუმლოებანი

1. ადამიანის გაჩენის უმთავრესი მიზანი გამჩენი ღმერთის არსებობის გაგება და მისთვის მონა-მსახურობის გაწევაა. აიათში ნაბრძანებია:

وَمَا خَلَقْتُ الْجِنَّ وَالْإِنسَ إِلَّا لِيَعْبُدُونِ

„და მე არ გამიჩენია ჯინები და ადამიანები, თუ არა ჩემდამი თაყვანისცემისთვის." *(სურა ზარიათი აიათი 56.)*

„***ჩემდამი თაყვანისცემისთვის***", რომელიც აიათში მოხსენიებულია, როგორც ადამიანის გაჩენის მიზანი, ღირსეული საფეხურია. ეს, „ქელიმეი შეჰადეთშიც" მკაფიოდაა გამოხატული. შუამავალი ﷺ იქ, უპირველესად, სწორედაც მონა-მსახურად არის მოხსენიებული და მხოლოდ ამის შემდეგ შუამავლად. ეს კი მიანიშნებს, რომ მონა-მსახურება უპირველესი საფეხურია და შუამავლობაც მისი შემადგენელი ნაწილია.

ალლაჰის შუამავალი ადამიანებს, რომლებიც მას დიდ პატივს მიაგებდნენ, ეუბნებოდა: *„დიადმა გამჩენმა, სანამ მე შუამავლობის მისიას დამაკისრებდა, მონა-მსახურად გამაჩინა."*

ამგვარად მათ ამცნო, თუ რამდენად მაღალი საფეხურია მონა-მსახურება.

აიათში უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

قُلْ مَا يَعْبَأُ بِكُمْ رَبِّي لَوْلَا دُعَاؤُكُمْ

„(შუამავალო!) უთხარი: „თუ არ იქნება თქვენი ვედრებანი, რატომ მოგანიჭებთ ღირსებას ღმერთი ჩემი." *(სურა ფურყანი, აიათი 77)*

მსახურების ერთი-ერთი მნიშვნელობა - უზენაესი ალლაჰის აღიარებაა.

ადამიანის გაჩენის მიზანი მონა-მსახურების შესრულებისა და ღმერთის არსებობის აღიარებისკენაა მიმართული. ღმერთმა ადამიანი გააჩინა იმისათვის, რათა მისდამი მონა-მსახურება შეასრულოს. ყურანის ზოგიერთი განმმარტებელი ამ სიტყვას ხსნის, როგორც „ალლაჰის აღიარებას." *(იბნი ქესირი, თეფსირი, IV, 255)*

2. ადამიანის გაჩენის მეორე უმთავრესი მიზანი და საოცრება - დიადი ღმერთის „შეცნობაა".

ადამიანებსა და ღმერთს შორის განსაკუთრებული სიყვარულის ჯაჭვი არსებობს. მას თავისი მონა-მსახურები ძალიან უყვარს, ამიტომ, მათ უთვალავი სიკეთე უწყალობა. სანაცვლოდ მათგან მხოლოდ სიყვარული, მსახურება და მორჩილება მოითხოვა.

3. ადამიანის გაჩენის კიდევ ერთი მიზანი ის იყო, რომ ყოფილიყო გამოვლინება უზენაესი ალლაჰის სილამაზისა, რადგანაც ადამიანი საოცარი არსებაა. სურა „ზარიათის" მე-20 და 21-ე აიათებში ნაბრძანებია:

وَفِي الْأَرْضِ آيَاتٌ لِلْمُوقِنِينَ وَفِي أَنْفُسِكُمْ أَفَلَا تُبْصِرُونَ

„და დედამიწაზე სასწაულია მტკიცე მორწმუნეთათვის და თქვენს სულებში. ნუთუ არღა გულისხმაჰყობთ?"

ამავე დროს დიადი ღმერთი სხვა აიათში ადამიანის შექმნის ფაზის აღწერის შემდეგ თავის დიდებულებას ასე გამოხატავს;

فَتَبَارَكَ اللهُ أَحْسَنُ الْخَالِقِينَ

„რაოდენ დიადია ალლაჰი, საუკეთესო გამჩენია!" *(სურა მუმინუნი, აიათი 14)*

4. სამყაროში ადამიანის ყველაზე პატივსაცემ არსებად გაჩენის მიზეზი იყო ალლაჰის ნება, რომ ის დედამიწაზე მისი ჰალიფა ყოფილიყო.

وَإِذْ قَالَ رَبُّكَ لِلْمَلَائِكَةِ إِنِّي جَاعِلٌ فِي الْأَرْضِ خَلِيفَةً

„აკი, უთხრა ღმერთმა შენმა ანგელოზებს: ხალიფა უნდა დავადგინო დედამიწაზე." *(სურა „ბაყარა," აიათი 30)*

აქ ადამიანის ჰალიფად გაჩენა შემდეგი მნიშვნელობების მატარებელია:

„საკუთარი ნებით, ძალიდან და თვისებებიდან მას ზოგ უფლებებს მივანიჭებ, ის ჩემი დავალებით ჩემი გაჩენილების ნაწილის მფლობელი იქნება; ჩემი სახელით ჩემს ბრძანებებს აღასრულებს და კანონებს დაემორჩილება. შემდეგ შობილნი კი მისი მემკვიდრეები იქნებიან. იმავე მოვალეობას შეასრულებენ და გაცხადდება საიდუმლო აიათისა:

„მან (უზენაესმა ალლაჰმა) თქვენ დაგადგინათ დედამიწის გამგებლად" *(სურა ენამი, აიათი 165)*

გამჩენი ღმერთის მიერ ადამიანის გაჩენის კიდევ ერთი საოცრება არის ის, რომ ღვთიური ყოვლისშემძლეობა წარმოჩინდეს. *„დიადი ალლაჰის ზნეობით აღიჭურვეთ!"* ეს ჰადისიც ამ მნიშვნელობაზე მიანიშნებს. ვინაიდან უზენაესი ალლაჰის ყოვლისშემძლეობა ყველაზე მეტად ადამიანში ვლინდება. იმის გამო რომ ანგელოზებში სიამაყე არ ძევს, მათში ვნებაც არ არსებობს, ცოდვას არ ჩაიდენენ. გამომდინარე აქედან, ვნების ძლევის შესაძლებლობა და ღმერთთან მიახლოების ნიჭი მხოლოდ ადამიანს ეწყალობა. ამიტომ ადამიანი უნდა ცდილობდეს მისთვის ნაწყალობევი ამ უნარის მეშვეობით, ღვთის მიერ მინიჭებული თვისებები როგორ გამოავლინოს.

წმინდა ადამის გაჩენა

სამყაროს გამჩენმა ალლაჰმა, იმისთვის, რომ მისი არსებობა ცნობილი გამხდარიყო, მის წინაშე ღვთისმსახურება შეესრულებინათ და დედამიწაზეც ჰალიფა ჰყოლოდა, გადაწყვიტა ადამიანი გაეჩინა. უფრო ადრე მისთვის მხოლოდ ღვთისმსახურების შესასრულებლად გაჩენილ ანგელოზებს ეს შემდეგნაირად განუმარტა: **„აკი, უთხრა გამჩენმა შენმა ანგელოზებს: ხალიფა (ნაცვალი) უნდა დავადგინო დედამიწაზე. ანგელოზებმა უპასუხეს: ვინც უკეთურობას დასთესს და სისხლს დაღვრის, ისეთი ქმნილება უნდა დაადგინო? როცა ჩვენ გამუდმებით გადიდებთ, თაყვანს გცემთ და სიწმინდეს ვაღიარებთ შენსას?! ბრძანა (ალლაჰმა): ვიცი მე, რაც არ იცით თქვენ!"** *(სურა ბაყარა, აიათი 30)*

ამ საოცარი ბრძანების წინაშე ანგელოზებმა, ყველამ ერთხმად, უზენაესი ალლაჰი ადიდეს და წარმოთქვეს:

„მიუგეს (ანგელოზებმა): დიდება შენდა! რაც შენ გვასწავლე, სხვა რამ ცოდნა არა გვაქვს ჩვენ. უეჭველად, შენა ხარ ყოვლისმცოდნე, ბრძენი!" *(სურა ბაყარა, აიათი 32)*

ანგელოზებმა ღმერთს ადამიანის გაჩენის მიზეზი იმიტომ კი არ ჰკითხეს, რომ აჯანყებოდნენ ან მისთვის ეღალატათ, არამედ იმიტომ, რომ ადამიანის გაჩენის საიდუმლო გაეგოთ.

ადამიანის გაჩენა

ყურანში წმინდა ადამის მიწისგან შექმნა ასეა აღწერილი:

1. მიწა

خَلَقَهُ مِن تُرَابٍ ثُمَّ قَالَ لَهُ كُنْ فَيَكُونُ

„ალლაჰმა ადამი მიწისგან შექმნა. შემდეგ უთხრა: „იქმენ“! და იქმნა ისიც." *(სურა ალი იმრანი, აიათი 59)*

2. ტალახი

كُلَّ شَيْءٍ خَلَقَهُ وَبَدَأَ خَلْقَ الْإِنسَانِ مِن طِينٍ

„ალლაჰმა სრულყოფილჰყო ყოველივე და იწყო ადამიანის გაჩენა ტალახისგან. " *(სურა სეჯდე, აითი 7)*

3. წებოვანი ტალახი

إِنَّا خَلَقْنَاهُم مِنْ طِينٍ لَازِبٍ

„უეჭველად, ჩვენ გავაჩინეთ ისინი (ადამი და მისი მოდგმა) **წებოვანი ტალახისგან."** *(სურა საფფათი, აითი 11)*

4. ჰაერში ტალახის გაშრობის ფაზა

وَلَقَدْ خَلَقْنَا الْإِنسَانَ مِن صَلْصَالٍ مِنْ حَمَإٍ مَسْنُونٍ

„და ვფიცავ, ჩვენ ადამიანი გავაჩინეთ მშრალი, შავი დამყოლი ტალახისგან! “ *(სურა ჰიჯრი, აიათი 26)*



„მისგან (მიწისგან) **გაგაჩინეთ თქვენ, და მასშივე დაგაბრუნებთ და მისგან გამოგიყვანთ კიდევ ერთხელ!"** *(სურა ტაჰა, აითი 55)*

5. ცეცხლში გამომწვარი თიხის ფაზა

خَلَقَ الْإِنسَانَ مِن صَلْصَالٍ كَالْفَخَّارِ

„ალლაჰმა გააჩინა ადამიანი მშრალი, გამომწვარი მიწის დარით.“
(სურა რაჰმანი, აიათი 14)

წმინდა ადამის შემდეგ ყველა ადამიანის გაჩენა აიათში ასეა ჩამოყალიბებული:

وَلَقَدْ خَلَقْنَا الْإِنسَانَ مِنْ سُلَالَةٍ مِنْ طِينٍ ثُمَّ جَعَلْنَاهُ نُطْفَةً فِي قَرَارٍ مَّكِينٍ

ثُمَّ خَلَقْنَا النُّطْفَةَ عَلَقَةً فَخَلَقْنَا الْعَلَقَةَ مُضْغَةً فَخَلَقْنَا الْمُضْغَةَ عِظَامًا

فَكَسَوْنَا الْعِظَامَ لَحْمًا ثُمَّ أَنْشَأْنَاهُ خَلْقًا آخَرَ فَتَبَارَكَ اللهُ أَحْسَنُ الْخَالِقِينَ

„მერე ვჰქმენით წვეთისგან სისხლის კოლტი, (ემბრიონი) მერე სისხლის კოლტიდან ვქმენით ხორცის ნაჭერი, ამის შემდეგ ხორცის ნაჭრიდან ვქმენით ძვლები, მერე ძვლებს შევასხით ხორცი, მერე გამოვსახეთ იგი სხვა ქმნილებად. რაოდენ დიადია ალლაჰი, საუკეთესო გამჩენია!" *(სურა მუყმინუნი, აიათი 14)*

მედიცინამ ამ ყველაფრის აღმოჩენა მხოლოდ წინა საუკუნეში შეძლო. ეს მეცნიერული სინამდვილე უდიდესმა ღმერთმა ყურანში 1400 წლის წინ გვამცნო.

ზემოთ მოცემულ აიათებში ყოვლისშემძლე ალლაჰი ადამიანის გაჩენის საოცრებას გვამცნობს. პირველი ტალახია, რაც ადამის მიწისგან შექმნას ასახავს. თიხა არის ნივთიერება, რომელსაც არავითარი ღირებულება არ გააჩნია. შემდეგი ეტაპი თიხაზე დამატებული გამჭვირვალე წყალი; სისხლი - ეს არის ნივთიერება, რომელიც პირში დაღეჭილ საკვებს ჰგავს და მიმზიდველი არაფერი აქვს, პირიქით, არასასიამოვნოც კი არის. ამის შემდეგ არის ღვთიური ძალის გამოვლინების საოცარი სურათი, ადამიანისთვის სულის შთაბერვა და ამგვარად მისი შექმნა. ამის მიყოლებით, ადამიანი მატერიალურად და სულიერად ჯანსაღდება და ვითარდება, საბოლოოდ კი კვლავ საწყისთან, მიწასთან ბრუნდება, იხრწნება და ქრება.

აიათში უდიდესი ღმერთი, ამ მრავალფეროვან სამყაროში, ადამიანის ამქვეყნიურ გასავლელ ეტაპებზე დაფიქრებისკენ მოგვიწოდებს:

„ვისაც ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუბოძებთ, საწინააღმდეგო იერს ვაძლევთ, (ძალას შევუმცირებთ), (საბოლოოდ, ის დასუსტდება და მოხუცდება) **განა გონს არ მოეგებიან?"** *(სურა იასინი, აითი 68)*

„იგია ალლაჰი, რომელმაც გაგაჩინა თქვენ სუსტისგან, სისუსტის შემდეგ დაგიდგინათ სიძლიერე და მერე შეგიცვლით ამას სისუსტითა და ჭაღარით. გააჩენს, ინებებს რასაც, რამეთუ იგია ყოვლისმცოდნე, ყოვლისშემძლე!" *(სურა რუმი, აიათი 54)*

„მისგან (მიწისგან) **გაგაჩინეთ თქვენ და მასშივე დაგაბრუნებთ და მისგან გამოგიყვანთ კიდევ ერთხელ!"** *(სურა ტაჰა, აიათი 55)*

ეს აიათები გვიჩვენებს, რომ ადამიანის სხეული, მისი ცხოვრების ეტაპები ჩვენს თვალწინ იცვლება. ისე, როგორც მისი ცხოვრებაა წარმავალი, ასევე მისი ძალა და უნარიც წარმავალია.

ისე როგორც მიწას აცოცხლებს გაზაფხულის წვიმა, ასევე აცოცხლებს ადამიანს წყალობის გამოვლინებები.


იმის გამო, რომ ადამიანი მიწისგანაა შექმნილი, მისი თავისებურებების მატარებელია. მიწა დროდადრო შრება, სიცხისგან ხურდება, წყალი ენატრება. ერთი სეზონის მანძილზე ზამთრის გულქვაობის ატანა უხდება. გაზაფხულის უხვი წვიმების საშუალებით, ღმერთის ნებითა და ძალით, ხელახლა ცოცხლდება. ათასობით სილამაზეს, ფერის, სუნის დინებებს გამოფენს.

ადამიანსაც მიწის მსგავსი ბედი აქვს. ცხოვრების ვნებათა შტორმში ისე ირყევა, როგორც უდაბნოში ქარიშხლისას ქვიშა. ვნების ძალადობის ქვეშ საკუთარ თავს ანაღვლიანებს. სრულყოფილებას მხოლოდ მაშინ აღწევს, როცა ვნებას სძლევს. ისე როგორც გაზაფხულის წვიმა აცოცხლებს მიწას, ადამიანიც წყალობის საშუალებით ცოცხლდება. ამგვარად, მისთვის ბოძებულ სიკეთეს, ალლაჰის კმაყოფილების მოსაპოვებლად, მოსავლიანი მიწის მსგავსად, გარშემომყოფებს სთავაზობს.

ꕥ

ადამიანის სხეული, რომელიც მიწისგანაა შექმნილი, საბოლოო ჯამში მასვე უბრუნდება. ადამიანის სხეულში მეტნაკლებად წარმოდგენილია ყველა ის ელემენტი, რასაც მიწა შეიცავს, რადგანაც სხეული სინამდვილეში მიწის ერთი ასპექტია. წმინდა ადამს ეს სახელი სწორედ იმიტომ ეწოდა, რომ მიწისგან შეიქმნა.

ისე როგორც დედამიწაზე, სხვადასხვა ადგილის მიწა განსხვავებული თვისებების მქონეა, ასევე ადამიანებიც, ფიზიკური თუ მორალური გადასახედიდან, სხვადასხვა თავისებურების მატარებლები



ისე როგორც მიწას აცოცხლებს გაზაფხულის წვიმა, ასევე აცოცხლებს ადამიანს წყალობის გამოვლინებები.

არიან. მუჰამმედ შუამავალი ﷺ ამ სინამდვილეს ერთ-ერთ ჰადისში ასე გადმოგვცემს:

„უზენაესმა ალლაჰმა წმინდა ადამი მიწისგან შექმნა, რომელიც შეიცავდა დედამიწის ყველა კუთხიდან აღებულ თითო მწიკვ მიწას. ამის გამო ადამიანების ერთი ნაწილი წითელ, ნაწილი თეთრ, ნაწილი შავ და ნაწილიც ფერადკანიანია. ნაწილი რბილი, ნაწილი ხისტი, ნაწილი კარგი, ნაწილი ცუდი ხასიათის მოევლინა ქვეყანას (ესე იგი, სხვადასხვა უნარის, თავისებურებისა და ხასიათის)."

როგორც ვიცით, მიწა რკინას, სპილენძს, ალუმინს, ფოსფორს, კალციუმს და ბევრ სხვა ელემენტს შეიცავს. ამ ელემენტების, მინერალების კუთრი წონისა თუ მინარევების თანაფარდობის მიხედვით განისაზღვრება მიწის ხარისხი და თვისებები, მიწა იმისდა მიხედვით, თუ რა რაოდენობით შეიცავს ამა თუ იმ ელემენტსა და მინარევს, არის მყარი, რბილი და სხვადასხვა ფერის. ამის მიხედვით, ზოგი მიწა მოსავლიანია, ზოგი მწირი, ზოგიც მშრალი და უნაყოფო. ისე, როგორც მიწას, ადამიანსაც ეს ელემენტები სხვადასხვა რაოდენობითა და თანაფარდობით მოეპოვება. ამგვარად, ადამიანისა და მიწის გარეგნულ თავისებურებებს შორის კავშირი არსებობს. ადამიანის ფერიც იმ მიწის ფერით განისაზღვრება, რომლისგანაცაა შექმნილი. ზუსტად მიწის მსგავსად ადამიანებიც, ზოგი რბილი, ზოგიც ხისტი ხასიათისაა; ზოგი, რასაც ასწავლი, მაშინვე მის შესაბამის ნაყოფს გამოიღებს, ზოგიც, რამდენი ამაგიც უნდა გასწიო, ნაყოფს არ მოგცემს.

სულის შთაბერვა

დიადმა ღმერთმა ადამიანის სხეული მიწისგან შექმნა და იგი სამყაროში გაჩენილ არსებებს შორის ყველაზე მაღალ საფეხურზე დააყენა, საკუთარი სულის ნაწილი შთაბერა. სხეულად შექმნილი ადამიანი სულიერ არსებად მხოლოდ სულის შთაბერვის შემდეგ იქცა. უპირველესად ალლაჰმა ადამიანს ფასი იმით მიანიჭა, რომ მას სიცოცხლისუნარიანობა უწყალობა. ადამიანისთვის სულის შთაბერვას უზენაესი ალლაჰი ასე გადმოგვცემს:

„და როცა მივცემ სახეს და შთავბერავ მას ჩემი სულიდან, მაშინვე მუხლმოყრილნი განერთხეთ მიწაზე მისთვის!" *(ჰიჯრი, 29)*

დიადი ღმერთის მიერ ადამისთვის სულის შთაბერვა ხატოვანი გამონათქვამიცაა. ეს ნიშნავს, რომ უზენაესმა ალლაჰმა თავისი ზოგიერთი მახასიათებელი ადამიანს, უნარისა და შესაძლებლობების შესაბამისად, უწყალობა. ადამიანი ღმერთისგან შთაბერილი სულით, მასზე მიბარებული ამანათის მადლმოსილებას ცნობს და მისი მონა-მსახური ხდება. მისი, როგორც დიადი და ყოვლისშემძლე დიდებულებისა და საიდუმლო შესაძლებლობების არსს სწვდება. ამ ცოდნის ცენტრი კი გულია. აქ გული წარმოდგენილია არა როგორც ფიზიკური ორგანო, არამედ როგორც გრძნობების ცენტრი.

მისტიკური გაგების მიხედვით, ადამიანში ორი - პოზიტიური და ნეგატიური ცენტრი არსებობს. ეს ორივე ცენტრი ადამიანის სულთანაა დაკავშირებული.

1. ყველაზე მნიშვნელოვანი თავისებურება, რაც ადამიანებს სხვა ცოცხალი არსებებისგან გამოარჩევს, უდიდესი ღმერთის მიერ მისთვის შთაბერილი სულია. „ბრძანების" სამყაროში არსებული ეს სული სხეულთან ერთად არის იმისთვის, რომ მასში პოზიტიური მხარე გამოვლინდეს. სხეულში ჩასახლებული ამ სულის წყალობით ადამიანი მონა-მსახურებას ასრულებს, ღმერთს ემორჩილება, ღვთისმოსავი ქმედებებისკენაა მიმართული. სულზე სხეულის გახრწნა და გაქრობა არ მოქმედებს. სიკვდილი მხოლოდ სხეულზე სულის მფლობელობას უსვამს წერტილს.

2. ის, რაც ადამიანს სიცოცხლიუნარიანობას ანიჭებს და მის ბიოლოგიურ არსებას მართავს, არის ნაზი ძალა, რომელსაც „სული" ეწოდება. ის „გაჩენის" სამყაროდანაა. ეს სული, ვნებასთან ერთად, ცოცხლად ყოფნას უზრუნველყოფს და მთელ სხეულშია მოდებული. მბრძანებლობის საფუძველი სისხლშია. ცენტრი ტვინია. თუკი ამ სულს ქმედებების საწყის წერტილშივე არ აღვზრდით, ადამიანში ნეგატიურად გამოვლინდება.

სული სულთანი - მხედარს, სული ცხოველი კი ცხენს ჰგავს. სული მხედარი ცხენს ძალიან კარგად უნდა მართავდეს. თუკი ცხენის ცნობასა და მის მართვას შეძლებს, სული სულთანი ძლევამოსილი იქნება.

სული სულთანი ადამიანს სამ დავალებას აკისრებს და შესრულებისთვის საჭირო ძალასა და ენერგიას აძლევს.

ესენია:

1. ადამინის მიერ საკუთარი თავისა და სულის ცნობა;
2. გამჩენის - ღმერთის ცნობა;
3. ცოდნა იმისა, რომ იგი გამჩენის წინაშე უძლურია.

გადმოცემის მიხედვით „ის, ვინც საკუთარ თავს იცნობს, ღმერთსაც შეიცნობს."

ადამიანში მარადიული სულია, სამოთხის თუ ჯოჯოხეთის მოგზაურობას ის განახორციელებს. მევლანა ამბობს:

„სულს მორალური საკვები მიეცი. სრულყოფილი ფიქრი, ნაზი გაგება და სულიერი საკვები შესთავაზე, რათა საიქიო სამყოფელშიში ძლიერი წავიდეს!"

სულის ხუთი ეტაპი

1. არარსებობა.

„დროის მონაკვეთის დინებაში ისეთმა პერიოდმა განვლო, რომ ადამიანის სახელი არც კი ყოფილა მოხსენებული“ *(სურა ინსანი, 1)*

2. სულთა სამყაროს გაჩენა: (ადამიანის გაჩენის დასაწყისი, როცა ღმერთმა სულები გააჩინა და მათ ჰკითხა: „მე თქვენი ღმერთი არ ვარ?):

3. სულების სხეულში ჩასახლება

„და როცა შთავბერავ მას ჩემი სულიდან.“*(ჰიჯრი, 29)*

4. სულების სხეულისგან განშორება:

„ყველა სული იგემებს სიკვდილს !“ *(ალი იმრანი, 185)*

5. სულების კვლავ სხეულებში დაბრუნება:

„უთხარი: (ალლაჰი, კვლავ იმავე ფორმით) **გააცოცხლებს მას, რომელმაც გააჩინა თავდაპირველად, რამეთუ იგი ყველა გაჩენილს უწყის."** *(იასინი, 79)*

იმას, რომ სულები კვლავ სხეულში დაბრუნდებიან, უდიდესი ღმერთი შემდეგი აიათით გვატყობინებს:

„და როცა სულები (სხეულებთან) **შეერთდებიან.“** *(თექვირი, 7)*



უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„უთხარი: „სული ჩემი ღმერთის მბრძანებლობაშია და *(ამ საკითხში)* **არ მოგნიჭებიათ თქვენ ცოდნისგან მცირედის გარდა!“** *(ისრა, 85)*

ᘓ

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: **„შეასწავლა ადამს ყველა სახელი, შემდეგ წარუდგინა ანგელოზებს ისინი და უთხრა: მაცნეთ აბა, ამათი სახელები, თუკი ხართ მართალნი. “** *(სურა ბაყარა, აიათი 31)*

ანგელოზებმა მიტევება ითხოვეს და ალლაჰი ადიდეს. უზენაესმა ალლაჰმა ბრძანა:

„უთხრა (ალლაჰმა)**: „ჰეი, ადამ, ამცნე მათ ამათი** (ნივთების) **სახელები!“ და როცა ამცნო ანგელოზებს მათი სახელები,** (უზენაესმა ალლაჰმა) **თქვა: „განა არ მითქვამს თქვენთვის, რომ ვუწყი დაფარულს ცითა და ქვეყნისას და ვუწყი რასაც ამჟღავნებთ და მალავთ?“** *(სურა ბაყარა, აიათი 33)*

მიზანი იმისა, რომ წმინდა ადამს ყველაფრის სახელი ასწავლა, დედამიწაზე არსებული ყველა ნივთის სახელის, მნიშვნელობისა და თავისებურების შესწავლა იყო.

ჩვენ ვერ გავიგებთ, ნივთების ჭეშმარიტებას, შექმნის საიდუმლოს, მასში არსებულ საოცრებებსა და ზეცაში არსებულ ღვთიურ საიდუმლოებებს. გული გრძნობების შესაბამისად ხდება ნათელი. აქედან გამომდინარე, დიადი ღმერთის შეცნობა მხოლოდ გულის ცხოვრებითაა შესაძლებელი.

ჭეშმარიტებასთან მიღწევა მხოლოდ გულითაა შესაძლებელი. რადგან ჭკუისა და გრძნობათა ორგანოების შესაძლებლობები შემოსაზღვრულია. ჭკუის საზღვრებიც, ხედვისა და სმენის მსგავსად

განსაზღვრულია. ამის შემდეგი მგზავრობის გაგრძელება შესაძლებელია გულის საშუალებით. გულში ვლინდება ღვთიური თვისებები და მას შეუძლია გამჩენის ჭეშმარტებაში ჩაწვდომა.

ადამის წინაშე ანგელოზების მიერ სეჯდეს შესრულება

როდესაც უზენაესმა ალლაჰმა წმინდა ადამი გააჩინა, ანგელოზებსა და ჯინებს მის წინაშე სეჯდეს შესრულება უბრძანა. ამ ბრძანებას მხოლოდ აზაზილის სახელით ცნობილი და ღვთისმსახურებით განთქმული ჯინი, ესე იგი, ეშმაკი არ დაემორჩილა.

„ვუთხარით ანგელოზებს (და ჯინებს): „სეჯდე აღასრულეთ ადამისთვის!“ უმალვე სეჯდე აღასრულეს, გარდა იბლისისა, რომელმაც უარი თქვა, გადიდგულდა და იქმნა ურწმუნოთაგან." *(სურა ბაყარა, აიათი 34)*

„(ალლაჰმა იბლისს) **უთხრა: რამ დაგაბრკოლა შენ, რომ არ აღასრულე სეჯდე, როცა მე გიბრძანე?“** *(სურა არაფ, აიათი 12)*

კომენტარი ასეთია: ალლაჰის ბრძანება: **„სეჯდე შეასრულეთ!"**. იმასთან ერთად, რომ ეს სეჯდე წმინდა ადამისთვის იყო განკუთვნილი, სინამდვილეში ღმერთზე მორჩილებას, მის წინაშე ღვთისმსახურების შესრულებას ნიშნავდა. ამ ბრძანებისას წმინდა ადამი ყიბლესა და ქააბას მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვინაიდან ქააბას მიმართულებით დადგომა და სეჯდეს შესრულება, ქააბაზე ღვთისმსახურების შესრულებას არ ნიშნავს. ქააბა არის ღმერთის მინიშნებული ადგილი, რომელიც მონა-მსახურების ღვთისმსახურების დისციპლინას უზრუნველყოფს და ღვთიურ წყალობად გვევლინება.

ᔓ

იბლისის მიერ წმინდა ადამისთვის სეჯდეს შეუსრულებლობა ყურანში რამდენიმე აიათშია განმეორებული. თითოეულ განმეორებისას სეჯდეს შეუსრულებლობის სხვადასხვა მიზეზები სახელდება, ეს იბლისის ეშმაკობებსა და მახეებზე ყურადღების გამახვილებაა.

მაგალითად, სურა ელრაფის მე-11, მე-12 აიათებში მოთხრობილია, რომ ეშმაკმა, რომელიც თავდაპირველად ანგელოზებს შორის იმყოფებოდა და უამრავ სიკეთეს ფლობდა, ნაცვლად იმისა, რომ ღმერთისთვის მადლობა გადაეხადა, უმადურობა გამოიჩინა, გაამა-

ყდა და მისი ბრძანების წინააღმდეგ გამოვიდა, სწორედ ამიტომ არ შეასრულა ადამის წინაშე სეჯდე.

სურა „ტაჰას“ 116-ე აიათში მოთხრობილია, რომ წმინდა ადამისა და ევას მტერი ეშმაკი, ამავე დროს მორწმუნეების მტერიცაა. როცა ეშმაკმა ადამი აცდუნა, შედეგად, სამოთხეს, იქ არსებულ უამრავ სიკეთეს მოაკლდა და გამოგზავნილ იქნა დედამიწაზე, რომელიც გაჭირვებისა და სიძნელეებით სავსე ადგილია. ასევე იქნება იმის ბედი, ვინც ამქვეყნად ეშმაკს მიჰყვება, წინ ბევრი სატანჯველი და სინანული ელოდება. ეს არის გაფრთხილება ადამიანებისთვის, რათა ისინი არ შეცდნენ.

სურა „ისრას“ 61-ე აიათში კი ყურადღება მიქცეულია იმაზე, რომ ადამისთვის სეჯდეს შესრულება ეშმაკის გამოცდა იყო, ამით მისი ურჩობა და მტრობა გაიზარდა, რადგანაც დიადი ღმერთის წინააღმდეგ ეშმაკის აჯანყება და ღვთის გზაზე გაჯიუტება, მისთვის მონანიების კარის დაკეტვის მიზეზად იქცა. წმინდა ადამი, როგორც კი სამოთხეს იქნა მოშორებული, ჩადენილი ცოდვა მაშინვე აღიარა და მოინანია, რაც მისთვის პატიების მიზეზად იქცა.

სურა „ქეჰფის“ 50-ე აიათი ადამიანებს ორი არჩევანის წინაშე აყენებს. ამათგან ერთი —ანგელოზების, ღმერთისადმი მორჩილების, ხოლო მეორე კი ღმერთის წინააღმდეგ აჯანყებული ეშმაკის და მისი მოდგმის გზაა. უდიდესი ღმერთი გზის ორ განშტოებას, მეგობრისა და მტრის გზას გვიჩვენებს. მას სურს რომ მეგობრის გზა ავირჩიოთ.

სურა „ბაყარას“ 34-ე აიათში მოთხრობილია, რომ ეშმაკი გაამაყდა და უზენაესი ალლაჰის ცოდნა არაფრად ჩააგდო. ამიტომ ის სიჯიუტის, უმეცრებისა და უარყოფის ჭაობში ჩაეფლო.

ეშმაკმა წმინდა ადამის წინაშე სეჯდე იმიტომ არ შეუსრულა, რომ მასში თავიდანვე იყო დამალული სიამაყე და თავმომწონება. ვინაიდან, ის ფლობდა ისეთ ცოდნას, რომ ანგელოზების მასწავლებელი იყო, ამის გამო მაღალი ადგილი ეკავა. ამ ცოდნის გამო გაყოყოჩდა და წმინდა ადამს სეჯდე არ შეუსრულა. ვისაც ცოდნა და თანამდებობა სიამაყისკენ აქეზებს, უნდა გაიგოს, რომ ამას ცუდი დასასრული ექნება, რადგან მხოლოდ ცოდნა ღმერთის მორჩილებისთვის საკმარისი არ არის. ეშმაკი ჯინების ტომს განეკუთვნებოდა, რომელიც მბრწყინავი და უკვამლო ცეცხლისგანაა გაჩენილი. აქედან გამომდინარე, იბლისმა, თავისი ჭკუით, შედარება გააკეთა. ის თვლიდა, რომ უკვამლო და მბრწყინავი ცეცხლი, რომლისგანაც თავად იყო გაჩენილი, უფრო მაღლა იდგა ვიდრე მიწა, რომლისგანაც ადამი შეიქმნა. ამიტომ თვლიდა, რომ თვითონ უფრო პატივსაცემი

და მაღლა მდგომი არსება იყო. ეს მდგომარეობა იმ ჭეშმარიტების მაჩვენებელია, რომ მხოლოდ ჭკუა საკმარისი არ არის.

იბლისმა დიად ღმერთს უთხრა:

„მე მასზე უკეთესი ვარ, მე ცეცხლისგან გამაჩინე, და ის ტალახისგან გააჩინე შენ." ამგვარად, უმეცრება და სიბრიყვე გამოიჩინა.*(სურა, ელრაფი აიათი12 . ასევე იხ: ჰიჯრი, 33. სადი, 76)*

ეშმაკმა წმინდა ადამში მხოლოდ მიწა დაინახა, მისი სიდიადე კი ვერა. მას თვალისჩინი არ ეყო, რათა მასში საიქიო სულიერი მხარე დაენახა. ამგვარად, მისი შემეცნება წმინდა ადამის მატერიალურ მხარეს არ გასცდენია. ამიტომ გაოცდა და სენტიმენტალურად იმოქმედა. მან ვერ გაიგო, რომ წმინდა ადამი ღმერთის სულის მატარებელი იყო, ამიტომ იყო მისი ჰალიფა და ეკავა მაღალი ადგილი. იბლისი, რომელიც აქამდე არ დამდგარა ამგვარი გამოცდის წინაშე, ღმერთის საიდუმლოს ვერ ჩასწვდა. ვნების მორევში ჩაიძირა და სამწუხაროდ ალლაჰის მეამბოხედ იქცა.

ღმერთის ბრძანების მორჩილმა ანგელოზებმა და ჯინებმა დაინახეს, რომ იბლისი სეჯდეს გაკეთებას გაექცა და უკადრის მდგომარეობაში აღმოჩნდა. შემდეგ სეჯდე ყველამ ხელმეორედ შეასრულა. ისინი ღმერთის ბრძანებისადმი მორჩილების გამო მადლიერებას გამოხატავდნენ.

ეშმაკმა, იმის შიშით, რომ თავის მაღალ ადგილს დაკარგავდა, წმინდა ადამის წინაშე სეჯდე არ შეასრულა და თვითნებურად იმოქმედა. მაგრამ ამჯერად უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდა:

სამწუხარო ფორმით შერცხვენილი უბედურების ღრმულში აღმოჩნდა.

იბლისის ამბოხზე ნაბრძანებია:

„უთხრა : „თუკი ასეა, ახლავე გადი აქედან ! უეჭველად, შენ ამიერიდან განდევნილი (ეშმაკი) ხარ! და, უეჭველად, წყევლა შენდამი ანგარიშსწორების დღემდეა!" *(სურა, ჰიჯრი აიათები 34, 35)*

ამგვარად, როცა ეშმაკმა წმინდა ადამზე მაღლა დგომა დაისახა მიზნად, ადგილი ანგელოზებს შორისაც დაკარგა. თავისმა ცხოვრებამ ააღელვა და ალლაჰს თხოვა:

„(იბლისმა) უთხრა: „ღმერთო ჩემო, მაშ, დრო გადამიწიე აღდგენის დღემდე!" *(სურა ჰიჯრი, აიათი36)*

ღმერთმა თავისი ნებით მისცა ვადა: **„უეჭველად, დროგადაწეულთაგანი ხარ, იმ დღემდე, რომლის ვადაც დადგენილია!"** *(სურა ჰიჯრი, აიათი 37, 38)*

იმის გამო, რომ ქვეყნიერების აღსასრულამდე მოვლენილი ყველა ადამიანი ამქვეყნად წმინდა ადამის საშუალებით მოევლინა, ყო-

ველ ადამიანს ერგო წილი მისი პატივსაცემი თვისებებისგან. ასევე, უდავოა, რომ ეშმაკი ყოველი ადამიანის ისეთივე მტერია, როგორც წმინდა ადამისა, ვინაიდან მონა-მსახურის გამოცდისთვის ყველა ვნების გამოსავლენად საჭიროა ეშმაკის მსგავსი წამქეზებელი. აკრძალული ხილის საკითხი, რომელიც წმინდა ადამის სამოთხიდან გამოძევების მიზეზი გახდა, აუცილებელი იყო იმისათვის, რომ ეშმაკს ადამიანში არსებული ვნებები სააშკარაოზე გამოეტანა. სწორედ, იბლისი, რომელიც ადამიანის ცდუნებითაა დაკავებული, მასში ვნების გაცოცხლებით, სურვილების წაქეზებით, სულიერ განვითარებას უშლის ხელს.

დიადმა ღმერთმა ამიტომ მისცა ეშმაკს განკითხვის დღემდე დრო. სანაცვლოდ კი ადამიანებს მიტევების კარი გარდაცვალების მომენტამდე ღია დაუტოვა.

ამ ვადის მიცემის შემდეგ ეშმაკმა თავი უსაფრთხოდ იგრძნო და მისი ამბოხი დიადი ღმერთისთვის რომ დაებრალებინა, ასე თქვა:

„რაკი ჩემი გზიდან გადაცდენა ინებე, უთუოდ, ჩავუსაფრდები მე მათ შენს სწორ გზაზედ; მერე, უთუოდ, გამოვეცხადები წინიდან და უკნიდან, მარჯვნიდან და მარცხნიდან. და ვერ ჰპოვებ მათგან უმეტესს მადლიერს." *(სურა ეღრაფი, აიათი 16, 17)*

قَالَ رَبِّ بِمَآ أَغْوَيْتَنِي لأُزَيِّنَنَّ لَهُمْ فِي الأَرْضِ وَلأُغْوِيَنَّهُمْ أَجْمَعِينَ

„(იბლისმა) **უთხრა: „ღმერთო ჩემო! იმისთვის რომ მაცდუნე, უთუოდ შევალამაზებ მათთვის დედამიწას და უთუოდ ვაცდუნებ ერთიანად, გარდა შენი მსახურნისა, რომელნიც გულწრფელნი არიან მათგან."** *(სურა, ჰიჯრი აიათი 39, 40)*

დიადი ღმერთი ეშმაკის ამ წაქეზებისგან, მონა-მსახურებისთვის ხსნის გზას, აიათის გაგრძელებაში ასე გვამცნობს;

„უთხრა: (გულწრფელ მონა-მსახურებს შენი ბოროტებისგან დასაცავად) **„ესაა გზა, ჭეშმარიტად, მომართული ჩემკენ. უეჭველად, შენ არ შეგწევს მეუფება ჩემს მსახურებზე, გარდა ზღვარგადასულნისა, ვინც გამოგყვება შენ!"** *(სურა, ჰიჯრი აიათი 41, 42)*

წმინდა ევას გაჩენა და წმინდა ადამთან ქორწინება

წმინდა ევას წმინდა ადამისგან გაჩენასთან დაკავშირებით, უზენაესი ალლაჰი ასე ბრძანებს:

هُوَ الَّذِي خَلَقَكُم مِنْ نَفْسٍ وَاحِدَةٍ وَجَعَلَ مِنْهَا زَوْجَهَا لِيَسْكُنَ إِلَيْهَا

„იგია (ალლაჰი) **რომელმაც, გაგაჩინათ თქვენ ერთი სულისგან** (ადამისგან) **და გააჩინა მისგან მეწყვილე** (ევა) **მისი, რათა სიმშვიდე მოეპოვებინა მასთან.“** *(სურა ელრაფი, აიათი 189)*

როგორც ადრე აღვნიშნეთ, მარადისობაში, უპირველესად, უზენაესი ალლაჰი არსებობდა. მან, იმ მიზეზით, რომ მისი არსებობა ცნობილი გამხდარიყო, ცოცხალი არსებები და მრავალრიცხოვანი სამყარო გააჩინა. აქედან გამომდინარე, ყველა არსების გაჩენის მიზეზი ეს ღვთიური სიყვარულია. ამ სიყვარულის სრულყოფილი მიზანი ადამიანის ღმერთთან დაბრუნებაა. ამის მისაღწევად „მოსამზადებელი ეტაპის“ გავლაა საჭირო.

დიადმა ალლაჰმა, იმის გამო, რომ მარტოობა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებაა, ყველა არსება წყვილად გააჩინა და სხვადასხვა სქესის არსებებში ერთმანეთისადმი ლტოლვა ჩადო. სწორედ, სამყაროში არსებული ყველა ნაწილაკი, უჯრედი, მარცვალი, მცენარე, ცხოველი, ადამიანები, ნივთიერებები, ატომში არსებული ელექტრონის და პროტონის მსგავსი ფარული ელემენტებიც კი, თავიანთი მახასიათებლებით „წყვილობის“ კანონს ემორჩილება. აიათში ნაბრძანებია:


وَمِنْ كُلِّ شَيْءٍ خَلَقْنَا زَوْجَيْنِ لَعَلَّكُمْ تَذَكَّرُونَ

„და ყველაფერი გავაჩინეთ წყვილებად, ეგების გულისხმაჰყოთ თქვენ!“ *(სურა ზარიათი, აიათი 49)*

ეს მდგომარეობა სულიერი არსებისთვის წარმავალი სამყაროდან ღმერთთან დასაბრუნებლად აუცილებელი პირობაა. ღმერთთან დასაბრუნებლად ხიდი რომ გაიდოს და ნიადაგი მომზადდეს, სამყაროში ერთმანეთის მოპირისპირე წყვილების გამთლიანება აუცილებელია. ამავე დროს, ერთმანეთის საპირისპირო წყვილები, უზენაესმა ალლაჰმა, თაობების გაგრძელების საშუალებადაც აქციაო.

მეორე მხრივ, ვინაიდან ადამიანი ღმერთმა გააჩინა, უცხო ქვეყანაში სტუმრად ითვლება. უცხოობა და მარტოობა, გამოუვალ მდგომარეობაში ყოფნა, დარდი და ნაღველია. ალლაჰის გარდა, ყველა და ყველაფერი ნუგეშსა და იმედს საჭიროებს. უცხოობაში მყოფ ადამიანსაც სჭირდება ის, ვინც ანუგეშებს. ყველა ამ თანდაყოლილმა თავისებურებებმა, სამოთხეში უამრავი წყალობით გარემოცულ ადამს თავისი ჯიშის პარტნიორის მოთხოვნილება გაუჩინა.

ამიტომ, წმინდა ადამმა გამჩენ ღმერთს მეწყვილე სთხოვა. ღმერთმა, წმინდა ადამის მარჯვენა ნეკნის ქვედა ძვლისგან წმინდა ევა გააჩინა. იბნ აბბასისა და იბნ მესუდის გადმოცემით, როცა იბლისი სამოთხიდან იქნა გამოძევებული, წმინდა ადამი, რომელიც



მარტოდ დაიარებოდა იქ მეწყვილის გარეშე დაამკვიდრა. ერთ დღეს, როცა პირველმა ადამიანმა გაიღვიძა, მარცხენა ნეკნისგან შექმნილი არსება დაინახა. მას ჰკითხა:

- შენ, ვინ ხარ?

- ქალი ვარ!

როდესაც ადამმა ისურვა, გაეგო, რისთვის იყო ეს ქალი გაჩენილი, ევამ უპასუხა:

- ალლაჰმა შენი სიმშვიდისთვის გამაჩინა.

ბუჰარის გადმოცემით მუჰამმედ შუამავალი ﷺ ბრძანებს: *„ქალებს კეთილად მოეპყარით, ვინაიდან ქალი ნეკნისგანაა შექმნილი. ნეკნის ყველაზე დახრილი მხარე ზედა ნაწილია. მის გასწორებას თუ შეეცდები გატყდება, თუ თავის მდგომარეობაში დატოვებ, მუდამ მოხრილი რჩება. ამიტომაც ქალებს კარგად მოექეცი!“ (ბუჰარი, ენბია, 1)*

დიადმა ღმერთმა ქალი უფრო მგრძნობიარე არსებად შექმნა, ვიდრე მამაკაცი.

აიათებში, სადაც მისი გაჩენაა აღწერილი, მამაკაცზე მოსული წილი „წელის ძვლის“, ქალზე მოსული წილი კი -„გულის ახლოს მდებარე და გრძნობების ცენტრიდან მკერდიდანაა" გამოსული. ეს მიანიშნებს იმას, რომ ქალს მდიდარი გრძნობათა სამყარო აქვს. ეს მგრძნობელობა ღმერთმა ქალს იმიტომ მიანიჭა, რომ მან მომავალი თაობა უნდა აღზრდოს და დაიცვას. ამიტომ ქალს კარგად უნდა მოვექცეთ. მამა შვილს დედის მსგავსად ვერ შეხედავს, ვერ მოუვლის, მის გამო ძილზე უარს ვერ იტყვის. დედა მუდამ შვილზე ზრუნვითა და სიყვარულით ცხოვრობს. მას ცხრა თვე მუცლით, ორი წელი მკერდში ჩაკრულს, მთელი სიცოცხლე კი გულით ატარებს. შვილი თუ არ ჭამს და არ სვამს, დედას მოსვენება ეკარგება. თუ ის ტირის, დედაც ტირის. ამის გამოა, რომ დედის ვალს შვილი ვერ გადაიხდის.

უზენაესმა ალლაჰმა ადამი და ევა ანგელოზების წინაშე თავად დააქორწინა და უბრძანა:

„და (უთხრა ალლაჰმა)**: ჰეი ადამ! დასახლდით შენ და შენი ცოლი სამოთხეში, აქაური ნაყოფი ჭამეთ** (თქვენ ორმა) **რამდენიც გენებოთ და სადაც გენებოთ** (თქვენ ორს)**, მაგრამ ამ ხეს არ გაეკაროთ** (თქვენ

ორმა), **რომ არ იქცეთ** (თქვენ ორი) **უსამართლონი!“** *(სურა ელრაფი, აიათი 19)*

წმინდა ადამისა და ევას სამოთხიდან განდევნა

უზენაესი ალლაჰის მონა-მსახურების გამოცდა წმინდა ადამის გაჩენისთანავე დაიწყო. პირველად ანგელოზებს ებრძანათ მის წინაშე სეჯდე შეესრულებინათ, ეს ანგელოზების გამოცდა იყო, რომელიც ყველა მათაგანმა წარმატებით ჩააბარა, რადგან მათში ვნება არ იდო. ეშმაკმა ამპარტავნობის გამო ღმერთის ბრძანება არ შეასრულა და სეჯდე არ გააკეთა, რის გამოც სამოთხიდან იქნა გაძევებული, ვინაიდან, ის განეკუთვნებოდა ჯინებს, რომლებშიც ვნება დევს.

ალლაჰმა წმინდა ადამსა და ევას სამოთხეში ერთ ხესთან მიახლოება აუკრძალა. სამოთხეში ვნების წინააღმდეგ პირველი ბრძოლა ადამიანებში ეშმაკის მიერ ეჭვების გაჩენით დაიწყო. იმ ვნებად, რომელიც ადამიანს ალლაჰის ბრძანებებისადმი მორჩილებაში ხელს უშლის, ეშმაკმა ევა გამოიყენა. ეშმაკმა ორივე მათგანის შესაცდენად ათასგვარ ეშმაკობას მიმართა.

„მაშინ ეშმაკმა ეჭვი ჩაუგდო მათ, რათა ცხადი ექმნა მათთვის, რაც დაფარული იყო სასირცხოთაგან მათთვის და უთხრა: თქვენმა ღმერთმა მხოლოდ იმიტომ აგიკრძალათ ეს ხე, რომ არ გამხდარიყავით ანგელოზები ან უკვდავები.“ *(სურა ელრაფი, აიათი 20)*

„და მათ ორივეს შეჰფიცა (ხსენებითა ალლაჰისა)**: უეჭველად, თქვენთვის კეთილის მრჩეველი ვარ მე."** *(სურა ელრაფი, აიათი 21)*

„და ასე ცდუნებით წარუძღვა იმ ორივეს და როცა მათ გასინჯეს იმ ხიდან, გამოუჩნდათ საკუთარი სარცხვენელი, და დაიწყეს სამოთხის ფოთლების მიკვრა." *(სურა ელრაფი, აიათი 22)*

წმინდა ადამისა და ევას აკრძალულ ხილთან მიახლოება, მათი გამოცდის მიზანს ემსახურებოდა.

ეშმაკის მიერ შურისძიების მიზნით დაგებულ მახეში გაბმულმა წმინდა ადამმა და ევამ ჩადენილი საქციელი მაშინვე ინანეს, ეშმაკი მაშინვე უარყვეს და ანგელოზების გზა აირჩიეს.

رَبَّنَا ظَلَمْنَا أَنفُسَنَا وَإِنْ لَمْ تَغْفِرْ لَنَا وَتَرْحَمْنَا لَنَكُونَنَّ مِنَ الْخَاسِرِينَ

„მიუგეს ორივემ (ადამმა და ევამ): ღმერთო ჩვენო! უსამართლოდ მოვექეცით საკუთარ თავს და თუ არ მოგვიტევებ და არ შეგვიწყალებ, უეჭველად, ჩვენ წაგებულთა შორის აღმოვჩნდებით!“ *(სურა ელრაფი, აიათი 23)*

უზენაესმა ალლაჰმა, მონანიების მიზეზით, მათ და მათ მოდგმას, ხსნის გზა ასე უჩვენა:

„ჰეი, ადამის შვილნო! ჩვენ მოგივლინეთ თქვენ სამოსი თქვენთა სარცხვინებელთა დასაფარად და შესალამაზებლად, და ღვთისმოშიშობის სამოსელი, სწორედ ესაა უკეთესი.“ *(სურა ელრაფი, აიათი 26)*

„ჰეი, ადამის შვილნო! არ გაცდუნოთ ეშმაკმა, როგორც თქვენი მშობლები გამოიყვანა სამოთხიდან, სამოსი გახადა, რათა მათთვისვე თავიანთივე სარცხვენელი ეჩვენებინა...“ *(სურა ელრაფი, აიათი 27)*

აიათები მიანიშნებს, რომ ადამიანის სასირცხო ადგილებისა და ნაკლოვანებების დასაფარად მხოლოდ ტანსაცმელი საკმარისი არ არის; ასევე საჭიროა ღვთისმოსაობის სამოსში გახვევა, ის კი ადამიანის გულს ამქვეყნიური ინტერესებისა თუ ფიქრებისგან იცავს და მასში მონა-მსახურების პასუხისმგებლობის გრძნობას აცოცხლებს.

გამჩენმა ღმერთმა, კაცობრიობის წინაპარი ადამი, როგორც ყველაზე პატივსაცემი არსება, სამოთხეში გააჩინა, ჩადენილი შეცდომის გამო, იქიდან დედამიწაზე გადმოსვა. ამის ზოგიერთი საიდუმლო ქვემოთაა ჩამოთვლილი:

- უზენაესმა ალლაჰმა წმინდა ადამისა და ევას დედამიწაზე გ - მოგზავნა ადამიანის მოდგმის გასამრავლებლად და ქვეყნიერების აღსასრულამადე ამ მოდგმის გასაგრძელებლად ინება;
- რათა ადამიანებს სცოდნოდათ იმ სიკეთის ფასი, სადაც თ - ვდაპირველად შეიქმნენ და ჰქონოდათ კვლავ იმ სიკეთის მოპოვების სურვილი. იმ იმედით, რომ ამ სიკეთეს კვლავ მოიპოვებდნენ, გამოსაცდელ ქვეყანაზე, ღვთისმოსავნი იქნებოდნენ;
- ინება, რათა ადამიანი დედამიწაზე ალლაჰის ხალიფა, მისი ბრძანების შემსრულებელი და აქაურობის კეთილმომწყობი ყოფილიყო;
- უზენაესმა ალლაჰმა ინება რომ წმინდა ადამი და მისი მოდ - მა სამოთხეში არა მხოლოდ თავისი წყალობის შედეგად შესულიყო, არამედ, ის დამსახურებულად მიეღოთ. ამ ღვთიური ნების შესასრულებლად კი წმინდა ადამმა ცნობილი შეცდომა ჩაიდინა და მისი ნამდვილი სამშობლოდან, სამოთხიდან, გამოსაცდელ ქვეყანაზე, დედამიწაზე იქნა გამოგზავნილი.

წმინდა ადამის სამოთხიდან გამოძევებასა და დედამიწაზე გამოგზავნასთან დაკავშირებით, ზემოთჩამოთვლილ მიზეზებთან ერთად, ადამიანისთვის კიდევ ბევრი ამოუხსნელი საიდუმლო არსებობს.

ყურანში მოცემული ადამიანის ზოგიერთი სუსტი წერტილი

გამჩენმა ღმერთმა ადამიანის ბუნებაში ცოდვიანობა თუ ღვთისმოსაობა ჩანერგა და მას ორივე მათგანში წარმატების მიღწევის უსაზღვრო შესაძლებლობები მიანიჭა. აქედან გამომდინარე, ადამიანის ფსიქოლოგიაში ორგვარი თვისება, პოზიტიური და ნეგატიური, დევს. იმისთვის, რომ ადამიანი ვნებამ განსაცდელში არ ჩააგდოს, ის სიკეთისა და ღვთისმოსაობისკენ მიემართოს, ყურანში უფრო მეტად ყურადღება მის სუსტ წერტილებზეა გამახვილებული. ყურანში ადამიანის სულის (ფსიქოლოგიური) აგებულების შესახებ მოცემულ საკითხთაგან ზოგიერთი ესენია:

1. ადამიანი სასტიკი და უმეცარია

ადამიანის სისასტიკესა და უმეცრებას უზენაესი ალლაჰი აიათში ასე ასახავს:

إِنَّا عَرَضْنَا الْأَمَانَةَ عَلَى السَّمَاوَاتِ وَالْأَرْضِ وَالْجِبَالِ فَأَبَيْنَ أَنْ يَحْمِلْنَهَا

وَأَشْفَقْنَ مِنْهَا وَحَمَلَهَا الْإِنْسَانُ إِنَّهُ كَانَ ظَلُومًا جَهُولاً

„უეჭველად, ჩვენ შევთავაზეთ პასუხისმგებლობა (ამანათი) **აელო ცასა და დედამიწას და მთებს, მაგრამ უარი თქვეს და** (პასუხისმგებლობის) **შეეშინდათ მისგან, კაცმა კი იტვირთა იგი. უეჭველად, იგი უსამართლოა , უგუნურია!“** *(სურა აჰზაბი, აიათი 72)*

აიათში მოცემულ სიტყვა „ამანათში“ ზოგადოდ გამოხატულია ჭკუა, რომელიც ღმერთის წინაშე მოვალეობის შეგრძნებისა და შემეცნების საშუალებაა. ეს არის ის ატრიბუტი, რომელიც მხოლოდ ადამიანს აქვს და მას სხვა არსებებისგან გამოარჩევს. აიათში იმაზე საუბარი, რომ ამანათი ცას, მიწასა და მთას შესთავაზეს, ხოლო მათ ამაზე უარი თქვეს, ნიშნავს, რომ მათაც შეუძლიათ გაიცნობიერონ, რამდენად მძიმე ტვირთია ამანათზე პასუხისმგებლობა. გამჩენი ღმერთი ზემოთ მოცემულ აიათში გვამცნობს, რომ ადამიანი სასტიკი და ძალიან უმეცარია, რადგანაც ამანათზე პასუხისმგებლობის აღების არ შეეშინდა. უსამართლობის ანტონიმი სამართალია. სამართლიანობა ამავე დროს „ღვთისმოსავი ქმედებების“ მნიშვნელობითაც გამოიყენება. იმისთვის, რომ უსამართლობაში არ ჩავვარდეთ, საჭიროა ღვთისმოსავნი ვიყოთ. სწორედაც, გამჩენი ღმერთი სურა ასრ-ში



გვამცნობს, რომ იმისთვის, რათა ადამიანი არ დაზარალდეს, აუცილებელია, ღვთისმოსავი იყოს.

უმეცრების ანტონიმი ცოდნაა. იმისთვის, რომ უმეცარი არ იყო, ცოდნას უნდა ფლობდე. ცოდნა კი ორგვარია: ხილული და უხილავი. იმამი გაზალი გადმოგვცემს, რომ ჭეშმარიტი ცოდნა ისაა, რომელშიც ხილულისა და უხილავის ცოდნაა გაერთიანებული:

„ნამდვილი სწავლულები, ესე იგი შუამავლების მემკვიდრეები არიან ისინი, ვისაც ხილული და უხილავი ცოდნა გაერთიანებული აქვთ!"

როგორც აიათშია მოცემული, ადამიანი ღვთისმოსავი თუ იქნება, ხილულ და უხილავ ცოდნას გააერთიანებს და ამ ყველაფერს შორსმჭვრეტელობად აქცევს, უსამართლობისა და უმეცრებისგან განთავისუფლდება. თუ ადამიანი ამას მიაღწევს, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიმეცნებს, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობაა ამანათის ტარება და ამას ისე გააკეთებს, როგორც საჭიროა. ისე, როგორც ზემოთ მოცემულ აიათში, აქაც ნაბრძანებია:

„ჩვენ რომ გარდმოგვევლინა ეს ყურანი მთაზე, უთუოდ, ნახავდი მას შეძრწუნებულს, ჩამოქცეულს ალლაჰის შიშისგან. ეს იგავები მოგვაქვს ხალხთათვის, ეგების დაფიქრდნენ ეგენი!" *(სურა ჰაშრი, აიათი 21)*

ეს აიათიც აჩვენებს, რომ გამჩენი ღმერთის სამფლობელოს წინაშე მოწიწების გრძნობა, უსულო ქმნილებად ცნობილ მთებსაც კი აქვთ.

ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი, წმინდა შუამავლისა და მისი თანამიმდევრების თავს გადამხდარი ეს შემთხვევაა: ერთხელ, წმინდა შუამავალი, კეთილშობილ აბუ ბაქრთან, ომართან და ალისთან ერთად უჰუდის მთაზე ადიოდა. უჰუდს ამ ადამიანების დიდებულებისგან ელდა ეცა და შეიძრა. წმინდა შუამავალმა ბრძანა;

„ფრთხილად იყავი, უჰუდ! შენს ზემოთ ერთი შუამავალი, ერთი სანდო და ორი შეჰიდი იმყოფება!" (თირმიზი, მენაქიბი, 18/3703)

ამის შემდეგ უჰუდის მთა მაშინვე დამშვიდდა.

არა მხოლოდ უსულო საგნები, არამედ ცხოველები და სხვა არსებებიც ცნობდნენ ალლაჰის შუამავალს, მის მიმართ სიყვარულს

გრძნობდნენ და ემორჩილებოდნენ. რაოდენ დამაფიქრებელია ჯაბირ იბნ აბდულლაჰის მიერ გადმოცემული ამბავი:

„ალლაჰის შუამავალთან ერთად ლაშქრობიდან დავბრუნდით. ბენი ნეჯჯარის ბაღებს რომ მივაღწიეთ, ერთ-ერთ ბაღში აქლემი დავინახეთ. იქ ვინც უნდა შესულიყო, აქლემი ყველას თავს ესხმოდა. ამის შესახებ წმინდა შუამავალს უამბეს. ის ბაღში შევიდა და აქლემს დაუძახა. ცხოველმა მაშინვე თავი დახარა და შუამავალთან მივიდა. შუამავალმა ბრძანა „ავშარი მომიტანეთ!“ აქლემი ავშრით დააბა და პატრონს გადასცა. შემდეგ ადამიანებს მიუბრუნდა და ასე უთხრა:

„გარდა ჯინებისა და ადამიანების მეამბოხე ნაწილისა, ყველაფერმა, რაც ცასა და დედამიწას შორის არსებობს, იცის, რომ მე ალლაჰის შუამავალი ვარ.“ (აჰმედ იბნ ჰანბელი, III, 310)

ყურანის სურა „მარიემის“ 88-ე დან 92-ე აიათები ამ სინამდვილეს ამყარებს. ძალიან დამაფიქრებელია ამ აითებში მიწის, ცისა და მთების მსგავსი უსულო არსებების დამწუხრება ადამიანების მხრიდან ღმერთის ბრძანებების საწინააღმდეგო ქმედებებზე და მასზე რეაგირება.

„და თქვეს: „მოწყალემ შვილი დაიდგინაო“. ვფიცავ, საშინელი სიბილწე თქვით თქვენ! ლამისაა ცანი გაიპონ ამისგან, მიწა დასკდეს და მთები ჩამოიშალოს, იმის გამო, რომ მიაწერეს მოწყალეს ძე! და არ შეშვენის მოწყალეს, რომ დაიდგინოს შვილი!" *(სურა მერიემი, აიათები 88, 89, 90, 91, 92)*

ეს აიათები ჩვენ, ადამიანებს მოგვითხრობს, რომ ამბოხს, ალლაჰისთვის მოზიარის დაწესებასა და უარყოფის მსგავს დიდ ცოდვებს, თავად უსულო არსებებიც ვერ უძლებენ. ვხედავთ, რომ ის არსებები, რომლებსაც ჩვენ უსულოდ მივიჩნევთ, მათთვის დამახასიათებელ გრძნობებს, სიტყვებს, ქმედებებსაც კი, ღმერთის კანონების შესაბამისად იყენებენ. ასე, რომ თითოეული მათგანი თავის ენაზე ღმერთს ქება-დიდებას ასხამს.

„დიდებას აღავლენს მისთვის შვიდი ცა, მიწა, და ყოველი, რაც მათ შორისაა. არ არს რაიმე, მას რომ არ განადიდებდეს ქებით, მაგრამ თქვენ ვერ ჩასწვდებით მათ ქება-დიდებანს. უეჭველად, იგი სულგრძელია, შემნდობია!" *(სურა ისრა, აიათი 44)*

მევლანა, უსულო არსებების თავიანთ ენაზე წარმოთქმულს, ასე გადმოგვცემს:

„დაუდევარო ადამიანო! მიუხედავად იმისა, რომ უსულო არსებები ვართ, ღმერთმა ჩვენ მოქმედებისა და შეცნობის ძალა მოგვცა. ჩვენ მოგვცა იმის გაკეთების უნარი, რასაც სულიერი არსებები ვერ აკეთებენ. შენი ენა და პირიც უსულოა. მას ხომ ყოველგვარ სიტყვას

ვერ ათქმევინებ? ეს საოცარი შემთხვევები დაუდევარი ადამიანის ცნობიერებას უმწეობაში აგდებს, მორწმუნეებისას კი აძლიერებს. უსულო საგნები, მცენარეები და ცხოველები ღმერთისადმი თაყვანისცემას წმინდა შუამავლის ცნობითა და მისდამი სიყვარულის გამომჟღავნებით გამოხატავდნენ.

ია

იაპონელი მეცნიერის მასარუ ემოტოს მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგები აიათებსა და ჰადისებში აღწერილ თემებს მეცნიერულად ადასტურებს. მისმა ამ გამოკვლევამ მეცნიერულ იტელიგენციაზე ღრმად იმოქმედა. დღევანდელი მეცნიერებისთვის გასაოცარი აღმოჩენები ყურანის საუკეთესო განმარტებელმა წმინდა მუჰამმედ შუამავალმა ﷺ კაცობრიობას 14 საუკუნის წინ წარმოუდგინა.

ემოტომ გაყინული წყლის კრისტალების გამოკვლევის შედეგად აღმოაჩინა, რომ ისინი ექვსკუთხედის ფორმის, გლუვი და ესთეტიკურია. ეს კრისტალები ადამიანის ხელის შეხების გარეშე, უბრალო წყაროს წყლისგანაა წარმოშობილი და ადამიანისთვის მომაჯადოებლად გლუვი და ლამაზი ფორმისაა.

ემოტომ გაყინული წყლის კრისტალებზე გამოკვლევები ორ სხვადასხვა წყლის მაგალითზე გააგრძელა. მაშინ, როცა იმ ჭურჭელში წარმოქმნილმა წყლის კრისტალებმა, რომელსაც სასიყვარულო, საალერსო, ვედრებისა და მადლიერების გამომხატველი სიტყვები ჩასჩურჩულა, ბუნებრივი ბრწყინვალება შეინარჩუნეს, მეორე ჭურჭელში, რომელსაც შეურაცხმყოფელი და „ეშმაკისეული" სიტყვები ჩასჩურჩულა, წარმოქმნილი კრისტალები დანაწევრდა და მთელი ესტეთიურობა დაკარგა. ასეთივე შედეგი გამოიღო წყალზე ერთი მხრივ სასიამოვნო და მელოდიური, ხოლო მეორე მხრივ საზიზღარი რიტმის მუსიკამ.

მასურუ ემოტომ ამ ჭეშმარიტების უფრო მეტად განსამტკიცებლად მსგავსი გამოკვლევა სხვადასხვა შუშის ქილაში მოხარშულ ბრინჯზეც ჩაატარა. ერთ მათგანში მოათავსა ქაღალდი წარწერით „გმადლობ", ხოლო მეორეში წარწერით—„ბრიყვი". ამის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში პირველ ქილაში მოხარშული ბრინჯი სითეთრესა და სინორჩეს ინარჩუნებდა, ხოლო მეორე ქილაში მოთავსებული მარცვლეული შავდებოდა და ცუდ სუნს უშვებდა.

იაპონელი მეცნიერის ამ აღმოჩენებმა ტრადიციული ფიზიკის პრინციპები თავდაყირა დააყენა. ცხადი გახდა, რომ უსულოდ მიჩნეულ არსებებსაც გააჩნიათ სულიერი სამყაროსთვის დამახასიათებელი გრძნობა და მეხსიერება. გარედან წამოსულ შეტყობინებებზე

მოხდენილმა უსულო არსებების რეაგირებამ ნათელი გახადა, რომ ისინიც ღმერთის ქმნილებები არიან ისინიც რეაქციას ზუსტად გამოხატავენ.

როცა დავფიქრდებით იმაზე, რომ ადამიანის სხეულის სამოცდაათი პროცენტი წყლისგან შედგება და მრავალგვარ მინერალებსა და ელემენტებს შეიცავს, თვალწინ თავზარდამცემი სურათი გადგვეშლება. ასე, რომ ადამიანისთვის სრულიად გაუცნობიერებლად მასზე, მის გარშემო წარმოთქმული ყოველი სიტყვა, ყოველი ქმედება და გრძნობა ზემოქმედებას ახდენს.

ეს გამოკვლევები ჩვენ შესაძლებლობას გვაძლევს ბოლომდე შევიმეცნოთ თებუქის ლაშქრობიდან დაბრუნებისას წმინდა შუამავლის ﷺ მიერ თავისი თანამიმდევრებისთვის ნათქვამი სიტყვები იმ ადგილზე, სადაც შეისვენეს: *„ამ ადგილზე ყოვლისშემძლე ღმერთმა სემუდის ტომი გაანადგურა. იმისთვის, რომ იმ დარდის მოზიარენი არ გავხდეთ, აქ წყალი არ გაავსოთ. გავსებული წყალი გადაღვარეთ და ცომი აქლემებს შეაჭამეთ!“* ასევე არაფატსა და მუზდელიფეს შორის მდებარე მუჰასსირის მინდორში ნათქვამი იყო შემდეგი სიტყვები: „დიადმა ღმერთმა ამ ადგილზე ტირანი ებრეჰეს არმია გაანადგურა."

2. ადამიანი სულსწრაფია

უზენაესი ალლაჰი ადამიანის ამ ფსიქოლოგიური მახასიათებლის შესახებ ასე ბრძანებს:

خُلِقَ الْإِنْسَانُ مِنْ عَجَلٍ

„გაჩენილია ადამიანი სულსწრაფი (ბუნების).“ *(სურა ენბია, 37)*

„და ვითომც სიკეთეს ევედრება ადამიანი, მაგრამ სიავეს მოუხმობს. და ხომ ადამიანი ისედაც ცანცარაა!“ *(სურა ისრა, 11)*

ადამიანი მეტისმეტად სულსწრაფი არსებაა. იმის გამო, რომ სირთულეებისას მოთმინება არ ჰყოფნის და მათი ატანა უჭირს, სურს, რაც მომავალში უნდა მოხდეს, დროზე ადრე ეწვიოს. მისი ეს ქცევა დროდადრო არასასურველი შედეგით მთავრდება. ამგვარად, ადამიანი სულსწრაფობის გამო უამრავი სიკეთისგან შორს რჩება.

მართლაცდა, ადამიანები გაბრაზებისას, ძალიან ადვილად იწყებენ წყევლას. ადამიანი, რთულ მდგომარეობაში ჩავარდნისას, მოთმინებითა და ამტანობით უნდა აღიჭურვოს. მოუთმენელობის გამო ადამიანი უიმედობაში ვარდება, პესიმიზმი ეუფლება, ნაღველი ეძალება და საკუთარ თავს წყევლის:

„ღმერთო, სული წამართვი და ამ ტანჯვისგან გამათავისუფლე!“

ეს კი მართებული არ არის.

3. ადამიანი ხარბი და ძუნწია

დიადი ღმერთი, ადამიანებს, რომლებიც ამქვეყნიური ქონებისადმი ხარბი არიან და სიძუნწეს იჩენენ, ასე აფრთხილებს:

„არამც და არამც! თქვენ თავად პატივს არ მიაგებთ ობოლს, და არ აქეზებთ ერთმანეთს ღატაკთა დასაპურებლად, და მემკვიდრეობას (ალალისა და არამის განუსხვავებლად) ხარბად მიირთმევთ, და გიყვართ ქონება გადაჭარბებული სიყვარულით.“ *(სურა ფეჯრი, 17-20)*

„უეჭველად, ადამიანი ხარბ (გაუმაძღარ) არსებად არის გაჩენილი. თუ სიავე მიეწევა მას, იწყებს გოდებას, და თუ კარგი ეწევა, იწყებს ძუნწობას." *(სურა მეღარიჯი, აიათი 19-21)*

„რომელმაც ქონება მოიხვეჭა და აგროვებს, და თვლის, რომ სიმდიდრე სამარადჟამოდ აცოცხლებს! არამც და არამც! (თავი დაანებოს ამ ილუზიას, ქონება მას ვერ გადაარჩენს) **უეჭველად, ჰუტამაში** (ჯოჯოხეთში) **იქნება ჩაგდებული!“** *(სურა ჰუმეზე, აიათი 2-4)*

აიათებში ნათლად ჩანს, რომ ადამიანი ამქვეყნიურ ქონებასა და სიმდიდრესაა დახარბებული, არ უყურებს ამ ქონებას იმ საზომით, რომ ალლაჰს მასზე უფლება აქვს, ამ ქონებას სიკეთის გზაზე არ ხარჯავს და წუწუნებს, რომ საკუთარი ინტერესებისთვის მას თავი ვერ მოუყარა. მაშინ, როცა მისი მოპოვებისა და თავმოყრის საკითხში ძალიან ძლიერი და ხარბია, ივიწყებს მისთვის ბოძებული წყალობებისთვის მადლობის გადახდას, უმადურობას იჩენს. ყოველივე ამას კი ის ჯოჯოხეთისკენ მიჰყავს.

4. ადამიანი თავის ინტერესებს გადაყოლილია

ადამიანის ამ თვისების ამსახველ ერთ-ერთ აიათში ნაბრძანებია:

„და როცა ვაგემებთ ხალხს წყალობას, ხარობენ მისით. და თუ ეწევათ უბედურება, იმისთვის, რაც მათმა ხელებმა წაიმძღვარეს, მაშინვე იმედი ეწურებათ.“ *(სურა რუმი, აიათი 36)*

დიადი ღმერთი აცხადებს, რომ ადამიანებმა მხოლოდ მისი წყალობით უნდა გაიხარონ და რომ მისი წყალობა ამქვეყნიურ ადგილ-მამულსა და ქონებაზე უფრო სასიკეთოა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ადამიანები ნაცვლად იმისა, რომ მწყალობელი აღიარონ, ქება-დიდება შეასხან, ან მადლობა გადაუხადონ, ეს ყველაფერი კარგად შეიმეცნონ და გაიხარონ, სიკეთის მბოძებელს ანგარიშში

არ აგდებენ, მხოლოდ სიკეთეს ენდობიან და მათით გათამამებული ვნებას ემორჩილებიან. ამ ადამიანებს ალლაჰი ასე აფრთხილებს:

لَا تَفْرَحْ إِنَّ اللهَ لَا يُحِبُّ الْفَرِحِينَ

„ნუ გათამამდები, რამეთუ ალლაჰს არ უყვარს მედიდურნი!“ *(სურა ისრა, აიათი 76)*

ადამიანის ანგარება, სხვა აიათში, რა ლამაზადაა აღწერილი:

„ადამიანებს შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ეთაყვანებიან ალლაჰს, მაგრამ ორჭოფობენ. თუ სიკეთე ეწიათ, თავს მშვიდად გრძნობენ და თუ განსაცდელი ეწიათ, უკან იხევენ. წაგებულნი არიან ისინი ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც და იმქვეყნიურშიც. სწორედ ეს არის ცხადი წარწყმედა!" *(სურა ჰაჯჯი, აიათი 11)*

5. ადამიანი ალლაჰის წინაშე ძალიან უმადურია

აიათში ნაბრძანებია:

إِنَّ الْإِنْسَانَ لِرَبِّهِ لَكَنُودٌ وَإِنَّهُ عَلَى ذَلِكَ لَشَهِيدٌ

„უეჭველად, ადამიანი თავისი ღმერთის წინაშე უმადურია, და ამის მოწმე თავადაა!“ *(სურა ღადიათი, აიათი 6 / 7)*

ქვემოთ მოცემულ სურა „ისრას“ აიათებში კი, დაუდევარი ადამიანების ამ თავისებურების ცოცხალი სურათია წარმოდგენილი, სადაც სულიერი მდგომარეობის მიხედვით, ამგვარი ადამიანების ცვალებადობაა გამოხატული:

„და როცა შეგეხებათ თქვენ საფრთხე ზღვაში, გაგეცლება, ვისაც მოუხმობდით, გარდა მხოლოდ მისი. მაგრამ როცა გადაგარჩენთ და ნაპირზე გამოგიყვანთ, სახეს იბრუნებთ. ჭეშმარიტად, ადამიანი უმადურია! ნუთუ უსაფრთხოდ გრძნობთ თავს, რომ გშთანთქოს თქვენ ხმელეთმა ან მოავლინოს თქვენზე ქვების გრიგალი? შემდეგ თქვენთვის ვეღარ ჰპოვებთ მფარველს! ნუთუ დარწმუნებულნი ხართ, რომ იგი კიდევ ერთხელ არ მიგაბრუნებთ მასში? მაშინ მოავლენს თქვენდა სასტიკ გრიგალს და დაგახრჩობთ ურწმუნობისთვის. მერე ჩვენს წინააღმდეგ თქვენთვის ვეღარ ჰპოვებთ შემწეს!" *(სურა ისრა, აიათები 67-69)*

სხვა აიათში კი ასეა ნაბრძანები:

„მაგრამ ადამიანი, რომელსაც გამოსცდის ღმერთი მისი, უბოძებს ქონებასა და შეძლებას, მაშინ იტყვის: ღმერთმა ჩემმა მადლი მოიღო ჩემზე (რაც მეკუთვნოდა, ის მომცაო)! მაგრამ როდესაც სცდის მას და უზღუდავს საკვებს, მაშინ იტყვის: ღმერთმა ჩემმა დამამცირაო!“
(სურა ფეჯრი, აიათი 16)

დიადი ღმერთი, ადამიანს, იმისთვის რომ მოთმინებისთვის დააჯილდოოს, ყოველ წუთს სცდის. ამ დროს, ძალიან ბევრი ადამიანი, რომელსაც სარჩო შეუმცირდა და სადარდებელი დაატყდა თავს, ვერ შეიმეცნებს, რომ ეს საიქიოში დიდი ჯილდოს მიზეზად იქცევა და ფიქრობს: „ღმერთმა მე უგულებელმყო, შემიძულა“. ღმერთის მიერ მისთვის ბოძებულ სხვა სიკეთეებზე საერთოდ არ ფიქრობს. სარჩო მცირეც რომ იყოს, ღმერთისთვის მადლობის გადახდაა საჭირო. იმას, ვინც მცირეს ფასი არ იცის, არც ბევრის ფასი ეცოდინება. არ იფიქრებს, რომ ამის საშუალებით ღმერთი ცდის. თუმცა უდიდესი ღმერთი ბრძანებს: **„და ჩვენ გცდით თქვენ სიავითა და სიკეთით.“** *(სურა ენბია, აიათი 35)*

ამ მდგომარეობის შეუგნებლობის გამო თავის ინტერესებს ადამიანი ურწმუნოებამდე მიჰყავს და დიადი ღმერთის წინააღმდეგაც კი გამოდის. რადგან (მისი) ხედვა არა სრულყოფისკენ არამედ, წუთისოფლის წარმავალი სიყვარულისკენაა მიმართული. გამჩენი ღმერთი ასე ბრძანებს:

„განა ადამიანი ვერ ხედავს, რომ ჩვენ გავაჩინეთ ერთი წვეთი წყლისგან? შემდეგ იგი გამოგვეცხადა ცხად მოწინააღმდეგედ!" *(სურა იასინი, აიათი 77).*

6. ადამიანი ეჭვიანი და შურიანია

ადამიანში არსებულ საძრახის თვისებებს შორის, ყველაზე საფრთხისშემცველი, ეჭვიანობა და შურიანობაა. აიათში ასეა ნაბრძანები:

„და თან სდევს ადამიანს ძუნწობა." *(სურა ნისა, აიათი 128)*

სხვა აიათში ნაბრძანებია: **„ან იქნებ შურთ ხალხის იმის გამო, რაც ალლაჰმა უბოძა მათ თავისი სიკეთისგან?"** *(სურა ნისა, 54)*

ალლაჰის შუამავალი ადამიანებს აფრთხილებს, შურიანობას ერიდონ და მისგან მიყენებულ ზიანს ასე ამცნობს:

„შურიანობას თავი აარიდეთ! ვინაიდან, ისევე როგორც ცეცხლი შეშას სწვავს და ანადგურებს, ასევე შურიც სიკეთეს სპობს." *(აბუ დაუდი, ედები, 44)*

დიადი ღმერთი, ამ თვისებებისგან განთავისუფლებისთვის, მოწყალების გაღებისა და ქონების უსასყიდლო გაცემის საჭიროებას გვამცნობს:

وَمَنْ يُوقَ شُحَّ نَفْسِهِ فَأُوْلَئِكَ هُمُ الْمُفْلِحُونَ

„...და ვინც სიხარბისგან თავს დაიცავს, სწორედ ისინი არიან ნეტარნი!" *(სურა ჰაშრი, აიათი 9)*

7. ადამიანი სუსტი არსებაა

უზენაესმა ალლაჰმა, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი თავის მიხედვის შესაძლებლობა სხვა ცოცხალ არსებებს უბოძა, ადამიანი შექმნა არსებად, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში სხვების ყურადღებას საჭიროებს.

ადამიანის ამ თვისების აღმწერ ერთ-ერთ აიათში ნაბრძანებია:

„იგია ალლაჰი, რომელმაც გაგაჩინა თქვენ სუსტისგან, სისუსტის შემდეგ დაგიდგინათ სიძლიერე და მერე შეგიცვლით ამას სისუსტითა და ჭაღარით. გააჩენს, ინებებს რასაც, რამეთუ იგია ყოვლისმცოდნე, ყოვლისშემძლე!“ *(სურა რუმი, აიათი 54)*

ადამიანი ახალგაზრდობისა და სიძლიერის პერიოდმა არ უნდა აცდუნოს, ალლაჰი არ უნდა დაივიწყოს და მას არ აუჯანყდეს, რადგანაც მას აუცილებლად მოჰყვება სისუსტისა და ძალის ამოწურვის პერიოდი. ადამიანის მიერ მოხუცებულობაში ნაგრძნობი სინანული წარსულს, ხელიდან გაშვებულ ხელსაყრელ მომენტს უკან ვერ დააბრუნებს, სულის დარდსა და ტანჯვას ვერ შეუმსუბუქებს.

ფიზიოლოგიურად სუსტი ადამიანი ფსიქოლოგიურად უფრო სუსტია. ორივე ეს მხარე აიათში ასეა ახსნილი:

وَخُلِقَ الْإِنْسَانُ ضَعِيفًا

„ადამიანი გაჩენილ იქმნა სუსტი.“ *(სურა ნისა, აიათი 28)*

დიადი ღმერთი, ცნობიერების, მეხსიერებისა და სურვილების მხრივ ადამიანის სისუსტეს, წმინდა ადამის პიროვნებაში, ასე გამოხატავს:

„და ვფიცავ, მანამდე ვუბრძანეთ ადამს *(დავარიგეთ, რომ არ მიერთვა იმ ხის ნაყოფი)***, მაგრამ დაივიწყა მან და ვერ ვჰპოვეთ იგი მტკიცე !"** *(სურა ტაჰა, აიათი 115)*

უზენაესი ალლაჰი, ადამიანის უძლურებას რამდენიმე აიათში გვახსენებს. არ არსებობს მდგომარეობა, რომელიც მას გაამაყებისა და თავმომწონეობის საფუძველს აძლევს. ადამიანს უხდება იმის შემეცნება, რომ ყოვლისშემძლე ღმერთის წინაშე სრულიად უძლურია. ის აიათში ასე გვაფრთხილებს:

وَلاَ تَمْشِ فِي الْأَرْضِ مَرَحًا إِنَّكَ لَنْ تَخْرِقَ الْأَرْضَ وَلَنْ تَبْلُغَ الْجِبَالَ طُولاً

„და არ იაროო ქვეყანაზე ამაყად, უეჭველად, შენ (წონითა და დიდებულებით) **ვერ გახვრეტ დედამიწას და ვერ აწვდები მთებს სიმაღლით!"** *(სურა ისრა, აიათი 37)*

ადამიანის უძლურებისგან გათავისუფლება და ღმერთისკენ მიმართვა

ადამიანი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, აუცილებლად რომელიმე მხარისკენაა გადახრილი და დაკავშირებული. ან ვნებასაა აყოლილი ან ღმერთის მონა-მსახურებას ეწევა. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი სუსტი არსებაა, სულს თუ განიწმედს, მარადიული ბედნიერების იმედს განიმტკიცებს. აქედან გამომდინარე, ზემოთ აღნიშნული სისუსტისგან გასათავისუფლებლად, ღმერთისკენ მისამართად და მის საკადრის მონა-მსახურად ქცევისთვის საჭიროა ადამიანში არსებული დამაბრკოლებელი ვნების გადალახვა. ამისთვის აუცილებელია, ადამიანმა გულთან ახლოს მიიტანოს შემდეგი საკითხი, როცა დიადმა გამჩენმა სულებს ჰკითხა: *„მე თქვენი ღმერთი არა ვარ?" მათ (სულებმა) უპასუხეს: „დიახ, შენ ჩვენი ღმერთი ხარ!“*

როცა სული ამ შეთანხმებას დებდა, ყველაფერი მკაფიო და ნათელი იყო. ანგელოზებს ხედავდა, ღმერთის დიდებულებას გრძნობდა. როგორც ჰადისებშია განმარტებული, სული ჯებრაილის საშუალებით დედის მუცელში 120-ე დღეს შთაებერა. მხოლოდ დედამიწაზე მოსვლის შემდეგ, სხეულში სიცოცხლის გამაგრძელებელი სული როგორც კი ხუთი გრძნობის ტყვეობაში მოექცევა, ვნების დაბრკოლებებსაც ხვდება, სინატიფიდან უხეშობაში ეხვევა და იფარება. თუ ადამიანი შეძლებს ეს ხუთი გრძნობა ალლაჰის ნაწყალობევი სულიერი შესაძლებლობებით განიწმინდოს, ვნებას სძლევს. ხუთივე გრძნობის ღვთის სამსახურში ჩაყენება, გულისა და სულის გაწმენდითაა შესაძლებელი. ამის შემდეგ უხეშობა მცირდება, სინატიფე იზრდება და გული ჭეშმარიტად წარმოჩინდება.

„და როცა მივცემ სახეს და შთავბერავ მას ჩემი სულიდან, მაშინვე მუხლმოყრილნი განერთხეთ მიწაზე მისთვის!“ *(სურა ჰიჯრი, 29)*

აიათში გაცხადებული სული „ბრძანების სამყაროდან" მოსული, წარმავალ სხეულში ჩასახლებული, სულების მბრძანებელია. ეს სული სხეულის ძალის წინაშე არ უნდა დასუსტდეს და სხეულის გამგებელი უნდა იყოს. ამისთვის საჭიროა, რომ სულმა სხეულზე კონტროლი დაამყაროს, ასევე აუცილებელია ბრძოლა, თავშეკავება და რაიმე, უქონლობის მოთმენა."

სულის განწმენდის გარეშე ხსნასა და ბედნიერების მოპოვების შეუძლებლობას უზენაესი ალლაჰი აიათში ასე გვამცნობს:

„უეჭველად, ნეტარ იქმნა, ვინც განიწმინდა! და (განწმენდილმა სულმა) **სახელი ღმერთისა მისი ახსენა და ლოცვა აღავლინა!"**(სურა ეღლა. აიათები 14, 15)

„უეჭველად, ნეტარ იქმნა (სული), **ვინც განწმინდა იგი! უეჭველად, წარწყმედილ იქმნა** (სული), **ვინც შეეცადა მისი** (ნაკლოვანებების) **დაფარვას!"** *(სურა შემსი, აიათები 9, 10)*

რწმენის მიზანი ლამაზი, ნატიფი, დახვეწილი, მგრძნობიარე და ღრმად მოაზროვნე ადამიანის აღზრდაა. ამის მიღწევა კი ღმერთის შესაფერისი მონა-მსახურებითაა შესაძლებელი. ეს სრულყოფილება კი განხორციელდება მხოლოდ მათში, ვინც დაფიქრებითა და შეგრძნებით უმაღლეს საფეხურს მიაღწევს. დიადი ღმერთი სრულყოფილ მორწმუნეებს ასე ახასიათებს:

„უეჭველად, მორწმუნენი არიან ისინი, რომელთაც გულები შიშით უთრთიან, როცა ხსენდება ალლაჰი, ხოლო როცა მისი აიათები ეკითხებათ, რწმენას ჰმატებს იგი და მიენდობიან თავიანთ ღმერთს." *(სურა ენფალი, აიათი 2)*

„რომელთა გულები ალლაჰის სახელის ხსენებაზე ძრწოლვით ივსება და რომლებიც მომთმენნი არიან იმისა, რაც მოელით, ლოცვად დგებიან და გასცემენ იქიდან, რაც ებოძათ ჩვენგან!.." *(სურა ჰაჯი, აიათი 35)*

„და გულში ახსენე ღმერთი შენი მოწიწებით და შიშით, და არა ხმამაღალი სიტყვებით, დილით და საღამოს. და ნუ იქნები უგუნურთაგანი!" *(სურა ეღრაფი, აიათი 205)*

„და ახსენე სახელი შენი ღმერთის და მთელი ძალისხმებით იღვაწე მისკენ ყველაფრისგან შორს!" *(სურა მუზზემმილი, აიათი 8)*

„რომელთაც ირწმუნეს, ალლაჰის ხსენებით იჯერეს გულნი მათნი. დიახ, მხოლოდ ალლაჰის ხსენებით ჰპოვებს გულნი სიმშვიდეს!" *(სურა რადი, აიათი 28)*

თუ გულები ალლაჰის სიყვარულით იქნება აღსავსე, ყველა ქმედების სათავე და შედეგი ღმერთის კმაყოფილება იქნება. ამგვარად, ადამიანი მისი გაჩენის საოცრებაში ჩაწვდენას, სამყაროსა და ყურანის ჭეშმარიტების შემეცნებას დაიწყებს.

უზენაეს ალლაჰს არ უყვარს დაუდევარი და ავადმყოფი გულები, რომლებიც ამ სიღრმესა და სინაზეს ვერ მოიპოვებენ. **„ვისი გულიც განავრცო ალლაჰმა ისლამისთვის, უკვე იგი ადგას ნათელსა ზედა თავისი ღმერთისგან. ვაი მათ, ვისი გულიც გაქვავებულია ალლაჰის ხსენებისგან. სწორედ ისინი არიან ცხად გზააბნევაში."** *(სურა ზუმერი, 22)*

ალლაჰის ხსენებას დაშორებული ადამიანი ყველაზე კარგის თავისებურებას ვერ მიაღწევს.

„გინახავს ის, ვინც თვისი ვნება გააღმერთა? ნუთუ მისი დამცველი და მფარველი იქნები?" *(სურა ფურყანი, აიათი 43)*

ვნება ამქვეყნიურ ყველა სიტკბოებას ხარბდება და ცდილობს მათ დაეუფლოს. ამ მდგომარეობისგან თავის დაღწევა მხოლოდ „სულის განწმედითაა" შესაძლებელი და ამგვარად წუთისოფლის სიყვარული გულიდან გამოიდევნება. ამის განსახორციელებლად კი ღმერთის ხსენება, ღვთისმოსავ ადამიანებთან საუბარი და თავშეკავება აუცილებელია.

ისე, როგორც რწმენის, ღმერთის ხსენების ცენტრიც გულია. ნამდვილი მონა-მსახურება იწყება მაშინ, როცა ღმერთის ხსენება ენიდან გულთან მიაღწევს. სწორედ, მაშინ იქნება ვნების ძლევის გზა ხსნილი.

ღმერთის ხსენების შედეგი, მისი ბარაქა და სარგებელი ღმერთის მხსენებლის ყველა საქციელში აისახება. ადამიანი, რომელიც გულიდან ღმერთის გარდა, ყველას და ყველაფერს ამოშლის, გამჩენთან ერთად რჩება, სიკეთის გრძნობით იმოსება და მისდამი მორჩილებას აგრძელებს ისე, თითქოს მას ხედავდეს.

წმინდა ადამისა და ევას დედამიწაზე გადმოსახლება

ეშმაკის მიერ ცდუნებული, წმინდა ადამი და ევა დიადი ღმერთის ბრძანებით, სამოთხიდან გამოაძევეს და დედამიწაზე გადმოასახლეს. ანგელოზებმა, წმინდა ადამი ინდოეთის ჩრდილოეთით მდებარე - კუნძულ სეილანზე, წმინდა ევა კი წითელი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქ ჯიდდეს მხარეში დატოვეს. ორივე მათგანი დიდი ხნის მანძილზე ცალ-ცალკე იმყოფებოდა. წმინდა ადამი და ევა ღმერთს გამუდმებით მიტევებას სთხოვდნენ.

ვედრების წყალობით, ალლაჰმა წმინდა ევას გაუგზავნა ანგელოზი, რომელიც მას წმინდა ადამისკენ გზას უჩვენებდა. ორივე მათგანი არაფა დღეს, სამხრობისას, არაფატის მთაზე ერთად შეიყარნენ. აცრემლებულებმა, კიდევ ერთხელ, მოინანიეს და ღმერთს მიტევება სთხოვეს.

უსაზღვროდ მოწყალე ღმერთმა მათი ვედრება შეისმინა და ამავე დროს ქვეყნიერების აღსასრულამდე მათი მოდგმისაგან იმ ადგილზე მისულთა მიტევებაც გაიღო წყალობად. არაფა დღეს, არაფატზე ჰაჯების ასვლისა და მიტევების თხოვნის საიდუმლოც სწორედ, ეს არის.

ამ შეხვედრის შემდეგ, წმინდა ადამისა და ევას სამშობლოდ, ღმერთის ბრძანებით, მექა იქცა. ამის გამოა, რომ მექას კიდევ ერთი სახელი აქვს, **უმმულ ყურა**, რაც **„საცხოვრებელ ადგილთა დედას"** ნიშნავს. სწორედაც ადამიანების გამრავლება აქედან დაიწყო. ასე სწრაფად გამრავლების საიდუმლო ის არის, რომ წმინდა ევას ერთი

ფეხმძიმობისას დედამიწას რამდენიმე ბავშვი ევლინებოდა. ერთი ფეხმძიმობისას დაბადებული ბავშვები ერთმანეთის და-ძმებად ითვლებოდნენ და მათი ქორწინება აკრძალული იყო. მხოლოდ შემდეგ ფეხმძიმობისას დაბადებულებზე შეიძლებოდა დაქორწინება.

დედამიწაზე ჩადენილი პირველი დანაშაული

წმინდა ადამის შვილებიდან კაენს მასთან ერთად დაბადებული დის ცოლად მოყვანა სურდა. აბელი კი აფრთხილებდა, რომ ეს ღმერთის კანონს ეწინააღმდეგებოდა და მეორე ჯერზე დაბადებულ დათაგან რომელიმეს თხოვნა იყო საჭირო. კაენმა ამ გაფრთხილებას ყური არ ათხოვა და თავისი ქმედების სისწორე დაიჩემა.

იმის გასარკვევად თუ ვინ იყო მართალი, აბელმა შესთავაზა, ორივე მათგანს ალლაჰისთვის მსხვერპლი შეეწირათ.

იმ დროისთვის მსხვერპლად იმას იღებდნენ რაც გააჩნდათ. მსხვერპლს, ერთი მთის წვერზე ალაგებდნენ, გარკვეული დროის შემდეგ, თუ დაინახავდნენ, რომ ციდან ჩამოსული ცეცხლით შესაწირავი იწვოდა და ქრებოდა, ღმერთის მხრიდან მიღებულად ითვლებოდა.

აბელს ცხვრის ფარა ჰყავდა. მსხვერპლად შესაწირად მასში ყველაზე მსუქანი ყოჩი (ვერძი) ამოარჩია. კაენი კი მიწათმოქმედებას ეწეოდა. მან მსხვერპლის სახით, შესაწირად ყველაზე დიდი ხორბლის კონა გამოყო

აბელი და კაენი, ცოტა ხნის შემდეგ, დატოვებული შესაწირავის შესამოწმებლად წავიდნენ. აბელის გაღებული შეასაწირავი მიღებული იქნა, ხოლო კაენის ხორბლის კონა, ისევ ისე იდო. კაენი გაბრაზდა და აბელი მოკლა: უზენაესი ალლაჰი აიათში ბრძანებს:

„და ჭეშმარიტად, წაუკითხე შენ მაგათ ამბავი ადამის ორი ვაჟისა. ოდესღაც, მსხვერპლი შეწირეს ორივემ და შეწყნარებულ იქმნა ერთისაგან და არ იქნა შეწყნარებული მეორისაგან, (ძმამ რომლის შესაწირავიც არ იქნა მიღებული შურის გამო) **და თქვა მან: „მე მოგკლავ შენ უსათუოდ!“ უპასუხა: „ალლაჰი მხოლოდ ღვთისმოშიშთაგან შეიწყნარებს.** (სურა მაიდე, აიათი 27)



„ვფიცავ, თუ შენ მოსაკლავად აღმართავ ხელს ჩემზე, მე არ აღვმართავ ხელს შენს მოსაკლავად. უეჭველად, მე მეშინია ალლაჰისა, სამყაროთა ღმერთის," *(სურა მაიდე, აიათი 28)*



„ნამდვილად მსურს, რომ შენ აიღო ჩემი ცოდვა და ცოდვა შენიც, რათა იქმნა ცეცხლის ბინადართა შორის “. და : „ასეთია საზღაური უსამართლონისა“ *(სურა მაიდე, აიათი 29)*

„ხოლო ვნებამ უბიძგა მას ძმის მოკვლისკენ, და მოკლა ის , და აღმოჩნდა წაგებულთა რიგებში.“ *(სურა მაიდე, აიათი 30)*

„შემდეგ წარუგზავნა ალლაჰმა ყორანი, რომელიც მიწას თხრიდა, რათა ეჩვენებინა მისთვის, როგორ დაემარხა ძმის ცხედარი. თქვა: „ვაი, ჩემს თავს! ისიც არ შემიძლია ამ ყორნის მსგავსი ვიყო და დავმარხო ჩემი ძმის ცხედარი.“ და იქმნა იგი მონანიეთაგანი.." *(სურა მაიდე, აიათი 31)*

აბელისა და კაენის შესახებ ნოველისგან წარმოშობილი გაკვეთილები

ისტორია აბელისა და კაენის შესახებ ნათლად წარმოგვიდგენს შთაგონების ნათლით გაბრწყინებული ჭკუისა და ვნების ზემოქმედების ქვეშ მოქცეული გონების შეპირისპირებას და მათი ბრძოლისგან წარმოქმნილ შედეგებს.

შთაგონებულ ჭკუას ფასი აქვს. ჭკუა, რომელიც შთაგონების სამსახურშია და მისი გიდობით სარგებლობს, საიდუმლოებებს სწვდება. ხოლო ჭკუა, რომელიც ზეშთაგონებების მიერ ნაჩვენებ გზას არ მიჰყვება, ადამიანის ვნების უბედურებებისგან თავს ვერ დაიცავს. ჭკუა ჰგავს მჭრელ დანას, რომლის ყოველგვარი მიზნისთვის გამოყენება შეიძლება. მსურველი მისით პურს დაჭრის, მსურველი კი დანაშაულს ჩაიდენს. სწორედ, კაენის ჭკუამ, იმის გამო, რომ ზეშ-

თაგონების ცნობებს შეეწინააღმდეგა, საკუთარი თავი შეცდომაში შეიყვანა და საიქიო სიმშვიდე დაკარგა.

იმ ადამიანების ჭკუა, რომლებიც არ არიან ღვთისმოსავნი და გულწრფელი, როგორც მათთვის, ასევე სხვებისთვისაც, უსამართლობის მიზეზი ხდება ისე, როგორც კაენი შეიძლება ძმის მკვლელობამდე მისულიყო. ხოლო აბელი, რომელიც ზეშთაგონებით ხელმძღვანელობდა და კაენს არიგებდა, გულწრფელი მონა-მსახური იყო და ალლაჰის შიშით მოქმედებდა.

ის, ვინც შეპყრობილია ეჭვითა და შურით, თავის სიკეთეს ვერ ამჩნევს და სულ სხვის ხელთარსებულ სიკეთეზე უჭირავს თვალი. ყველას, ვისზეც ეჭვიანობა და შურიანობა გამეფდება, ყოველგვარ ბოროტებას ჩაადენინებს. ასეთი ადამიანი ძმის მკვლელობისგანაც არ დაიხევს უკან. ამის შედეგად კი ამქვეყნადვე, სინდისის ქეჯნას განიცდიან და სინანულში ატარებენ დროს. მათ საიქიოშიც საშინელი სატანჯველი ელოდებათ. ავადმყოფობისგან განთავისუფლება ისევ და ისევ სულის აღზრდითა და განწმენდით, განსაკუთრებით კი ალლაჰის მიერ ბოძებულით დაკმაყოფილებითაა შესაძლებელი.

კაენისა და აბელის პიროვნებებს შორის ისეთივე განსხვავებაა როგორიც ანგელოზსა და ეშმაკს შორის. მაშინ, როცა კაენი ეშმაკის მსგავსად თავის ნაკლოვანებებს სხვაგან ეძებდა, აბელი ანგელოზის მსგავსად ვნებას არ შეუპყრია, ავტორიტეტის დაკარგვის შიშს არ შეუპყრია, მხოლოდ ალლაჰის შიშით მოქმედებდა. იმათგან ერთი, ეშმაკის მსგავსად, ცოდვილი გახდა, მეორე კი ღმერთისკენ მიბრუნდა.

კაცობრიობის ისტორიაში კაცისკვლის პირველი შემთხვევის შესახებ, ალლაჰის შუამავალი ბრძანებს:

„უსამართლოდ მოკლული ყოველი ადამიანის სისხლისგან (ცოდვისგან) ადამის შვილსაც აუცილებლად წილი აქვს. რადგან ის კაცის კვლის გ ზის გამკვალავი პირველი ადამიანია." *(ბუჰარი, ენბია, 1)*

ალლაჰის შუამავალი ბრძანებს:

„ისლამში იმას, ვინც სიკეთეს გაუკვალავს გ ზას, საამისო მადლი დაეწერება. იმ გ ზაზე მავალთა მადლიდან მასაც წილი ერგება. მაგრამ მათ მადლისგან არაფერი მოაკლდებათ. ყველა იმას, რომლებიც ბოროტებას გაუკვალავენ გ ზას, ამ ბოროტებისგან ცოდვა დაედებათ, იმ ბოროტების გ ზაზე მავალთა წილი მათაც შეხვდებათ.

მაგრამ იმათ ცოდვათაგანაც არაფერი აკლდებათ." (მუსლიმი, ზექათი, 69, ნესაი, ზექათი, 64)

ჰადისი აჩვენებს, რომ მას, ვინც სიკეთეს დაუდებს სათავეს ამ სიკეთის გზაზე მავალთა მადლისგან, ხოლო ვინც ბოროტებას დაუდებს სათავეს, ამ ბოროტების გზაზე მავალთა ცოდვისაგან წილი აუცილებლად ერგება.

წმინდა ადამის ცხოვრებიდან ასაღები გაკვეთილები

1. ადამიანები ძალიან ყურადღებითა და ფხიზლად უნდა ვიყოთ, რათა ჩვენი მტრის, ეშმაკის, დაგებულ მახეში არ გავებათ. ის მუდამ ბოროტებისკენ გვაქეზებს;

2. ადამიანმა იმისათვის, რომ განთავისუფლდეს ისეთი ცუდი თვისებებისგან როგორებიცაა: სიამაყე, თავმომწონება, სიხარბე, მოუთმენლობა, დიდი მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს სულის გაწმენდას. ეს ის თვისებებია, რომელთაც ადამიანი იმედგაცრუებამდე მიჰყავს;

3. შეცდომას თუ დავუშვებთ, შუამავალ ადამის მსგავსად, მაშინვე უნდა მოვინანიოთ და ღმერთს მიტევება შევსთხოვოთ;

4. თუნდ არ შევცოდოთ, ღმერთს მაინც უნდა ვსთხოვოთ მიტევება, იმის გამო, რომ მის ბოძებულ სიკეთეებისთვის საკადრის მადლობას ვერ გადავუხდით;

5. როგორც წმინდა ადამისა და ევას მიერ აკრძალული ხილის შეჭმის ანუ ცოდვის ჩადენის შემთხვევიდან ჩანს, ადამიანი ასეთი ქმედებით სულიერ ღირსებას კარგავს, მაგრამ მონანიების შედეგად ის უკან უბრუნდება. ჩვენც, ცოდვას რომ ჩავიდენთ, უიმედობაში კი არ უნდა ჩავვარდეთ, მაშინვე მონანიების გზას უნდა დავადგეთ;

6. წმინდა ადამის მსგავსად, ჩვენს ვედრებებში, მუდამ უნდა მივმართოთ წმინდა შუამავალს, მისი სახელი გულიდან და ენიდან არასდროს უნდა მოვიშოროთ;

7. აბელის მსგავსად, ვნებას უნდა ვსძლიოთ და ვეცადოთ ყველაზე კარგი არსება ვიყოთ.

8. არასდროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ მას, ვინც სიკეთეს დაუდებს სათავეს, სხვების მიერ ჩადენილი ამ სიკეთისგან, ხოლო

ვინც ბოროტებას ჩაიდენს, ჩადენილი ამ ბოროტებისგან, წილი ერგება. აბელი - სიკეთის, კაენი კი ბოროტების მაგალითია.

დასკვნა: წმინდა ადამი

- პირველი ადამიანი და პირველი შუამავალი.
- პიროვნება, რომელმაც იცხოვრა სამოთხეშიც და დედამიწაზეც.
- ადამიანი, რომელმაც პირველი ცოდვა ჩაიდინა და პირველმა მოინანია.


შუა აზია
შავი ზღვა
ანატოლია
ხმელთაშუა ზღვა
კასპიის ზღვა
ჰარეზმი
ტურქმენეთი
ძვ. მაგნრა
დამასკო
ნაბატეველების სამეფო
ირანი
იმალაის
სანდი
წითელი ზღვა
მექა
ინდოეთი
აფრიკა
ინდოეთის ოკეანე
ცეილონი

მონანიება და ღმერთისთვის ცოდვების მიტევების თხოვნა

იმის გამო, რომ დედამიწა გამოსაცდელი ქვეყანაა, ადამიანში სიკეთის კეთების ნიჭიც დევს და ბოროტებისაც. ამათგან, რომელსაც ხელი შეეწყობა, ადამიანიც სათანადო ძალას შეიძენს..

როდესაც მწყურვალე ადამიანს წყალს სთავაზობენ, მან ამისთვის მადლობა უნდა გადაიხადოს. ეს მისი სინდისის საკითხია. ეს საზომი გვახსენებს, რომ დიადი ღმერთის მიერ ბოძებული უთვალავი სიკეთისთვის მის მიმართ მადლიერების გრძნობით განმსჭვალულებმა უნდა ვიცხოვროთ. ასეთ ვითარებაში, ადამიანი თავის არსებაში ჩადებულ უმეცრებას, ჟინს, სიამაყეს, სიძუნწეს, შურს, მფლანგველობასა და გაბრაზებას, მოკლედ, ვნების სურვილებს არ უნდა დაემორჩილოს და ღმერთის ბოძებული სიკეთისადმი უმადურობა არ უნდა გამოიჩინოს. თავის ბუნებრივ საპატიო ადგილს ჩრდილი არ უნდა მიაყენოს. ამქვეყნიურ სიკეთეებზე დაუდევრად მოპყრობის მიზეზით ჩადენილი ცოდვა დიდი შეცდომაა, ის დროთა განმავლობაში ადამიანის საპატიო ადგილს ამდაბლებს, სულსაც ცოდვის წყვდიადში ახვევს და ამგვარად აბინძურებს.

ადამიანები, როცა ვნებას ვეღარ სძლევენ, ცოდვას სჩადიან და რწმენის ნაყოფიერ ბრწყინვალებას კარგავენ. როგორც კი მათ სინდისს ზნეობის საყრდენი მოაკლდება, სწორ აზროვნებასა და სულის სილამაზეს კარგავენ. ამ გზის მიმართულებით წასვლა სერიოზული შეცდომაა.

ადამიანი უგულისყურობის ფარდას თუ გადასწევს, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს სინდისით შეიგრძნობს. მის შინაგან სამყაროში დამალულ ნაყოფიერ გრძნობებს გააღვიძებს. გული სინანულით აევსება, ტკბილი ცრემლები გადმოსცვივდება. აი, ეს ტკივილი და სინანული „მონანიებაა", ხოლო შემდეგ ხელების ღმერთისკენ აპყრობა და პატიების თხოვნა - **"მიტევების თხოვნა"**.

ჩადენილი ცოდვის გამო, დანაშაულის შეგრძნება შორსმჭვრეტელობაა, ხოლო ღმერთისგან პატიების თხოვნა—სინდისის ვალი.

ცოდვის დანაშაულად არ აღიარება, დანაშაულის გრძნობის არქონა, შეუმეცნებლობა იმისა, რომ ცოდვისგან ზურგის შექცევაა საჭირო, სიბრიყვის, გაპარტახებული გულისა და ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზის მაჩვენებელია.

ჰადისში ნაბრძანებია:

„ჩადენილი ცოდვის გამო დამწუხრება იგივეა, რაც მონანიება. ის, ვინც ჩადენილ ცოდვას მოინანიებს, ეს ცოდვა თითქოს არ ჩაედინოს." *(იბნი მაჯე, ზუჰდი 30)*

იმისთვის, რომ ადამიანის მონანიება მიღებულ იქნას, მხოლოდ **„ესთეღფირულლაჰ"** (*ოჰ, ალლაჰო, შენგან ვითხოვ პატიებას*) წარმოთქმა საკმარისი არ არის. ასევე, აუცილებელია გულის თრთოლა და ამ შეცდომის გაუმეორებლობა.

ძვირფასი მევლანა მონანიებას ასე გადმოგვცემს:

„სინანულით აღსავსე გულითა და ცრემლიანი თვალებით მოინანიე, ვინაიდან, ყვავილი იქ იშლება, „სადაც მზე და ტენიანობაა!"

მონანიებასა და ღმერთისთვის მიტევების თხოვნას პიროვნება და ერი კეთილდღეობისკენ მიჰყავს, მომავალ უბედურებებსა და სიძნელეებს აშორებს.

მორწმუნემ შიშსა და იმედს შორის უნდა იცხოვროს.

შუამავლებიც კი, გამჩენის ღრმა შემეცნების მიუხედავად, ცოდვას სჩადიოდნენ, ინანიებდნენ და ღმერთს მიტევებას სთხოვდნენ. ამგვარად, მათ ადამიანურ უმწეობას აგრძნობინებდნენ და მიუთითებდნენ, რომ უზენაესი აუცილებლად ალლაჰია.

ᔓ

ცნობილია პირველი ადამიანების-წმინდა ადამისა და ევას მიერ ერთად შესრულებული ეს მონანიება:

„მიუგეს ორივემ: ღმერთო ჩვენო! უსამართლოდ მოვექეცით საკუთარ თავს და თუ არ მოგვიტევებ და არ შეგვიწყალებ, უეჭველად, ჩვენ წაგებულთა შორის აღმოვჩნდებით!" *(სურა ელრაფი, აიათი 23)*

ეს ვედრება ქვეყნიერების აღსასრულამდე ამქვეყნად მოვლენილი ყველა ადამიანისთვის, ღმერთისთვის მიტევების თხოვნის ნიმუშია.

ᔓ

ყურანში მოცემული აიათები, რომლებიც ადამიანებს მონანიე-

ბას, ღმერთზე მიტევების თხოვნას უქადაგებს, ასეთია:

„ეს არ ეხება მათ, ვინც მოინანია, ირწმუნა და სამართლიანად მოიქცევა. მათ ავ საქმეებს ალლაჰი კეთილით შეცვლის, რამეთუ ალლაჰი შემწყნარებელია, მიმტევებელია!" *(სურა ფურყანი, აიათი 70)*

„ვინც ინანიებს და კეთილს იქმს, ის, უეჭველად, მიბრუნდება ალლაჰთან შენდობილი!" *(სურა ფურყანი აიათი 71)*

„ალლაჰს ნებავს მოგიტევოთ თქვენ, ხოლო იმათ, რომელნიც ვნებებს არიან აყოლილნი, სურთ გადაგაცდინონ ჭეშმარიტ გზას." *(სურა ნისა, აიათი 27)*

მონანიება წრფელი გულიდან უნდა მოდიოდეს;

يَا أَيُّهَا الَّذِينَ آمَنُوا تُوبُوا إِلَى اللهِ تَوْبَةً نَصُوحًا

عَسَى رَبُّكُمْ أَنْ يُكَفِّرَ عَنْكُمْ سَيِّئَاتِكُمْ

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! შესთხოვეთ ალლაჰს მიტევება გულწრფელი მიტევებით. დაე, თქვენმა გამჩენმა დაფაროს თქვენი ცოდვები." *(სურა თაჰრიმი, აიათი 8)*

ᔓ

თუნდაც ღვთიურ ბრძანებებს დაემორჩილოს ადამიანი და ცოდვა საერთოდ არ ჩაიდინოს, იმის გამო, რომ ღმერთის მიერ ნაბოძები სიკეთისთვის, საკადრისი მადლიერების გამოხატვა შეუძლებელია, ღმერთს მაინც უნდა შესთხოვოს პატიება. ვინაიდან არ არსებობს ადამიანი, რომელიც მიტევებას არ საჭიროებს, რადგანაც ამ საკითხში ნებისმიერი ადამიანი უძლურია. თუკი ადამიანი ღმერთისადმი საკადრისი მადლიერების გამოხატვას შეძლებს, ესეც წყალობას ნიშნავს. ამგვარად, ადამიანის ვალი გამჩენის წინაშე უსასრულოა.

დიადი ღმერთის წყალობები იმდენად უთვალავია, რომ მათთვის მადლიერების გამოხატვას ადამიანი ვერ შეძლებს. აიათში ნაბრძანებია:

„გიბოძა თქვენ ყველაფერი, რაც შესთხოვეთ მას. და თუ ალლაჰის წყალობათა ჩამოთვლას დაიწყებთ, ვერ დათვლით. უეჭველად, ადამიანი უსამართლოზე უსამართლო და უმადურია." *(სურა იბრაჰიმი, აიათი 34)*

როცა კეთილშობილმა აიშემ მუჰამმედ შუამავალს ﷺ უთხრა: „ალლაჰის შუამავალო, ალლაჰმა შენ წარსული და მომავალი ცოდვები გაპატია. საკუთარ თავს ამდენად ნუღარ დატვირთავ!"

ალლაჰის შუამავალმა უპასუხა:

„აიშე! ნუთუ ისეთი მსახური გინდა ვიყო, რომელიც ღმერთს მადლობას არ უხდის?“ (ბუჰარი, თეჰჯჯუდი, 6; მუსლიმი, მუნაფიყუნი 81)

ალლაჰის შუამავლის ღმერთისადმი მიტევების თხოვნა, უმეტესწილად, მისი შეცდომების გამო კი არა, დიად ღმერთთან უფრო დასაახლოებლად, მადლიერების უფრო მეტად გამოსახატავად და მისი კმაყოფილების მოსაპოვებლად იყო. ამავე დროს წმინდა შუამავალი ყოველ წუთს სულიერ პროგრესს განიცდიდა და ყოველ ახალ საფეხურზე ასვლისას განვლილი საფეხურისთვის ღმერთს მიტევებას სთხოვდა.

მონანიებისთვის ყველაზე სასარგებლო დრო განთიადია, ისე როგორც განთიადი ღამის წყვდიადს განდევნის და ნათელი ისადგურებს. ამგვარად, განთიადისას მონანიება სულს ცოდვების წყვდიადისგან იხსნის და ნათელში გადაჰყავს!

ღმერთო, წილად გვარგუნე, გულების გამოფხიზლებისა და მიტევების დამსახურების ბედნიერება!

ამინ!

შესაფასებელი კითხვები

ა. უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს:

1. ყურანში შუამავლებისა და მათი მოდგმის ცხოვრება „ისტორიების“ ფორმითაა გადმოცემული. რა არის ამის მიზეზი და საიდუმლოება?

2. ახსენით ადამიანის გაჩენის მიზნები. განმარტეთ ცნებები „ღმერთის ცნობა“ და „ღმერთის სიყვარული“;

3. ჩამოთვალეთ ადამიანის გაჩენის ეტაპები აიათების მიხედვით.

4. რა იყო მიზეზი, რამაც ეშმაკს წმინდა ადამისთვის სეჯდეს შესრულებაზე უარი ათქმევინა?

5. ახსენით ანგელოზებისა და ჯინების მიერ შუამავალი ადამისთვის სეჯდეს შესრულების მნიშვნელობა;

6. მუჰამმედ შუამავლის ﷺ პასუხი; **„აიშე, მე ისეთი მონა-მსახური ხომ ვერ ვიქნები, ვინც ალლაჰს მადლობას არ უხდის?“** ძვირფასი აიშეს კითხვაზე: **„ალლაჰმა შენ წარსული და მომავალი ცოდვები გაპატია, შენ თავს ამდენად რატომ იტვირთავო,“** აჩვენებს თუ არა ცოდვების მიტევების თხოვნასა და მადლიერებას შორის კავშირს?“

7. მაშინ, როცა მიღებულ იქნა აბელის მიერ შეწირული მსხვერპლი, კაენის ანალოგიური ქმედება რატომ იქნა უარყოფილი?

8. ის ადამიანი, რომელსაც სიკეთისკენაც აქვს მიდრეკილება და ბოროტებისკენაც, სრულყოფილებას რა გზით მიაღწევს?

9. ჩამოთვალეთ სულის ხუთი სტადია თანმიმდევრობით.

10. ადამიანების სულებმა **„კაცობრიობის შექმნის დასაწყისისას (ელესთ ბეზმიში)** ღმერთს როცა უთხრეს, **„დიახ,“** შენ, ჩვენი ღმერთი ხარ!“ მისი მსახურობის პირობა დადეს. რა არის ის მიზეზები, რომელთა გამოც ადამიანებმა დედამიწაზე ეს პირობა დაივიწყეს?

ბ. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები

1. ჩვენთვის ცნობილ თუ უცნობ ღმერთის თვისებებს სრულყოფილად გამოვლენის სამი ადგილი აქვს. ამათ სათავეში ---------- დგას.
2. უზენაესმა ალლაჰმა პირველად წმინდა ---------- გააჩინა.
3. ადამიანის მიერ ჩადენილი ცოდვის გულით მონანიებას ---------- , ღმერთისგან მიტევების თხოვნას, ხოლო ხვეწნა-მუდარას ----------ეწოდება.
4. ღმერთის ბოძებულ ცოდნას, რომელსაც ადამიანი მხოლოდ მუშაობით, პიროვნების მორალური აღზრდის უნარის პროპორციულად მოიპოვებს ---------- ეწოდება.
5. ადამიანმა თუნდაც ცოდვა საერთოდ არ ჩაიდინოს, უდიდესი ღმერთის წყალობებისთვის, სათანადო მადლობის გადახდას მაინც ვერ შეძლებს. აქედან გამომდინარე, არ არსებობს ადამიანი, რომელიც მიტევებას არ საჭიროებს. მონანიებისა და ღმერთზე მიტევების თხოვნისთვის ყველაზე შესაფერისი დრო ---------- .

გ. შემოხაზეთ ქვემოთ მოცემული კითხვების სწორი პასუხები

1. ქვემოთ მოცემულთაგან რომელი არ არის ყურანში მოცემულ ისტორიათა თავისებურება?

ა. ამბები მოთხრობილია დაწვრილებით, გაკვეთილის მიცემის მიზნით.

ბ. გადმოცემულ ისტორიებში დაცულია შემთხვევების თანამიმდევრობა.

გ. ნოველებში მოცემულ შემთხვევებში ადამიანისთვის არცერთი მიმართულება არ არის საიდუმლოდ დარჩენილი.

დ. ნოველებში მოთხრობილ შემთხვევებს შორის მოცემულია ისეთი გაკვეთილები, რომელთა გაგებასაც ადამიანი შეძლებს და ისინი მას ჭეშმარიტების გზაზე დააყენებს.

2. „ღმერთის თავისებურების“ გამოვლინების სამი ადგილი არსებობს. ამათ სათავეში ადამიანი დგას. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი <u>არ არის</u> ადამიანში ღმერთის სრულყოფილების გამოვლინების მიზეზი?

ა. ადამიანი, ღვთიური სიდიადის წარმოჩენა და შექმნილ არსებებს შორის საოცრებაა.

ბ. სამყაროს საიდუმლო და განსაკუთრებული ქმნილებაა.

გ. ადამიანი მიწისგანაა შექმნილი.

დ. ადამიანს ჭკუა და ვნება გააჩნია.

3. როცა ალლაჰმა ანგელოზებს მიმართა: *„დედამიწაზე ჩემს ხალიფას შევქმნიო.“* *(ბაყარა, 30)* აიათში მოხსენიებულ „ხალიფა“ ქვემოთ მოცემულთაგან რომელ მნიშვნელობას მოიცავს?

ა. ადამიანი შექნილია ისეთი ნივთიერებისგან, რომ ის ამის გამო ანგელოზებსა და ჯინებზე მაღლა დგას.

ბ. ადამიანი, ღვთიური თვისებების გამოვლინების ადგილი და დედამიწაზე ალლაჰის ნება-სურვილის გამომხატველია.

გ. ყველა ადამიანმა ალლაჰის წინაშე უნდა შეასრულოს ღვთისმსახურება;

დ. ყველა ადამიანმა უნდა ცნოს ღმერთი.

4. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი საერთო თვისება აქვთ სულ ღვთიურსა და სული ცხოველს?

ა. ორივე მათგანი ბრძანების სამყაროდანაა.

ბ. ისინი არსებობას სხეულში აგრძელებენ.

გ. ადამიანის სიკვდილთან ერთად, ორივე მათგანის ბატონობა წყდება.

დ. ადამიანის ქმედებებისა და სურვილების გამომჟღავნებლები არიან.

5. აიათში „ვუთხარით ანგელოზებს: „სეჯდე აღასრულეთ ადამისთვის!“ უმალვე სეჯდე აღასრულეს... *(ბაყარა, 34)* სეჯდე აღასრულეთ!“ რომელ მნიშვნელობას <u>არ შეიცავს</u>?

ა. იმის აღიარებას, რომ ადამი მისი შექმნის გადასახედიდან ყველაზე მაღლა მდგომი იყო.

ბ. ადამის სულისადმი პატივისცემას.

გ. იმასთანერთად,რომადამისთვის სეჯდეს შესრულება ებრძანათ, ეს მის შემქმნელი ალლაჰისთვის მონა-მსახურობის შესრულება იყო.

დ. ადამისთვის სეჯდეს შესრულება, ღმერთისთვის, მისი შექმნის გამო, მადლობის გადახდა იყო.

6. ქვემოთ მოცემულ რომელ შემთხვევაშია სწორად მოცემული ანუ რომელ არსებაშია თავმოყრილი ერთად კონტრასტული თვისებები?

ა. ეშმაკში: ბოროტების თავისთავში შემკრებ მნიშვნელობაში.

ბ. ადამიანში: პოზიტიური და ნეგატიური თვისებების მატარებელ მნიშვნელობაში.

გ. ანგელოზებში: თანდაყოლილ გაძღოლის მნიშვნელობაში.

დ. ადამიანებში: ბოროტების თავისთავში შემკრებ მნიშვნელობაში.

7. „უეჭველად, ჩვენ შევთავაზეთ პასუხისმგებლობა აეღო ცასა და დედამიწას და მთებს, მაგრამ უარი თქვეს და შეეშინდათ მისი, კაცმა კი იტვირთა იგი. უეჭველად, იგი უსამართლოა, უგუნურია!“ *(აჰზაბ, 72)*

რა არის საჭირო აიათში მოცემულ „უსამართლოა, უგუნურია“ მდგომარეობიდან თავდასაღწევად?

ა. პოზიტიური ცოდნის დაუფლება.

ბ. ღმერთის შექმნილ არსებების სამსახურზე უარის თქმა და მხოლოდ ცოდნის დაუფლება.

გ. კეთილი საქმეების ჩადენა, ღვთისმოშიშობასთან მიღწევა და გონიერ ადამიანად ქცევა.

დ. ალლაჰის მიერ მიწისა და ცისთვის შეთავაზებული ანაბრის ტვირთად აუღებლობა, უმეცრებისა დ სისასტიკისგან შორს დგომა.

8. რა შეიძლება იყოს <u>ყველაზე მეტად ზემოქმედი გზა</u> იმისა, რომ სულების მიერ კაცობრიობის შექმნის დასაწყისში (ელესთ ბეზმინში) დადებული ხელშეკრულება არ დავივიწყოთ და მუდამ მისი ერთგული ვიყოთ?

ა. ამ შეთანხმების ხშირად გახსენება და გამეორება.

ბ. მცდელობა იმისა, რომ გავანადგუროთ ჩვენში არსებული სული ცხოველი.

გ. სულისა და გულის გაწმენდით იმ დაბრკოლების გადალახვა, რასაც ვნება ჰქვია.

დ. ილმიჰალის (მუსლიმანური რელიგიური კანონების) შესწავლა, მათში ჩაღრმავებით საიდუმლო ფარდების გადაწევა.

9. ქვემოთ მოცემულ რჩევათაგან, <u>რომელი არ</u> ემსახურება სულის განწმენდას?

ა. ღვთისმოსავ ადამიანებთან საუბარი.

ბ. გულში და ხმამაღლა ალლაჰის ხშირად ხსენება.

გ. სხვადასხვაგვარი თავშეკავება.

დ. ალლაჰსა და მის საიდუმლოებებთან დაკავშირებულ ცოდნაში ჩაღრმავება.

10. ალლაჰისთვის შესაფერისი მონა-მსახურობის გაწევისთვის, „ჭკუასა“ და „ზეშთაგონებას“ შორის კავშირი რომელი მიმართულებისკენ იხრება?

ა. ჭკუა მუდამ ზეშთაგონებაზე მაღლა დგას, რადგან ჭკუა ღმერთის თვისების „მცოდნე“ გამოვლინებაა.

ბ. ზეშთაგონება ყოველ დროს წინასწარ მოდის. რადგან თუ ზეშთაგონება არ იქნება, ჭკუა ვერავითარ მოღვაწეობას ვერ შეასრულებს.

გ. ჭკუა და ზეშთაგონება ერთმანეთს აწონასწორებენ. ერთი რომელიმე მხარე მაღლა არ დგას.

დ. ჭკუა ზეშთაგონების საზღვრებში ღირებულებას გამოხატავს. ზეშთაგონება ჭკუის მიმართულების მიმცემი გიდია, ჭკუას ის ესაჭიროება.

11. „მიუგეს ორივემ : ღმერთო ჩვენო! უსამართლოდ მოვექეცით საკუთარ თავს და თუ არ მოგვიტევებ და არ შეგვიწყალებ, უეჭველად, ჩვენ წაგებულთა შორის აღმოვჩნდებით!“ *(არაფ, 23)* **ეს აიათი წმინდა ადამისა და ევას მონანიებაა, ქვემოთ მოცემული რომელი წესი არ არის ღმერთისთვის მიტევების თხოვნა?**

ა. ადამიანმა უნდა იცოდეს რომ მის მიერ ჩადენილი ცოდვა, მისი ვნებისგან მომდინარეობს.

ბ. ცოდვის ჩადენა ნიშნავს, რომ ადამიანი საკუთარ თავს უსამართლოდ ექცევა.

გ. მონანიება და ღმერთისთვის მიტევების თხოვნა, მაშინვე არ იქნება მიღებული. ალლაჰი ადამიანს, მხოლოდ ცოტა ხნის დასჯის შემდეგ აპატიებს.

დ. ადამიანი როგორი ცოდვილიც არ უნდა იყოს, არ არსებობს სხვა გამოსავალი, გარდა ღმერთზე მიტევების თხოვნისა და სხვა თავშესაფარი გარდა მისისა.

12. თუკი ადამიანის მიერ ჩადენილი ცოდვა მის გულს მოსწონს, იმ პიროვნების შინაგანი სამყარო რა მრწამსის მატარებელია?

ა. ვერ ამჩნევს მის მიერ ჩადენილ ცოდვებსა და ბოროტებას.

ბ. მის სხეულზე ბატონობს სული ღვთიური.

გ. ასეთი ადამიანი რწმენის საზღვრებს სცდება.

დ. მის სინდისს ზნეობა არ უმაგრებს მხარს. სულის სიღრმე და ნაზი ფიქრები დაკარგული აქვს.

სწორი პასუხები

ბ.გამოტოვებულ ადგილებზე ჩასასმელი სწორი პასუხები.

1. ადამიანი
2. ადამი
3. მონანიება - ღმერთზე მიტევების თხოვნა
4. ალლაჰის ცნობებსა და საიდუმლოებთან დაკავშირებული ცოდნა;
5. განთიადი.

გ. ტესტების სწორი პასუხები

1-გ	2-გ	3- ბ	4-დ	5-დ	6-ბ
7-გ	8-გ	9-დ	10-დ	11-გ	12-დ



წმინდა ილიონსი

ზეციური საოცრების საიდუმლოს მატარებელი

წმინდა იდრისი

გადმოცემის მიხედვით, წმინდა იდრისი ბაბილონში დაიბადა. ბაბილონი, ტიგროსისა და ევფრატის მდინარეებს შორის, მესოპოტამიის მხარეში მდებარე დასახლებული ადგილია. იდრისი წმინდა ადამის მეექვსე თაობის შვილიშვილი იყო. ის წმინდა შიტის გვარის წარმომადგენელი შუამავალია. ყურანში მის შესახებ ოთხი აიათია მოცემული.

წმინდა იდრისი, სანამ შუამავალი გახდებოდა, ძალიან ბევრ ღვთისმსახურებას ასრულებდა, ღვთისმოსავ ადამიანებში ირიცხებოდა. საკუთარი ხელით მოპოვებული შემოსავლით არსებობდა.

კაენის მოდგმის საზოგადოებაში ცხოვრობდა, შიტის ნაჩვენებ გზას საკმაოდ მოშორებული საზოგადოება, ამქვეყნიური თუ საიქიო მიმართულებით, საკმაოდ გადაგვარებული იყო. ალლაჰის წინაშე მონა-მსახურობის მოვალეობა დაევიწყებინა, ყოველგვარ აკრძალულ ქმედებასა თუ ბოროტებას ჰალალად თვლიდნენ. უსამართლობის უკიდურეს ზღვარზე იდგნენ. გამჩენმა ღმერთმა, იმისთვის, რათა ამ მოდგმისათვის ჭეშმარიტება შეემეცნებინა, წმინდა იდრისი შუამავლად მოუვლინა. მას ოცდაათგვერდიანი ღვთიური წერილი მოუვლინა და მით ალლაჰის ბრძანებები და აკრძალვები ამცნო. იდრისმაც ეს ბრძანებები და აკრძალვები ხალხს უქადაგა.

გადმოცემის მიხედვით, მისი მოდგმისგან, დაახლოებით, ათასმა ადამიანმა ირწმუნა. ანგელოზები შუამავალ იდრისთან ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდნენ და მას ესაუბრებოდნენ.

იდრის შუამავლის მიერ თავისი მოდგმისთვის ჭეშმარიტების შესამეცნებლად ნაქადაგები ბრძნული სიტყვებისა და რჩევებისგან,

ურმიე
ჰამადანი
ბაბილონი
ბაბილონის ყურე
ქალაქი
ნაფთა
ქერბალა
ნაჯაფი
ზესკარი
ჰილა
ვარკა
ბასრა
ეგვიპტე
ქალაქი
ქალაქი
ქალაქი

ზოგიერთი ესენია:

ჭკვიანი ადამიანის საფეხური როგორც კი მაღლდება, მისი მორჩილება იზრდება.“

„ჭკვიანი ადამიანი სხვის ნაკლს არ შეხედავს, წუნს ადამიანს სახეში არ მიახლის. როგორც კი ქონება გაეზრდება, არ გამედიდურდება და ზნეობა არ გაუფუჭდება.“

„ის, ვინც სულიერად არ იწმინდება, გონიერი არ არის!“

„საიქიოსა და ამ ქვეყნის სიყვარული ერთად ვერ იქნება!“

„ვედრების დროს თქვენი მიზანი გულწრფელი უნდა იყოს!“

იდრისი სიცოცხლის დასასრულისკენ დიადი ღმერთის ნებით ცად იქნა ამაღლებული. ეს საკითხი სურა მერიემის 56 - 57-ე აიათში ასეა გამოხატული: **„უეჭველად, იგი იყო ჭეშმარიტი შუამავალი და აღვამაღლეთ ჩვენ იგი მაღალ ადგილზე!“**

ეს უმაღლესი საფეხური განმარტებულია, როგორც უზენაეს ალლაჰთან ახლოს, სამოთხედ ან ზეცის მეოთხე საფეხურად. სწორედც, საჰიჰი ბუჰარისა და საჰიჰი მუსლიმის წყაროებში მოცემულ ჰადისებში მისი ცად ამაღლებაა გადმოცემული:

„მე ცად ამაღლებისას ზეცის მეოთხე საფეხურზე იდრისს შევხვდი. ჯებრაილმა მითხრა:

„ვისაც ხედავ, ეს იდრისია, მიესალმე მას!“

მე მას სალამი მივეცი. მანაც სალამზე მიპასუხა. შემდეგ მითხრა:

„მობრძანდი ღვთისმოსავო ძმაო, ღვთისმოსავო შუამავალო!“

ის, რომ წმინდა იდრისი გულწრფელი, სამართლიანი და მომთმენი შუამავალი იყო, ყურანში ასეა მოცემული:

„და ახსენე წიგნში იდრისი: უეჭველად, იგი იყო ჭეშმარიტი შუამავალი!“ *(სურა მერიემი, აიათი 56)*

„(გაიხსენე) ისმაილი, იდრისი და ზულ-ქიფლი. ყოველი მათგანი იყო მომთმენი!“ „და შვიყვანეთ ჩვენ ისინი ჩვენეულ მოწყალებაში. უეჭველად, ისინი იყვნენ მართალთაგანი!“ *(სურა ენბია, აიათები 85, 86)*


აიათებში შუამავლების მოხსენიება, როგორც „ღვთისმოსავი, ერთგული და მომთმენი“, მათი ღირსების გამოხატულება და ქებაა.

მევლანა, წმინდა ისასა და წმინდა იდრისის შესახებ, რომლებსაც საერთო განსაკუთრებული მახასიათებელი აქვთ, ასე ამბობს:

„იდრისი და ისა არაჩვეულებრივი თავშეკავებისა და ბრძოლის შედეგად ანგელოზების მსგავს არსებებად იქცნენ. სადაცაა ისეთ მდგომარეობაში ჩადგებოდნენ, როცა არც ჭამა დასჭირდებოდათ და არც სმა. ისინი ანგელოზებივით ცად ამაღლდნენ.“

მევლანა ამ მაგალითით გამოხატავს იმას, რომ წმინდა იდრის-

მა და წმინდა ისამ თავშეკავებითა თუ ბრძოლით ამქვეყნიური სულიერი ვნებები დათრგუნეს, თავიანთ თავში მშვენიერება აღმოაჩინეს და ანგელოზებივით ცად ამაღლდნენ. ეს გვაჩვენებს, რომ სულისა და გულის განწმენდით, სხვა ადამიანებიც შეძლებენ, უმაღლეს საფეხურამდე ამაღლებას.



კაცობრიობის ისტორიაში შუამავლები იმყოფებოდნენ სულიერი სრულყოფის მწვერვალზე, ასევე, დროდადრო მატერიალურ სრულყოფაშიც პირველები იყვნენ. წმინდა ადამი - მიწათმოქმედის, წმინდა იდრისი კი, თერძის პროფესიას ფლობდნენ. დაწყებული პირველი ადამიანისგან „წერის“ კულტურა იდრისის დროს საკმაოდ განვითარდა. ამავე დროს მან საფუძველი ჩაუყარა დღევანდელი ქიმიისა და ფიზიკის მეცნიერებებს, ამგვარად, მან კაცობრიობას გზა გაუხსნა.

წმინდა იდრისი პირველი შუამავალია, რომელსაც ღვთიური წერილი მოევლინა.

მისი ერთგულება, სამართლიანობა და ზნეობა ყურანშია შექებული.

ჯერ კიდევ ამქვეყნად ყოფნისას, ის დიადმა ღმერთმა უმაღლეს საფეხურზე აიყვანა. მოთმინების წყალობით ის თავისი მოდგმისთვის უბადლო მაგალითად იქცა, ხოლო როგორც ღვთისმოსავმა მონა-მსახურმა, ღმერთის წყალობა დაიმსახურა.

გულის სამყარო და საიდუმლო

იდრის შუამავლის ცხოვრება გვიჩვენებს ზეციური საოცრებების საიდუმლოსა და იმას, თუ როგორ მიიღწევა განწმენდილი გულით ღვთიურ გამოვლინებებთან. აგრეთვე, გვიჩვენებს, რომ ადამიანს შეუძლია დაეშვას ცხოველზე დაბალ დონეზე, ან ამაღლდეს ანგელოზზე მაღლა.

მართლაცდა, ალლაჰის წყალობით, გულის განწმენდით, რომელიც სხეულისა და სულის ცენტრია, ადამიანმა შესაძლოა მიაღწიოს ანგელოზებზე მაღალ საფეხურამდეც კი, თუმცა, გარეგნულად ის სხვა ადმიანებისგან არაფრით გამოირჩევა.

ეს თავისებურებები იდრის შუამავლის ცხოვრებაში სრულყოფილად განხორციელდა, ამიტომა აქ, გულის სამყაროზე უფრო ფართო ინფორმაციის წარმოდგენა სასარგებლო იქნება. თანაც ადამიანისგან ამქვეყნად ხომ მხოლოდ იმას ითხოვენ, რომ „უნაკლო“ გულის პატრონი იყოს. უზენაესი ალლაჰი სურა „შუარას“ 88-ე და 89-ე აიათებში ბრძანებს:

يَوْمَ لاَ يَنفَعُ مَالٌ وَلاَ بَنُونَ إِلَّا مَنْ أَتَى اللهَ بِقَلْبٍ سَلِيمٍ

„იმ დღეს, როცა არც სიმდიდრე, არც ძენი არავის წაადგება, გარდა იმისა, ვინც წარსდგება ალლაჰის წინაშე უბიწო გულით!“

ამქვეყნად ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვალეობა და სერიოზული საზრუნავი, სიკვდილის შემდგომი, მარადიული ცხოვრებისთვის მომზადებაა. ეს კი, გულის სიმართლის ცოდნით, ყოველგვარი საფრთხისა და ბოროტებისაგან მისი დაცვით, მაღალი ზნეობისკენ მიმართვითაა შესაძლებელი. ამქვეყნიური სიმშვიდე, ბედნიერება თუ საიქიო მარადისობის მოპოვება, უნაკლო გულითაა შესაძლებელი.

გულს, ლექსიკური განმარტებით, მისი კონტრასტი არ მოეპოვება, ფორმასა და ფერს არ იცვლის. გული, სულის, ვნების ან ეშმაკის ზეგავლენით მთელი სიცოცხლის მანძილზე ირყევა.

სულიერებით აღსავსე გულები მაღალ ზნეობას, ღვთისმოსავ ქმედებებსა და სულიერებას ავლენენ. ამგვარად, ადამიანი „ყველაზე ლამაზი წყობისკენ“ იღებს გეზს. ბოროტებით აღვსილი გულები კი ურწმუნოებაში, ცუდ ზნეში, ვნებასა და ეჭვიანობაში იძირებიან, დაკნინებული რჩებიან. გული შექმნის მიზნის საწინააღმდეგოდ მიდის და ცხოველების საფეხურზე დაბლა ეშვება. აიათში ნაბრძანებია:

„ვფიცავ, ჩვენ გავაჩინეთ ბევრი ჯინი და ადამიანი ჯოჯოხეთისთვის. მათ გული აქვთ, რომლითაც არ შეიმეცნებენ და მათ თვალები აქვთ, რომლითაც არ დაინახავენ და მათ ყურები აქვთ, რომლითაც არ შეისმენენ. ეგენი პირუტყვებივით არიან, ოღონდ უფრო გზააბნეულნი მათზე. ისინი უგულისყურონი არიან!“ *(სურა ელრაფი, აიათი 179)*

გულისგან ეშმაკის მოშორება მხოლოდ ღვთისმსახურებით, ალლაჰის ხსენებით, ღვთისმოსავებთან საუბრითა და მსგავსი ლამაზი ქცევებითაა შესაძლებელი. ამის შედეგად ადამიანში ღვთისმოსაობა ვლინდება. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

إِنَّ أَكْرَمَكُمْ عِندَ اللهِ أَتْقَاكُمْ

„უეჭველად, თქვენგან ყველაზე პატივდებული ალლაჰის წინაშე თქვენში ყველაზე უფრო ღვთისმოშიშია. *(სურა ჰუჯურათი, აიათი 13)*

ღვთისმოსავობის ასეთი მდგომარეობის დასაცავად, აუცილებელია სანდო, კეთილ ადამიანებთან ურთიერთობა და საუბარი.

როგორც თანამედროვე სოციალური ფსიქოლოგია ამტკიცებს, ადამიანი არის არსება, რომელზეც გარემო ახდენს ზემოქმედებას. ისე, როგორც ზოგიერთი გადამდები დაავადება, ადამიანების ხასიათი და მდგომარეობა ერთმანეთზე ვრცელდება, რადგანაც სულებს შორის კავშირი არსებობს. ენერგიული და შთამბეჭდავი პიროვნებების სულიერი თვისებები, მათთან ერთად მყოფებს მათი უნარის პროპორციულად გადაედებათ. ამგვარად, ღვთისმოსავ და ერთგულ ადამიანებთან ურთიერთობაში მყოფნი, მათ ემსგავსებიან. ყურანში ამის საფუძველზე ღვთისმოსავობის დაცვაა ნაბრძანები:

„ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გეშინოდეთ ალლაჰის და იყავით მართალთა გვერდით!“ *(სურა თევბე, აიათი 119)*

გულის საფეხურები

1. მკვდარი *(დალუქული)* გულები

გულები, რომლებიც ცხოველებზე უფრო დაბალ საფეხურზე დგანან და არავითარ სულიერ ღირსებას არ ატარებენ, ამქვეყნად ჭამა - სმით, გართობით ან მსგავსი დროებითი მისწრაფებებით არიან დაკავებული, მკვდარი (დალუქული) გულებია. ისე, როგორც მიწაში გვამი გაქრება, ასევე მკვდარი გულები უარყოფის წყვდიადში ჩაიკარგებიან და უკუღმართობაში გადავარდებიან. ისინი არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ ახლობლებსაც სამწუხარო დასასრულისკენ მიერეკებიან.

ასეთი გულის მქონე ადამიანები, მიუხედავად იმისა, რომ ალლაჰის ნაწყალობევ უამრავ სიკეთეს ფლობენ, მათ მწყალობელს უარყოფენ, მის ბრძანებებსა და აკრძალვებს არ ემორჩილებიან, უმადურნი არიან და უზნეოდ იქცევიან. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„ისინი ყრუნი, მუნჯნი და ბრმანი არიან, ამიტომ ჭეშმარიტ გზას არ დაუბრუნდებიან.” *(სურა ბაყარა, აიათი 18)*

„ალლაჰმა დალუქა მათი გულები და მათი სასმენელი, რიდე (საფარველი) აქვთ თვალებზე (ჩამოფარებული), და მათი ხვედრი საშინელი სასჯელია.” *(სურა ბაყარა, აიათი 7)*

აიათში მოხსენიებული ის ადამიანები, ვისაც გულები დაკეტილი ან დალუქული, ხოლო ჭეშმარიტებისა თუ სიკეთის კარები დახშული აქვთ, არიან ისინი, ვისაც მორალურ ცხოვრებასთან კავშირი გაწყვეტილი აქვთ. მათ გულზე დადებული საკეტის გახსნა მხოლოდ მათ მიერ მივიწყებულ ალლაჰს შეუძლია. ამგვარ მდგომარეობაში რომ არ ჩავარდნენ, ალლაჰი მონა-მსახურებს აფრთხილებს:

وَلَا تَكُونُوا كَالَّذِينَ نَسُوا اللَّهَ فَأَنسَاهُمْ أَنفُسَهُمْ أُولَئِكَ هُمُ الْفَاسِقُونَ

„და არ იყოთ იმათი მსგავსი, რომელთაც დაივიწყეს ალლაჰი, და დაავიწყა თავიანთი თავი. სწორედ, რომ ისინი არიან გზასაცდენილნი.“ *(სურა ჰაშრი, აიათი 19)*

2. ავადმყოფი გულები

ისინი ადგილს ჯანსაღ და მკვდარ გულებს შორის იკავებენ. ყურანში ავადმყოფი გულების შესახებ ასეა ნაბრძანები:

„მათ სენი აქვთ გულებში. ამ სიცრუის სანაცვლოდ ალლაჰი მათ გაუმწვავებს სენს, რის გამოც უაღრესად მწარე სასჯელი მოელით.“

(სურა ბაყარა, აიათი 10)

ამგვარი გულის მქონე ადამიანების მდგომარეობა ჰგავს იმ ადამიანების მდგომარეობას, რომლებიც სხეულის ავადმყოფობის გამო იტანჯებიან. მათ ამქვეყნიურ ცხოვრებაში — ჰარმონია, შიდა სამყაროში კი სიმშვიდე არ არსებობს. გარე სამყაროს მოუწესრიგებლობა კი, შიდა სამყაროს ნეგატიური გავლენის ქვეშ ტოვებს. უზენაესი ალლაჰი ამ ადამიანების მდგომარეობას ასე გვამცნობს:

„აი ისინი, რომელთაც ჭეშმარიტების ფასად ცდომილება იყიდეს. მათი ეს ვაჭრობა კი სარფიანი არ გამოდგა, რადგან ვერ გაიგნეს გზა ჭეშმარიტი.“ *(სურა ბაყარა, აიათი 16)*

ეს ნიშნავს, რომ ალლაჰის აიათების გაგებას გულის ავადმყოფობა აბრკოლებს. გულში ავადმყოფობას კი აჩენს სიამაყე, შური, ამქვეყნის სიყვარული და მსგავსი გრძნობები. სანამ ეს ადამიანები გულს არ გაიწმენდენ, ყურანის საიდუმლოებებს ვერ ჩასწვდებიან. აიათში ნაბრძანებია: **„ჩემი სასწაულებისგან განვაშორებ მათ, რომელნიც უსამართლოდ მედიდურობენ დედამიწაზე. და რომც იხილონ ყველა სასწაული, არ ირწმუნებენ მას და რომც დაინახონ გზა ჭეშმარიტი, არ აირჩევენ მას გზად.“** *(სურა ელრაფი, 146)*

ეს ნიშნავს, რომ თუ გულმა მორალური აღზრდის გზით წარმატებას ვერ მიაღწია, ყურანის, სამყაროსა და ადამიანის საიდუმლოებებში ჩაწვდენას ვერ შეძლებს. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„(ძვირფასო შენს წინააღმდეგ გამოსულებს) **განა არ უმოგზაურიათ დედამიწაზე, მათ გულს განა არ შესწევდა გაგება, ხოლო ყურებს შესმენა? უეჭველად, თვალი კი არ ბრმავდება, არამედ გული მკერდში!“** *(სურა ჰაჯი, აიათი 46)*

ეს არის იმის გაცხადება, რომ გაკვეთილის მისაღებად სამყაროზე შეხედვა გულებს აცოცხლებს, რაც მათი მკურნალობის საშუალებაა.

ქვემოთ მოცემული ჰადისი რა კარგად გამოხატავს გულის ყოველგვარი ავადმყოფობისგან დაცვის საჭიროებას:

„იცოდეთ, რომ ადამიანში ერთი ხორცის ნაჭერია. თუ ის კარგად არის, მთელი სხეული კარგად იქნება; ის თუ გაფუჭდება, მთელი სხეული გაფუჭდება. აი, ეს - გულია.“ (ბუჰარი, იმანი, 39)

შედეგად, ავადმყოფი გულის მიერ შესრულებული ქმედებები ღმერთის საფეხურებზე ფასს კარგავს. გულები, სანამ ღვთიური ნათელით არ განათდება, ბრმა და უგრძნობია. სამყაროს უამრავ ღვთიურ აღკაზმულობასა და ბრწყინვალებას ვერ ამჩნევს.

3. დაუდევარი გულები

ადამიანი, რომელიც ღმერთის ხსენებისგან შორს დგას, ადამიანობის პატივს კარგავს. აიათში ასეა გაცხადებული:

فَوَيْلٌ لِلْقَاسِيَةِ قُلُوبُهُم مِنْ ذِكْرِ اللهِ أُوْلَئِكَ فِي ضَلَالٍ مُبِينٍ

„ვისი გულიც განავრცო ალლაჰმა ისლამისთვის, უკვე იგი ადგას ნათელსა ზედა თავისი ღმერთისგან. ვაი მათ, ვისი გულიც გაქვავებულია ალლაჰის ხსენებისგან. სწორედ ისინი არიან ცხად გზააბნევაში.“ *(სურა ზუმერი, აიათი 22)*

„მათ ძმებს (ურწმუნოებს) ჩაითრევენ ისინი ჯოჯოხეთისკენ, მაგრამ მაინც არ მოიშლიან ეგენი (ურწმუნონი).“ *(ელრაფი, 202)*

იმისთვის, რომ არ ვიქცეთ ადამიანებად, რომელთაც ეშმაკი თავს არ ანებებს, ადამიანებად, რომელთა ქმედებები და ღვთისმსახურებებიც მიუღებელია, სულიერი მკურნალობაა საჭირო. ამის გზა კი არის ის, რომ უპირველესად ამ ხუთ პრინციპს უნდა მივაქციოთ ყურადღება:

ა) ალალი ლუკმით კვებას:

აუცილებელია, რომ ჩვენი სხეული ჰალალი ლუკმით გამოვკვებოთ, რადგან ღვთისმსახურებების შესრულება შეგვიძლია იმ ენერგიისა და ძალის საშუალებით, რომელსაც სხეულის კვების გზით ვშოულობთ. უაზრობაა სულიერების დანაყოფს ველოდოთ იმ ღვთისმსახურებებისგან, რომლებიც შესრულებულია არა ჰალალი ლუკმის შედეგად მიღებული ენერგიით. საკვები, რომელიც ჰალალი არ არის, ადამიანს წინდაუხედავად აქცევს.

აქედან გამომდინარე, სუფისტები გულის ცხოვრების მოსართავად ორ საკითხს აქცევდნენ ყურადღებას: „ჭამის დროს ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ საკვებს, რომელსაც ვიღებთ, საუბრისას იმ სიტყვებს, რომელსაც წარმოვთქვამთ!“

ბ) ყურანის დაფიქრებით წაკითხვასა და ნამაზის მორჩილებით შესრულებას:

ყურანის კითხვისას მის ბრძანებებსა და აკრძალვებზე დაფიქრება, მასში მოთხრობილი ისტორიებისგან კი გაკვეთილის აღებაა საჭირო. ყურანის კითხვისას თუ მის შინაარსზე დავფიქრდებით, მისგან მიღებული ნაყოფითა და ზეგავლენით გულებს გავიწმენდთ. ღვთისმსახურებისას მორჩილებისა და სიმშვიდის მოპოვება ამ გზითაა შესაძლებელი.

„საცოდავნი არიან ლოცვის ამგვარად შემსრულებლები, მათი

ლოცვა სერიოზულად არ არის მიღებული.“ სურა მუყმინუნში უზენაესი ალლაჰი გვამცნობს, რომ თავს იხსნიან მორწმუნენი, რომლებიც ლოცვას მორჩილად და მოკრძალებით შეასრულებენ.

قَدْ أَفْلَحَ الْمُؤْمِنُونَ الَّذِينَ هُمْ فِي صَلَاتِهِمْ خَاشِعُونَ

„უეჭველად, ნეტარ არიან მორწმუნენი! ისინი, რომელნიც თავიანთი ლოცვაში მოკრძალებულნი არიან!“ *(მუმინუნი, 1, 2)*

ბაჰაედდინ ნაქშიბენდს ჰკითხეს:

- ადამიანი სრული მოკრძალებით ლოცვას როგორ შეასრულებს?

მან უპასუხა:

ოთხი რამით:

1. ჰალალი ლუკმით.
2. აბდესის აღებისას უყურადღებობისგან შორს დგომით.
3. ლოცვის პირველი თექბირის აღებისას იმის შეგნებით, რომ ალლაჰის წინაშე იმყოფება.
4. ლოცვის გარდა სხვა დროსაც ალლაჰის არდავიწყებით.

გ) განუწყვეტლივ ალლაჰის ხსენებით:

ყურანში 250-ზე მეტ ადგილას ღმერთის სახელის მოხსენიება ამ თემის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. ღმერთის ხსენება ნიშნავს, რომ ადამიანს ის არასდროს ავიწყდება. უზენაესი ალლაჰი ასე ბრძანებს:

„გულში ახსენე ღმერთი შენი მოწიწებით და შიშით, და არა ხმამაღალი სიტყვებით, დილით და საღამოს. და ნუ იქნები უგუნურთაგანი!“ *(სურა ელრაფი, აიათი 205)*

დ) განთიადისას ფხიზლად ყოფნა:

დღისით გადატვირთული სხეულისა და სულისთვის სიმძიმის მოშორება, საკუთარი, შიდა სამყაროსკენ მიმართვა, ღამის მყუდროებაში გახვევითაა შესაძლებელი. იმათთვის, რომლებიც გულში ღმერთისადმი ღვთისმსახურების შესრულების გამო სიმშვიდეს განიცდიან, ღამეზე უფრო ლამაზი სამოსი არ არსებობს. ისინი ღამის სიჩუმესა და მარტოობაში ღმერთთან შეხვედრის ღრმა სიხარულს განიცდიან. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ღამის ერთი ნაწილის ფხიზლად გატარება, მისი ნაყოფისა და ბარაქის გამოყენება. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„ახსენე სახელი შენი ღმერთის დილით და საღამოს! და ღამით,

სეჯდე აღასრულე მისთვის და ადიდე ღამით ხანგრძლივად.“ *(სურა ინსანი, აიათი 25, 26)*

დღეს, ღამის მსგავსი სიმშვიდის მონიჭება არ შეუძლია. ისინი, ვონც არ იცინ ღამის ფასი, დღის სიკეთეს ვერ გაიგებენ. ღამის ფუჭად გატარება, განთიადის დროის დაკარგვა, დილის კეთილდღეობისა და ბარაქის განიავების ტოლფასია. ამ გადასახედიდან, იმისთვის, რომ ღამის მადლიანობით ისარგებლო, აუცილებელია განთიადის ღვთისმსახურებით გატარება.

كَانُوا قَلِيلًا مِنَ اللَّيْلِ مَا يَهْجَعُونَ وَبِالْأَسْحَارِ هُمْ يَسْتَغْفِرُونَ

„(ვინც ნამდვილად ღვთისმოშიშნი არიან) **ცოტას თუ წაიძინებდნენ ღამით. და ალიონზე მიტევებას ეაჯებოდნენ ისინი.“** *(სურა ზარიათი, აითები 17, 18)*

تَتَجَافَى جُنُوبُهُمْ عَنِ الْمَضَاجِعِ يَدْعُونَ رَبَّهُمْ

خَوْفًا وَطَمَعًا وَمِمَّا رَزَقْنَاهُمْ يُنفِقُونَ

„(ის ადამიანები ღამეს ნამაზის ლოცვას და ღმრთისადმი ცოდვების მიტევებაში ატარებენ) **ისინი საწოლებს განშორდებიან თავიანთ ღმერთზე შესავედრებლად ძრწოლვით და სასოებით, და რა სარჩოც ვუბოძეთ, გაიღებენ იქიდან!“** *(სურა სეჯდე, აიათი 16)*

„და ღამის ერთ ნაწილში ილოცე ყურანით, კერძოდ, შენთვის განსაკუთრებული დამატებითი ლოცვა. ეგების ღმერთმა შენმა მოგმადლოს ადგილი ქებული!“ *(სურა ისრა, აიათი 79)*

ე) ღვთისმოსავ და სანდო ადამიანებთან ერთად ყოფნა:

გულის დაცვისა და აყვავებისთვის აუცილებელია სანდო და ღვთისმოსავ ადამიანებთან ერთად ყოფნა. გულს ახლომყოფ ადამიანებზე, ჩვეულებრივ, მაგნიტური ძალა აქვს. დაახლოებული ადამიანების ხასიათებს შორის ტრანსფერი ხორციელდება. სულით ძლიერი ადამიანები სულით სუსტ ადამიანებზე ზეგავლენას ახდენენ, მათთვის შთაგონების წყარო არიან ანუ ერთგული და ღვთისმოსავი ადამიანების თანაგრძნობა, გულისხმიერება, სულის სიღრმე და ღირსებები გარშემომყოფებზე ვრცელდება. იმის მიზეზი, რომ შუამავლის თანამიმდევრები, მუსლიმებს შორის ყველაზე ღირსეული იყვნენ, იყო ის, რომ ისინი შუამავალს ესაუბრებოდნენ, მათ წილად ხვდათ ბედნიერება მისი ბარაქისგან წილი მიეღოთ.

გული, პოზიტიური იქნება თუ ნეგატიური, განიცდის იმ კლიმატის ზეგავლენას, სადაც იმყოფება. აქედან გამომდინარე ისინი, ვინც ღვთისმოსავებთან ერთად არიან, დროთა განმავლობაში, შესაძლებლობების ფარგლებში, ღვთისმოსავნი ხდებიან. ხოლო ისინი, ვინც ცოდვილებთან ერთად არიან, ცოდვილები ხდებიან.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

يَا أَيُّهَا الَّذِينَ آمَنُواْ اتَّقُواْ اللهَ وَكُونُواْ مَعَ الصَّادِقِينَ

„ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გეშინოდეთ ალლაჰის და იყავით მართალთა გვერდით!“ *(სურა თევბე, აიათი 119)*

მდგომარეობების გადადება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიყვარულისა და ურთიერთობის პროპორციულია. იმისთვის, რომ სრულყოფილ მორწმუნედ ქცევა შეძლო, აუცილებელია სანდო და ღვთისმოსავ ადამიანებთან ურთიერთობა, მათი სიყვარული და მათთან ახლოს ყოფნა. ამგვარად, სასურველი შედეგის მიღება შეიძლება.

ალლაჰის შუამავალი, ისე, როგორც ღვთისმოსავ ადამიანებთან ერთად ყოფნის მნიშვნელობას აღნიშნავს, ასევე საუბრობს იმაზეც, რომ აუცილებელია საფლავიც მათი განსასვენებლის გვერდით იყოს: *„გარდაცვლებისას ღვთისმოსავ ადამიანთა ახლოს დაიმარხეთ!“ (დეილემი, მუსნედი, I, 102)*

4. ღმერთის მხსენებელი გულები

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

وَلَذِكْرُ اللهِ أَكْبَرُ

„რა თქმა უნდა, ალლაჰის ხსენება მნიშვნელოვანია. და ალლაჰი უწყის, რასაც ჩადიხართ!“ *(სურა ანქებუთი, აიათი 45)*

„განა არ დამდგარა დრო იმათთვის, რომელთაც ირწმუნეს, რომ ძრწოდნენ გულნი მათნი ალლაჰის შეხსენებისთვის და იმით, რაც ზემოევლინა ჭეშმარიტებიდან?“ *(სურა ჰადიდი, აიათი 16)*

მათი გულებიც, რომლებიც მუდამ ღმერთის ხსენების მდგომარეობაშია, ღმერთის ხსენებით ბრწყინავს. ვნებაზე სულიერება ბატონობს. გულები რწმენით ერთიანდება, მათი რწმენა ნდობით იმოსება. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

أَلاَ بِذِكْرِ اللهِ تَطْمَئِنُّ الْقُلُوبُ

„მხოლოდ ალლაჰის ხსენებით ჰპოვებს გულნი სიმშვიდეს!“ *(სურა რადი, აიათი 28)*

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გაიხსენეთ ალლაჰი მრავალგზის!“ *(სურა აჰზაბი, აითი 41)*

„ახსენე სახელი შენი ღმერთის და მთელი ძალისხმებით იღვაწე მისკენ ყველაფრისგან შორს.“ *(სურა მუზზემმილი, აიათი 8)*

رِجَالٌ لَا تُلْهِيهِمْ تِجَارَةٌ وَلَا بَيْعٌ عَنْ ذِكْرِ اللهِ

„კაცთ, რომელთაც ვაჭრობა და ყიდვა-გაყიდვა ვერ მოსწყვეტს ალლაჰის მოხსენიებას...“ *(სურა ნური, აიათი 37)*

„რომელნიც ალლაჰს ახსენებენ ფეხზე მდგომარე, მჯდომარე თუ მწოლიარე, და ფიქრობენ ცათა და ქვეყნის გაჩენაზე, (ამბობენ): „ღმერთო ჩვენო! შენ ეს ამაოდ (ტყუილად) არ გაგიჩენია! დიდება შენდა! დაგვიფარე ჩვენ ცეცხლის სასჯელისგან.“ *(სურა ალი-იმრანი, აიათი 191)*

ალლაჰის შუამავალი ბრძანებს:

„ალლაჰის სიყვარულის ნიშანი, ალლაჰის ხსენების სიყვარულია.“ (სუიუთი, ჯამიულ-საღირ, II, 52)

ადამიანები, რომლებიც ღმერთის ხსენებისგან შორს დგანან, იმის გამო, რომ ალლაჰის სიყვარულს არიან მოცილებულნი, ღვთიური გაფრთხილებების ზემოქმედების ქვეშ არ იმყოფებიან:

„...ვაი მათ, ვისი გულიც გაქვავებულია ალლაჰის ხსენებისგან. სწორედ ისინი არიან, ცხად გზააბნევაში.“ *(სურა ზუმერი, აითი 22)*

იმისთვის, რომ ეს გაფრთხილება ტყუილად არ დარჩეს, ნაბრძანები იქნა, რომ ადამიანმა მუდამ ღმერთი ახსენოს და გული მისი ხსენებით უთრთოდეს.

„გულში ახსენე ღმერთი შენი მოწიწებით და შიშით, და არა ხმამაღალი სიტყვებით, დილით და საღამოს. და ნუ იქნები უგუნურთაგანი!“ *(სურა ელრაფ, აიათი 205)*

კვლავაც აიათში ღმერთის ხსენებისგან დაშორების საფრთხე ასეა გამოხატული:

وَمَنْ يَعْشُ عَنْ ذِكْرِ الرَّحْمَنِ نُقَيِّضْ لَهُ شَيْطَانًا فَهُوَ لَهُ قَرِينٌ

„და ვინც თავს აარიდებს მოწყალის ხსენებას, მივუჩენთ მას ეშმაკს. ამგვარად, იგი მისი უახლოესი მეგობარი იქნება.“ *(სურა ზუჰრუფი, აიათი 36)*

„უეჭველად, ისინი ააცდენენ მათ გზიდან, თუმცაღა მათ ეგონებათ, რომ ჭეშმარიტ გზას ადგანან, ხოლო, როცა მოვა ჩვენთან, ეტყ-

ვის: „ნეტავ, ჩემსა და შენს შორის გადაიჭიმოს მანძილი ორი აღმოსავლეთის ტოლი (აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე)! რაოდენ ცუდი ამხანაგი ხარ!“ *(სურა ზუხრუფი, აიათები 37, 38)*

ალლაჰის შუამავალი თავის თანამიმდევრებს, ღმერთის ხსენებისას, შემდეგი სიტყვების გამოყენებას ურჩევდა: „ლა ილაჰე ილლალაჰ“ (არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა), „სუბჰანალლაჰ“ (ალლაჰის ყოველგვარ თვისებას თაყვანს ვცემ) და „ელჰამდულილლაჰ“ (ქება-დიდება და მადლობა ალლაჰს). *(ჰესემი, მეჯმაუზ ზევად, I, 26; იბნ მაჯე, ედებ, 56; აჰმედი ბ. ჰანბელი, მუსნედი, VI, 344)*

ერთ სხვა ჰადისში შუამავალი ﷺ ბრძანებს:

„იმ ადამიანის მდგომარეობა, ვინც ალლაჰს ახსენებს და იმის, ვინც არ ახსენებს, ცოცხალი და მკვდარი ადამიანის მსგავსია.“ (ბუჰარი, დეავითი, 66)

უდიდესი ღმერთი, ადამიანის გარეგნულ მხარეს კი არა, მის შიდა სამყაროს - გულს მეთვალყურეობს. აქედან გამომდინარე, ყოველმა მორწმუნემ ღმერთის სამეთვალყურეო ადგილი, გული უნდა დაიცვას და უნდა იცოდეს, რომ ღმერთის ხსენება მისი მოვალეობაა.

მოკლედ, ალლაჰის ხსენების ერთადერთი მიზანია ადამიანი ღმერთის სიყვარულმა მიწიერი სიყვარულის წყვდიადიდან გამოიყვანოს და გული გაუბრწყინოს, ღმერთის სიყვარულისა და მასთან შესახვედრად გახსნილ ფანჯარას დაამსაგავსოს.

5. ცოცხალი გულები

ცოცხალი გულები შუამავლებისა და წმინდანების გულებია. ღმერთის სახე ამ გულებში სრულყოფილად ვლინდება. ცოცხალი გულის მფლობელნი ყურანის ზნეობის შესაბამისად სრულყოფილებას აღწევენ.

გულები, რომლებიც ალლაჰის ხსენებითაა აღსავსე, მისი მფარველობის ქვეშ იმყოფებიან. იმ დროს გული ღმერთის საიდუმლო სამყაროსკენ საფეხურებით იწყებს სვლას. ღვთიური სამყაროს საიდუმლო, საგნების სინამდვილე, ადამიანისა და სამყაროს საიდუმლო მჟღავნდება. ამგვარად, ადამიანი ღირსეულია მხოლოდ მაშინ, როცა ამჟღავნებს იმ თვისებებს, რაც სუფთა გულის პატრონს ახასიათებს.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„ვერც თქვენი სიმდიდრე და ვერც თქვენი შვილები ვერ დაგაახლოებენ ჩვენთან, მხოლოდ ვინც ირწმუნა და ჰქმნა სიკეთე. სწორედ

მათთვისაა საზღაური ორმაგი, რასაც აკეთებდნენ. და ეგენი იქნებიან სამოთხეში უსაფრთხოდ!“ *(სურა სებე, აიათი 37)*

ეს სხვა აიათში ასეა ნაბრძანები:

„იმ დღეს, როცა არც სიმდიდრე, არც ძენი არავის წაადგება, გარდა იმისა, ვინც წარსდგება ალლაჰის წინაშე უბიწო გულით!“ *(სურა შუარა, აიათები 88, 89)*

ეს ნიშნავს, რომ ალლაჰთან მიახლოება მხოლოდ განწმენდილი, დამშვიდებული გულითაა შესაძლებელი. ყველა ქმედებისა და ღვთისმსახურებისას გულის მიმართულება მნიშვნელოვანია. სწორედ, ყურანში ყურბნის ღვთისმსახურებასთან დაკავშირებულ აიათში ასეა ნაბრძანები:

„უსათუოდ ვერ მიაღწევს ალლაჰთან ხორცნი შესაწირისა და ვერც სისხლნი მისი. მაგრამ მიუვა მას მხოლოდ თქვენი ღვთისმოშიშობა.“ *(სურა ჰაჯჯი, აიათი 37)*

ადამიანი იმდენად მოაზროვნე არსებაა, რამდენადაც თავის საპატიო ადგილს და სრულყოფილებას შეიმეცნებს. რწმენით სიკვდილთან და ღვთიურ სიხარულთან მიღწევის გზა, მუდმივად ღმერთის ხსენებაა. ღმერთო, გვარგუნე ბედნიერება ამ ლამაზი მდგომარეობებისგან წილის რგებისა!

აამინ!

შესაფასებელი კითხვები

ა. უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს

1. უზენაესი ალლაჰი ყურანში წმინდა იდრისის რომელ თვისებებს აქებს?
2. რა არის იმ საზოგადოების სახელი და მახასიათებელი, სადაც იდრისი ცხოვრობდა?
3. მოიყვანეთ მაგალითად ის სიტყვები, რომელთაც თავის მოდგმას იდრისი რჩევის სახით ეუბნებოდა.
4. მიუხედავად იმისა, რომ იდრისი შუამავალი იყო, მისი თავშეკავებითა თუ ბრძოლით, გულის განწმენდა და ვნების დაძლევა რისი მაჩვენებელია?
5. სულიერი მდგომარეობების მიხედვით, რამდენ ჯგუფად იყოფა გულები?
6. რომელ გულებში ვლინდება ღვთიური თვისებები?
7. რას ნიშნავს სუფთა გული? როგორ უნდა მოიპოვო ის ადამიანმა?
8. რა უნდა გავაკეთოთ, რომ არ გვქონდეს დაუდევარი გული?

გ. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები

1. ცნობილია რომ იდრისის მოდგმის დაახლოებით ---------- ადამიანმა ირწმუნა.
2. იდრისს ზეშთაგონებად ---------- წერილი მოევლინა.
3. წმინდა შუამავალი ბრძანებდა: „იცოდეთ, რომ ადამიანში ერთი ხორცის ნაჭერია. თუ ის კარგად არის, მთელი სხეული კარგად არის; ის თუ გაფუჭდება, მთელი სხეული გაფუჭდება. აი ის --------.“
4. იდრისი სიცოცხლის მიწურულს უდიდესი ღმერთის მხრიდან ---------- იქნა ამაღლებული.
5. ღამის ერთ მომენტში შესრულებულ ნაფილე ნამაზს ---------- ეწოდება.

გ. შემოხაზეთ ქვემოთ მოცემული კითხვების სწორი პასუხები

1. ქვემოთ მოცემულთაგან რომელი არ არის იდრისის მოდგმის განადგურების ერთ-ერთი მიზეზი?

ა. იდრისის მოდგმის სააქაო და საიქიო მიმართლებით ძალიან გაფუჭება;
ბ. ყოველგვარი აკრძალული საქმის ჰალალად ჩათვლა და გაკეთება;
გ. იდრისის წამება;
დ. უსამართლობის უკიდურეს ზღვარზე მისვლა.

2. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია იდრისის ის მახასიათებელი, რომელიც ყურანში მოხსენიებული არ არის?

ა. სანდოობა და სამართლიანობა;
ბ. დღისა და ღამის ღვთისმსახურებაში გატარება;
გ. ღვთისმოსავ მონა-მსახურად ყოფნა;
დ. ზეცად ამაღლება.

3. ქვემოთ მოცემული რომელი პირობა არ არის საჭირო ღვთისმოშიშობისთვის?

ა. ყველა ნებაყოფილობითი ღვთისმსახურების შესრულება;
ბ. ღვთისმსახურებების მორჩილებით გაგრძელება;
გ. ალლაჰის ხსენების გულში განთავსება;
დ. ღვთისმოსავებთან ერთად ყოფნა;

4. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის სულიერად დაყოფილი გულების სახე?

ა. ცოცხალი გული;
ბ. სუსტი გული;
გ. ავადმყოფი და დაუდევარი გული;
დ. ღმერთის მხსენებელი გულები;

5. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის მკვდარი გულების მახასიათებელი:

ა. დროებით ვნებებზე მორჩილება;
ბ. სამყაროში და ადამიანში არსებული ყველა საიდუმლო და დახვეწილობა ვერ გამოაშკარავდება;
გ. უარყოფის წყვდიადში ჩაიკარგება;
დ. ალლაჰს ძალიან მცირედ სცემს თაყვანს;

6. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი არ არის გულის უყურადღებობისგან ხსნის გზა?

ა. ყურანის დაფიქრებით კითხვა;
ბ. ჰალალი ლუკმით კვება;
გ ღამით უძილობა;
დ. ღვთისმოსავებსა და სანდო ადამიანებთან ერთად ყოფნა;

სწორი პასუხები

ბ. გამოტოვებულ ადგილებზე ჩასასმელი სწორი პასუხები

1. ათასმა
2. ოცდაათი
3. გულია
4. ზეცად
5. თეჰეჯჯუდი

გ. ტესტების სწორი პასუხები

1- გ	3- ა	5- დ
2- ბ	4- ბ	6- გ


წმინდა
წერილი

წარღვნით დედამიწის ცოდვისგან განმწმენდი


წმინდა ნუჰი/ნოე

წმინდა ნუჰი ის შუამავალია, რომელმაც ალლაჰის მიერ დაკისრებული მისია ბრწყინვალედ შეასრულა. მისი სახელი ყურანში 43 -ჯერ არის მოხსენიებული. ცნობილია, რომ მისი თავდაპირველი სახელები „იეშქური“, „საქინი“ და „აბდულღაფფარი“. ხოლო ზედმეტი სახელები „ნეჯიიულლაჰ“ (ალლაჰის მესაიდუმლე) და „შეიჰულენბია“. წმინდა ნუჰმა ათასი წელი იცოცხლა.

წმინდა იდრისის შემდეგ ადამიანებმა სწორი გზიდან გადაუხვიეს და კერპების თაყვანისცემა დაიწყეს. მხოლოდ ვედდი, სუვა, იეღუსი, იეუქი და ნესრი აგრძელებდნენ შარიათის მიხედვით ცხოვრებას და ქადაგებებს. როგორც კი იდრისის ბოლო ერთგული თანამიმდევარები გარდაიცვალნენ, შემდეგმა თაობებმა, მათ გასახსენებლად, ურწმუნოების წაქეზებით, მათი ქანდაკებები გააკეთეს. ამ ქანდაკებებს ღვთიური ძალა მიაწერეს და კერპთაყვანისმცემლებად იქცნენ. ყოველ ტომს - თავისი კერპი, ყოველ კერპს კი თავისი მსახური ჰყავდა.

ქუფის მხარეში, იმ ტომის, სადაც ნუჰი ცხოვრობდა, სათავეში ქაბილის გვარის წარმომადგენელი, სახელად დერმესილი იდგა. ის ძალიან ბოროტი და უსამართლო ვინმე იყო. ამ ტომში, სადაც უმრავლესობა კერპებს სცემდა თაყვანს, იყო ერთი ჯგუფი ადამიანებისა, რომლებიც მონოთეისტურ რწმენას აღიარებდნენ. ნუჰიც ამ ჯგუფს განეკუთვნებოდა. ის მწყემსობას ეწეოდა და საარსებო ლუკმა პურს ამით შოულობდა. დროდადრო ვაჭრობითაც იყო დაკავებული.

წმინდა ნუჰს ხალხის მიერ კერპებისადმი თაყვანისცემა სასაცილოდ ეჩვენებოდა. მათი ამგვარ უმეცრებამდე დაცემა და კერპთაყვანისმცემლობა უკიდურესად ამწუხრებდა. როცა მას შუამავლობა ებოძა, მის შვილებთან სამთან, ქამთან და იაფეტთან ერთად ძალიან ცოტა ადამიანმა ირწმუნა. მისი შვილი ქენანიც კი ურწმუნოთა შორის აღმოჩნდა.


ერზურუმი
სომხეთი
ჯუდი
დიარბაქირი
კასპიის ზღვა
ჩრდილოეთი
დასავლეთი
აღმოსავლეთი
სამხრეთი
ნუსაიბინი
ჰალეფი
მოსული
ნინოვა
ლაზიკიე
მდ. ჰაბური
ტიგროსი
ხმელთაშუა ზღვა
დამასკო
ჰემედანი
ნიჰავენდი
სპარსეთი
ერაყი
ბაღდადი
ბაბილონი
ურუ
ეილე
არაბეთის ნახევარკუნძული
ბაჰრეინის ყურე

წმინდა ნუჰს შუამავლობის პერიოდში მისი ტომი შეურაცხყოფას აყენებდა და ჩაგრავდა. მშობლიური ტომის ნამოქმედარს 950 წლის განმავლობაში იტანდა. საბოლოოდ იმედი დაკარგა და ტანჯვის ატანის ძალა აღარ დარჩა:

فَدَعَا رَبَّهُ أَنِّي مَغْلُوبٌ فَانْتَصِرْ

„მაშინ შეჰღაღადა თავის ღმერთს: „უეჭველად, მე ძლეული ვარ. მაშ, შემეწიე!“ *(სურა ყამერი, აიათი 10)*

უზენაესმა ალლაჰმა წმინდა ნუჰის ვედრება შეისმინა და მას გემის გაკეთება უბრძანა. სამსართულიანი გემი აშენდა. მასში ოთხმოცამდე მორწმუნე ჩაჯდა. ნუჰმა ყველა ცხოველის თითო წყვილი აიყვანა. მიწიდან ამოხეთქილმა წყლებმა და ციდან წამოსულმა წვიმამ დედამიწა დაფარა. გემი ექვსი თვის განმავლობაში წყალს ზემოდან დაჰყურებდა. შემდეგ უზენაესმა ალლაჰმა ბრძანა:

„და ებრძანა: „ჰეი მიწავ, შთანთქე წყალი შენი! და ჰეი ზეცავ, შესდექ! *(სურა ჰუდი, აიათი 44)*

როგორც კი ეს ბრძანება გაიცა, წყალმა დაიწია და გემი ჯუდის მთაზე გაჩერდა.

გადმოცემის მიხედვით, ნუჰის შვილთაგან - სამისგან არაბები და სპარსები, ქამისგან — ინდოელები, ეთიოპიელები და აფრიკის ხალხები, იაფეტისგან კი—აზიელები და ბერინგის სრუტიდან გადასული ამერიკელები (წითელკანიანები) გამრავლდნენ და დედამიწას მოედნენ.

ნუჰის ტომის თავისებურებანი

1. კერპებს ღმერთებს უწოდებდნენ

პატივისცემისა და გახსენებისთვის შექმნილი ქანდაკებები დროთა განმავლობაში სათაყვანებელ კერპებად იქცნენ. კერპთაყვანისმცემლობამ ადამიანები ისტორიის განმავლობაში ღმერთის გზას დააშორა, გააუკუღმართა ნუჰის ტომიც:

„და თქვეს: არ მიატოვოთ თქვენი ღვთაებები: არც ვედდი და არც სუვაღი, არც იეღუსა, არც იეღუყე და არც ნესრა.“ *(სურა ნუჰი, აიათი 23)*

ვედდი - მამაკაცის, სუვა - ქალის, იეღუსი - ლომის, იეუქი - ცხენის, ნესლი არწივის ფორმისა იყო.

რელიგიები, რომლებიც მონოთეიზმს აღიარებენ, ღმერთის ფორმის გამოსახვისგან შორს დგანან და ადამიანებს იქითკენ მიმართავენ, რომ ღმერთი აბსტრაქტულად შეიმეცნონ. ცდილობენ, ისინი მატერიალიზმისგან უფრო შორს მდგომ სულიერ ჭეშმარიტებას ჩააწვდინონ. მაგრამ ადამიანის გონება იხრება იქითკენ, რომ ღმერთი წარმოიდგინოს რაიმე ერთი ობიექტის სახით. ადამიანი მას თავისთვის ადვილად აღსაქმელ განზომილებებში, გონებაში აცოცხლებს და თანაც, იმ არსებას ამსგავსებს, რომლის ღვთიური ძალის სჯერა. ამას კი ადამიანი კერპთაყვანისმცემლობისკენ მიჰყავს.

იმისთვის, რომ ადამიანი ალლაჰისთვის ფორმის მიცემისგან დაიცვას, ისლამმა ქანდაკებისა და სურათების გაკეთება აკრძალა. ალლაჰს ახასიათებს ერთი განსაკუთრებული თავისებურება, იგი არცერთ არსებას არ ჰგავს. ის, ყველა იმ განზომილებისა და ფორმის, რომლის წარმოდგენაც ადამიანს შეუძლია, შორს დგას.

ამ საკითხთან დაკავშირებით შეიჰ შიბლი ბრძანებს:

„თუ თქვენ ჩათვლით, რომ თქვენს გონებაში ის წარმოიდგინეთ, ეს ფიქრები თქვენ უკან დაგაბრუნებთ. რადგან ასეთი ფიქრები, თქვენს გონებაშია წარმოშობილი და თქვენ მსგავსად, თქვენ შემდეგ წარმოიშვა.“

აქ ძვირფასი შიბლი განმარტავს, რომ აუცილებელია ერთმანეთისგან განვაცალკევოთ ადრე არსებული და შემდეგ წარმოშობილი. ის მოგვითხრობს, რომ ადამიანებისთვის, იმისთვის, რათა თავიანთი გამჩენი იცნონ, არ არსებობს სხვა გზა, გარდა მისი ხსენებისა. მისი ხსენება სხვადასხვა ფორმითა და მეთოდით შეიძლება. წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანი, რომელიც მის დაკონკრეტებას შეეცდება, რა თქმა უნდა, ძალიან სამწუხარო და ცუდ შედეგს მიიღებს.

კიდევ ერთი პუნქტი არსებობს, რომელიც ადამიანს მრავალღმერთიანობაში გადავარდნის საფრთხეს უქმნის. ეს არის იმ ადამიანების საფლავებთან შესრულებული ვედრებები და ხვეწნა-მუდარა, რომლებიც ისეთ ადამიანებად ითვლებიან, რომლებმაც ღვთისმსახურებით უმაღლეს დონეს მიაღწიეს. საკითხი, რომელსაც იქ შესრულებული ვედრებებისა და ლოცვა-მუდარისას უნდა მივაქციოთ ყურადღება არის ის, რომ ამ პიროვნებების პატივისცემამდე ალლაჰს ვცეთ პატივი. რადგან თუ ადამიანი თავის მსგავს რამეს ევედრება, ამას ის მრავალღმერთიანობისკენ მიჰყავს. წმინდა ნუჰის ტომმაც ხომ ეს შეცდომა დაუშვა.

2. მეტისმეტად უსამართლო და ბოროტები გახდნენ

„და ხალხი ნუჰის ამაზე უწინ. უეჭველად, ისინი იყვნენ ყველაზე უსამართლონი და ყველაზე ზღვარგადასულნი.“ *(სურა ნეჯმი, აიათი 52)*

3. არ ერიდებოდნენ არანაირი ცოდვის ჩადენას

„და ნუჰის ხალხი უწინ: უეჭველად, ისინი იყვნენ მეამბოხე ცოდვილი ხალხი.“ *(სურა ზარიათი, აიათი 46)*

4. ყველა კარგი თვისება დაკარგეს, ბოროტი თვისებები შეიძინეს.

„უეჭველად, ისინი იყვნენ უკეთური ხალხი“ *(სურა ენბია, აიათი 77)*

5. იმის გამო, რომ გზას აცდნენ, სინდისის გრძნობა დაეკარგათ.

„უეჭველად, ბრმა (გულის თვალი, სინდისის) **ხალხი იყვნენ ეგენი.“** *(სურა ელრაფი, აიათი 64)*

ქადაგების გრძელი წლები

წმინდა ნუჰი ორმოცდაათი წლის იყო, როცა ჯებრაილი გამოეცხადა და შუამავლობა ამცნო: **„დერმესილსა და მის ტომთან მიდი, მათ ერთი ღმერთის რწმენა უქადაგე!“** წმინდა ნუჰმაც პირობა მისცა, რომ სიცოცხლის ბოლომდე ერთი ღმერთის რწმენას იქადაგებდა. ეს მდგომარეობა ყურანის სხვადასხვა აიათებში ასეა გადმოცემული:

„და აკი, ავიღეთ შუამავალთაგან აღთქმანი: შენგან, ნუჰისგან, იბრაჰიმისგან, მუსასგან და ისასგან, მარიამის ძისგან. დიახ, ჩვენ ავიღეთ მათგან მტკიცე აღთქმა!“ *(სურა აჰზაბი, აიათი 7)*

„და ვფიცავ! ჩვენ წარვგზავნეთ ნუჰი თავის ხალხთან: „უეჭველად, მე ვარ ცხადი შემგონებელი თქვენთვის. არ სცეთ თაყვანი არავის, გარდა ალლაჰისა. უეჭველად, მე მეშინია, რომ არ გეწიოთ თქვენ იმ მწარე დღის სასჯელი!“ *(სურა ჰუდი, აიათები 25, 26)*

ნუჰი თავდაპირველად დავალებას ფარულად ასრულებდა, შემდეგ კი ქადაგება აშკარად დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობაში ყველას სიყვარული მოიპოვა, მას შემდეგ, რაც მას ღმერთის ბრძანებების ქადაგება დაევალა, მისი ძალიან ცოტა ვინმემ ირწმუნა.

ტომის ბელადმა დერმესილმა, როგორც კი გაიგო წმინდა ნუჰის ქადაგების შესახებ, მის გვერდით მყოფებს ჰკითხა:

„ის ვინ არის?“

მათ უპასუხეს:

„მისი სახელია ნუჰ იბნ ლამექი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ტომის წარმომადგენელია, ჩვენ არ მოგვყვება. თავიდან ჭკვიანი იყო, შემდეგ ჭკუა დაკარგა. თავის თავს შუამავალს უწოდებს!“

შემდეგ როგორც კი თქვეს:

„კერპების წინააღმდეგაც გამოდისო!“

დერმესილმა წმინდა ნუჰი თავისთან იხმო და უსაყვედურა:

„სირცხვილი შენ! ჩვენ ღმერთებს უარყოფ?“

დერმესილი და ურწმუნოები, იმის გამო, რომ მის გარშემო ღარიბები იყვნენ შეკრებილი, წმინდა ნუჰს დასცინოდნენ. ურწმუნოები ეუბნებოდნენ:

„უთხრეს: „განა დაგიჯერებთ შენ, რამეთუ მოგყვებიან მხოლოდ მდაბიონი?“ *(სურა შუარა, აიათი 111)*

ეს უმეცარი და უსამართლო ტომი სიამაყის გამო უპოვართ და ღარიბებს მდაბალ ადამიანებად თვლიდა. მაგრამ ნუჰი მასთან დაკავშირებულ ადამიანებსაც ისე იცავდა, როგორც საკუთარ თავს:

„ არ გავყრი მორწმუნეებს...“ *(სურა შუარა, აიათი 114)*

„უეჭველად, ეგენი თავიანთ ღმერთთან მიაღწევენ. მაგრამ მე გთვლი თქვენ უმეცარ ხალხად. ხალხო ჩემო! ვინ შემეწევა ალლაჰის წინაშე, თუ მე მათ გავაგდებ? ნუთუ აღარ შეიგონებთ?“ *(სურა ჰუდი, აიათები 29, 30)*

დერმესილის გარდაცვალების შემდეგ მისი ადგილი მისმა შვილმა ნევლინმა დაიკავა. ის უფრო ბოროტი და უსამართლო ადამიანი აღმოჩნდა.

წმინდა ნუჰი ნევლინის დროსაც ისევე აგრძელებდა ქადაგებას. თავისი ტომი კვლავ აბუჩად იგდებდა, სცემდა და მიწას აყრიდა. მაგრამ ის დიდ მოთმინებას იჩენდა. კერპთაყვანისმცემლები ეუბნებოდნენ:

„შე საწყალო! ამდენი ცემისა და შეურაცხყოფის მიუხედავად, შენსას მაინც არ იშლი?

წმინდა ნუჰი კი მათ ურჩევდა:

„მე გიჟი არა ვარ. თქვენი წინაპრები ახლა იტანჯებიან! გონს მოეგეთ!“

თუ ჩემს ქადაგებას ყურს არ დაუგდებთ, მე ვერ დამაზარალებთ! მე იმის არ მეშინია, რომ ზიანს მომაყენებთ! ალლაჰის იმედად ვარ! თქვენგან რაიმე საზღაურიც არ მინდა!“

ამგვარად გამოხატავდა, რომ მათი არ ეშინოდა.

აიათში ასეა ნაბრძანები:

„(შუამავალმა ნუჰმა თქვა): **ამისთვის არ ვითხოვ თქვენგან საზღაურს, რამეთუ საზღაურს მხოლოდ სამყაროთა ღმერთი მომმადლის!“** *(სურა შუარა, აიათი 109)*

„მაშ, გეშინოდეთ ალლაჰის და დამემორჩილეთ!“ *(სურა შუარა, აიათი 110)*

ჭეშმარიტებას მოკლება

ისტორიის განმავლობაში ზოგიერთ საზოგადოებაში შუამავლების მოტანილი მონოთეისტური რწმენის აუღიარებლობის, ჭეშმარიტების შეუმეცნებლობის მთავარი მიზეზები შემდეგია:

ა) თავშეუკავებლობა და სიშმაგე: მონოთეისტური რელიგიების მიხედვით არსებობს საიქიო ცხოვრება, სადაც ამქვეყნად ჩადენილი ყველა მადლისა და ცოდვის გამო დაგაჯილდოებენ ან დაგსჯიან. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ადამიანის თავისუფლება გაკონტროლდეს და ცხოვრება დარეგულირდეს.

ისტორიის განმავლობაში, ხალხი, რომლებსაც არ სწამდათ საიქიო, კერპებს სცემდნენ თაყვანს, ძალას უსუსურობის ქვეშ ასამარებდნენ და თავიანთი ვნებების ტყვედ იქცეოდნენ. იმის გამო, რომ ამ სზოგადოებებში ქმედებები ამქვეყნიურ ინტერესებზე იყო დაქვემდებარებული, სწამდათ, რომ ამისთვის საიქიოში პასუხს არ აგებდნენ. ამგვარად, მონოთეისტური რწმენისთვის დამახასიათებელი საიქიოს რწმენა მათ არ აწუხებდათ.

სწორედ, ისლამის გამოჩენის შემდეგ, კერპთაყვანისმცემლები სერიოზულად, საიქიო ცხოვრების არსებობის შესახებ ცოდნამ აააღელვა. კერპთაყვანისმცემლებმა დიდი მოუსვენრობა იგრძნეს და ამ ამბავს **„დიდი ამბავი“** უწოდეს. ყურანში მათი ეს მოუსვენრობა ასეა გამოხატული:

„რას ეკითხებიან ისინი ერთმანეთს? დიდებული ცნობის შესახებ, რომლის თაობაზეც ვერ თანხმდებიან ეგენი.“ *(სურა ნებე, აიათი 1. 2. 3)*

ბ) ინტერესების დაკმაყოფილების შეწყვეტა: კერპთაყვანისმცემლებს, რომლებიც კერპებს თავიანთი ინტერესებისა და ვნებების დასაკმაყოფილებლად იყენებენ, მონოთეისტური რწმენისთვის დამახასიათებელი დისციპლინის ატანა და მოწესრიგებული ღვთისმსახურებების შესრულება უჭირდათ.

გ) მოკლებული არიან სამაგალითო პიროვნებებს: მონოთეისტურ რწმენაში არსებობს საჭიროება, ტომებმა შუამავლები

მაგალითად აიღონ. კერპთაყვანისმცემლობაში მაგალითად ასაღები მოდელი და მაგალითის აღების აუცილებლობა არ არსებობს. ისინი ვნებებს აყოლილი მოქმედებენ.

დ) სიამაყე-თავმოწონება: ძლიერი და მდიდარი კერპთაყვანისმცემლები, რომლებიც აგრეთვე ტომების წინამძღოლებიც იყვნენ, შუამავლებსა და მათ მიმდევრებს ამაყად უყურებდნენ. ვინაიდან თვლიდნენ, რომ რადგანაც ისინი ღარიბ და სუსტ ადამინებთან ერთად იყვნენ, საზოგადოებაში ფასს კარგავდნენ

ე) ამქვეყნიური ცხოვრებისადმი მიზიდულობა: იმ მიზეზთაგან ერთ-ერთი, რაც კერპთაყვანისმცემლებს ჭეშმარიტი გზისგან აბრკოლებს, ამქვეყნიური ცხოვრების (ქონების, ადგილ-მამულის, შვილი და სხვა) მიზიდულობაა. ეს მიზიდულობა მათ უყურადღებობაში აგდებს და გულის ხედვას და სინამდვილეს წინ ფარდას ჩამოუფარებს.

აიათში ნაბრძანებია:

„კაცთათვის მიმზიდველი და თვალწარმტაცი გახდა ქალების, ბავშვების, ოქრო-ვერცხლის, დახვავებული საუნჯისა და ნიშანდებული ბედაურების, საქონლის, ნათესების სიყვარული. ოღონდ ეს (ყველაფერი) ამქვეყნიური დროებითი საბადებელია, ხოლო საუკეთესო თავშესაფარი (მარადიული სამყოფელი) ალლაჰთანაა!“ *(სურა ალი-იმრანი, აიათი 14)*

როგორც სურა იუნუსის 71-ე აიათშია გადმოცემული, ნუჰი თავისი ტომის ცუდ მიზნებს ამხელდა და მათ ასე იწვევდა:

1. თქვენი მიზნების შესასრულებლად ყველა გამოსავალი მოიძიეთ!
2. თქვენი პარტნიორები მოიხმეთ!
3. თქვენი ქმედებები სააშკარაოზე გამოიტანეთ! მალულად არ გააკეთოთ, არ მოგერიდოთ!
4. ყველა ბოროტება ჩემკენ მომართეთ!
5. რისი გაკეთების სურვილიც გაქვთ, მაშინვე გააკეთეთ! მე ვადას ნუ დამიწესებთ!

ნუჰის ეს სიტყვები მისი ღმერთის იმედად ყოფნის გამოხატულება იყო.

უბედური ტომის წამების მოთხოვნა

როცა ნუჰმა ადამიანებს ღმერთის რწმენა უქადაგა, ადამიანთა ერთმა ჯგუფმა მას დაუჯერა. ამის შემდეგ მეტად აღარავინ ირწ-

მუნა. ტომის მიერ ნუჰისა და მორწმუნეების ჩაგვრამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია. მათ უმეცრებისგან წარმოშობილი გამბედაობით ღვთიური ტანჯვა ითხოვეს:

„მიუგეს: „ჰეი, ნუჰ! შენ უკვე წინააღმდეგობა გაგვიწიე ჩვენ და გადაჭარბებულიც მოგვივიდა. მაშ, გვაწიე იგი, რაც აღგვითქვი ჩვენ, თუკი ხარ მართალთაგანი!“ *(სურა ჰუდი, აიათი 32)*

ამ ზეშთაგონების შემდეგ, ტირანმა ტომმა, ნუჰის დამცირება და მისი ქადაგების უარყოფა გააგრძელა. ნუჰმა ალლაჰის ნება-სურვილი და მფლობელობის შესაძლებლობა კიდევ ერთხელ შეახსენა:

„უთხრა: მხოლოდ ალლაჰი გაწევთ თქვენ მას, თუკი ინებებს და თქვენ არ ხართ უძლურად დამტოვებელნი. და ვერ გარგებთ თქვენ ჩემი დარიგება, რომც ვისურვო თქვენთვის კეთილი რჩევის მოცემა, თუკი ნებავს ალლაჰს გზას აგაცდინოთ. იგია ღმერთი თქვენი და მასთან იქნებით მიბრუნებულნი.“ *(სურა ჰუდი, აიათი 33, 34)*

უზენაესმა ალლაჰმა, ამ ბოროტ ტომს, რომელიც არაფრით მოეგო გონს, ღვთიური სატანჯველის არსებობის პირველ მაცნედ ორმოცწლიანი გვალვა მოუვლინა. ბავშვები აღარ გაჩნდა, ცხოველები განადგურდა, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავრდნილებმა წმინდა ნუჰს მიმართეს. მან უთხრა:

„კერპების თაყვანისცემა შეწყვიტეთ და მეც თქვენთვის ღმერთს შევევედრები!“

შემდეგ ნუჰი უზენაეს ალლაჰს ასე შეევედრა:

„და ვუთხარი: მიტევება შესთხოვეთ თქვენს ღმერთს, რამეთუ იგი ყოვლისმიმტევებელია. იგი ზეგარდმოგივლენთ ზეციდან უხვად წვიმას და იგი შეგეწევა თქვენ ქონებითა და შვილებით, დაადგენს თქვენთვის ბაღებს და მდინარეებს. *(სურა ნუჰი, აიათები 10-12*

ნუჰმა თავისი მოდგმისთვის რჩევების მიცემა და გაფრთხილება ასე გააგრძელა: **რა გემართებათ თქვენ, რომ არ გულისხმაჰყოფთ ალლაჰის სიდიადეს? როდესაც მან გაგაჩინა თქვენ სხვადასხვა სტადიებში.“ განა ვერ ხედავთ, როგორ გააჩინა ალლაჰმა შვიდი ზეცა სართულებად? და დაადგინა მთვარე მათ შორის სინათლედ და მზე ლამპრად. და ალლაჰმა გაგაჩინა თქვენ მიწისგან მცენარედ, მერე დაგაბრუნებს თქვენ იქ და გამოგიყვანს იქიდან. და ალლაჰმა დაადგინა თქვენთვის დედამიწა ხალიჩად იმისთვის, რომ იმოგზაუროთ მის ფართო უღელტეხილებზე.“** *(სურა ნუჰი, აიათები 13-20)*

მაგრამ ამ ჯიუტმა, კერპთაყვანისმცემელმა ტომმა ბრძნულ რჩევებს ყური არ დაუგდო. ამგვარად:

„თქვა ნუჰმა: ღმერთო ჩემო! უეჭველად, მათ მეურჩნენ მე და გაჰყვნენ იმას, ვისაც ვერ შეჰმატა ქონებამ და შვილმა ვერაფერი,

გარდა ზიანისა. მათ ხრიკი ჩაიფიქრეს უდიდესი და თქვეს: არ მიატოვოთ თქვენი ღვთაებები: არც ვედდი და არც სუვაღი, არც იეღუსა, არც იეღუყე და არც ნესრა. და მათ უკვე ბევრი აცდუნეს, და არა შეჰმატა უსამართლოებს, გარდა ცდომილებისა.“ *(სურა ნუჰი, აიათები 21-24)*

ერთმა მამამ შვილს ნუჰზე მიუთითა და უთხრა:

„შეხედე, მას არ დაუჯერო!“

მანაც მამას ხელიდან ჯოხი გამოართვა და ნუჰს თავში უთავაზა. სისხლგამდინარე ნუჰმა უთხრა:

„ღმერთო! თუ სიკეთეს მისურვებ, მათ ჭეშმარიტება შეამეცნებინე! ან მანამ, სანამ მათ შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებდე, მოთმინება მომეცი, რადგან შენ ყველაზე კეთილი მბრძანებელი ხარ!“

მაგრამ ურწმუნოების მხრიდან განხორციელებულმა ჩაგვრამ უკიდურეს ზღვარს რომ მიაღწია, ნუჰი ღმერთს შეეფარა:


„მაშინ შეჰღაღადა თავის ღმერთს: „უეჭველად, მე ძლეული ვარ. მაშ, შემეწიე!“ *(სურა ყამერი, აიათი 10)*

ნუჰის ტომისგან გარდაცვლილი თაობა, მომდევნო თაობებს ანდერძად უტოვებდა, ნუჰისთვის არ დაეჯერებინათ, მის წინააღმდეგ გამოსულიყვნენ, მასთან ებრძოლათ. მამები შვილებს ეუბნებოდნენ:

„სანამ იცოხლებთ, ნუჰს არ დაუჯეროთ!“

ამ ტომის ადამიანებს სულიერი ბუნება სულ მთლად გაფუჭებული ჰქონდათ. ისინი იყვნენ ადამიანები, რომლებიც ჭეშმარიტებას არ აღიარებდნენ. ამიტომაც ნუჰმა თქვა:

„და თქვა ნუჰმა: ღმერთო ჩემო! არ დატოვო დედამიწის ზურგზე არც ერთი მოსიარულე ურწმუნო. უეჭველად, შენ თუ დატოვებ მათ, აცდუნებენ ისინი შენს მსხურებს და არ შობენ ისინი, თვინიერ თავხედისა ურწმუნოსი. ღმერთო ჩემო! მომიტევე მე, ჩემს მშობლებს და ვინც შემოვიდა ჩემს სახლში მორწმუნედ, და მორწმუნე კაცებსა



და მორწმუნე ქალებს და არაფერი შეჰმატო უსამართლოებს, გარდა განადგურებისა.“ *(სურა ნუჰი, აიათები 26-28)*

ამ თხოვნის შემდეგ გემის გაკეთების ბრძანება მოევლინა.

ნუჰს დასამშვიდებლად უზენაესმა ალლაჰმა შემდეგი ზეშთაგონება მოუვლინა:

„და ზეშთაეგონა ნუჰს, რომ არავინ ირწმუნებს მისი ხალხიდან, გარდა ვინც უკვე ირწმუნა. მაშ, ნუ იდარდებ იმაზე, რასაც ისინი აკეთებენ! და ააგე ხომალდი ჩვენ თვალწინ და ჩვენსავ შთაგონებისამებრ. და არ მომმართო მე იმათ გამო, რომელთაც უსამართლობა ჰქნეს. უეჭველად, დასახრჩობელნი არიან ეგენი!“ *(სურა ჰუდი, აითები 36, 37)*

როცა ნუჰმა გემის მშენებლობა დაიწყო, კერპთაყვანისმცემლებმა მისი აბუჩად აგდება გააგრძელეს:

„და აგებდა იგი ხომალდს და ყოველთვის, როცა მის გვერდით ჩაივლიდნენ მისივე ხალხიდან წინამძღოლები, დასცინოდნენ მას. უთხრა: „თუკი დაგვცინით ჩვენ, უეჭველად, ჩვენც დაგცინებთ ისევე, როგორც თქვენ დაგვცინით. სულ მალე შეიტყობენ, ვის ეწევა დამამცირებელი სასჯელი და ვის დაატყდება მარადიული ტანჯვა.“ *(სურა ჰუდი, აიათი 38. 39)*

ტომი იმდენად ურჩი იყო, რომ ღამე გემის დასაწვავად მივიდა. როცა ვერ დაწვეს ნუჰს უთხრეს:

„ეს შენი ჯადოა!“

ამის შემდეგ მათი მტრობა და შეურაცხყოფა უფრო გაიზარდა. გემში შევიდნენ და ტუალეტად გამოიყენეს, დააბინძურეს. ცოტა ხნის შემდეგ მათ მუნი დაემართათ და იძულებული გახდნენ განსაკურნავად თავიანთი სიბინძურე სახეზე წაესვათ.

მიუხედავად იმისა, რომ უდიდესი ღმერთი მათ ამგვარად აფრთხილებდა, ისინი მაინც არ ეგებოდნენ გონს, არ ფხიზლობდნენ.

მოვლენილი სატანჯველი: წარღვნა

ნუჰმა და მორწმუნეებმა გემი ააგეს ისეთი ხისგან, რომელიც მკაცრ პირობებს გაუძლებდა. გადმოცემების მიხედვით ის სამ სართულიანი ორთქლის გემი იყო, რომელიც ორი ან ოთხი წლის განმავლობაში შენდებოდა.

იბნ აბასის გადმოცემის მიხედვით, გემში ოთხმოცი ადამიანი და ყველა სახის თითო წყვილი ცხოველი იმყოფებოდა. ყველა მოსამზადებელი სამუშაოს დასრულების შემდეგ ნუჰთან ღვთიური ბძანება მოვიდა.

„მაშინ, როცა მოვიდა ჩვენი ბრძანება და აგიზგიზდა თონე, ვუთხარით: „აიყვანე მასში ყველა სახეობიდან წყვილები სათითაოდ,

ასევე ვინც ირწმუნა და ოჯახი შენი, იმათი გამოკლებით, ვისზეც განვლო სიტყვამ. და არ ირწმუნა მასთან ერთად მცირედის გარდა.“ *(სურა ჰუდი, აიათი 40)*

აიათში მოხსენიებულია სიტყვა „თენნურ“, რომლის ერთი მნიშვნელობა ღუმელია. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი მეცნიერი ამბობს, რომ ნუჰის გემი ორთქლის ძრავაზე მუშაობდა.

ნუჰის ერთმა შვილმა მამის დარიგებები და გაფრთხილებები ყურად არ იღო და ამიტომაც მათ შორის მოხვდა, ვინც გემში ვერ ჩასხდა. როცა წმინდა ნუჰის გემი ზევით მიიწევდა, ბოლო მოწოდებამაც არ მოუტანა სარგებელი. აიათში ეს მდგომარეობა ასეა აღწერილი:

„ ...დაუძახა ნუჰმა თავის ვაჟს, რომელიც სანაპიროზე იდგა: „ჰეი, შვილო ჩემო! ჩაჯექი ჩვენთან ერთად და ნუ დარჩები ურწმუნოებთან ერთად!“ მიუგო: „თავს შევაფარებ მთას, მიხსნის მე წყლისგან. “უთხრა: ,,არ არს დამცავი ამ დღეს ალლაჰის ბრძანებისგან გარდა მათი, რომლებზეც წყალობა მოიღო!“ და მაშინ ტალღამ დააშორა ისინი და ასე დამხრჩვალთაგან აღმოჩნდა. (სურა ჰუდი, აითები 42, 43,) 45.

„და შეჰღაღადა ნუჰმა თავის ღმერთს. თქვა: „ღმერთო ჩემო! უეჭველად, ვაჟი ჩემი ჩემივე ოჯახის ნაწილია. და უთუოდ, ჭეშმარიტია აღთქმა შენი. და შენ საუკეთესო მსაჯული ხარ მსაჯულთა შორის!“ *(სურა ჰუდი, აითები 45)*

ნუჰის მიერ შვილის დალოცვა, მას შემდეგ, რაც თავისი ტომი დასწყევლა, მისი ნაკლი, „შეცდომა“ იყო. უმეცართგანი რომ არ ყოფილიყო, ღმერთისგან გაფრთხილება მოუვიდა.

„მიუგო : „ჰეი, ნუჰ! უეჭველად, იგი არ არის შენი ოჯახის ნაწილი. უეჭველად, იგი საქმე არ არის ჭეშმარიტი. მაშ, ნუ მთხოვ იმას, რის შესახებაც ცოდნა არ მოგეპოვება. უეჭველად, შეგაგონებ შენ, რომ არ იყო უმეცართაგანი“! უთხრა: „ღმერთო ჩემო! უეჭველად, მე შენ მოგეკედლები იმისგან, რომ გთხოვე ის, რაც მე არ გამეგება. და თუ არ შემინდობ და არ შემიწყალებ, წაწყმედილთა შორის აღმოვჩნდები.“ *(სურა ჰუდი, აიათები 46, 47)*

ალლაჰმა ნუჰს უბრძანა, რომ ურწმუნოთა გამო არ შევედრებოდა:

„და არ მომმართო მე იმათ გამო, რომელთაც უსამართლობა ჰქნეს. უეჭველად, დასახრჩობელნი არიან ეგენი!“ *(სურა ჰუდი, აიათი 37)*

„მაშინ ზეშთავაგონეთ მას, რომ აეგო ხომალდი ჩვენს თვალწინ, ჩვენივე ზეშთაგონებით. მაშინ, როცა მოვიდა ჩვენი ბრძანება და აგიზგიზდა თონე, „დაუყოვნებლივ აიყვანე მასში ყველა სახეობიდან წყვილები სათითაოდ და ოჯახი შენი, იმათი გამოკლებით, ვისზეც განვლო სიტყვამ. და არ მთხოვო იმათზე, რომელთაც უსამართლოდ

მოიქცნენ, უეჭველად, დასახრჩობი არიან ეგენი!“ *(სურა მუყმინუნი, აიათი 27)*

„(ამ ზეშთაგონების შემდეგ ისე, როგორც შევპირდით) **ამიტომაც ჩვენ გავხსენით ზეცის კარები მოჩხრიალე წყლით. და ამოვხეთქეთ მიწა ნაკადულებად, წყლები შეიყარნენ იმ საქმისთვის, რომელიც წინასწარ იყო გადაწყვეტილი.“** *(სურა ყამერი, აითები 11, 12)*

ზღვაში გასულ გემს მთებივით ტალღები არწევდა. მიუხედავად ამისა, მასში მყოფი წმინდა ნუჰი, მორწმუნენი და სხვა არსებები უსაფრთხოდ იმყოფებოდნენ.

უზენაესი ალლაჰი ყურანში ასე ბრძანებს:


„და იგი მათ მთებივით ტალღებში მიაქანებდა.“ *(სურა ჰუდი, აიათი 42)*

„დაცურავდა ჩვენი მფარველობის ქვეშ ჯილდოდ იმისთვის, რომელიც უარყვეს. და ვფიცავ, ჩვენ დავტოვეთ იგი სასწაულად. მიუხედავად ამისა, განა არის ვინმე, ვინც შეიგონებს? მაშ, როგორი იყო ჩემი სასჯელი და შეგონებანი?! *(სურა ყამერი, აიათები 14, 15, 16)*

წყლების დაწევა

წმინდა ნუჰმა, მანამ, სანამ გემში ჩასხდებოდნენ, მისთვის ნასწავლები, ქვემოთ მოცემული ვედრება წაიკითხა, რის გამოც გემი და მასში მსხდომნი უსაფრთხოდ იყვნენ:

„და როცა შენ და შენთან ერთად მყოფნი ჩასხდებით ხომალდში, მაშინ თქვი: „ქება-დიდება ალლაჰს, რომელმაც გვიხსნა ჩვენ უსამართლო ხალხისგან!“ და თქვი: „ღმერთო ჩემო! მიმიყვანე დალოცვილ ადგილამდე, შენ ხომ საუკეთესო დამსახლებელი ხარ!“ *(სურა მუყმინუნი, აიათები 28, 29)*



თქმულების მიხედვით, წარღვნა რეჯების პირველში დაიწყო და ექვს თვეს გაგრძელდა. შემდეგ ალლაჰმა მიწასა და ცას უბრძანა:

„ჰეი მიწავ, შთანთქე წყალი შენი! და ჰეი ზეცავ, შესდექ!“ *(სურა ჰუდი, აიათი 44)*

საბოლოოდ, გემი, მუჰარრემის მეათე (აშურა) დღეს, ჯუდის მთაზე გაჩერდა. წმინდა ნუჰმა და მორწმუნეებმა მგზავრობის დასასრულს ხსნას მიაღწიეს:



„ამგვარად, ჩვენ ვიხსენით ის და მასთან ერთად მყოფნი სავსე გემით!“ *(სურა შუარა, აიათი 119)*

შემდეგ დიადმა ღმერთმა ნუჰს უბრძანა, რომ:

„ჰეი, ნუჰ! გადმოდი ჩვენმიერი მშვიდობითა და შენდამი სიკეთით და ის ხალხიც, შენთან ერთად რომ არიან. და სხვა ხალხიც, რომლებსაც დროებით ვასაზრდოებთ, მერე კი მიეწევათ მათ მწარე სასჯელი ჩვენგან.“ *(სურა ჰუდი, აიათი 48)*

„მაგრამ იგი ცრუდ შერაცხეს, მერე ვიხსენით იგი და ვინც მასთან ერთად იყო გემში. და დავადგინეთ ისინი მემკვიდრეებად, ხოლო ჩავძირეთ წყალში ისინი, რომელთაც ცრუდ შერაცხეს ჩვენი აიათები. მაშ, შეხედე როგორი იყო აღსასრული შეუგნებელთა?“ *(სურა იუნუსი, აიათი 73)*

დიადი ღმერთი ტირანებზე ამქვეყნად თავსდამტყდარ უბედურებასა და საიქიო სატანჯველს აიათში ასე გვამცნობს:

„თავიანთი ცოდვის გამო დაიხრჩნენ, შემდეგ შეყვანილ იქნებიან ცეცხლში და ვერღა ჰპოვებენ მფარველთ, გარდა ალლაჰისა.“ *(სურა ნუჰი, აიათი 25)*

აშურას დღე

მას შემდეგ, რაც გემი ჯუდის მთასთან მშვიდობიანად მივიდა, წმინდა ნუჰმა და მორწმუნეებმა ღმერთისადმი მადლიერების გამოსახატავად მარხვა დაიჭირეს. დარჩენილი სანოვაგისგან აშურა მოხარშეს.

აქედან გამომდინარე, მთვარის კალენდრის მიხედვით მე-10 მუჰარრემს მოწყალების გაცემა, ტკბილეულის დარიგება და მარხვა სუნნეთია.

აბუ ჰურეირას გადმოცემის მიხედვით, ალლაჰის შუამავალი ამბობდა:

„*რამაზნის გარდა, ყველაზე მადლიანი მარხვა, მუჰარრემში შენახული მარხვა!***“** *(მუსლიმი, სავმი, 38)*

წმინდა აიშე გადმოგვცემს:

„*ყურეიშების მოდგმა, უმეცრების ხანიდან მოყოლებული, აშურას დღეს მარხულობდა. ალლაჰის შუამავალი, მანამდეც მარხულობდა, სანამ შუამავალი გახდებოდა.***“** *(ბუჰრი, სავმი, 69, მენაქიბულ ენსარი, 26, თეფსირი, 2/24)*

ეს ჰადისები აშურას დღეს შენახული მარხვის მნიშვნელობისა და ნაყოფიერების მაჩვენებელია.

წარღვნა მეცნიერების მიხედვით გლობალური იყო. დედამიწის ყველა მხარე წყლით დაიფარა.

ადამიანები ხელმეორედ ამ ოთხმოცი ადამიანისგან გამრავლდნენ. ნუჰის უფროსი შვილი „სამი“ ჭკვიანი, გონიერი და ღვთისმოსავი პიროვნება იყო. მამის შემდეგ რწმუნებულება მას მიეცა. წმინდა ნუჰის სასიკეთო ვედრებების ღირსი გახდა. სავარაუდოდ, ღვთისმოსავი ადამიანები უმეტესწილად მისი შთამომავლებისგან გამრავლდნენ. მეორე შვილის-ქამისგან ინდიელები, ეთიოპიელები და აფრიკის ხალხები გამრავლდნენ; იაფეტისგან კი-რუსები, სლავები და თურქები წარმოიშვნენ.

ოღონდ ადამიანები დროთა განმავლობაში ღმერთის გზას ისევ დასცილდნენ და პოლითეისტები გახდნენ, როცა ვარსკვლავებზე, მზესა და ქანდაკებებზე დაიწყეს თაყვანისცემა.

წმინდა ნუჰი დიდი ხნის განმავლობაში ათასგვარ ტანჯვა-წამებას იტანდა. ამის გამოა, რომ ის, ერთმორწმუნეთათვის უბადლო მაგალითია.

ნუჰის შეცდომები

1. გადმოცემის მიხედვით, წმინდა ნუჰმა ავადმყოფი ძაღლი დაინახა და სახე შეატრიალა; ამის გამო, მოევლინა ზეშთაგონება;

„ნუჰ“ ძაღლი მე გავაჩინე!

2. როცა მისი ტომის ურწმუნოებისა და სიჯიუტის წინააღმდეგ უსუსური აღმოჩნდა, ალლაჰს მიმართა, მისი ტომი დასწყევლა, შემდეგ კი, თავისი შვილის გადასარჩენად შეევედრა. ამის შემდეგ

ღმერთმა ის გააფრთხილა, რომ უმეცართაგანი არ ყოფილიყო!.

ამ შეცდომების გამო, ნუჰმა ბევრი იტირა და ჩადენილი ცოდვების მოსანანიებლად დიად გამჩენს ევედრებოდა.

ამის გამო, აუცილებელია, განურჩევლად ყველა არსებას, გულისხმიერად და მოწყალედ მოვექცეთ, იმიტომ, რომ ისინი ღმერთმა გააჩინა.

ნუჰის ტომის განადგურების უპირველესი მიზეზები

1. კერპებს სცემდნენ თაყვანს და სხვა ადმიანებსაც ამისკენ აქეზებდნენ;

2. ტომში მორწმუნეთა მცირე ჯგუფი იყო. დანარჩენები კი— უარმყოფელები და ურწმუნოები;

3. სიკვდილის შემდეგი ცხოვრებისა და განსასჯელის არსებობის უარყოფა;

4. ნუჰსა და მის მიმდევარ მორწმუნეებს ღარიბი ხალხის ფენასთან ჰქონდათ კავშირი. ამის გამო, მათ „სამარცხვინოებს“ უწოდებდნენ და არაფრად აგდებდნენ, ზემოდან დაჰყურებდნენ;

5. მიუხეადავად იმისა, რომ ნუჰი წარჩინებული და სანდო პიროვნება იყო, მას შემდეგ, რაც შუამავალი გახდა, მისმა ტომმა ის უარყო, რომელიც მარტო ამით არ შემოიფარგლა და მისი ტანჯვა-წვალება დაიწყო;

6. მიუხედავად იმისა, რომ ალლაჰმა ამ ტომს ამქვეყნიური სიკეთე უხვად უწყალობა, მის მიმართ მადლიერება არ გამოხატეს;

7. ამ ტომის ქალებს მორიდება, პატიოსნება და სირცხვილის გრძნობა არ გააჩნდათ;

ყოველივე ესა და ალლაჰის მიერ მათთვის მოვლენილი შუამავლის უარყოფა, ურწმუნოებაში გაჯიუტება და პოლითეისტობის გაგრძელება, ნუჰის ტომის განადგურების მიზეზი გახდა.

ღმერთისადმი ნუჰის მადლიერება

უზენაესი ალლაჰი, ჩვენთვის ბოძებული სიკეთისთვის მადლიერების გამოხატვის საჭიროების შესამეცნებლად, მთელი კაცობრიობისთვის სანიმუშოდ ნუჰ შუამავალს წარმოადგენს, რომელიც ღმერთის მადლიერი მონა-მსახური იყო და ამას ასე გვახსენებს:

„ჰეი, შთამომავალნო ხალხის, რომელნიც გადავიყვანეთ ნუჰთან ერთად! უეჭველად, იგი მადლიერი მსახური იყო.“ *(სურა ისრა, აიათი 3)*

ამრი ბინ ელასის გადმოცემის მიხედვით, ალლაჰის შუამავალი

ასე ბრძანებდა:

„არსებობს ორი თვისება და ვისაც ორივე მოეპოვება, მომთმენებსა და ღმერთის მადლიერთა შორის დაიმკვიდრებს ადგილს.

ის, ვინც რწმენის საკითხში მასზე მაღლა მდგომს შეხედავს და მას მიჰყვება, ხოლო ამქვეყნიურ საკითებხში თავმდაბლობას გამოიჩენს და ალლაჰს მისთვის ბოძებული სიკეთისთვის მადლობას გადაუხდის, დიადი გამჩენი მას მადლიერთა და მომთმენთა შორის დაამკვიდრებს.“

ნუჰი ნებისმიერი მოქმედებისას, ჭამა-სმისა და ტანსაცმლის ჩაცმის დროსაც კი დიად ღმერთს მადლობას უხდიდა. როცა ტანსაცმელს იცვამდა და როცა მიირთმევდა მოქმედებას ალლაჰის სახელით იწყებდა. როგორც კი ჩაცმას ან ჭამას მორჩებოდა, „ელჰამდულილლაჰ“ (მადლობა ღმერთს) -ამბობდა.



„თუ ნამდვილად მადლიერნი იქნებით , უთუოდ, წყალობას გიმრავლებთ“

(სურა იბრაჰიმი, აიათი 7)

„მადლობა“ ხომ ალლაჰის წყალობებისთვის მონა-მსახურის მიერ ღმერთის წინაშე სიხარულით წარმოთქმული სიტყვა და ლამაზი საქციელია.

სერიიუს საქათი ბრძანებს: „ადამიანი, რომელსაც სიკეთე ეწყალობება და ამ სიკეთისთვის მადლობას არ გადაიხდის, მას დაკარგავს!“

უზენაესი ალლაჰი აიათში ბრძანებს:

لَئِنْ شَكَرْتُمْ لأَزِيدَنَّكُمْ وَلَئِنْ كَفَرْتُمْ إِنَّ عَذَابِي لَشَدِيدٌ

„თუ ნამდვილად მადლიერნი იქნებით, უთუოდ, წყალობას გიმრავლებთ და თუ უმადურნი იქნებით, უეჭველად, სასჯელი ჩემი საშინელია!“ *(სურა იბრაჰიმი, აიათი 7)*

ნუჰ შუამავლის განსხვავებული თვისებები

1. მიუხედავად იმისა, რომ ნუჰი კერპთაყვანისმცემელ ტომში ცხოვრობდა და მას ძალიან ცოტა ვინმე უჯერებდა, მაინც ყოველთვის **მათ სამსახურში რჩებოდა;**

2. ნუჰი იყო შუამავალი, რომელიც 950 წლის განმავლობაში ყოველგვარ ტანჯვა-წამებას **მოთმინებით იტანდა** და ყოველგვარი მდგომარეობისთვის **ღმერთს უამრავ მადლობას უხდიდა**.

3. ნუჰი შეცდომის მაშინვე მომნანიებელი მონა-მსახური იყო და **ღმერთს მუდამ მიტევებას სთხოვდა**.

4. ნუჰის პერიოდში ადამიანების **ზღვაში გასვლა და ზღვისგან სარგებლის მიღება** უფრო ფართოდ იყო გავრცელებული;

ამ დიდი შუამავლისგან, რომელიც წარღვნის დასრულების წელს გარდაიცვალა და ურწმუნოებისა და უსამართლობის ქვეშ 950 წელი იტანჯებოდა, ხალხი მაინც ამტანობას ხედავდა. ის მომდევნო შუამავლებისა და ერთმორწმუნეთათვის საჩვენებელ მაგალითად იქცა, მისგან, ყველაზე ძვირფას მემკვიდრეობად, მოთმინება დაგვრჩა.

მოთმინება

მოთმინებას რამდენიმე ლექსიკური მნიშვნელობა აქვს, რაც შეკავებას, გაძლებას, შეუპოვრობას, წინააღმდეგობის გაწევას ნიშნავს.

იმის გამო, რომ ზნეობის ყველა სილამაზეს შეიცავს, ჩვენს რწმენაში მოთმინებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ის არის თვისება, რომელიც მონა-მსახურს ალლაჰის კმაყოფილებას მოაპოვებინებს.

რწმენისა და მორალის თვალსაზრისით, მოთმინება არის ადამიანების მიერ იმ მოვლენების, რომლებიც არ მოსწონს ან ტანჯვას აყენებს, გაწონასწორებულად, მშვიდად აღქმა და ღმერთზე მინდობა.

მოთმინება მაღალი ზნეობის სერიოზული ცენტრი, რწმენის ნახევარი, სიუხვისა და ბედნიერების გასაღებია. ის დიდი შესაძლებლობაა სამოთხის მოპოვებისათვის.

ის მოვლენები, რომლებიც მოთმინებას საჭიროებს, ისეთ ნაყოფებს მოგვაპოვებინებს, როგორებიცაა: პატიება, შემწყნარებლობა, თავმდაბლობა, პატიოსნება, მცირედით კმაყოფილება, სულგრძელობა, გულისხმიერება და თავაზიანობა, ხოლო ყველაფერი ეს ზნეობის მახასიათებლებია. ამის გამო, ყოველგვარი სიკეთე და დიდი მოგება მოთმინებით მოიპოვება.

ყურანში მოთმინება სამოცდაათზე მეტ ადგილზეა ნახსენები. გამჩენი ალლაჰი სხვადასხვა აიათებში, წმინდა მუჰამმედ შუამავალსა (ს.ა.ს) და მის მიმდევრებს მოთმინებას ურჩევს.

მაგალითად:

„და მოითმინე, რამეთუ შენი მოთმინება მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰის შეწევნითაა. და ნუ იდარდებ მათზე და არ შეწუხდე იმის გამო, რომ მზაკვრობენ!“ *(სურა ნაჰლი, აიათი 127)*

„და მოითმინე მსჯავრი შენი ღმერთისა. შენ ხომ ჩვენი მფარველობის ქვეშ ხარ. და ქებით განადიდე შენი ღმერთი ყოველი წამოდგო-

მისას.“ *(სურა ტურ, აიათი 48)*

„და მიჰყევი იმას, რაც შთაგეგონა შენ, და მოითმინე, ვიდრე ალლაჰი განსჯიდეს, და იგი საუკეთესო მსაჯულია მსაჯულთა შორის!“ *(სურა იუნუსი, აიათი 109)*

„დაიმორჩილე სული შენი მათთან ერთად, რომელნიც ევედრებიან თავიანთ ღმერთს დილიდან საღამომდე და ილტვიან მისი წყალობისაკენ.“ *(სურა ქეჰფი, აიათი 28)*

ნუჰი მისი ტომისგან ათასგვარ წვალებასა და შეურაცხყოფას 950 წელი იტანდა.

წმინდა მუსა თავის ხალხს ურჩევდა:

„შეწევნა შესთხოვეთ ალლაჰს და მოითმინეთ.“ *(სურა ეღრაფი, აიათი 128)*

იმის გამო, რომ ეიუბი ყველა უბედურებას მოთმინებით იტანდა, ალლაჰის ქება დაიმსახურა:

„უეჭველად, ვპოვეთ იგი მომთმენად. რაოდენ მშვენიერი მსახური! უეჭველად, იგი კეთილისმქმნელი იყო.“ *(სურა სადი, აიათი 44)*

ლოყმანი შვილს შემდეგ რჩევას აძლევდა:

„ჰეი, შვილო ჩემო! აღავლინე ლოცვა, უბრძანე აკეთონ კეთილი, აუკრძალე აუგი და მოითმინე ის, რაც თავს დაგატყდეს. უეჭველად, ეს კატეგორიულად გასაკეთებელი საქმეებია!“ *(სურა ლუყმანი, აიათი 17)*

წმინდა მუჰამმედ შუამავალმაც მექელებისა და ტაიფელების მხრიდან ათასგვარი ტანჯვა-წამება აიტანა. მისი ეს არაჩვეულებრივი მოთმინება შემდეგში მექელებისა და ტაიფელების გამუსლიმების მიზეზად იქცა.

ᔓ

შუამავლებმა, გამოჩენილი მოთმინების წყალობით, ალლაჰის დახმარება მოიპოვეს. აქედან გამომდინარე, თითოეული, მათგანი ჩვენთვის უბადლო მაგალითად იქცა.

მოთმინების სააქაო მხარე — მწარე, საიქიოს მხარე კი, ძალიან ტკბილია. მოთმინების სიმწარე ცად ამაღლდება, მარადიულ სამოთხეს და ალლაჰის კმაყოფილებას მოგვაპოვებინებს. ჩვენ ვალდებული ვართ გავუმკლავდეთ ვნების სურვილებს, რაც უნდა მძიმე ასატანი იყოს, ჰარამისკენ არ უნდა გადავიხაროთ. ვალდებულები ვართ ალლაჰის ბრძანებები და ღვთისმსახურებები მოთმინებით შევასრულოთ, ის ჩვენი ვნებისთვის რაოდენ მძიმე შესასრულებელიც უნდა იყოს.

თუკი ვიფიქრებთ ღვთის იმ ბრძანებებისა და აკრძალვების საოცრებაზე, რომლებიც მოთმინებას საჭიროებს და იმაზე, რომ მათ გამო ღვთიური ჯილდო გველოდება, მათი ატანა გაგვიადვილდება.

ზოგჯერაც ჩვენს თავს დამტყდარი უბედურებების ატანის გარდა, სხვა გამოსავალი არ არსებობს. ყველაზე მძიმე მდგომარეობაშიც კი, ღვთის შემწეობის იმედი არ უნდა გადავიწუროთ. ჩივილი, წივილ-კივილი და წუწუნი კი ამაო თრთოლვის მეტი არაფერია. ვინაიდან, ალლაჰის მონა-მსახურს ეჭვი არ უნდა შეეპაროს, რომ გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსასვლელი კარი აუცილებლად გაეღება.

როცა თავს დამტყარ შემთხვევას მოვითმენთ და დიად ღმერთს შევეფარებით, ეს ნიშნავს იმის შემეცნებას, რომ ყველაფერი მისგან მომდინარეობს და რომ ეს ყველაფერი გამოცდაა, ხოლო მისი წარმატებით ჩაბარებისათვის ჯილდო გველოდება.

გამოსაცდელ ქვეყანაში, ყოველივე იმის მიღება, რისი სურვილიც ადამიანს გაუჩნდება, შესაძლებელი არ არის. თუ ადამიანი, იმაზედ, რასაც ვერ მიაღწევს იტყვის, რომ „არ მოხდა ჩემთვის სასიკეთოდ“ ან „რაც მოხდა მასში სიკეთე დევს“, ეს ისეთი ქცევაა, რაც მონა-მსახურს უხდება, მისი უმაღლესი სულიერების მაჩვენებელია. რადგან მოთმინება ნიშნავს, რომ ადამიანი, ძალით კი არა, გულითაა ღმერთზე მინდობილი.

მოთმინების ერთი პირობაა, რომ უბედურება მოითმინო პირველად რომ დაგატყდება თავს მაშინ. აქედან გამომდინარე, შვილის ან სხვა ახლობლის დაკარგვისას პირველ წამს გამოჩენილი მოთმინება და ღმერთზე მინდობა ძალიან მნიშვნელოვანია.

ენეს იბნ მალიქის გადმოცემის მიხედვით, ალლაჰის შუამავალმა ჩაიარა იქ, სადაც ერთი ქალი შვილის საფლავთან იდგა და მოთქვამდა. მას უთხრა:

„ალლაჰის გეშინოდეს და მოითმინე!“

ქალმა უთხრა:

„უბედურება, რომელიც თავს მე დამატყდა, შენ არ გადაგხდომია.“

ქალმა წმინდა მუჰამმედ შუამავალი (ს.ა.ს) ვერ იცნო. მას უთხრეს, რომ ეს პიროვნება ალლაჰის შუამავალი იყო. როგორც კი ეს გაიგო, მაშინვე შუამავლის კარებთან მიირბინა და პატიება ითხოვა:

- ალლაჰის შუამავალო ვერ გიცანით!

„ნამდვილი მოთმინება უბედურების პირველი წამიდანვე გამოჩენილი მოთმინებაა!“ *(ბუჰარი, ჯენაიზი, 32; მუსლიმი, ჯენაიზი, 15)* უთხრა შუამავალმა.

დიადი ღმერთის ერთ-ერთი სახელია „ელ საბურ“ (მოთმინება). ესე იგი, დიადი გამჩენი ადამიანებს ვადას აძლევს. ის ამ ვადის განმავლობაში იმათაც კი, ვინც მის მიმართ უმადურობას იჩენს, სარჩოს უბოძებს და ითმენს. ღმერთის ნება რომ ყოფილიყო და ამქვეყნად

დამნაშავეებზე მაშინვე შური ეძია, სამყარო რა იქნებოდა?ეს საკითხი დამაფიქრებელია!

მოთმინების ყველაზე კარგი გამომხატველები შუამავლები არიან. მათგან ჩვენთვის გადმოცემული ყველაზე ლამაზი ზნეობა, სწორედ, საჭიროების დროს მოთმინებაა.

როცა გაქვს, მაშინ მოთმინების გამოჩენა სიამაყისა და თავმოწონების არქონას, შურისძიების დავიწყებას, ვნების დამარცხებას, სიძუნწისა და მფლანგველობის არგამოჩენას, ღარიბებზე ზემოდან არყურებასა და მათთვის გაკეთებული სიკეთის პირში მიუხლელობას ნიშნავს, ვინაიდან ვნება ადამიანს მუდამ ცუდი ქმედებებისკენ უბიძგებს. ადამიანის მოვალეობაა, ამ ქმედებებისგან შორს იყოს.

ამისთვის საჭიროა შუამავლების ცხოვრების ყველა ეტაპიდან მაგალითი ავიღოთ, მათ მივბაძოთ. იმისთვის, რომ ნებისმიერ მდომარეობას თავი დავაღწიოთ, სულიერი საფრთხეებისგან გავთავისუფლდეთ და ღმერთის კმაყოფილება მოვიპოვოთ, აუცილებელია მოთმინებით აღვიჭურვოთ.

ეიუბის მდგომარეობა, შეჭირვებულ მდგომარეობაში ყოფნისას, მოთმინების რა კარგი მაგალითია. ცოლმა რაჰიმე ჰათუნმა ეიუბს უთხრა:

„შენ შუამავალი ხარ, შენი ვედრება შეისმინება. ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში ხარ. ღმერთს შეევედრე და განიკურნები!“

„ალლაჰმა ოთხმოც წელს ჯანმრთელობა მიწყალობა. ავად ოთხმოცი წელია კი არ ვარ. მოკლე დროა, რაც შეჭირვებულ მდგომარეობაში ვიმყოფები. მრცხვენია ღმერთს ჯანმრთელობის მოცემა ვთხოვო!“ თქვა ეიუბ შუამავალმა.

ამ დიდმა შუამავალმა ენით აღუწერელი მოთმინების წყალობით თავდაპირველი ჯანმრთელობა დაიბრუნა.

ადამიანებს, რომლებიც, მიუხედავად სიმდიდრისა, მომთმენნი არიან, „სიმდიდრისთვის მადლიერნი“ ეწოდებათ, ხოლო ადამიანებს, რომლებიც შეჭირვებული მდგომარეობისას ყოველივეს მშვიდად, წუწუნის გარეშე იტანენ — „სიღარიბისას მომთმენნი“. მათთვის აიათებში ათასგვარი ჯილდოა ნამახარობლევი.

მათ მიერ ერთი და იგივე სულიერი მდგომარეობით ალლაჰის კმაყოფილების მოპოვებისა და ისლამის გულწრფელი რწმენით ცხოვრებისთვის გამოჩენილი მოთმინება, ჩვენში რა შესანიშნავად შეიძლება აირეკლოს.

იმისთვის, რომ ჩვენც ამგვარი გრძნობებით აღვივსოთ, აუცილებელია ღმერთის ხსენება და გულწრფელი ვედრებები.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! მოითმინეთ და შეეჯიბრეთ მოთმინებაში, და იყავით მედგარნი (შეუპოვარნი), და ალლაჰის წინაშე ღვთისმოსავნი. ეგების იქმნეთ გადარჩენილი!“ *(სურა ალი-იმრანი, აიათი 200)*

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„ვფიცავ, ღესრს! უეჭველად, ადამიანი წაგებულია! გარდა მათი, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, და ერთმანეთს ჭეშმარიტებასა და მოთმინებას ამცნობენ!“ *(სურა ასრი, აიათები 1-3)*

იმისთვის, რომ ადამიანმა შეძლოს სხვას მოთმინება და სამართლიანობა ურჩიოს, ეს თავის ცხოვრებაში უნდა გაატაროს.

დიადმა ღმერთმა შეგვამკოს მოთმინებით! გვარგუნოს წილი შუამავლების უდიდესი მოთმინებისგან! დაგვიფაროს გამოცდებისგან, რომელთა გადალახვასაც ჩვენი ძალა არ ეყოფა!

აამიინ!

შესაფასებელი კითხვები

ა. უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს

1. შეადარეთ ერთმანეთს ნუჰის ტომის მიერ მის მიმართ გამოჩენილი ქცევები.
2. რა კავშირია ერთ პერიოდში წმინდა მუჰამმედ შუამავლის (ს.ა.ს) მიერ საფლავის მონახულების აკრძალვასა და ისლამის მონოთეისტური რწენის საზოგადოებაში დანერგვას შორის;
3. ისტორიის განმავლობაში იმან, რომ შუამავლების პირველი მიმდევრები, უმეტესწილად, საზოგადოების ღარიბი, საცოდავი და დაბალი ფენის ადამიანები იყვნენ, სხვებზე როგორ იმოქმედა?
4. **„ალლაჰმა თქვენც მიწისგან ისე გამოგზარდათ, როგორც მცენარე აღმოაცენა.“** ამ აიათში ადამიანის გაჩენა რატომ არის მიმსგავსებული მცენარის გაზრდასთან?
5. მას შემდეგ, რაც ნუჰის ყველა მცდელობის მიუხედავად, მისმა ტომმა მონოთეისტური რწმენა არ აღიარა, ნუჰი ღმერთს შეევედრა: **„ღმერთო დავმარცხდი, დამეხმარე!“** — რას გვიჩვენებს ჩვენ ეს?
6. ნუჰის შეცდომა რა იყო? რა იყო ის სისუსტე, რომელმაც ეს შეცდომა ჩაადენინა?
7. რა იყო ნუჰის ტომის განადგურებუის მიზეზები?
8. **„ნამდვილი მოთმინება უბედურების პირველი წამიდანვე გამოჩენილი მოთმინებაა!“**- განმარტეთ ეს ჰადისი!

ბ. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები

1. ნუჰის ზედმეტსახელი „ღმერთის ხსნილი“. ეს სიტყვა ---------- მნიშვნელობის მატარებელია.
2. ალლაჰის ხორცშესხმულ არსებად გამოსახვა --------- სარწმუნოებაში არ არის.

3. ნუჰის ტომის თავნება ადამიანებს ღამე გემის დაწვა სურდათ. გემი რომ ვერ დაწვეს მას უთხრეს ----------.

4. ადამიანს როცა თავს დაატყდება შემთხვევა, რომელიც არ მოსწონს და ტანჯვას აყენებს, ის კი ამის წინაშე წონასწორობას არ კარგავს, მშვიდადაა და ღმერთზეა მინდობილი ---------- ეწოდება.

5. ---------- მაღალი ზნეობის საყრდენი, რწმენის ნახევარი, სიხარულისა და ბედნიერების გასაღებია. სამოთხის სიკეთეების მოპოვების დიდი შესაძლებლობაა.

6. ყველაზე მოსაწონი მოთმინება, უბედურებისას ---------- გამოჩენილი მოთმინებაა.

გ. შემოხაზეთ ქვემოთ მოცემული კითხვების სწორი პასუხები

1. რა იყო ნუჰის ტომის კერპთაყვანისმცემლობის მიზეზი?

ა. იდრისის მორჩილი მორწმუნეების გარდაცვალების შემდეგ ხალხის მიერ მათი ქანდაკებების გაკეთება.

ბ. ადამიდან მოყოლებული კაცობრიობის კერპთაყვანისმცემლობა.

გ. „მხატვრობისა და მოქანდაკეობის“ კულტურის ფართოდ გავრცელება.

დ. უფრო ამ ხალხისთვის მონოთეისტური რწმენის მქადაგებელი შუამავლის არ ყოფნა.

2. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელი არ არის მონოთეისტური რწენის მახასიათებელი?

ა. აბსტრაქტული და ერთი ღმერთის რწმენა.

ბ.. ადამიანების ძალის უკმარისობა ღმერთის წარმოსახვისთვის.

გ. „ღმერთი“ მის გაჩენილ არცერთ არსებას არ ჰგავს.

დ. ალლაჰის სახის წარმოდგენა ადვილად შეიძლებაო და მას აკონკრეტებენ.

3. ისტორიის განმავლობაში შუამავლების ნაქადაგებ რწმენას მათი ტომები უმეტესწილად უარყოფდნენ. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი არ იყო ამის ერთერთი მიზეზი?

ა. მონობისა და კოლონიების წყობის მოშლის შიში;

ბ. ადვილია ირწმუნო კერპებისა, რომელთა დანახვა ან ხელით შეხება შეიძლება და უცოდინარი ადამიანებიც დაარწმუნო ამაში;

გ. შიში იმისა, რომ მონოთეისტური რელიგიების მიხედვით, ამქვეყნად ჩადენილზე, იმქვეყნად პასუხისგება მოგიწევს;

დ. მაშინ, როცა კერპების საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენება შეიძლება, მონოთეისტურ რწმენაში ამის გაკეთება შეუძლებელია და ღვთისმსახურებით ცხოვრებაც რთული.

4. როგორ შეძლებს ადამიანი, მოიძიოს მოთმინების ძალა, იმ მოვლენებთან გასამკლავებლად, რომლებიც მოთმინებასა და ბრძოლას საჭიროებს?

ა. მოთმინებისა და გაძლების ალლაჰისთვის თხოვნით, მასზე თავშეფარებით;

ბ. ადამიანები, რომლებიც წარსულში ცხოვრობდნენ, მათი მოთმინების მაგალითების წაკითხვით;

გ. ადამიანის ახლობლების მხარდაჭერით;

დ. ყოველ ადამიანში არსებული ძალის შესაბამისად მოქმედებით.

5. ნუჰის ტომთან დაკავშირებით, ყურანში მოცემულ აიათებში, ყველაზე მეტი ყურადღება, ამ ტომის რა მახასიათებლებზეა მიქცეული?

ა. იყო კერპთაყვანისმცემელი ტომი და არცერთ შუამავალს არ უსმენდა;

ბ. უსამართლობა, თავნებობა, ცოდვის ჩადენა და ბოროტება მათი ლოზუნგი იყო;

გ. ძალიან მდიდარი, შეძლებული ტომი იყო და ამის გამო მედიდურობდნენ;

დ. ამ ტომის ადამიანები დიდხანს ცოცხლობდნენ;

6. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომლის თქმა არ შეიძლება ნუჰის ტომზე?

ა. ქალებს უმწიკვლოება, თავაზიანობისა და სირცხვილის გრძნობა დაკარგული ჰქონდათ;

ბ. ალლაჰმა მათ ბევრი სიკეთე უწყალობა;

გ. ალლაჰისა და მისი შუამავლის მორწმუნეებს არარაობად თვლიდნენ;

დ. სანამ შუამავალი გახდებოდა, ნუჰს არ ენდობოდნენ და პატივს არ სცემდნენ;

7. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელი შეესაბამება ნუჰის ვედრებას „ღმერთო დავმარცხდი, დამეხმარე!“

ა. ტანჯვა-წამების ვეღარ გაძლება და ვნებასთან დამარცხება;

ბ. თავისი ტომის ჩაგვრის ვეღარ გაძლება და მათ წინაშე დამარცხება;

გ. მიუხედავად იმისა, რომ მონოთეისტურ რწმენას წლების განმავლობაში ქადაგებდა, მისმა ტომმა მაინც არ ირწმუნა და მათ წინაშე დამარცხდა;

დ. შუამავლობის მოვალეობის შესრულებისას მისი ძალა არასაკმარისი აღმოჩნდა, უსუსური გამოდგა და ამიტომ დამარცხდა;

8. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელი არ არის შუამავალ ნუჰთან დაკავშირებიული საოცრებები?

ა. იმ დროის პირობების მიხედვით, გემი ძალიან მაღალი ტექნიკური თავისებურებების მატარებელი იყო, ორთქლზე მუშაობდა, ძალიან დიდი გამძლეობა ჰქონდა;

ბ. თავნება კერპთაყვანისმცემლებმა ღამე გემის დაწვა სცადეს, მაგრამ ამას ვერ მიაღწიეს;

გ. უზენაესმა ალლაჰმა, წარღვნამდე, მათ ბოლო გაფრთხილების სახით, დიდი მიწისძვრა გადაატანინა;

დ. გემის დამაბინძურებელ უკუღმართებს მუნი დაემართათ და ამ სიბუნძურის წამლად გამოყენება მოუხდათ;


სწორი პასუხები

ბ. გამოტოვებულ ადგილებზე ჩასასმელი სწორი პასუხები

1- ალლაჰის მესაიდუმლე
2- ისლამი
3- ეს შენი ჯადოა
4- მოთმინება
5- მოთმინება
6- პირველი წამიდანვე

გ. ტესტების სწორი პასუხები

1- ა	2- დ	3- ბ	4-ა
5- ბ	6- დ	7- გ	8-გ


წმიანდა
ჯვარი

ქარიშხლით განადგურებული ღმერთის უარმყოფელთა სამშობლო. ადის ტომის შუამავალი

წმინდა ჰუდი

შუამავალი ჰუდი, ნუჰის შვილის, სამის შვილიშვილთაგანი გახლდათ. ჰუდის მეორე სახელი აბირი იყო. ის ანქაფის მხარეში დაიბადა და გაიზარდა.

„ჰუდ“ სიტყვა წამოსულია არაბული სიტყვისგან „ჰევადათ“, რაც სირბილეს, სიმშვიდეს, სიწყნარეს ნიშნავს.

ჰუდი ადის ტომის შუამავლად იქნა მოვლენილი. მთელი კაცობრიობისთვის სამაგალითოდ განადგურებული ტომი დასახლებული იყო აჰქაფის მხარეში, დღევანდელი იემენისა და ომანის ტერიტორიებს შორის.

სოდომის ტომი

ადის ტომი ოცდასამი გვარისგან შედგებოდა. ამ ტომს წმინდა ნუჰის შვილის სახელი ეწოდა. შუამავალ ნუჰის შემდეგ, დაახლოებით, 800 წელს ცხოვრობდნენ.

გადმოცემის მიხედვით, ამ ტომის ადამიანები მსხვილი, ტანმაღალი იყვნენ და დიდხანს ცოცხლობდნენ. იმ მხარის მიწა, სადაც ცხოვრობდნენ, მოსავლიანი იყო. იმის გამო, რომ იქაურ მიწებზე ბაღ-ვენახები იყო გაშენებული, „ზღაპრული ბაღის“ სახელითაც იყო ცნობილი. ცნობილი გამოთქმა „ზღაპრული ბაღები“ აქედან მომდინარეობს.

ადის ტომი ქვებს თლიდა და სახლებს აგებდა. სადემონსტრაციო ბინებს აშენებდა. მათ შორის ბაღ-ვენახები და აუზები იყო განთავსებული. ყოველი მხარე თვალისმომჭრელად ლამაზი იყო.

ეს ტომი, რომელსაც ალლაჰმა ბევრი წყალობა უბოძა, დროთა

განმავლობაში გაამაყდა, გაყოყოჩდა. სიკეთეების სიმრავლემ მოატყუა. ამქვეყნიურობაში ჩაიძირნენ. მათ შორის ინტრიგები და უზნეობა გავრცელდა და ამ მიზეზით რწმენას დასცილდნენ. მათ წინაპრების თავსდამტყდარ წარღვნაზე აღარ დაფიქრდნენ და მისგან გაკვეთილი არ აიღეს. უზენაესი ალლაჰი, ამ საკითხთან დაკავშირებით, ბრძანებს:

„მაგრამ ადის ხალხი შემდგომ უმართებულად გამედიდურდა დედამიწაზე და თქვა: „ვინ არის ჩვენზე უფრო ძალ-ღონიერი?“ განა ვერ დაინახეს, რომ ალლაჰი, რომელმაც გააჩინა ისინი, აღემატება მათ ძალით? და ისინი ჩვენს აიათებს განზრახ უარყოფდნენ.“ *(სურა ფუსსილათი, აიათი 15)*

ისინი ღმერთისკენ მიმავალ გზას ისე დასცილდნენ, რომ გააკეთეს კერპები სახელად: „სამედ,“ „სამუდ“, „ჰება“ და მათი თაყვანისცემა დაიწყეს. ფუფუნებასა და კეთილდღეობაშიც საზღვრებს გადასცდნენ. უძლურების ჩაგვრა დაიწყეს. ტირანებად და ულმობლებად იქცნენ.

იმდენად უსამართლოდ იქცეოდნენ, რომ სუსტ ტომებს თავს ესხმოდნენ და მათ ქონებას იტაცებდნენ. გასართობად საცოდავი ადამიანები შენობების ზედა სართულზე აჰყავდათ და იქიდან ძირს აგდებდნენ. შემდეგ მათ დანაწევრებულ გვამებს უცქერდნენ და ამით სიამოვნებას იღებდნენ. გულები ამ დონემდე გაუქვავდათ და მათმა ტირანიამ იმ ფაზას მიაღწია, რომლის წარმოდგენაც შეუძლებელი გახდა.

ჰუდს ამ ტომთან მხოლოდ ნათესაობა აკავშირებდა. ცხოვრების წესის მიხედვით კი მათთან საერთო არაფერი ჰქონდა. ის სუფთა და წარჩინებული ოჯახის შვილი იყო.

ᔓ

როცა ამ ტომის თავაშვებულობამ და ამბოხმა უკიდურეს ზღვარს მიაღწია, როცა მოურიდებლობა დღითიდღე უფრო გაიზარდა, დიადმა ღმერთმა ამ ტომისგან ჰუდი შუამავლად აირჩია.

„და წარვგზავნეთ ადის ხალხთან მათი ძმა ჰუდი...“ *(სურა ჰუდი, აიათი 50)*

ჰუდი ზეშთაგონების მიღების შემდეგ იმ ადგილზე წავიდა, სადაც მისი ტომი იკრიბებოდა. ჰალჯანი, რომელიც ტომის მბრძანებელი იყო, ოქროსგან დამზადებულ ტახტზე იჯდა. წმინდა ჰუდმა ხმამაღლა დაიწყო:


ხმელთაშუა ზღვა
მკვდარი ზღვა
სინა
ელე
მდ.ევფრატი
არაბეთის ნახევარკუნძული
ბაჰრეინის ყურე
მედინა
ნეჯდი
მედინა
ჰიჯაზი
საჰარას უდაბნო
ჯიდა
მექა
მდ.ნილოსი
წითელი ზღვა
აჰქაფი
წმ.ჰუდის სასაფლაო
ჰადრამევთი
სანა
იემენი
ადენი
ადენის ყურე
ინდოეთის ოკეანე

„ხალხო ჩემო! თაყვანი ეცით ალლაჰს, არ გყავთ სხვა ღმერთი მის გარდა. ეგების შეიქმნეთ ღვთისმოშიშნი?“ *(სურა ელრაფი, აიათი 65)*

„ხალხო ჩემო! მიტევება შესთხოვეთ თქვენს ღმერთს, მერე კი მოინანიეთ მის წინაშე. იგი ზეგარდმოგივლენთ ზეციდან უხვად წვიმას და თქვენს ძლიერებას ძალას შეჰმატებს. და არ იბრუნოთ პირი, როგორც ცოდვილნი!“ *(სურა ჰუდი, აიათი 52)*

ჰალჯანი გაბრაზდა და უთხრა;

„ჰუდ! საცოდავო! მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ამდენად მრავალრიცხოვანი და ძლიერი ხალხი ვართ, შენ თვლი რომ ჩვენზე აღმატებული ხარ? შენ არ იცი, რომ მხოლოდ ერთი ადამიანი ხარ! თანაც არ იცი, რომ ყოველდღე ამქვეყანას ჩვენი ერთი ბავშვი ევლინება!“

„უთხრეს თავკაცებმა, რომელთაც უარყვეს: უეჭველად, გხედავთ უმეცრებაში შენ და უეჭველად, მატყუართაგან გვგონიხარ ჩვენ.“ *(სურა ელრაფი, აიათი 66)*

„უთხრეს: „ჰეი, ჰუდ! შენ ჩვენთვის ცხადი სასწაულები არ მოგიტანია და შენი სიტყვის გამო არ მივატოვებთ ჩვენს ღმერთებს. და ჩვენ არ ვართ დამჯერნი შენი.“ *(სურა ჰუდი, აიათი 53)*

ჰალჯანი და ადის ტომი შვილებმა და ქონებამ გააამაყა, ჰუდი არად ჩააგდეს და მისი არ ირწმუნეს.

„ჩვენ მხოლოდ გეტყვით, რომ ჩვენი ღმერთების ერთმა ნაწილმა სიავე გასწია.“ *(სურა ჰუდი, აიათი 54)*

„(ჰუდმა) უთხრა: ხალხო ჩემო! მე არ ვარ უმეცარი, არამედ მე შუამავალი ვარ სამყაროთა ღმერთისა.“ *(სურა ელრაფი, აიათი 67)*

საოცრებებით აღსავსე ღვთიური გაფრთხილებები

ჰუდი, მის ქადაგებაზე, ტომთა უზნეობამ და სიჯიუტემ ძალიან დაამწუხრა. ამაზე ხელები ცისკენ აღაპყრო და დიად ღმერთს შეევედრა. ამის შემდეგ ღმერთმა ამ ტომის ქალებს ბავშვების გაჩენის შესაძლებლობა წაართვა. ეს გაფრთხილება იყო და მათი ეს უნაყოფობა ათ წელიწადს გაგრძელდა.

იძულებული გახდნენ ჰუდთან მისულიყვნენ. მაგრამ ჯერ კიდევ წინდაუხედავად იქცეოდნენ. ამ სასწაულის მიუხედავად, რომელთა მოწმეც თავად იყვნენ, უთხრეს:

„სასწაული გვაჩვენე!“

შემდეგ შეურაცხყოფითა და აბუჩად აგდებით ტანჯვის მოვლენა სთხოვეს:

„უთხრეს: „განა იმისთვის მოხვედი ჩვენთან, რომ დაგვაშორო ჩვენს ღვთაებებს? მაშ, გვაწიე იგი, გვექადნები რითაც, თუკი ხარ მართალი შენ!“ *(სურა აჰქაფი, აიათი 22)*

საპასუხოდ წყაროები დაშრა, ბაღ-ვენახები გაყვითლდა, ის ლამაზი ზღაპრული ბაღები განადგურდა, ადამიანებს ერთი ლუკმაც კი ენატრებოდათ.

ჰუდმა ისინი კვლავ შეკრიბა. კვლავ რჩევა მისცა. „ალლაჰისგან მიტევება ითხოვეთ!“ და შემდეგ ისინი, იმ მიზნით, რომ არ გაჯიუტებულიყვნენ, ასე გააფრთხილა:

„(ჰუდმა) **მიუგო: „უეჭველად, ალლაჰს მოვუხმობ მოწმედ და დამიმოწმეთ თქვენ, რომ უეჭველად, მე შორსა ვარ იმათგან, რასაც თქვენ თანაზიარად უდგენთ** (ყველაფრისგან რასაც თაყვანს სცემთ, შორს ვარ) **გარეშე მისა. აწ ხლართეთ ხრიკები ჩემ წინააღმდეგ ერთობლივად , მერე არ გადამივადოთ.**

უეჭველად, მე მივენდე ალლაჰს, ჩემ ღმერთსა და თქვენს ღმერთს. არ არის ქვეყნად სულიერი, რომელიც მას ქოჩრით არ ჰყავდეს დათრეული. უეჭველად, ჩემი ღმერთის გზა გზათაგან ყველაზე ჭეშმარიტია! (მისი მბრძანებლობა სავსებით სწორია. ის უსამართლობისა და ტირანიისგან, შეცდომებისგან თავისუფალია)**.**

მე უკვე გადმომიცია ის, რითიც წარმოვიგზავნე თქვენთან და თუ ზურგს შეაქცევთ, ჩაგანაცვლებთ თქვენ ჩემი ღმერთი სხვა ხალხით, და ვერას ავნებთ თქვენ მას. უეჭველად, ღმერთი ჩემი დამცველია ყოველსა ზედა!“ *(სურა ჰუდი, აიათები 54- 55- 56- 57)*

მათთვის ეს მუქარა საკმარისი არ აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ამდენი გაჭირვება გადახდათ, კვლავაც არ მოინანიეს და მონოთეისტურ რწმენას არ მიუბრუნდნენ, ვინაიდან, გადაჭარბებული სიმდიდრის გამო, ღმერთს ძალიან დაშორებოდნენ. ამ მდგომარეობაში შუამავლებს რომ დამორჩილებოდნენ, იმ აკრძალულ საქმეებს ვეღარ ჩაიდენდნენ, რაც მათ სიამოვნებას ანიჭებდა, დაჩაგრულებს უსამართლოდ ვეღარ მოექცეოდნენ, სუსტებს ვერ გასრესდნენ, რადგანაც მონოთეისტურ რწმენას საზღვრები ჰქონდა დაწესებული. ამ ადამიანებს, რომლებიც უკიდურეს თავისუფლებას გრძნობდნენ, ღმერთის მფარველობის ქვეშ შესვლა არ უნდოდათ. მათ ერჩივნათ ჭეშმარიტება არ დაენახათ და ვნებას დამორჩილებულთ საკუთარი სურვილებით ეცხოვრათ.

საშინელი გრიგალი

ამის შემდეგ, დიდი დრო არ გასულა, რომ ცაზე ღრუბლები გამოჩნდა. ადის ტომმა, ღრუბლებით დაფარული ცა რომ დაინახა, გაუხარდა და თქვა:

„გაწვიმდება!“

თუმცა ესენი ტნჯვის მომასწავებელი ღრუბლები იყო.

წმინდა ჰუდმა უკანასკნელად გააფრთხილა:

„ირწმუნეთ!“

გააფრთხილა ტომი, რათა სატანჯველისგან ეხსნა.

მაგრამ ისინი ამ ღრმა დაუდევრობისგან ვერაფრით გამოფხიზლდნენ. თქვეს:

„არა! ესენი წვიმის მომასწავებელი ღრუბლებია.“

ამგვარად, ბოლო ღვთიური გაფრთხილების ჟამს, ბრმა და ყრუ ადამიანებივით მოიქცნენ.

საბოლოოდ ანგელოზებმა, რომელთაც ეს საქმე ევალებოდათ, ღრუბლები გამორეკეს და მთელი ტომი ამ ღრუბლებში გახვიეს. დილით ქარი გაძლიერდა იმდენად, რომ ქარიშხალი ხეებს ძირიანად გლეჯდა. თანდათან გრიგალი უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

ადამიანებმა ჰაერში კალიებივით ხტომა დაიწყეს. ცად რომ არ აფრენილიყვნენ, ტანსაცმლის კალთები ერთმანეთს გადააბეს და რგოლი გააკეთეს, მაგრამ ეს გამოსავალი არ იყო. როცა ადამიანებმა დაინახეს, რომ ცაში ქარს აქლემებიც კი აჰქონდა, სახლებისკენ გაიქცნენ, მაგრამ მათ იქაც იგივე ბედი ელოდათ. ისინი ქარს გარეთ ისე გამოჰქონდა, როგორც ჩალის ღეროები.

ალლაჰმა ქარს უბრძანა და ისიც ქვიშის გროვას ადამიანებს ზემოდან აყრიდა. ყოველივე ეს შვიდ ღამესა და რვა დღეს გრძელდებოდა. ამ ღვთიურ სატანჯველსა და ქარიშხალს წმინდა ჰუდი და მონოთეისტური რწმენის მიმდევარნი გადაურჩნენ. გრიგალი დაუმორჩილებლებს დაატყდათ თავს.

აიათში ნაბრძანებია:

„და როცა გაცხადდა ჩვენი განგება, ჩვენ ვიხსენით ჰუდი და რომელთაც ირწმუნეს მის ერთად, ჩვენივე წყალობით. და ჩვენ დავიხსენით ისინი სასტიკი სასჯელისგან. აი, ასეთნი იყვნენ ადის ხალხი! მათ უარყვეს თავიანთი ღმერთის აიათები, და მის შუამავლებს ეურჩნენ და ყოველ ამპარტავანი ურჩის ბრძანებას მიჰყვნენ. და უკან მიედევნება მათ წყევლა ამქვეყნიერ ცხოვრებაში და აღდგომის დღეს. დიახ!

უეჭველად, ადის ხალხმა უარყვეს თავიანთი ღმერთი. დიახ, გაწირა ადის ხალხი, ჰუდის ერი!“ *(სურა ჰუდი, აიათები 58, 59, 60)*

„მაშინ ჩვენ მოვავლინეთ მათზე სუსხიანი ქარიშხალი ავბედით დღეებში, რათა გვეგემებია დამამცირებელი სასჯელი ამქვეყნიურ ცხოვრებაში. ხოლო სასჯელი საიქიოში უფრო დამამცირებელია და ისინი არ იქნებიან შეწევნილნი.“ *(სურა ფუსსილეთი, აიათი 16)*

„და ადიელების თაობაზე: აკი, წავგზავნეთ მათზე ქარიშხალი გამაცამტვერებელი. არაფერი დატოვა, ზედ გადაუარა. აქცია ისინი, როგორც ქვიშა.“ *(სურა ზარიათი, აიათები 41, 42)*

„მიუშვა იგი მათზე შვიდი ღამისა და რვა დღის განმავლობაში დაუცხრომლად, (იქ რომ ყოფილიყავი) **დაინახავდი ხალხს გაჟუჟულს, თითქოს ცარიელი ჯირგნი ხურმის ხეთა.“** *(სურა ჰაქქა, აიათი 7)*

„მაშ, როგორი იყო ჩემი სასჯელი და შეგონებანი?!“ *(სურა ყამერი, აიათი 21)*

„მაშ, განა ხედავ მათგან გადარჩენილს?“ *(სურა ჰაქქა, აიათი 8)*

ყურანის კომენტატორები წიგნში მოცემულ „ჩვენ წყალობით ვიხსენით“ გამოთქმას ასე განმარტავენ:

ალლაჰმა ჰუდი და მისი მიმდევარი მორწმუნეები თავისი წყალობით დაიცვა და გადაარჩინა.

ადის ტომი რომ განადგურდა, ჰუდი, მორწმუნეებთან ერთად, მექაში გადავიდა და სიცოცხლის ბოლომდე იქ დარჩა.

წმინდა ჰუდის სასწაულები

1. დიადი ღმერთისგან ბოძებული ნებართვით, საითკენაც სურდა, ქარს იქით აბრუნებდა.

როცა ტომმა სასწაული მოსთხოვა, მან ჰკითხა:

„როგორი სასწაული?“ მათაც უთხრეს, ქარი სხვა მიმართლებით შეებრუნებინა.

წმინდა ჰუდმაც მიატრილა ქარი იქით, საითკენაც იმათ სურდათ.

საკვირველია, რომ ადის ტომმა ეს სასწაული ნახა და მაინც არ ირწმუნა, ქარით განადგურდა. ეს ქარი ყურანში „საშინელ ქარადაა“ წოდებული.

2. შალი, აბრეშუმის (დახვეული, ძაფის) მდგომარეობაში მოჰყავდა.

3. ძლიერი წვიმების დროს ადამიანები ვერ გადაადგილდებოდ-

ნენ. ამის გამო, ჰუდი ალლაჰს შეევედრა და გზებზე თავშესაფრები გაჩნდა. ამგვარად, ადამიანები წვიმების შეწყვეტამდე ამ თავშესაფრებში დაცული იყვნენ. წვიმის დამთავრებისთანავე გზას აგრძელებდნენ.

ჰუდის ნოველისგან შემდეგი რამ შეიძლება გაკვეთილად ავიღოთ:

წმინდა ჰუდი ალლაჰის გზაზე გულწრფელად მდგარი პატივსაცემი ადამიანი იყო. სანამ რამეს იტყოდა, კარგად აწონ-დაწონიდა. ისე, როგორც ბოროტებას ბოროტებით არ პასუხობდა, ბოროტების ჩამდენსაც რბილად ექცეოდა. როცა მისი ტომი მას უტვინოს უწოდებდა, მათ გასაფრთხილებლად საკმარისად ჩათვალა ეთქვა, რომ ის მხოლოდ ალლაჰისგან მოვლენილი შუამავალი იყო. მათ შეახსენა ალლაჰის მიერ მათთვის ბოძებული სიკეთეები და ღმერთისთვის მადლობის გადასახდელად მისი ბრძანებების შესრულება ურჩია. ასევე გამოხატა, რომ ყველაფერ ამის სანაცვლოდ, მათგან გასამრჯელო არ სურდა.

შესაფასებელი კითხვები

ა. უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს

1. ადის ტომის მბრძანებლის ჰალჯანის ჰუდისთვის ნათქვამი: „ჰუდ! საცოდავო! მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ამდენად მრავალრიცხოვანი და ძლიერი ხალხი ვართ, შენ თვლი რომ ჩვენზე აღმატებული ხარ?“ სიტყვები რომელი შეცდომის მაჩვენებელია?
2. ადის ტომის მიერ, თავიანთი ენით, ღვთიური სატანჯველის გამოხმობა, რომელი შეცდომის მაჩვენებელია?
3. ადის ტომის წარმომადგენლებმა გრიგალის წინ ღრუბელი რომ დაინახეს თქვეს: „ესენი საწვიმარი ღრუბლებია.“ ამის მიზეზი შემდეგი აიათის მიხედვით შეაფასეთ. „მათ გულები აქვთ, მაგრამ არ გაეგებათ; თვალები აქვთ, მაგრამ ვერ ხედავენ; ყურები აქვთ, მაგრამ არ ესმით..“
4. რა შეიძლება იყოს მიზეზი ადის ტომს შორის განადგურებულთა შედარება „შიგნით ცარიელ ხურმის კუნძთან“ და „ფესვებს დაცილებულ ხურმის ტანთან“?
5. ჩამოთვალეთ ჰუდის სასწაულები.

ბ. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები

1. უზენაესმა ალლაჰმა ---------- გამოსაფხიზლებლად, ადის ტომს მათთვის ბოძებულ სიკეთეთა ერთი ნაწილი წაართვა.
2. ადის ტომის განადგურების მიზეზთაგან ერთი, ყველას მდაბლად რომ მოგაჩვენებს ----------, მეორე კი, გადამეტებული სიმდიდრისგან წარმოშობილი ---------- იყო.
3. ადის ტომმა, მიუხედავად იმისა, რომ სასწაული დაინახა, არ ირწმუნა და ეს მათი განადგურების მიზეზი გახდა. ამ ქარს ყურანში ---------- ეწოდება.

გ. შემოხაზეთ ქვემოთ მოცემული კითხვების სწორი პასუხები

1. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელი არ არის ადის ტომის ზნეობრივი მახასიათებელი?

ა. საკუთარი სიამოვნებისთვის საცოდავი და სუსტი ადამიანების წვალება.

ბ. ფუფუნებისა და დემონსტრირების სიყვარული, მფლანგველობაში ცხოვრება.

გ. უგულო, უსამართლო და ტირან ტომად ყოფნა.

დ. ძალიან მდიდრები იყვნენ, ნაყოფიერი ბაღები ჰქონდათ.

2. სანამ დიდი სატანჯველი მოევლინებოდა, ადის ტომს ღვთიური გაფრთხილება მოევლინა. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელი არ არის ამ გაფრთხილებათაგანი?

ა. წყაროების დაშრობა, ზღაპრული ბაღების გაყვითლება და გახმობა.

ბ. ქალებს დიდი ხნის მანძილზე ბავშვები არ უჩნდებოდათ.

გ. მრავალი წლის მანძილზე გაჭირვებაში ჩაცვივდნენ.

დ. ძლიერი ქვიშის შტორმის ქვეშ აღმოჩნდნენ.

3. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელ მდგომარეობაში არ აღმოჩნდა ადის ტომი?

ა. ძალიან შმაგი ვნება გააჩნდათ და მას ვერაფრით სძლიეს.

ბ. ალლაჰის მიერ ბოძებული ზღაპრული ბაღების, ლამაზი სახლებისა და სხვა სიკეთეებისთვის მადლობა არ გადაუხედეს, უმადურობა გამოიჩინეს.

გ. ალლაჰის მიერ მათთვის მოვლენილ შუამავალს ქვები დაუშინეს, აწამეს.

დ. ალლაჰის მიერ მათთვის ბოძებული სიკეთეებით გაამაყდნენ, თავი აიშვეს და ალლაჰის შუამავალს ზემოდან დაუწყეს ცქერა.

4. ქვემოთ მოცემულთაგან, ალლაჰის გაფრთხილებების მიუხედავად, რომელი არ არის ადის ტომის ურწმუნოების მიზეზი?

ა. თუკი ირწმუნებდნენ, იძულებული გახდებოდნენ უარი ეთქვათ იმ აკრძალულ საქმეებზე, რომლებიც მათ სიამოვნებას ანიჭებდა.

ბ. ველარ გააგრძელებდნენ ჰარამის გზით ქონების მოპოვებას.

გ. საკუთარი სიამოვნებისთვის სუსტ და ღარიბ ადამიანებს ველარ აწამებდნენ.

დ. თუ ირწმუნებდნენ, ზღაპრულ ბაღებსა და სხვა სიკეთეებს დაკარგავდნენ.

5. მიუხედავად იმისა, რომ მათი განადგურების შესახებ გაიგო, ჰუდი ბოლო წამამდე მათ რწმენისკენ მოუწოდებდა. ჰუდის ქვემოთ მოცემულ ამ საქციელისგან რომელს ვერ გამოვყოფთ?

ა. ჰუდს ძალიან უნდოდა, რომ მის ტომს ერწმუნა და ამგვარად გადარჩენილიყო.

ბ. ჰუდს ხალხი უყვარდა და მათ მნიშვნელობას ანიჭებდა.

გ. ჰუდი ძალიან მოწყალე იყო და ამიტომაც არ დათანხმდა იმ სატანჯველს, რომელიც მის ტომს უნდა მოვლენოდა.

დ. უნდოდა ალლაჰის მიერ მისთვის მიცემული ქადაგების დავალება ბოლო წამამდე შეესრულებინა.

შესაფასებელი კითხვები


ბ. გამოტოვებულ ადგილებზე ჩასასმელი სწორი პასუხები

1- დაუდევრობისგან 2- სიამაყე- თავაშვებულობა

3- საშინელი ქარი

გ. ტესტების სწორი პასუხები

1- დ 2- დ 3- გ 4- დ 5- გ


წმიდა
სალიეჩი

სემუდის ტომის შუამავალი

წმინდა სალიჰი

სალიჰი წმინდა ადამის მეცხრამმეტე თაობის შვილიშვილი იყო. ის სემუდთა ტომისთვის მოვლენილი შუამავალია.

სემუდის ტომი

სემუდის ტომმა ეს სახელი ნუჰის შვილის, სემის შთამომავალ სემუდისგან მიიღო. სემუდი და მისი თანმხლები პირები დამასკოსა და ჰიჯაზს შორის მდებარე ჰიჯრის მხარეში დასახლდნენ. აქედან შემდეგ ადის ტომის მხარეში გადავიდნენ. სემუდის შთამომავლები გამრავლდნენ და გვარად იქცნენ, შემდეგში კი-ტომად. ამ ტომს ადი სანი (ადის მეორე ტომი) ეწოდა.

ის სიკეთეები, რაც ადის ტომს გააჩნდა, სემუდის ტომსაც ეწყალობა. როგორც ადის ტომი, ესენიც უგულისყურობასა და ცდომილებაში გადავარდნენ. ადის ტომი მაგალითად არ აიღეს. თავაშვებულობის მიზეზით, ადის ტომის განადგურება, მათ სატანჯველად კი არ ჩათვალეს, არამედ დაუდევრად თქვეს:

„მათ სახლები სილაზე ააგეს და ამიტომ ისინი მყარი არ იყო. ამის გამო, განადგურდნენ. ჩვენ კი სახლები მყარ კლდეებზე ავაგეთ. ქარიშხალი ვერანაირ ზიანს მოგვაყენებს.“

სემუდის ტომიც, ისე, როგორც ადის ტომი, ძლიერი ადამიანებისგან შედგებოდა. განვითარებული ცივილიზაციის ხალხი იყო.

ჭანა
ოვბუქი
სემული
მელიანი
მელიენი
ქედა
წითელი ზღვა
ხინა
ეგვიპტე

მათი ყველაზე დიდი ოსტატობა ის იყო, რომ მთებს ჭრიდნენ და სასახლეებს აშენებდნენ. უზარმაზარ მთებს, გიგანტურ კლდეებს ხვრეტდნენ და ფორმას აძლევდნენ. ხელოსნებს ქვები ნებისმიერ ფორმაში შეჰყავდათ.

ტომის ბელადი ჯენდა იყო. სემუდის ტომმა ერთმანეთში მოითათბირა და ჯენდას ისეთი კერპის გაკეთება სთხოვა, არცერთ სხვა ტომს რომ არ ჰქონდა. ჯენდა სიამოვნებით დათანხმდა. ამის შემდეგ მთაზე ავიდნენ და დიდი კლდე ამოთალეს. კერპს თვალის, მსხვილფეხა საქონლის მკერდის, ცხენის ფეხის მსგავსი ფორმები მისცეს და ვერცხლითა და ოქროთი დაფარეს. შემდეგ კი, სხვადასხვა ძვირფასეულობით შეამკეს, მის პირისპირ დადგნენ და სეჯდე შეასრულეს.

ამ კერპის დამზადების შემდეგ, სემუდელებმა კერპების სახლი ააშენეს. დაამზადეს კერპები სახელად: „ვედდ“, „ჯედდ“, „ჰედ“, „შემს“, „მენაფ“, „მენათ“, „ლათ“ და მათი თაყვანისცემა დაიწყეს. ამგვარად, კერპების სახლი, პირველად ისტორიაში, მათ გააკეთეს.

სალიჰი ხალხთან ერთად ცხოვრობდა. ვაჭრობით იყო დაკავებული, თავს საკუთარი შრომით ირჩენდა. ხალხს ის ძალიან უყვარდა, რადგანაც პატიოსანი, კეთილი და ნიჭიერი იყო. მომავალში მისგან ბევრს ელოდნენ. მისი ბელადად ქცევაც კი უნდოდათ, მაგრამ მას ღმერთმა შუამავლობა დააკისრა.

ქადაგების დაწყება

სალიჰი ორმოცი წლის რომ შესრულდა, ჯებრაილმა მას შუამავლობის მისია ამცნო. თავიდან, იმის გამო, რომ მისი ტომი მონოთეისტურ რწმენას არ აღიარებდა, უკან დაიხია, მაგრამ ჯებრაილმა უთხარა:

„სალიჰ, მიდი და შენს ტომს მონოთეიზმი უქადაგე!“

„სალიჰ, შენ ისეთ მოვლენების მეთვალყურე გახდები, ნუჰისა და ჰუდის დროს რომ არ ხდებოდა!“— უთხრა და ცად ამაღლდა.

სალიჰი თავდაპირველად ტომის ბელად ჯენდასთან მივიდა და ალლაჰის რწმენა უქადაგა. ჯენდამ ამ ქადაგებას გონივრული პასუხი გასცა:

„ამას ტომს შევატყობინებ, თუ წინააღმდეგი არ იქნებიან, ერთად გამცნობთ!“

ამის შემდეგ ჯენდამ ტომი შეკრიბა. მათ ამცნო, რომ სალიჰს შუამავლობა დავალებოდა და მის მიერ ნაქადაგები მონოთეისტური რწმენის შესახებ უამბო. ტომმა უთხრა:

„სალიჰი, მოვიდეს და თვითონ გვითხრას!“

ამის შემდეგ სალიჰი მივიდა და მათ მონოთეისტური რწმენის შესახებ უამბო. ყურანში ეს მდგომარეობა ასეა გადმოცემული:

„და (მოვუვლინეთ) **სემუდის ხალხთან მათი ძმა სალიჰი. უთხრა: „ხალხო ჩემო! თაყვანი ეცით ალლაჰს, რამეთუ არ არს თქვენთვის სხვა ღვთაება, გარდა მისი! მან გაგაჩინათ თქვენ მიწისგან და მასზევე დაგაბინავათ. პატიება შესთხოვეთ მას და მერე მოინანიეთ მის წინაშე. უეჭველად, ჩემი ღმერთი ახლოა, მიმღებია ვედრების!“** *(სურა ჰუდი, აიათი 61)*

მაგრამ მონოთეისტური რწმენა ძალიან ცოტა ვინმემ აღიარა.

„მიუგეს: „ჰეი სალიჰ! აქამდე შენ იმედი იყავი ჩვენში. ნუთუ გვიკრძალავ თაყვანი ვცეთ იმას, ვისაც ჩვენი მამები ეთაყვანებოდნენ? და, უეჭველად, ჩვენ ეჭვი გვაქვს იმისადმი, რისკენაც მოგვიწოდებ.“ *(სურა ჰუდი, აიათი 62)*

„(სალიჰმა) უთხრა: „ხალხო ჩემო! მაშინ რას იტყვით, თუ ვარ ცხად მტკიცებულებაზე ჩემი ღმერთისგან და მებოძა მისგან წყალობა? მაშ, ვინ დამეხმარება ალლაჰისგან, თუ ვეურჩე მას? მაშინ თქვენ ვერაფერს შემმატებთ, გარდა ზიანისა.“ *(სურა ჰუდი, აიათი 63)*

„თქვა: „ჩემო ხალხო! რატომ აყენებთ ავს კეთილზე წინ? რატომ არ შესთხოვთ ალლაჰს მიტევებას? ეგებ იქნათ შეწყნარებულნი!“ (სურა ნემლი, აიათი 46)

მიუხედავად ამ ჭეშმარიტი და ბრძნული რჩევებისა, სალიჰს გაზვიადებული ტყუილების მოგონება დააბრალეს:

„მიუგეს: შენ ერთ-ერთი მოჯადოებულთაგანი ხარ.“ *(სურა შუარა, აიათი 153)*

შემდეგ ერთმანეთს ასე უთხრეს:

„ასე თქვეს: „განა ჩვენგან რომელიმე ადამიანს უნდა გავყვეთ? მაშინ, უეჭველად, ცხად გზააბნევასა და ცდომილებაში აღმოვჩნდებით.“ *(სურა ყამერი, აიათი 24)*

სიტყვა ასე გააგრძელეს:

„ნუთუ ჩვენგან მხოლოდ მასზე ზეგარდმოხდა შეხსენება? არა, იგი მატყუარა და ყოყოჩია!“ *(სურა ყამერი, აიათი 25)*

სემუდის ტომის ამ უმეცარ ბრალდებებს, დიადმა ღმერთმა მუქარით გასცა პასუხი:

„ისინი ხვალ გაიგებენ, ვინ არის მატყუარა და ყოყოჩი!“ *(სურა ყამერი, აიათი 26)*

„მიუგო: „ძალიან მალე, დიახაც, მონანიენი შეიქმნებიან!“ *(სურა მუმინუნი, აიათი 40)*

ᔓ

სალიჰ შუამავალმა, ყველაფრის მიუხედავად, ქადაგება გააგრძელა.

„(ჩემო მოდგმავ!) **განა დარჩებით აქ, რაცაა იმათ შორის უსაფრთხოდ: ბაღებში და წყაროსთვლებში, ნათესებსა და ხურმის ხეებში, რომლის ნაყოფი ნაზია?“** *(სურა შუარა, აიათები 146-148)*

„და კვეთავთ სახლებს მთებში დასასვენებლად? მაშ, გეშინოდეთ



„და გაიხსენეთ, როცა თქვენ დაგადგინათ შემცვლელებად ადის ხალხის შემდეგ და დაგაბინავათ დედამიწაზე, რომლის ველებზეც სასახლეებს აგებდით და რომლის მთებზეც სახლებს კვეთდით. მაშ, გაიხსენეთ ალლაჰის სიკეთენი და არა ჰქმნათ ქვეყნად ბოროტება ავკაცობით!“
სურა ელრაფი, აიათი 74

მაშ გეშინოდეთ ალლაჰისა და დამმორჩილდით! ნუ აყვებით იმათ, რომელნიც ზედმეტად ხარჯავენ, რომელნიც უკეთურობას ავრცელებენ ქვეყნად და არაფერს გამოასწორებენ!“ *(სურა შუარა, აიათი 150, 151, 152)*

მათ სალიჰს შემდეგი უბრალო მიზეზების გამო არ დაუჯერეს:

„შენ ჩვენი ქონების მითვისება და ბელადობა გინდა!“

შემდეგ თავდაპირველად ლოგიკური კითხვა დაუსვეს:

„ჩვენ კერპები გვაქვს! ჩვენ მივატოვოთ ხილული ღმერთები და თაყვანი ვსცეთ თვალით უხილავ ალლაჰს?! უჩინარმა ალლაჰმა შენ

როგორ დაგავალდებულა?! თუ სიმართლეს ამბობ, გაგვიკეთე ისეთი რამ, რაც არავის გაუკეთებია!“

„ისეთივე ადამიანი ხარ, როგორც ჩვენ. გვანახე სასწაული, თუ ხარ მართალთაგანი!“ *(სურა შუარა, აიათი 154)*

აქლემის სასწაული

სალიჰი ძალიან დაამწუხრა თავისი ტომის უმეცრებამ და დაუდევრობამ. ერთ ხანს მათ გაეცალა. როცა უკან, მათთან დაბრუნდა, დიადმა ღმერთმა მათ, სალიჰის შუამავლობის დიდებულება აჩვენა. ტომი ამ დიდებულებამ შიშში ჩააგდო.

სალიჰი ტომის ბელად ჯუნდასთან მივიდა. ჯუნდამ მას უთხრა:

„თუ სიმართლეს ამბობ — გამოგცდით!“

ჯუნდამ ყველასთვის ცნობილი ქათიბეს კლდე იგულისხმა და ასე უთხრა:

„შენთან ერთად იქ წავალთ, შენმა ღმერთმა იმ კლდიდან მშობიარე წითელბეწვიანი დედალი აქლემი გამოიყვანოს! ის რომ შვილს დაბადებს, მისი ფერიც დედის ფერის უნდა იყოს!“

ტომმაც დამცინავად უთხრა:

„მისი რძე ზაფხულში-გრილი, ზამთარში ცხელი იყოს. ყველა ავადმყოფი, ვინც ამ რძეს დალევს, განიკურნოს. ყოველი ღარიბი კი, ამ რძის დალევის შემდეგ, სიღარიბისგან გათავისუფლდეს!“

იმ პერიოდში ყველაზე ფასეული წითელი აქლემი იყო. სალიჰისგან წითელბეწვიანი აქლემი ამის გამო მოითხოვეს.

სემუდის ტომი შეიკრიბა. სალიჰმა ილოცა და ღმერთს შეევედრა.

კლდემ ზრდა დაიწყო. შიგნიდან მწვავე ტკივილის გამომხატველი ხმები გამოდიოდა, კლდე გაიპო და გამოვიდა წითელი აქლემი. ამ სასწაულის შემხედვარე ჯუნდა სალიჰს შუბლზე ემთხვია და თავის ტომს მიმართა:

„ჩემო მოდგმავ! ამდენი სიბრმავე კმარა! მე ვირწმუნე ალლაჰისა, რომელსაც არ ჰყავს მოზიარე, ბადალი, მსგავსი და მის შუამავალ სალიჰისა!“ ჯუნდასთან ერთად მონოთეისტური რწმენა კიდევ ტომის ასმა წევრმა აღიარა.

კერპების სახლის ბელადმა კი თქვა:

„ჯადოქრობისკენ რა სწრაფად იხრებით! მე უფრო დიდ რამეს გაჩვენებთ!“

ამგვარად, ახლადმოქცეულ გულებს ეჭვი ჩაუთესა. ჯენდას ძმაც მათ შორის იყო. კერპების სახლის ბელადმა ჯენდას ხმალი აიღო, მას გადასცა და უთხრა:

„ამის შემდეგ, ჩვენი ბელადი შენ იქნები!“

აქედან წამოსული ჯენდა სახლში მივიდა და ყველა კერპი დაამსხვრია. ის ქონება და ძვირფასეულობა, რაც მას ეკუთვნოდა, ერთმორწმუნეებს დაუნაწილა. თავისთვის კი გახუნებული ტანსაცმელი აირჩია. სალიჰთან ერთად მონოთეიზმის ქადაგება დაიწყო. მისი მარჯვენა ხელი გახდა.

ურწმუნო კერპთაყვანისმცემლები ჯენდას ეუბნებოდნენ:

„შე, საცოდავო! შენც სალიჰის ჯადოს დაუჯერე?!“

ჯენდა კი მათ ნათქვამს ყურად არ იღებდა და სალიჰს გვერდიდან არ შორდებოდა.

ალლაჰმა სალიჰს უბრძანა:

„უეჭველად, ჩვენ ვართ წარმგზავნი დედალი აქლემისა გამოცდად. მაშ, უთვალთვალე მათ და მოითმინე.“ *(სურა ყამერი, აიათი 27)*

ᔓ

სალიჰმა აქლემის გამო მოვლენილი ზეშთაგონება კრიტერიუმად დააწესა.

„ჰეი, ხალხო ჩემო! ეს დედალი აქლემი სასწაულად თქვენთვის ალლაჰისაგან. მაშ, გაუშვით იგი, ძოვოს ალლაჰის მიწაზე და არ შეეხოთ მას ბოროტად, თორემ მწარე სასჯელი შეგიპყრობს თქვენ!“ *(სურა ჰუდი, აიათი 64)*

„უთხრა: „აი ფაშატი აქლემი! მან უნდა დალიოს და თქვენც უნდა დალიოთ განსაზღვრულ დღეებში! არ მიეკაროთ ავით, თუ არადა მტანჯველი სასჯელი გეწევათ დიად დღეს!“ *(სურა შუარა, აითი 155, 156)*

ეს აქლემი მსხვილი აგებულების, ჭკვიანი და ძალიან ლამაზი იყო. თავის შვილთან ერთად ბალახობდა და ალლაჰს თაყვანს სცემდა. სხვა ცხოველებს მისი დიდებულებისა ეშინოდათ და გარბოდნენ. მნახველებს აოცებდა, მისი კვება სხვა ცხოველების კვებისგან, განსხვავებული იყო. ერთი დღის განმავლობაში ქალაქში არსებულ ყველა წყალს სვამდა. ასე რომ, სხვა ცხოველები დასალევ წყალს ვე-

ღარ შოულობდნენ. სალიჰმა წყალი მაინც გაანაწილა. წყალს ერთ დღეს— აქლემი, მეორე დღეს სხვა ცხოველები სვამდნენ.

აქლემის რძით უამრავი ადამიანი იკვებებოდა. “

სემუდელები მოდიოდნენ, ჭურჭლებს ავსებდნენ და უკან ბრუნდებონენ.

აქლემი, როგორც კი წყალს დალევდა, ღმერთის თაყვანისცემას აგრძელებდა. ავადმყოფები, როგორც კი რძეს დალევდნენ, იკურნებოდნენ.

უმადურობა

ამ დიდი სასწაულით ურწმუნოები შეწუხდნენ. ისინი აქლემის მოკვლას გეგმავდნენ, მაგრამ ეშინოდათ, მკვლელობის შემდეგ, სატანჯველი არ მოვლინებოდათ.

მიუხედავად ამ შიშისა, სემუდის ტომის ორი ქალი, იმის გამო, რომ ის მათი აქლემების რემას ზიანს აყენებდა, ურწმუნოებს მუდმივად ცხოველის მოკვლას ურჩევდნენ, ერთ-ერთი ქალი უნეიეზზე ბინთ ჯანემი იყო. ის ხანში შესული ქალი გახლდათ და ლამაზი ქალიშვილები ჰყავდა. ერთ-ერთი, სახელად მუჰეიია, ძალიან მდიდარი და მიმზიდველი იყო.

ეს ორი ქალი ურწმუნოებს ამ აქლემის მოკვლას სთხოვდა, რადგან მათი ცხოველები მაშინ, როცა სალიჰის აქლემი წყალს სვამდა, უწყლოდ რჩებოდნენ.

მუჰეიამ თავის ბიძაშვილი იხმო და უთხრა:

„თუ ამ აქლემს მოკლავ, ცოლად გამოგყვები და ყველაფერი რაც ჩემია, შენი გახდება!“

მისთა ამ წინადადებას დაეთანხმა. მას დამხმარედ ერთი ადამიანი სჭირდებოდა. იპოვა ერთი კერპთაყვანისმცემელი სახელად ქითარი. მას უნეიზეს ქალიშვილები შესთავაზეს. მან მათ შორის, ერთი ამოირჩია და ამ სამარცხვინო საქმეს დაეთანხმა.

ამ ორმა ადამიანმა კიდევ რამდენიმე უბედური იპოვა და სულ ცხრანი შეგროვდნენ. მათ აქლემის მოსაკლავად ურწმუნო კერპთაყვანისმცემლებს შორის პროპაგანდა გასწიეს და ისინიც გადაიბირეს. ალლაჰი მათ მდგომარეობას აიათში ასე გადმოსცემს:

„და ქალაქში ცხრა კაცი იყო, რომლებიც ქვეყანაზე უკეთურობას ამრავლებდნენ და არაფერს აუმჯობესებდნენ.“ *(სურა ნემლი, აიათი 48)*

ცხრა კაცი აქლემს ჩაუსაფრდა. მისთამ ისარი ესროლა და აქლემი დაჭრა. ქითარი და მისი თანმხლები პირები მაშინვე აქლემს მიცვივდნენ:

„შემდეგ დაკლეს დედალი აქლემი და გადასცდნენ თავიანთი ღმერთის ბრძანებას, და უთხრეს: ჰეი, სალიჰ, გვაწიე იგი, გვექადნები რითაც, თუკი ხარ შუამავალთაგანი შენ!“. (*სურა ელრაფი, აიათი 77)*

აქლემის კოზაკს შეეშინდა და მთაში გაიქცა. ერთი გადმოცემის მიხედვით, ისიც დაკლეს და ხორცი შეჭამეს. ეს რომ სალიჰ შუამავალმა გაიგო, იგი ძალიან დამწუხრდა. აქლემთან მივიდა და დიდხანს ტიროდა. ღმერთს შეევედრა მისი ტომისთვის ჭეშმარიტების გზა ეჩვენებინა. შემდეგ ტომთან მივიდა.

„თქვა: „ჩემო ხალხო! რატომ აყენებთ ავს კეთილზე წინ? რატომ არ შესთხოვთ ალლაჰს მიტევებას? ეგებ იქნათ შეწყნარებულნი!“ *(სურა ნემლი, აიათი 46)*



მათ კი უთხრეს: **„ჰეი, სალიჰ, გვაწიე იგი, გვექადნები რითაც, თუკი ხარ შუამავალთაგანი შენ.“** *(სურა ელრაფი, აიათი 77)*

„მაშინ გატრიალდა მათგან და უთხრა: ჰეი, ხალხო ჩემო! უეჭველად, მე გადმოგეცი თქვენ ჩემი ღმერთის უწყება! და თქვენ რჩევა მოგეცი, მაგრამ თქვენ არ გიყვართ კეთილისმრჩეველნი.“ *(სურა ელრაფი, აიათი 79)*

(მისმა ტომმა სალიჰს) **უთხრეს: „ჩვენ შეგვეხო შენით და შენთან მდგომებით სიავე.“ მიუგო: „სიავენი თქვენი ალლაჰის წიაღიდან მოედინება, რამეთუ თქვენ ხართ ხალხი გამოსაცდელად მოვლენილი!“** *(სურა ნემლი, აიათი 47)*

საშინელი ხმა და მიწისძვრა

„სალიჰმა უთხრა: „დატკბით თქვენს სახლებში კიდევ სამი დღე (შემდეგ განადგურდებით). ეს აღთქმა შეუცვლელია.“ *(სურა ჰუდი, აიათი 65)*

ეს სამი დღე ოთხშაბათი, ხუთშაბათი და პარასკევი იყო. პირველ დღეს სახეები გაუყვითლდებოდათ, მეორე დღეს—გაუწითლდებოდათ, მესამე დღეს გაუშავდებოდათ, მეოთხე დღეს კი განადგურდებოდნენ.

პირველ დილას უჩვეულო ამბები მოხდა: აქლემის დაჭერის ადგილიდან სისხლმა ამოხეთქა, ფოთლები გაწითლდა. ჭის წყლები სისხლით შეიღება, უბედურები სახეზე გაყვითლდნენ. ცხრა ადამიანმა თქვა:

„სალიჰი ჯადოს გვიკეთებს, ის და მისი ოჯახი დავხოცოთ!“

„მათ თქვეს: „ერთმანეთს შევფიცოთ ალლაჰის სახელით, რომ ღამით სალიჰს და მის ოჯახს დავესხმებით თავს, მერე კი ვეტყვით მის ახლო ნათესავებს, რომ არ შევსწრებივართ მისი და მისი ოჯახის მკვლელობას და რომ სიმართლეს ვამბობთ.“ *(სურა ნემლი, აიათი 49)*

ეს ცხრა კაცი, როგორც კი დაღამდა, სალიჰის მოსაკლავად მეჩეთში მივიდა. ჯებრაილმა ისინი ალლაჰის ბრძანებით ჩაქოლა. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„მათ ხრიკი ჩაიფიქრეს და ჩვენ ამაოდ ვჰქმენით! და ვერც კი იგრძნეს!“ *(სურა ნემლი, აიათი 50)*

ამ შემთხვევის შემდეგ სალიჰმა და ერთმორწმუნეებმა (დაახლოებით ოთხი ათასმა ადამიანმა) ქალაქი დატოვეს.

„და როცა გაცხადდა ნება ჩვენი, ჩვენ ვიხსენით სალიჰი და ისინი, რომელთაც ირწმუნეს მის ერთად ჩვენსავე წყალობით, იმდღინდელი დამცირებისგან. უეჭველად, შენი ღმერთი ყოვლისშემძლეა, ძლევამოსილი!“ *(სურა ჰუდი, აიათი 66)*

მორწმუნეებმა ქალაქი დატოვეს. მეორე დღეს ურწმუნოებს სახეები დაუწითლდათ. მესამე დღეს კი-გაუშავდათ. სატანჯველი საიდან მოდისო, იქით-აქეთ იყურებოდნენ.

დიადმა ღმერთმა ჯებრაილს უბრძანა. მან მყარი ქვებისგან აგებული სახლები თავდაყირა დააყენა:

„აი, მათი სახლები, დანგრეული იმიტომ, რომ უსამართლოდ მოიქცნენ. უეჭველად, ამაშია სასწაული მცოდნეთათვის!“ *(სურა ნემლი, აიათი 52)*

ფაჰრედდინ რაზის მიხედვით, სემუდის ტომის მცხოვრებლებს საშინელმა ხმამ შიშით გულები დაუხეთქა:

„ამგვარად, საშინელმა ხმამ სამართლიანად შეიპყრო ისინი, მაშინ ვაქციეთ ისინი იმ ნაგვის მსგავსნი, ნიაღვარი რომ წარიტაცებს. დაე, მოიშთონ უსამართლონი!“ *(სურა მუყმინუნი, აიათი 41)*

„ისინი, რომელთაც უსამართლობა ჰქმნეს, შეიპყრო საშინელმა ხმამ და იქმნენ თავიანთ სახლებში ჩაჩოქილი მუხლებზე.“ *(სურა ჰუდი, აიათი 67)*

„თუმცაღა მაგათ არ გამოადგათ, რასაც იხვეჭდნენ.“ *(სურა ჰიჯრი, აიათი 84)*

„მაშ, როგორი იყო ჩემი სასჯელი და შეგონებანი?! უეჭველად, ჩვენ მოვუვლინეთ საშინელი ხმა. ამგვარად ისინი გარდაიქცნენ, როგორც თივა მოცელილი.“ *(სურა ყამერი, აიათები 30. 31)*

„ამგვარად, მიეწია მათ სასჯელი. უეჭველად, ამაში სასწაულია. მაგრამ უმრავლესობამ მაინც არ ირწმუნა. უეჭველად, შენი ღმერთი ძლევამოსილია, მწყალობელია!“ *(სურა შუარა, აიათი 158, 159)*

სემუდის ტომის განადგურების მიზეზები

1. მათი შუამავლის ნაქადაგები მონოთეისტური რწმენა უარყვეს, „ურწმუნოებაში“ გაჯიუტდნენ;

2. შუამავალს არ მოუსმინეს, ის აბუჩად აიგდეს. გაამაყებულები შმაგ ვნებას დაემორჩილნენ;

3. თავიანთი შეხედულებები რწმენის შეხედულებებზე წინ დააყენეს, შუამავლის ქადაგებას წაუყრუეს;

4. ინტრიგის მთესველი ქალების სიტყვებს დაემორჩილნენ. ქალებით გატაცებამ ისინი შეცდომაში შეიყვანა. ამგვარად, პანიკის დამთეს ცხრა პიროვნებასთან ერთად იმოქმედეს და ცოდვის მოზიარენი გახდნენ;

5. ღვთიურ გაფრთხილებასა და თავს დამტყდარ უბედურებაში წმინდა სალიჰსა და მის გვერდით მყოფებს დასდეს ბრალი და სიკეთის მკეთებელნი შეიძულეს. სალიჰს ბოროტება დასწამეს და უთხრეს:

„სანამ შენ შუამავალი გახდებოდი, ასეთი უბედურებები არ გვემართებოდა;“

6. მათთვის ნაბოძები ამქვეყნიური სიკეთეების დაკარგვის შიშმა შეიპყრო. ამქვეყნიური ქონების სიყვარულმა და ჟინმა ისინი მოატყუა;

7. ალლაჰის ამანათს უმუხთლეს. მიუხედავად იმისა, რომ სალიჰს ღვთიურ სასწაულად აქლემი მოსთხოვეს, მის სანაცლოდ კიმონოთეიზმის აღიარების პირობა დადეს, ღვთის ამანათი აქლემი მოკლეს;

8. აქლემი არავის საკუთრება იყო. ის საქველმოქმედო საქმეს ემსახურებოდა. მისი რძე ისევე ნაწილდებოდა, როგორც მეჩეთებთან სასმელი წყალი. მისი პატრონი უდიდესი ღმერთი იყო, მაგრამ მათ აქლემი მოკლეს და ამგვარად საქველმოქმედო ქონება დააზიანეს;

9. ცხრა ადამიანის ინტრიგნობამ და უსამართლობამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია. ისინი სხვების ქონებას ხელყოფდნენ, ადამიანთა უფლებებს არღვევდნენ.

ზნეობის სილამაზე

იმ ადამიანის ძირითადი ფასეულობა, რომელიც უმაღლესი თავაზიანობის, უსაზღვრო დახვეწილობისა და სიღრმის მაგალითად შეიქმნა, ალლაჰის მონა-მსახურობითა და ღმერთის დიდებულების მეშვეობით მისი საიდუმლებებისგან წილის მიღებაა.

სამყარო და მასში არსებული არსებები არ არის შემთხვევითობა და არც უმიზნოდაა გაჩენილი. ის იმისთვის არ გაჩენილა, რომ თავის ნებაზე მიშვებული, უპატრონოდ იყოს მიტოვებული. ადამიანის გაჩენისას ღმერთს მიზანი ჰქონდა. ღმერთი თავის სილამაზეს და სიკეთეს ადამიანში ავლენს. ამგვარად, ადამიანს წილად ხვდება ღმერთთან მეგობრობის პატივი.

სხვა არსებები კი ადამიანის არსებობას ემსახურებიან. დიადმა გამჩენმა ადამიანი დედამიწაზე თავის „ხალიფად“ მოავლინა. ადამიანისთვის, რომელიც ღვთიური სილამაზეების თავშეყრის ობიექტია, ცხოვრება გამოცდაა. მას მიენიჭა თავისუფლება სიკეთისა და ბოროტების ჩადენაში. ორივე მათგანის ჩადენისთვის ხელსაყრელი პირობები ებოძა. ადამიანს მიეცა საშუალება ვნების ფარულ გახრწნილებასა და სულიერების ღვთისმოსაობას შორის თავისუფალი არჩევანის გაკეთებისა.

ადამიანში ცუდი თვისებების ჩადება მისი გამოცდის უზრენველსაყოფადაა საჭირო.

وَنَفْسٍ وَمَا سَوَّاهَا فَأَلْهَمَهَا فُجُورَهَا وَتَقْوَاهَا

قَدْ أَفْلَحَ مَن زَكَّاهَا وَقَدْ خَابَ مَنْ دَسَّاهَا

„სულსა და ჩამომყალიბებელსა მისას და მისთვის (სულისთვის) უკეთურობისა და მორჩილების შთამგონებელსა! უეჭველად, ნეტარ იქმნა (სული), ვინც განწმინდა იგი! უეჭველად, წარწყმედილ იქმნა

(სული), ვინც შეეცადა მისი(ნაკლოვანებების) დაფარვას!“ *(სურა შემსი, აიათი 7-10)*

ეს ნიშნავს, რომ პიროვნება თუკი საკუთარ თავს ლამაზი თვისებებით არ შეამკობს, ჭაობში ჩაეფლობა და იქიდან ვეღარ ამოვა.

მაშინ, როცა ცხოვრობ ალლაჰის მიერ გაჩენილ სამყაროში, მის მიერ ნაწყალობევი სიკეთეებით, მისივე ბრძანებებისა და აკრძალვების წიანაღმდეგ გამოსვლა საშინელი წყვდიადის მომტანი სიბრიყვეა. უსამართლოებს, რომლებიც რწმენისა და ზნეობის ჩარჩოებში არ ჯდებიან, წილად ღმერთის სასჯელი ერგებათ.

ადამიანურად ცხოვრების ერთ-ერთი პირობა ღმერთის რწმენასა და მასზე დაყრდნობილ ზნეობის სისტემასთან კავშირია. ადამიანობის ზნეობის უბადლო მაგალითი და სრულყოფილების მწვერვალი წმინდა მუჰამმედ შუამავალია (ს.ა.ს).

აიათში ასეა ნაბრძანები:

لَقَدْ كَانَ لَكُمْ فِي رَسُولِ اللهِ أُسْوَةٌ حَسَنَةٌ لِمَنْ كَانَ يَرْجُو
اللَّهَ وَالْيَوْمَ الْآخِرَ وَذَكَرَ اللهَ كَثِيرًا

„ვფიცავ, ალლაჰის შუამავალი კარგი მაგალითი იყო თქვენთვის, ვინც ისწრაფვოდა ალლაჰისკენ და უკანასკნელი დღისკენ და ხშირად ახსენებდა ალლაჰს! “ *(სურა აჰზაბი, აიათი 21)*

მუჰამმედ შუამავალი (ს.ა.ს) ამბობდა:

„მე ღმერთმა აღმზარდა, თანაც კარგად აღმზარდა!“ (სუიუთი, ჯამარა საღირ, 1, 14)

ამგვარად მიუთითებდა იმას, რომ მაღალი ზნეობა გააჩნდა.

ღმერთმა შეგვამკოს წმინდა შუამავლის ზნეობითა და მისი ბედნიერების მომასწავებელი დროშის ქვეშ შეგვკრიბოს!

აამიინ!

შესაფასებელი კითხვები

ა. უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს

1. რომელი მტკიცებულებები წამოსწია წინ სალიჰის ტომმა იმისთვის, რომ სალიჰისთვის არ დაეჯერებინა?

2. როგორი სასწაული ითხოვეს უარმყოფელებმა სალიჰისგან?

3. მოგვითხრეთ სალიჰის სასწაულებრივი აქლემის კვებისა და რძის შესახებ.

4. რა სიბრძნე დევს იმაში, რომ ალლაჰმა სემუდის ტომს განადგურებამდე კიდევ სამი დღის ვადა მისცა.

5. **„აი, მათი სახლები, დანგრეული იმიტომ, რომ უსამართლოდ მოიქცნენ. უეჭველად, ამაშია სასწაული მცოდნეთათვის!“ (***სურა ნემლი, აიათი 52).* **„აი, მათ, უსამართლოთა სახეებზე ჩამოქცეული სახლები!“**— აჩვენებს, რომ სემუდის ტომის განადგურების მიზეზი მათ მიერ ჩადენილი უსამართლობა იყო. ჩვენს დროში წარმოშობილი უბედურებების მიზეზიც შეიძლება თუ არა იყოს ადამიანების მიერ ჩადენილი უსამართლობები?

6. სემუდის ტომის კითხვაზე „თვალით უხილავი ალლაჰის ვიწამოთ?“— პასუხი ჩვენ რომ გაგვეცა, რას ვუპასუხებდით?

ბ. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები

1. უზენაესმა ალლაჰმა სალიჰს შუამავლური მისია ---------- წლის ასაკში დააკისრა.

2. სემუდის ტომმა აქლემის მოკვლის შემდეგ სალიჰის გაფრთხილებებს ყური არ დაუგდო და თქვა: ----------.

გ. შემოხაზეთ ქვემოთ მოცემული კითხვების სწორი პასუხები

1. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელი არ არის ადის ტომისა და სემუდის ტომის საერთო ზნეობრივი მახასიათებელი?

ა. ორივე მათგანს ღმერთმა სიკეთე უხვად უწყალობა, ამიტომ ორივე მდიდარი ტომი იყო.

ბ. თავაშვებულნი, მოურიდებელნი, უკიდურესად ამაყნი იყვნენ.

გ. ორივე ტომი მყარი და გამძლე სახლების აგებით ტრაბახობდა.

დ. ორივე ტომი ერთ მხარეში ცხოვრობდა და ერთი შემოსავლის წყარო ჰქონდა.

2. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელი არ არის ის მდგომარეობა, რომელიც განადგურებამდე სემუდის ტომს გადახდა თავს?

ა. სახეების გაყვითლება

ბ. აქლემის დაჭერის ადგილიდან სისხლის ამოხეთქვა..

გ. სალიჰის წინააღმდეგ შეთქმულების დაგეგმვა..

დ. ჭის წყლების სისხლისფრად შეღებვა.

3. რისი მაჩვენებელია ის, რომ სემუდელებს მანამ, სანამ სალიჰს შუამავლობა დაევალებოდა, ის ძალიან უყვარდათ და მომავალში მის ბელადად არჩევას ფიქრობდნენ, ხოლო მას შემდეგ, რაც მან მათ მონოთეიზმი უქადაგა, მატყუარა და თავგასული უწოდეს?

ა. სალიჰის მოტანილი მონოთეისტური რწმენის ცოდვილობისა თუ სიჯიუტის მიზეზით, მიუღებლობისა და ამგვარად წინააღმდეგობაში ჩავარდნის.

ბ. მიუხედავად რწმენის უარყოფისა, სალიჰი ძალიან უყვარდათ.

გ. ფიქრობდნენ, სალიჰი რაღაც დაავადებამ შეიპყრო ან მოჯადოებულიაო.

დ. იმის აღმოჩენა, რომ სალიჰზე ადრე მცდარი შეხედულება ჰქონდათ.

4. „მიუგეს: შენ ერთ-ერთი მოჯადოებულთაგანი ხარ.“ *(სურა შუარა, აიათი 153)* — **აიათში მოცემული უარმყოფელების ეს სიტყვები სალიჰის შესახებ რას გვაუწყებს?**

ა. იმას, რომ უკვე დაიწყეს სალიჰის შეძულება.

ბ. ფიქრობდნენ, რომ სალიჰი იყო ადამიანი, რომელიც მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ფიქრობდა.

გ. ფიქრობდნენ, რომ სალიჰი ერთი მატყუარა ადამიანი იყო.

დ. ფიქრობდნენ, რომ სალიჰი ცდილობდა ტომის ბელადი გამხდარიყო.

5. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელი არ არის ის მიზეზი, რომლის გამოც სემუდის ტომის უმადურებს ჯადოსნური აქლემის მოკვლა სურდათ?

ა. აქლემი მთელ წყალს სვამდა და სხვა ცხოველებს დასალევ წყალს აღარ უტოვებდა.

ბ. იმის საფრთხე არსებობდა, რომ აქლემი თუ იბალახებდა, მთელ ბალახს შეჭამდა და სხვა ცხოველები მშიერი დარჩებოდნენ..

გ. რადგანაც ეს აქლემი სალიჰის ნაჩვენები სასწაულის მტკიცებულება იყო, კერპთაყვანისმცემლებს ეს მოსვენებას არ აძლევდა.

დ. ჯადოსნური აქლემი იმ მხარის ცხოველებს აწუხებდა და მათ ზიანს აყენებდა.

6. სალიჰის მიერ სასწაულის ჩვენებისთანავე ტომის ბელადის ჯენდასა და მასთან ერთად ასი ადამიანის მიერ რწმენის აღიარება, სასწაულის რომელი თავისებურების მაჩვენებელია?

ა. იმის, რომ სასწაულები იმ ადამიანებს, ვისაც კეთილი მიზნები ამოძრავებთ და ურწმუნოებაში სიჯიუტე არ ახასიათებთ, რწმენისკენ აქეზებს.

ბ. ალლაჰი, შუამავლების გარდა, თავის საყვარელ მონა-მსახურებს სასწაულების საშუალებით ჭეშმარიტებას შეამეცნებინებს.

გ. სასწაულები ის საოცარი მოვლენებია, რომლებიც ჭკვიანმა და გონიერმა ადამიანებმა შეიძლება დაიჯერონ.

დ. სასწაულები მათ, ვისაც გულში მცირე რწმენა აქვთ, ჭეშმარიტების გზაზე დადგომისკენ აგულიანებს.

7. მიუხედავად იმისა, რომ ჯადოსნური აქლემი ცხრა ადამიანმა მოკლა, სემუდის ტომის ყველა ურწმუნო განადგურდა. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი არ შეიძლება იყოს ამის მიზეზი?

ა. სიშმაგესა და უსამართლობაში ზღვარგადასულ ცხრა ადამიანს სემუდის ტომისგან არავინ გადაეღობა.

ბ. იმის გამო, რომ ისტორიაში ხსენებული ცხრა ადამიანის უზნეობამ და უსამართლობამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია, დიადმა ღმერთმა მათთან ერთად სხვებიც გაანადგურა.

გ. სემუდის ტომმა ამ ცხრა ადამიანს მიერ აქლემის მოკვლის განზრახვა მოუწონა, მათ ამის ნება დართო და ამიტომ იგივე სასჯელი დაიმსახურა, რაც ამ ცხრა პიროვნებამ.

დ. ალლაჰს სემუდის ტომი რომ არ გაენადგურებინა, ისინი შემდეგშიც გააგრძელებდნენ მსგავს უსამართლობას.

8. „ მიუგეს: „ჰეი სალიჰ! აქამდე შენ იმედი იყავი ჩვენში. ნუთუ გვიკრძალავ თაყვანი ვცეთ იმას, ვისაც ჩვენი მამები ეთაყვანებოდნენ? და, უეჭველად, ჩვენ ეჭვი გვაქვს იმისადმი, რისკენაც მოგვიწოდებ.“ *(სურა ჰუდი, აიათი 62)* — **მოცემული აიათი რისი მაჩვენებელია, სემუდის ტომს რომელ საკითხზე გაუჭირდა თანხმობის მიცემა?**

ა. აჩვენებს, რომ ადამიანებს მონოთეიზმის აღიარება პოლითეიზმის აღიარებაზე მეტად უჭირთ.

ბ. მონოთეიზმის აღიარება ადრინდელი საზოგადოებების ტრადიციების უარყოფას აუცილებელს ხდის.

გ. აჩვენებს, რომ იმ მცდარი რწმენისა და ტრადიციების უარყოფა, რომელსაც წინაპრები მისდევენ, მომავალ თაობებს უჭირთ.

დ. აჩვენებს, რომ ისტორიის განმავლობაში ყველა ტომი წინაპრების კულტურული მემკვიდრეობის მფლობელია.

9. „ნუთუ ჩვენგან მხოლოდ მასზე ზეგარდმოხდა შეხსენება? არა, იგი მატყუარა და ყოყოჩია.“ *(სურა ყამერი, აიათი 25)* **ბრალდებაზე ალლაჰის პასუხი—„ისინი ხვალ გაიგებენ, ვინ არის მატყუარა და ყოყოჩი.“** *(სურა ყამერი, აიათი 26)*— **უდიდეს ალლაჰსა და შუამავალს შორის როგორ კავშირს არ აჩვენებს?**

ა. უდიდესი ალლაჰის მიერ შუამავლის სიყვარულსა და მის მფარველობას.

ბ. უდიდესი ალლაჰი შუამავლებისთვის გაკეთებულ ბოროტებას მისდამი ჩადენილ ბოროტებად თვლის.

გ. უდიდესი ალლაჰის მიერ შუამავლებისგან თავიანთი ტომების წინაშე ჩადენილი შეცდომების დამალვა.

დ. უზენაესი ალლაჰი შუამავლებს ზეშთაგონების მეშვეობით აძლიერებდა.

სწორი პასუხები

ბ. გამოტოვებულ ადგილებზე ჩასასმელი სწორი პასუხები

1-ორმოცი

2-მოგვივლინე ის სატანჯველი, რითაც გვემუქრებოდი,

ჯ. ტესტების სწორი პასუხები

1- გ	2- გ	3- ა	4-გ	5-დ
6- ა	7-დ	8- გ	9- გ	



წმინდა

იმედი

ტირანი ნემრუდის მიერ აგიზგიზებული ცეცხლი, ვარდის ბაღად რომ გადაექცა

წმინდა იბრაჰიმი

შუამავალი იბრაჰიმი, ბაბილონის აღმოსავლეთით, ტიგროსსა და ევფრატს შორის მდებარე მხარეში დაიბადა.

გადმოცემის მიხედვით, მამამისი — თარუჰი მორწმუნე, გულწრფელი ადამიანი იყო. თარუჰი რომ გარდაიცვალა, იბრაჰიმის დედა თარუჰის ძმას—აზერს გაჰყვა ცოლად. ესე იგი, კერპთაყვანისმცემელი აზერი მისი მამინაცვალი გახდა. სხვა ვერსიის მიხედვით კი, თარუჰი იბრაჰიმის მამის ძველი სახელია. კერპთაყვანისმცემელი რომ გახდა, მას შემდეგ აზერი ეწოდა. იმამი სუიუთი კი, იბნ აბასის გადმოცემის მიხედვით, გვამცნობს, რომ აზერი იბრაჰიმის მამა კი არა, ბიძა იყო. დიადი ღრმერთი შუამავალ იბრაჰიმს „მეგობარს“ უწოდებს. აქედან გამომდინარე, ის „ჰალილულლაჰის“ (ღმერთის მეგობრის) სახელითაც მოიხსენიება. მას ათი „ღვთიური წერილი“ ებოძა.

იბრაჰიმი შუამავალთა მამადაც იწოდება. მისი შვილები არიან ისმაილი და ისაკი. მუჰამმედ შუამავალი (ს.ა.ს) წმინდა ისმაილის შთამომავალია. წმინდა ისაკის შთამომავლები კი ებრაელების შუამავლები არიან.

იბრაჰიმი ქელდანის ტომს მოევლინა შუამავლად. ქელდანის ტომის ბელადი ნემრუდი, თავდაპირველად, სამართლიანი და მიუკერძოებელი პიროვნება იყო. მისი ტომი ვარსკვლავებსა და კერპებს სცემდა თაყვანს. ნემრუდის სასულთნო რომ გაფართოვდა, ის გაამაყდა, საკუთარი ქანდაკებები გააკეთებინა და თავის ტომს უბრძანა:

„მეც ღმერთი ვარ, თაყვანი მეცით!“

ამ საკითხთან დაკავშირებით, ყურანში ასეა ნაბრძანები:

„განა არ გინახავს, ვინც იბრაჰიმს ედავებოდა მისი ღმერთის გამო, რომელმაც მას (ნემრუდს) ხელმწიფება უბოძა? აი, უთხრა იბრაჰიმმა: ჩემი ღმერთი ისაა, რომელიც აცოცხლებს და აკვდინებს! თქვა (ნემრუდმა): მეც ვაცოცხლებ და ვკლავ! იბრაჰიმმა უთხრა: უეჭველად, ალლაჰს მზე აღმოსავლეთიდან ამოჰყავს, მაშ, შენ დასავლეთიდან ამოიყვანე! მაშინ, გაოგნდა (ენა ჩაუვარდა), რომელმაც უარყო. და არ დაადგენს ალლაჰი ჭეშმარიტ გზაზე უსამართლო ხალხს!“ *(სურა ბაყარა, აიათი 258)*

ეს აიათი, ამავე დროს, ნემრუდის სიშმაგესა და ღმერთის ბოძებული წყალობებისთვის უმადურობას გვამცნობს.

არსებობს თქმულება, რომ ნემრუდს ერთ ღამეს ასე ესიზმრა: ცაში შუქი ბრწყინავდა, რომელმაც მზისა და მთვარის შუქი გადაფარა. სხვა გადმოცემის მიხედვით კი, ესიზმრა რომ ერთი ადამიანი მოვიდა, ის ტახტიდან ჩამოაგდო და მიწას დააანარცხა. გაღვიძებისთანავე ძალიან აღელდა. სასახლეში წინასწარმეტყველები მოიხმო და სიზმრის ახსნა სთხოვა. უთხრეს:

„ახალი რწმენა მოვა. იმ რწმენის მომტანი კაცი კი, შენს ტახტს მიწასთან გაასწორებს. მის წინააღმდეგ ზომები მიიღე!“

შედეგად, ნემრუდის სათათბირო საბჭომ მოსალოდნელი საფრთხის, თავიდან ასაცილებლად, ყველა ახალდაბადებული ვაჟის მოკვლის გადაწყვეტილება მიიღო. დაახლოებით, ასი ათასი ჩვილი ბავშვი დახოცეს.

იმ დროს იბრაჰიმის დედა ფეხმძიმედ იყო. მშობიარობის დრო რომ მოახლოვდა, ქმარს -აზერს, უთხრა:

„შენ საკერპოში წადი! იქ ჩემთვის ილოცე! თუ ბიჭს გავაჩენ, მას შენ მოგიყვან, შენც მას ნემრუდს მიუყვან! ის ბავშვს მოკლავს. შენ კი მის წინაშე ავტორიტეტს მოიპოვებ!“

აზერი საკერპოში რომ წავიდა, იბრაჰიმი დაიბადა. დედამ ის მაშინვე ერთ გამოქვაბულში დამალა. აზერი სახლში რომ დაბრუნდა, უთხრა, რომ ბავშვი ძალიან სუსტი დაიბადა და მოკვდა.

როგორც კი აზერი სახლიდან წავიდოდა, იბრაჰიმის დედა მიდიოდა და ბავშვს ძუძუს აწოვებდა.

გადმოცემის მიხედვით, გამოქვაბულიდან გამოსულმა იბრაჰიმმა მონოთეიზმის ქადაგება დაიწყო.


ჩრდილოეთი
დასავლეთი
აღმოსავლეთი
სამხრეთი
ანატოლია
ურფა
ვანი
იერუსალიმი
ჰარრანი
ნინოვა
ჰალეფი
ტიგროსი
ევფრატი
კვიპაროსი
დამასკო
ხმელთაშუა ზღვა
იერუსულიმი
ბაბილონი
ელ ჰალილი
ური
სპარსეთი
ეილე
არაბეთის ნახევარკუნძული
ბაჰრეინის ქვრე
მედიამი
ეგვიპტე
წითელი ზღვა
მედინა
ჰიჯაზი
მდ.ნილოსი
ჯიდდე
მექა

აიათში ნაბრძანებია:

„და ვფიცავ, ჩვენ ვუბოძეთ იბრაჰიმს არასწორის გარჩევის უნარი მანამდე და ჩვენ მას ვუწყოდით!“ *(სურა ენბია, აიათი 51)*

აიათში მოცემული აზრი სწორისა და მცდარის გარჩევის ნიჭის გამოვლინებაა. იბრაჰიმისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის არავის არაფერი უსწავლებია და ის არავის აღუზრდია, ღვთიური ჭეშმარიტებები ცნობილი იყო. ის მონოთეიზმის გზის მაჩვენებელ გიდად იქცა.

ჩემი ღმერთი ალლაჰია

„როცა დაფარა ღამემ იგი, დაინახა ვარსკვლავი და უთხრა: ესაა ღმერთი ჩემი ! მაგრამ როცა გაქრა, თქვა: მე არ მიყვარს ქრობადი!

როცა დაინახა მთვარე ამომავალი, უთხრა: ესაა ღმერთი ჩემი. მაგრამ როცა გაქრა, თქვა: უთუოდ, თუ არ დამადგენს სწორ გზაზე ღმერთი ჩემი, უეჭველად, გზაამცდარ ხალხთაგან ვიქნები მე.

როცა დაინახა მზე ამომავალი, უთხრა: ესაა ღმერთი ჩემი, ეს უფრო დიდია. მაგრამ როცა გაქრა, უთხრა: ხალხო ჩემო! უეჭველად, მე თქვენ თანაზიართაგან შორსა ვარ.

უეჭველად, მე ვპოვე სათაყვანო, რომელმაც გააჩინა ცანი და დედამიწა, და მივიქეცი ერთღმერთიანობისაკენ, და მე არ გავუჩენ თანაზიარს!“ *(სურა ენღამი, აიათები 76-77-78-79)*

ამ აიათში გამოხატულია ჭეშმარიტება, რომ იმ საცოდავების გზა, რომლებიც იბრაჰიმის გამჩენს კი არა, სხვა რაღაცას სცემდნენ თაყვანს, მცდარია და მათი რწმენა უსარგებლოა.

ამავე დროს, ეს ამბები აჩვენებს, რომ ყველა ჭკვიან ადამიანს თავისი გამჩენი ალლაჰის არსებობისა და მისი თვისებების შემეცნება შეუძლია. ამ მიზეზით, ღვთისმეტყველთაგან მათურიდიელები ამბობდნენ, რომ ის ადამიანები, რომლებიც ისლამამდელ პერიოდში ცხოვრობდნენ, იმისთვის, რომ საიქიო ხსნა მოეპოვებინათ, ვალდებული იყვნენ, ალლაჰის არსებობა და ერთადერთობა შეემეცნებინათ, მაგრამ ვინაიდან არ იცოდნენ, ეს როგორ კეთდებოდა, პასუხი არ მოეთხოვებათ.

მონოთოეიზმის ქადაგება

ღვთიური ჭეშმარიტება რომ შეიმეცნა, მისთვის ბოძებული იმ

ცოდნით, რომლის მიღების ბედნიერებაც ყველას არ ერგო წილად, იბრაჰიმმა ქადაგება დაიწყო. პირველად მონოთეიზმი მამას - აზერს უქადაგა. მას რბილად ასე უთხრა:

„აკი, უთხრა თავის მამას: „ჰეი, მამაჩემო! რატომ ეთაყვანები იმას, რაც ვერ ისმენს, ვერ ხედავს და არანაირი სიკეთის მოტანა არ შეუძლია შენთვის?

ჰოი მამაჩემო, უეჭველად, მე მებოძა ცოდნისგან, რომელიც არ მოსულა შენთან; მაშ, მომყევი მე, დაგადგენ სწორ გზაზე!

ჰეი, მამაჩემო, არ ეთაყვანო ეშმაკს! უეჭველად, ეშმაკი მოწყალის მიმართ ურჩია!

ჰეი, მამაჩემო, უეჭველად, მე მეშინია, რომ სასჯელი გელის მოწყალისგან, ამრიგად შეიქმნები ეშმაკის მეგობარი!“ *(სურა მერიემი, აიათები 42-43-44-45)*

გაბრაზებულმა აზერმა **„უპასუხა: „ჰეი, იბრაჰიმ, ნუთუ შენ პატივს არ სცემ ჩემს ღმერთებს? თუკი შენ თავს არ მიანებებ ამას, დიახაც, რომ ჩაგქოლავ. გამეცალე დიდი დროით!“** *(სურა მერიემი, აითი 46)*

მაგრამ იბრაჰიმმა აზერს კვლავ რბილად „მიუგო: „მშვიდობა შენდა! ჩემს ღმერთს შენთვის პატიებას ვთხოვ, უეჭველად, იგი მოწყალეა ჩემს მიმართ!“ *(სურა მერიემი, აითი 47)*

იბრაჰიმი მამის მიტევებისთვის ღმერთს შეევედრა, მაგრამ მისი ვედრება არ იქნა მიღებული, რადგან მამამისი ალლაჰის მტერი იყო.

იბრაჰიმმა ვედრება შეწყვიტა, რადგანაც ვედრება ურწმუნოებისთვის კი არა, მხოლოდ ჭეშმარიტების მიმდევართათვის შეიძლება.

ყურანში ამ საკითხის შესახებ ასეა ნაბრძანები:

„და არ არის შუამავლისთვის და მათთვის, რომელთაც ირწმუნეს, რომ შენდობა ითხოვონ წარმართთათვის, თუნდაც ახლო ნათესავები იყვნენ, მას შემდეგ, რაც აშკარა გახდა მათთვის, რომ ჯოჯოხეთის მკვიდრნი არიან ეგენი.

და არ იყო შეწყნარების თხოვნა იბრაჰიმის მიერ თავისი მამისათვის, გარდა აღთქმის აღსრულებისა, რომელიც მან აღუთქვა. მაგრამ, როცა მისთვის ცხადი გახდა, რომ იგი ალლაჰის მტერია, განუდგა მას.

უეჭველად, იბრაჰიმი თანამგრძნობი და მომთმენი იყო.“ *(სურა თევბე, აიათები 113-114)*

იბრაჰიმმა მამამისი და ტომი, რომელმაც არ ირწმუნა, გაკიცხა და ასე უთხრა:

„აკი, უთხრა მან თავის მამას და თავის ხალხს: „რა არის ეს ქანდაკებები, რომელთაც თქვენ ეთაყვანებით?“


მიუგეს: „ჩვენ ვჰპოვეთ, მას ეთაყვანებოდნენ ჩვენი მამები.“ *(სურა ენბია, აიათი 52-53)*

ამგვარი პასუხი რომ გასცეს, ამის შემდეგ იბრაჰიმს, მამამისსა და მის ტომს შორის ამგვარი საუბარი გაიმართა:

„უთხრა: „ვფიცავ, თქვენც და თქვენი მამებიც ცხად გზააბნევაში ხართ!“

„უთხრეს: „შენ ჭეშმარიტება მოგვიტანე, თუ ერთ-ერთი მასხარა ხარ?“

„უთხრა : „არა! თქვენი ღმერთი ცათა და ქვეყნის ღმერთია, რომელმაც ისინი გააჩინა. და მეც მოწმეთაგანი ვარ ამ სიმართლისა!“ *(სურა ენბია, აითები 54-55-56)*



აზერი კერპებს აკეთებდა და ყიდდა, ეს მისი შემოსავლის წყარო იყო. აზერის სხვა შვილებიც კერპებს სცემდნენ თაყვანს და მამას მათ გაყიდვაში ეხმარებოდნენ. წმინდა იბრაჰიმმა კი იმ კერპს, მამამ გასაყიდად რომ გაატანა, კისერზე თოკი მოაბა და ბაზარში თრევით წაიღო.

წმინდა იბრაჰიმის მიერ კერპების დამსხვრევა

წმინდა იბრაჰიმის დროს მესოპოტამიის მხარეში პოლითეისტური რელიგიები

იყო გავრცელებული. ყველაზე დიდი ღმერთი—მთვარის ღვთაება — „სინი“ იყო. ხალხი ამ ღმერთების წარმომადგენლად ქანდაკებებს აკეთებდა და მათ სცემდა თაყვანს. მარცხენა მხარეს სინის წარმომადგენელი პატარა ქანდაკება ჩანდა. ქანდაკების მკერდზე ცხადად იყო გამოსახული ნახევარმთვარის ფორმა, ზემოდან ჩანდა, როგორ დებდნენ მონაზვნები მის წინაშე აღთქმას. იმ დროის ტაძრები, იმ პერიოდისთვის ყველაზე მოწინავე ტექნიკური საშულებებით იყო აგებული.

ტაძრები როგორც თაყვანისცემის, ასევე ასტროლოგიური დაკვირვებების ცენტრებს წარმოადგენდა. ხალხი მთვარეს, მზესა და ვრსკვლავებს სცემდა თაყვანს და ამის გამო ცას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. სურათზე მესოპოტამიის მნიშვნელოვანი ტაძრებია გამოსახული.

ქელდანის ტომი წელიწადში ერთხელ იკრიბებოდა და დღესასწაულს აწყობდა. აზერმა წმინდა იბრაჰიმს უთხრა:

„შენც დღეს ჩევნთან ერთად წამოდი დღესასწაულის აღსანიშნავად!“

იბრაჰიმმა გზაში ავადმყოფობა მოიმიზეზა და უკან დაბრუნდა. საკერპოში შევიდა, სადაც ვერცხლის, სპილენძისა და ხისგან დამზადებული კერპები ელაგა. მათ წინ ბარაქიანობისთვის კერძები ეწყო. ყველაზე დიდი კერპი, რომელიც ოქროსგან იყო დამზადებული, ტახტზე იჯდა. მას ოქრომკერდით გაწყობილი ტანსაცმელი ემოსა და თავზე გვირგვინი ედგა.

იბრაჰიმმა დიდი კერპის გარშემო განლაგებული ყველა კერპი ცულით დაამტვრია და შემდეგ ცული დიდ კერპს კისერზე ჩამოკიდა.

საღამოს, დღესასწაულიდან დაბრუნებული ქელდანის ტომი საკერპოში ნანახმა ძალიან გააოცა. ვარაუდი გამოთქვეს:

„ამ საქმეს მხოლოდ იბრაჰიმი თუ ჩაიდენდა!“

მაშინვე ის იპოვეს და ჰკითხეს:

„ეს შენ გააკეთე?“

იბრაჰიმმა ასე უპასუხა:

„დიდ კერპს არ სურდა, რომ მის გარდა ვინმესთვის გეცათ თაყვანი. ამის გამო სხვებზე გაბრაზდა; შემდეგ ყველა ცულით დაანაწევრა; ცულიც მხარზე გადაიკიდა. თუ გინდათ, მას ჰკითხეთ! ის თვითონ აგიხსნით!“

კერპთაყვანისმცემლებმა უთხრეს:

„კერპები არ ლაპარაკობენ!“

მაშინ იბრაჰიმმა უთხრა;

„თუ ასეა, ეს სუსტი არსებები, რომელთაც საკუთარი თავის დაცვა და ლაპარაკიც კი არ შეუძლიათ, თქვენ როგორ დაგიცავთ? გონს ისევ არ მოეგებით?“

ეს შემთხვევა ყურანში ასეა მოთხრობილი:

„შემდეგ ჩუმად მიუახლოვდა მათ კერპებს და უთხრა: „განა არ მიირთმევთ ?

რა გჭირთ, რომ არ ლაპარაკობთ?“

შემდეგ მიუახლოვდა და მარჯვენა დაჰკრა.“ *(სურა საფფათი, აიათები 91, 92, 93)*

„მერე ისინი დაამსხვრია ნაწილ-ნაწილად, გარდა მათგან დიდისა, ეგების მათ მისთვის მიემართათ!

თქვეს: „ვინ მოექცა ასე ჩვენს ღვთაებებს? უეჭველად, იგი უსამართლოთაგანია!“

უთხრეს: ,,გავიგონეთ, ყმაწვილი, სახელად იბრაჰიმი აუგად იხსენიებდა მათ.“

თქვეს: „მაშ, მოიყვანეთ იგი ხალხის თვალწინ, ეგების მათ დაამოწმონ!“

უთხრეს: „ჰეი, იბრაჰიმ! განა შენ მოექეცი ასე ჩვენს ღვთაებებს?“

მიუგო: „არა, იქნებ ეს ჰქმნა მათგან უდიდესმა. მაშ, ჰკითხეთ მათ, თუკი შეძლებენ პასუხის გაცემას!“

მაშინ თავიანთ თავს მიუბრუნდნენ და თქვეს: ,,უეჭველად, თქვენ ხართ უსამართლონი!“

მერე თავისას დაუბრუნდნენ: ,,ვფიცავ, იცოდი შენ, რომ ამათ ლაპარაკი არ შეეძლოთ!“

უთხრა: „ნუთუ ჯერ კიდევ თაყვანს სცემთ სხვას, მაგიერ ალლაჰისა, რასაც თქვენთვის არც სარგებლის მოტანა შეუძლია და არც ზიანის მიყენება?

გრცხვენოდეთ თქვენ და რასაც თქვენ ეთაყვანებით, ალლაჰის გარდა! განა არ უნდა მოუხმოთ გონებას ?“ *(სურა ენბია, აიათები 58-67)*

იბრაჰიმის ამ გამონათქვამიდან კერპთაყვანისმცემლებმა კარგად გაიგეს, რომ კერპები მისი დამსხვრეული იყო. უბედურმა კერპთაყვანისმცემლებმა, ნაცვლად იმისა, რომ ამ ქვის ნატეხების უსუსურობაზე დაფიქრებულიყვნენ და ღმერთისკენ მიმართულიყვნენ, ეს საქმე ვერ მოინელეს და წმინდა იბრაჰიმის ცეცხლზე დაწვა გადაწყვიტეს.

„თქვეს: „დაწვით იგი და გამოექომაგეთ თქვენს ღვთაებებს, თუკი რაიმეს გამკეთებელნი ხართ თქვენ!“ *(სურა ენბია, აიათები 68)*

წმინდა იბრაჰიმის ცეცხლში ჩაგდება

კერპთაყვანისმცემლებმა ეს ამბავი ნემრუდს შეატყობინეს. ნემრუდმა იბრაჰიმი თავისთან იხმო.

ყველა, ვინც ნემრუდთან მივიდოდა, უპირველესად, მის წინაშე სეჯდეს ასრულებდა. იბრაჰიმმა კი სეჯდე არ შეასრულა. დაინტერესებულმა ნემრუდმა მიზეზი რომ ჰკითხა, იბრაჰიმმა უპასუხა:

„შენი და ჩემი გამჩენის გარდა, სეჯდეს არავის შევუსრულებ!“

ნემრუდმა ჰკითხა:

„შენი ღმერთი ვინ არის?“

„ჩემი ღმერთი სიცოცხლის მომნიჭებელი და წამრთმევი-ალლაჰია!“

„მეც სიცოცხლის მიმნიჭებელი და წამრთმევი ვარ!“

საპყრობილედან ორი ადამიანი მოაყვანინა, ერთი მოაკვლევინა, მეორე გაათავისუფლა. შემდეგ უთხრა:

„შეხედე: მაგ საქმეს მეც ვაკეთებ!“

ოღონდ უგუნურმა ნემრუდმა არ იცოდა, რომ სიცოცხლის მინიჭება—სულის შთაბერვა, მოკვდინება კი—სულის წართმევაა. იბრაჰიმმა უთხრა:

„ჩემს ღმერთს მზე აღმოსავლეთიდან ამოჰყავს. თუ ძალა გეყოფა, ის შენ დასავლეთიდან ამოიყვანე!“

აიათში ნაბრძანებია:

„იბრაჰიმმა უთხრა: უეჭველად, ალლაჰს მზე აღმოსავლეთიდან ამოჰყავს, მაშ, შენ დასავლეთიდან ამოიყვანე! მაშინ, გაოგნდა (ენა ჩაუვარდა), რომელმაც უარყო. და არ დაადგენს ალლაჰი ჭეშმარიტ გზაზე უსამართლო ხალხს!“ *(სურა ბაყარა, აიათი 258)*

ᘓ

ყურანის განმმარტავი ბეიზავი ამბობს, რომ პირველი ადამიანი, ვინც დედამიწაზე ღმერთობის პრეტენზია განაცხადა— ნემრუდია. ის მისთვის ბოძებული სამფლობელოსთვის სამადლობელოს გადახდის ნაცვლად, საპირისპიროდ მოიქცა, ალლაჰი უარყო.

იბრაჰიმისა და ნემრუდის შეხვედრის შესახებ ორი თქმულება არსებობს:

პირველის მიხედვით, იბრაჰიმმა როგორც კი კერპები დაამსხვრია, ის დააპატიმრეს და ცეცხლში დაწვამდე ნემრუდის წინაშე მიიყვანეს.

მეორე თქმულების მიხედვით, ერთწლიანი შიმშილობა ჩამოვარდა. ნემრუდი ხალხს საკვებს ურიგებდა. საკვებს ვისაც მისცემდნენ, ეკითხებოდნენ:

„შენი ღმერთი ვინ არის?“

ჯერი იბრაჰიმზე რომ მიდგა, მან უთხრა:

„ჩემი ღმერთია ის, ვინც სიცოცხლეს გვიბოძებს და ვინც მოგვაკვდინებს!“

ნემრუდი ამ სიტყვებზე გაბრაზდა. წმინდა იბრაჰიმს საკვები პროდუქტები აღარ მისცა. თუმცა საზოგადოება შეკრიბა იმისთვის, რათა მოეთათბირებინათ როგორ დაესაჯათ იგი. ერთმა უბედურმა, სახელად ჰენუნმა თქვა:

„ის კოცონზე დავწვათ!“

ეს წინადადება მიღებულ იქნა. იბრაჰიმის დასაწვავად მომზადება დაიწყეს. ცეცხლისთვის ერთი თვის განმავლობაში შეშას ეზიდებოდნენ. უმეცარი და ბრიყვი ხალხი ამბობდა:

„ეს ადამიანი ჩვენი კერპების წინააღმდეგ გამოდისო“ და შეშის მოსატანად რამდენჯერმე მიდიოდნენ.

მთასავით გროვად დაყრილ შეშას ცეცხლი წაუკიდეს. ცეცხლის ალი ცას სწვდებოდა. ისეთ მხურვალებას გამოსცემდა, რომ ახლო–მახლო ჩიტები ვეღარ დაფრინავდნენ.

ყველა მოსამზადებელი სამუშაო რომ დასრულდა, ხალხი ცეცხლთან მოგროვდა. ხელ-ფეხზე ბორკილდადებული იბრაჰიმიც იქ მიიყვანეს.

ის დიდი შუამავალი და ღმერთის მეგობარი იყო. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, მორჩილად იყო ღმერთს მინდობილი. გულში არავითარი შიში და მღელვარება არ ჰქონდა.

ნემრუდმა და იქ მყოფმა საზოგადოებამ თათბირი დაიწყეს, იბრაჰიმი ცეცხლში როგორ ჩაეგდოთ და ბოლოს გადაწყვიტეს შორიდან გაესროლათ.

გაოცებული ანგელოზები ღმერთს ევედრებოდნენ:

„ღმერთო, ჩვენო! იბრაჰიმი, რომელიც შენ ყველაზე ხშირად გახსენებს, ცეცხლში უნდა ჩააგდონ. ის არის შუამავალი, რომელიც შენ ერთი წამითაც კი არ გივიწყებს! ჩვენო ალლაჰო, ნებას არ მოგვცემ, მას დავეხმაროთ?“

უზენაესმა ალლაჰმა ნება რომ დართო, ერთი ანგელოზი იბრაჰიმთან მივიდა და უთხრა:

„ქარი ჩემს ბრძანებას ემორჩილება. თუ ისურვებ, ცეცხლს მიმოვფანტავ!“

მეორე ანგელოზმა:

„წყალი ჩემს ბრძანებას ემორჩილება. თუ ისურვებ, ცეცხლს ერთ წამში ჩავაქრობ!“

მესამე ანგელოზმა უთხრა:

„მიწა ჩემს ბრძანებას ემორჩილება. თუ ისურვებ, ცეცხლს მიწას ჩავაყლაპინებ!“

იბრაჰიმმა ანგელოზებს უპასუხა:

„მეგობრებს შორის ნუ ჩადგებით! ღმერთი რასაც ინებებს, მე თანახმა ვარ! თუ მიხსნის, მისი წყალობისგანაა, თუ დამწვავას - ჩემი ნაკლის გამო. მე მომთმენთაგან მიხილავთ!“

როცა იბრაჰიმი ცეცხლში გადასაგდებად მოამზადეს ამბობდა:

„მე უზენაესი ალლაჰი დახმარების გარეშე არ დამტოვებს!“

ზუსტად იმ დროს, როცა ცეცხლში უნდა ჩაეგდოთ, ჯებრაილი მივიდა და ჰკითხა:



„რაიმე სათხოვარი გაქვს?“

„დიახ, ერთი სათხოვარი მაქვს, მაგრამ შენთან არა!“

გაოცებულმა ჯებრაილმა ჰკითხა:

„ალლაჰისგან ხსნას რატომ არ ითხოვ?“

„მან ჩემი მდგომარეობა იცის! თანაც მეტყვით, ცეცხლი ვისი ბრძანებით ანთია? დაწვა ვისი საქმეა?“

მის ამ მახასიათებლებს უზენაესი ალლაჰი ყურანში ასე აქებს:

„...ისინი მხოლოდ ჩვენი თაყვანისმცემელნი იყვნენ!“ (სურა ნემლი. აიათი 37**)**

ცეცხლის ვარდის ბაღად გადაქცევა

ღმერთის მეგობრის ამგვარი ნდობისა და მხოლოდ ღმერთზე მინდობის სანაცვლოდ, მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იყო ცეცხლში ჩავარდნილი, დიადმა გამჩენმა ცეცხლს უბრძანა:

يَا نَارُ كُونِي بَرْدًا وَسَلَامًا عَلَى إِبْرَاهِيمَ

„ჩვენ ვთქვით: „ჰეი, ცეცხლო! იქმენ სიგრილედ და უვნებლად იბრაჰიმის მიმართ!“ *(სურა ენბია, აიათი 69)*

ამ ბრძანებისთანავე, ის ადგილი, სადაც იბრაჰიმი დაეცა, ვარდის ბაღად იქცა. იქ ტკბილმა წყარომ ამოხეთქა და დინება დაიწყო.

ამ მდგომარეობის შემხედვარე ნემრუდი გაოცდა, აღელდა და უთხრა:

„შენი ღმერთისთვის ახლა ოთხი ათას მსხვილფეხა საქონელს დავკლავ!“

იბრაჰიმმაც უთხრა:

„მანამ, სანამ სისულელეს არ მოეშვები და მონოთეისტურ რწმენას არ აღიარებ, შენ დაკლულ შესაწირავს არანაირი ფასი არა აქვს!“

ნემრუდმა უთხრა:

„ჩემს ადგილ-მამულსა და სასულთნოს მსხვერპლად ვერ გავიღებ! მაგრამ მსხვერპლშესაწირს გავიღებ!“

მართლაც, ოთხი ათასი მსხვილფეხა რქოსანი დაკლა. იბრაჰიმთან ბრძოლაც შეწყვიტა. მაგარამ სიამაყის, თავმოწონებისა და სიჯიუტის გამო, არ ირწმუნა და უბედურთაგანი გახდა. ამ აშკარა

სასწაულის მომსწრე კერპთაყვანისმცემელთა ნაწილმა ირწმუნა და ხსნა მოიპოვა.

უზენაესი ალლაჰის დახმარებით, ნემრუდის ცეცხლიდან საღ-სალამათად გამოსულმა იბრაჰიმმა, ურწმუნოებს ღვთიური სატან-ჯველი შეახსენა:

„უთხრა: თქვენ ამქვეყნიურ ცხოვრებაში მოყვასად დაიდგინეთ კერპები, ნაცვლად ალლაჰისა. მაგრამ მომავალში, აღდგომის დღეს, ზოგი თქვენგანი უარყოფს და დაწყევლის ზოგ თქვენგანს. თქვენი სადგომი იქნება ცეცხლი და არ გეყოლებათ მეოხე!“ *(სურა ანქებუთი, აიათი 25)*

ᔓ

ცეცხლში ჩაგდების შემთხვევის შემდეგ, უზენაესმა ალლაჰ-მა იბრაჰიმსა და მორწმუნეებს სხვაგან გადასვლა უბრძანა, რად-განაც ნემრუდისა და ქელდანის ტომითვის სატანჯველი უნდა მოევლინა. ალლაჰს მათი სატანჯველისგან დაცვა სურდა, რათა მათ ღვთისმსახურების შესრულება მშვიდად შეძლებოდათ. ეს მდგომა-რეობა აიათში ასეა მოთხრობილი:

„ამგვარად, ირწმუნა მისი ლუტმა და იბრაჰიმმა უთხრა: „ვაპირებ გადასახლებას ჩემი ღმერთისთვის. უეჭველად, იგი ძლევამოსილია, ბრძენია!“ *(სურა ანქებუთი, აიათი 26)*

ლუტ შუამავალი წმინდა იბრაჰიმის ძმისშვილი იყო. მხედველო-ბაში უნდა მივიღოთ მისი შუამავლობა. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ის ადრე ურწმუნო იყო და შემდეგ ირწმუნა. აქედან გამომდინარე, აიათში, რომელიც იბრაჰიმის რწმენის შესახებ გვამცნობს, მინიშნე-ბულია, რომ პირველი, ვინც მისი ირწმუნა, წმინდა ლუტი იყო.

ნემრუდისა და ქელდანის ტომის განადგურება

მას შემდეგ, რაც იბრაჰიმი ბაბილონში გადავიდა, სიამაყითა და თავმოწონებით მოცულ ქელდანის ტომს, კოლო მტვერივით დაესია. ეს კოლოები კერპთაყვანისმცემლებს სისხლს სწოვდნენ. ამგვარად, ის უბედურები გამხმარ ადამიანებს დაემსგავსნენ და განადგურდ-ნენ. ნემრუდს ერთი კოლო ცხვირში შეუძვრა და ტვინამდე მიაღწია. ქედმაღალი ნემრუდი ტკივილისგან ხელებს განუწყვეტლივ თავში იცემდა. ბოლოს ძლიერი დარტყმით სული განუტევა.

ყურანში ნაბრძანებია:

„და ისურვეს მისი ვნება, მაგრამ ჩვენ ისე მოვაწყეთ, რომ მათ ნახეს უდიდესი ზარალი!“ *(სურა ენბია, აიათი 70)*

საბოლოოდ, ამქვეყნიური სასულთნოთი გაამაყებული ნემრუდი და მისი ტომი მტვრის მსგავსმა კოლომ გაანადგურა. ისინი მთელი კაცობრიობისთვის სამაგალითოდ, სისხლგამოწოვილ „გამომშრალ ადამიანებად“ იქცნენ.

იბრაჰიმის გადასახლება

იბრაჰიმი ბაბილონიდან თავის ძმისშვილ ლუტთან, ბიძაშვილ სარასა და მორწმუნეთა ჯგუფთან ერთად ურფას სამხრეთში მდებარე ჰარრანში გადასახლდა.

ღმერთის ბრძანებით იბრაჰიმი სარაზე დაქორწინდა. შემდეგ ისევ ღმერთის ბრძანებით, ცოლთან სარასთან, ერთად დამასკოში, იქიდან კი ეგვიპტეში გადავიდა. ლუტი კი სოდომში იქნა შუამავლად მივლინებული.

ეგვიპტეს ფარაონის ოჯახი მართავდა. ისინი უსამართლო და ამაყი პიროვნებები იყვნენ. როგორც კი ქალაქში უცხო და ლამაზი ქალი შევიდოდა, მაშინვე ფარაონს ამცნობდნენ. თუ ქალი გათხოვილი იყო — ქმარს კლავდნენ, ხოლო თუ არა, მას ძმისგან თხოულობდნენ.

როგორც კი იბრაჰიმი და სარა ქალაქში შევიდნენ, ეს ამბავი სასახლეში მაშინვე აცნობეს. იბრაჰიმს სარას შესახებ ჰკითხეს: „შენი რა არის?“ მანაც იგულისხმა რა „რწმენის კუთხით“და ჩემი დააო— უპასუხა. ამის გამო იბრაჰიმს არ შეხებიან. სარა კი სასახლეში წაიყვანეს. ამ საკითხთან დაკავშირებით, ბუჰარში შემდეგი ჰადისია მოცემული:

სარა როგორც კი სასახლეში შევიდა, მაშინვე აბდესი აიღო და ილოცა. დიად ღმერთს შეევედრა, რომელიც მას იცავდა.

ფარაონი ადგა, რათა სარას შეხებოდა. უცებ სული შეეკრა და დამბლა დაეცა. ეს იმიტომ, რომ ალლაჰი სარას ბოროტებისგან იცავდა.

შეშინებულმა ფარაონმა ის გაათავისუფლა. საჩუქრად მხევალი ჰაჯერი გააყოლა. ამით გაოცებულ გარშემომყოფებს უთხრა:

„ეს ქალი ჯინია. ჩემთან ცოტა ხანს კიდევ რომ დარჩენილიყო, მოვკვდებოდი. იმისთვის, რომ მისგან თავი დამეცვა, მას ჰაჯერი მივეცი!“ (იხ. მუსლიმი, ფედაილი, 154)

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

يَآ اَيُّهَا الَّذِينَ اٰمَنُوا اسْتَعِينُوا بِالصَّبْرِ وَالصَّلٰوةِ اِنَّ اللهَ مَعَ الصَّابِرِينَ

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ეძიეთ შველა მოთმინებასა და ლოცვაში, უეჭველად, ალლაჰი მომთმენებთან ერთადაა.“ *(სურა ბაყარა, აიათი 153)*

სარა ხომ სწორედ, ამ აიათის შესაბამისი ქცევით, ლოცვითა და უზენაესი ალლაჰისადმი ვედრების შედეგად განთავისუფლდა.

ᔓ

წმინდა იბრაჰიმი, სარასა და ჰაჯერთან ერთად, ეგვიპტედან პალესტინაში დაბრუნდა. ის უკაცრიელ ადგილას დასახლდა, რომელსაც „სები“ ეწოდებოდა. იბრაჰიმმა ჭა ამოთხარა, საიდანაც ანკარა, გამჭვირვალე წყალმა ამოხეთქა.

საჭმელი რომ გაუთავდათ, იბრაჰიმი ქალაქისკენ გზას დაადგა. ცოტა ხნის შემდეგ გაახსენდა, რომ ფული არ ჰქონდა და უკან დაბრუნდა. უკან დაბრუნებას სარა და ჰაჯერი უიმედობაში რომ არ ჩაეგდო, ტომრებში სილა და ღორღი ჩაყარა. ძალიან დაიღალა, ტომრები ძირს დააწყო და მაშინვე ჩაეძინა.

სარამ ჰაჯერს უთხრა:

„ტომრები გახსენი!“

ტომრებში ხორბალი აღმოჩნდა. ის მაშინვე დაფქვეს და პური გამოაცხვეს. როდესაც იბრაჰიმმა გაიღვიძა, ძალიან გაოცდა და ღმერთს მადლობა შესწირა.

სების მხარე დროთა განმავლობაში უფრო ბარაქიანი გახდა. აქ ბევრი ადამიანი დასახლდა და აქაურობა ხალხმრავალ დასახლებად იქცა. ალლაჰის წყალობები უხვად გაჩნდა. მაგრამ, შემდეგ, ადგილობრივებმა უმადურობა გამოიჩინეს და იბრაჰიმისთვის მისივე ამოთხრილი ჭიდან წყლის მიცემა აღარ ისურვეს. იბრაჰიმი ამან ძალიან გაანაწყენა. შუამავლისთვის ამგვარად გულის ტკენის გამო წყალი შეწყდა, მხარეში გვალვა ჩამოვარდა. საცოდავმა დაუდევრებმა, ეს

მდგომარეობა რომ დაინახეს, ძალიან ინანეს, რის გამოც იბრაჰიმისგან პატიება ითხოვეს. შეეხვეწნენ, ღმერთისთვის მათი პატიება ეთხოვა. უწყინარი ხასიათის იბრაჰიმმა მათი ეს თხოვნა დააკმაყოფილა და ღმერთს შეევედრა. დიადმა ღმერთმაც მისი ვედრება ისმინა და წყალი ისევ უხვად წამოვიდა.

ჩიტების გაცოცხლება

იბრაჰიმი ღმერთს შეევედრა:

„ღმერთო, მინდა ამქვეყნიური გადასახედიდან ვნახო, მკვდრებს მკვდრეთით როგორ აღადგენ!“

ეს მდგომარეობა ყურანში ასეა გადმოცემული:

„და როცა შეევედრა იბრაჰიმმა: ღმერთო ჩემო, მახილვინე მე, როგორ აცოცხლებ მკვდრებს, ბრძანა (ალლაჰმა): ნუთუ არ გწამს? მიუგო (იბრაჰიმმა): პირიქით, ოღონდ დასაშოშმინებლად გულისა ჩემისა. უთხრა: მაშინ დაიჭირე ოთხი ჩიტი, შეიჩვიე შენთან, შემდეგ ყოველ გორაკზე თითო ნაჭერი დადე მათი, და მოუხმე მათ, ისინი ქროლვით გამოქანდებიან შენსკენ. და იცოდე, რომ ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია.“ *(სურა ბაყარა, აიათი 260)*

იბრაჰიმი დაინტერესდა, მკვდარი კვლავ სულიერ არსებად როგორ უნდა გადაქცეულიყო და ღმერთს ამის ჩვენება სთხოვა. ისე, როგორც აიათშია მოცემული, უზენაესმა ალლაჰმა მას მატერიალური მაგალითი აჩვენა, მხოლოდ მკვდრეთით აღდგომის არსი არ განუმარტა, რადგან საჭირო არ არის, ადამიანი ხელმეორედ გაცოცხლების არსს ჩასწვდეს. ისე, როგორც წინა ჰადისებში მოცემული შემთხვევები, ესეც შუამავლისთვის ბოძებული სასწაულია. მნიშვნელოვანია იმის რწმენა, რომ ალლაჰი ყველა სულიერ არსებას, განსაკუთრებით ადამიანებს, მკვდრეთით აღადგენს და განსჯის.

ალლაჰი, რომელსაც ყველაფრისთვის საკმარისი ძალა გააჩნია, ისე, როგორც თვითონ ინებებს, თავად აღადგენს მკვდრეთით და სიცოცხლეს მიანიჭებს. ამას თავისი მონა-მსხურების ხელითაც განახორციელებს. იბრაჰიმის ხელით განხორციელებული ეს შემთხვევა ამის მაგალითად გამოდგება.

„უთხრა იბრაჰიმმა: ჩემი ღმერთი ისაა, რომელიც აცოცხლებს და აკვდინებს! “ *(სურა ბაყარა, აიათი 258)* როცა ამის მთქმელი იბრაჰიმი ამბობდა: „ღმერთო ჩემო!“ გულისხმობდა: „ღმერთო ჩემო, რომელსაც გყოფნის სიცოცხლის მინიჭებისა და მისი წართმევის ძალა!“ ხოლო

როცა ამბობდა: „მკვდრები მკვდრეთით როგორ უნდა აღადგინო?“ — გულისხმობდა: „ვიცი, რომ შენ გარდაცვლილებს მკვდრეთით აღადგენ, მაგრამ იმის გამო, რომ ბოლომდე არ ვიცი, ამას როგორ აკეთებ, ნეტა შეიძლება შენი ეს უნარი ჩემი საშუალებით განახორციელო? მსურს ეს მაჩვენო!“ უდიდესი ღმერთის შეკითხვაზე: „იბრაჰიმ, ნუთუ არ დაიჯერე?“ წმინდა იბრაჰიმმა უპასუხა: „რა თქმა უნდა დავიჯერე, ღმერთო! მხოლოდ იმისთვის მაჩვენე, რომ გული დამშვიდდეს, ეს რწმენისთვის კი არ მინდა!“ ამგვარად, მისი გული ყოველგვარი ნაკლისა და ლაქისგან განიწმინდა. მან მიაღწია სიყვარულისა და მეგობრობის უმაღლეს საფეხურს, ანუ ალლაჰის მეგობრად იქცა.

იბრაჰიმისა და ჰაჯერის ქორწინება

იბრაჰიმსა და სარას შვილი არ გაუჩნდათ. წლები კი სწრაფად მიჰქროდა. სარამ ჰაჯერი გაათავისუფლა და იბრაჰიმზე დაქორწინების საშუალება მისცა. აღნიშნული ქორწინების შედეგად ამ ქვეყანას ისმაილი მოევლინა. ამგვარად, მუჰამმედის შუქი ისმაილში გადავიდა. სარას კი სურდა, რომ ეს შუქი მისი საშუალებით გადასულიყო. ასე რომ არ მოხდა, ძალიან დამწუხრდა. იბრაჰიმს უთხრა, რომ ჰაჯერი სადმე, სხვა მხარეში წაეყვანა. წმინდა იბრაჰიმმაც ღმერთის ბრძანებით, ჰაჯერი და წმინდა ისმაილი იმ დროისთვის უკაცრიელ მექაში წაიყვანა.

იმამი ბუჰარის მიხედვით, იბნ აბბასისგან დარჩენილი თქმულება ასეთია:

იბრაჰიმმა ჰაჯერი და ისმაილი, რომელიც ჯერ კიდევ ძუძუს წოვდა, მექაში წაიყვანა. იქ სადაც მოგვიანებით ზემზემის წყალმა ამოხეთქა, იმ ადგილზე, ხის ქვეშ დატოვა. გვერდით ერთი კალათი ხურმა და ერთიც წყლით სავსე ჭურჭელი დაუტოვა. შემდეგ უკან დაბრუნდა. ჰაჯერმა დაუძახა:

„ჩვენი აქ დატოვება ალლაჰმა გიბრძანა?“

იბრაჰიმმა უპასუხა:

„დიახ!“

ჰაჯერმა უდიდესი მორჩილებითა და ღმერთის იმედით უთხრა:

„თუ ასეა, ღმერთი დაგვიფარავს! არ გაგვწირავსო!“ თქვა და ისმაილთან დაბრუნდა.

იბრაჰიმმა ჰაჯერი და ისმაილი თვალთახედვიდან რომ დაკარგა, ხელები ცად აღაპყრო და ღმერთს ასე შეევედრა:

„ღმერთო ჩვენო! უეჭველად, მე დავასახლე ნაწილი ჩემი შთამომავლებისა უნაყოფო ხეობაში, შენი წმინდა სახლის მახლობლად, რათა ლოცვა აღავლინონ. ზოგი ადამიანის გულში გააღვივე მათდამი კეთილგანწყობა, და ნაყოფთაგან უწყალობე სარჩო, ეგების შეიქმნან მადლიერნი!“ *(სურა იბრაჰიმი, აიათი 37)*

ალლაჰმა ისმინა იბრაჰიმის ვედრება. ამ ვედრების შედეგია ის, რომ ჰაჯობისა და უმრას შემსრულებელ მორწმუნეებს ამ მხარის მიმართ სიყვარული ეზრდებათ, ხოლო მათ სულებს კი სიმშვიდე ეუფლება. ამ მხარეში კარგი, ბარაქიანი, სხვადასხვა ჯიშის ხურმა და სხვა მრავალგვარი ხილი ხარობს.

ამავე დროს, იბრაჰიმის ეს ვედრება იქ „ზემზემის“ წყლის ამოხეთქვის მიზეზიც გახდა.

იბრაჰიმის მოტანილი ერთი დოქი წყალი გათავდა. ჰაჯერმა საფასა და მერვეს მწვერვალებს შორის წყლის პოვნის იმედით შვიდჯერ მიირბინა და მოირბინა. ამ ორ მწვერვალს შორის მანძილი დაახლოებით ოთხასი მეტრია. წმინდა ჰაჯერი თან გარბოდა, თანაც ისმაილისკენ იხედებოდა. იქ არცერთი ადამიანი იყო, ჩიტიც კი არ დაფრინავდა. სიცოცხლის ნიშანწყალიც არსად ჩანდა. ბოლოს, როცა ჰაჯერი მერვეს მწვერვალზე ავიდა, ხმა შემოესმა:

„გაჩუმდი და კარგად მოუსმინე!“

ეს ჯებრაილის ხმა იყო.

ჰაჯერი მაშინვე იმ მხარისკენ მიტრიალდა, საიდანაც ხმა შემოესმა. ის ხმა ეუბნებოდა:

„თქვენ ყოვლისშემძლის ამანათი ხართ! ფრთხილად, განადგურების არ შეგეშინდეთ! აქაურობა ღმერთის სახლის ადგილია. იმ სახლს ეს ბავშვი და მამამისი ააგებენ. ალლაჰი ამ სახლის პატრონს არ დაკარგავს!“

ჰაჯერმა, ეს რომ მოისმინა, ისმაილთან მივიდა. დაინახა, რომ იქ, სადაც ისმაილს ფეხი უდევს, წყალი მოჩქეფს! სიხარულით აღსავსემ ღმერთს მადლობა შესწირა. შიშის გრძნობამ გაუარა და ქვიშისგან აუზი გააკეთა. წყალსაც უთხრა „ზემ! ზემ!“— რაც ნიშნავს გაჩერდი, გაჩერდი!

ეს წყალი, რომელიც მორჩილებისა და ღმერთის იმედად ყოფნის შედეგია, ქვეყნიერების აღსასრულამდე იდენს და მორწმუნეთათვის სამკურნალო საშუალება იქნება.

ამგვარად, იბრაჰიმმა და ჰაჯერმა ღმერთზე მინდობის საშუალებით დიდი ბარაქა მოიპოვეს. ხოლო ჰაჯერის მიერ საფასა და მერვეს მწვერვალებს შორის გამოჩენილი მოთმინება არის მუდმივმოქმედი სიკეთის სათავე, რადგან ის არის ბურჯი ქვეყნიერების აღსასრულამდე შესრულებული თუ შესასრულებელი, ყველა ჰაჯობისა და უმრას ღვთისმსხურებისა.

დედა-შვილი უკაცრიელ უწყლო ადგილზე სიცოცხლეს აგრძელებდნენ. იქ ჩავლილმა ჯურჰუმის ტომმა დაინახა, რომ ჩიტი მუდმივად ერთ ადგილზე ჯდებოდა და შემდეგ ისევ ჰაერში იჭრებოდა. იფიქრეს, რომ ეს რაღაც სიცოცხლის ნიშანი უნდა ყოფილიყო. მივიდნენ და წყალი რომ დაინახეს, ჰაჯერს ჰკითხეს:

„შეიძლება აქ დავსახლდეთ?

ჰაჯერი დათანხმდა იმ პირობით, თუ არ მოინდომებდნენ წყალი მათ მფლობელობაში გადასულიყო. ამგვარად, მექაში პირველად ჯურჰუმის ტომი დასახლდა.

ყურბნით გამოცდა

როცა წმინდა იბრაჰიმი ბაბილონიდან დამასკოში მიდიოდა, შემდეგი ვედრება აღავლინა:

„და თქვა: „უეჭველად, მე მივემართები ჩემი ღმერთისკენ, იგი დამადგენს ჭეშმარიტ გზას! ღმერთო ჩემო, მიბოძე მე კეთილთაგან!“
(სურა საფფათი, აიათები 99, 100)

აქ არის მინიშნება გულის, შიდა სამყაროს უმაღლეს მეგობართან შესახვედრად გამართულ მოგზაურობაზე.

აიათის გაგრძელებაში წმინდა ისმაილის სამახარობლო და ყურბნის შემთხვევაა მოხსენიებული:

„სწორედ მაშინ ვახარეთ მას ძე მორჩილი.

როცა მიაღწია მასთან ერთად სეირნობის ასაკს, უთხრა: „შვილო ჩემო, უეჭველად, სიზმარში ვიხილე, რომ მსხვერპლად გწირავდი. მაშ, გაიაზრე, აბა რას ჭვრეტ?“ მიუგო: „მამაჩემო! ჰქმენ რაც გებრძანა. მე მიხილავ მომთმენთაგან თუ იქნება ნება ალლაჰისა!“

როცა ორივე დამორჩილდა და მას შუბლი დაადებინა ძირს, მაშინ ვუხმეთ: ჰეი, იბრაჰიმ! „უთუოდ, ერთგულება გამოიჩინე სიზმართან მიმართებაში“. უეჭველად, ჩვენ ასე მივუზღავთ კეთილის მქმნელთ! უეჭველად, ეს ცხადი გამოცდაა!

და გამოსასყიდად ვუბოძეთ მას უდიდესი შესაწირი. და დავტოვეთ სახელი მისი მომდევნო თაობებში. სალამი იყოს იბრაჰიმსა ზედა! სწორედ ასე მივუზღავთ სიკეთის მქმნელთ! უეჭველად, იგი ჩვენი მორწმუნე მსახურთაგანი იყო.“ *(სურა საფფათი, აიათი 101-111)*

ᔓ

იბრაჰიმმა ჰაჯერი და ისმაილი მექაში დატოვა, და სარასთან დაბრუნდა. დროდადრო მათ სანახავად ჩადიოდა. ერთი ასეთი მგზავრობისას მექაში სიზმარი ნახა. სიზმარში, ისე როგორც აიათშია ნაბრძანები, ისმაილს მხვერპლად სწირავდა. იბრაჰიმი დაეჭვდა, სიზმარი ეშმაკისეული იყო თუ ღვთიური. თუმცა სიზმარს სამ დღეს ზედიზედ ხედავდა. ეს დღეები, ჰაჯობის პერიოდის თევრიეს, არეფესა და ბაირამის პირველი დღეები იყო.

ერთ -ერთი გადმოცემის მიხედვით, იბრაჰიმმა თქვა:

„ალლაჰი შვილს თუ მიბოძებს, მას ყურბნად შევწირავ!“— აი, ეს სიტყვა გახდა მისი გამოცდის მიზეზი.

იმისთვის, რომ ღმერთის ბრძანება შეესრულებინა, იბრაჰიმმა წმინდა ჰაჯერს უთხრა: „ისმაილი მეგობართან მიმყავს, დაბანე და სუნამო დააპკურე“. წმინდა ისმაილსაც უთხრა, რომ თოკი და დანა წამოეღო.

„შვილო, ღმერთის კმაყოფილების მოსაპოვებლად, ყურბანს დავკლავ!“

არაფათზე ჰაჯებმა გაჩერების ადგილისკენ ანუ „ვაყფესკენ“ აიღეს გეზი. ამ დროს ადამიანის ფორმაში შესული ეშმაკი ჰაჯერთან მივიდა და უთხრა:

„იცი, იბრაჰიმს შენი შვილი სად მიჰყავს?“

მანაც უპასუხა:

„მეგობართან მიჰყავს“

ეშმაკმა უთხრა:

„არა, დასაკლავად მიჰყავს.“

ჰაჯერმა უპასუხა:

„მას შვილი ძალიან უყვარს!“

ეშმაკმა დაიჩემა:

„ალლაჰის ბრძანების გამო, ყელი უნდა გამოჭრას.“

ჰაჯერმა უთხრა:

„თუ ალლაჰმა უბრძანა, ეს კარგი საქმეა. ჩვენ მას ვემორჩილებით!“

ჰაჯერი რომ ვერ შეაცდინა, ეშმაკი ისმაილთან მივიდა. ამჯერად მას ჰკითხა:

„იცი, მამაშენს სად მიჰყავხარ?“

ისმაილმა უთხრა:

„მეგობრის მოსანახულებლად.“

ეშმაკმა უთხრა;

„არა, დასაკლავად მიჰყავხარ. თვლის, რომ ღმერთმა მას ასე უბრძანა!“

ისმაილმა უპასუხა:

„თუ ალლაჰმა უბრძანა, ამას სიხარულით აღვასრულებთ!“ ამგვარად, ეშმაკი გააგდო. მას ქვები ესროლა.

ეშმაკმა ისმაილიც ვერ შეაცდინა. ამჯერად იბრაჰიმს მიუბრუნდა:

„მოხუცო, შვილი სად მიგყავს? ეშმაკმა შენ სიზმარში მოგატყუა! ის სიზმრები ეშმაკისეულია.“

იბრაჰიმმა უთხრა:

„შენ ეშმაკი ხარ! ახლავე გაგვშორდი!“

ხელში შვიდი ცალი ქვა აიღო და ეშმაკს სამჯერ ერთსა და იმავე ადგილას ესროლა.

ჰაჯობისას ეშმაკის ჩაქოლვის ტრადიცია აქედან დამკვირდა. მათი მორჩილება და ღმერთზე მინდობა ყველა ერთმორწმუნისთვის მაგალითად იქცა.

იბრაჰიმი ისმაილთან ერთად მინადან არაფატზე რომ მიდიოდა, ანგელოზები საკმაოდ ღელავდნენ. გაოცებით ერთმანეთს ეუბნებოდნენ:

„დიდება ალლაჰს! ერთ შუამავალს მეორე შუამავალი მსხვერპლად შესაწირად მიჰყავს!“

იბრაჰიმმა ისმაილს სიმართლე უთხრა:

„შვილო, სიზმარში შენი მსხვერპლად შეწირვა მებრძანა!“

ისმაილმა ჰკითხა:

„მამა, ეს შენ ალლაჰმა გიბრძანა?“

„დიახ!“

„მამა! გააკეთე ის, რაც გებრძანა! ღმერთით მე მომთმენთაგანი ვიქნები!“ მას ამცნო, რომ მზად იყო თავი მსხვერპლად გაეღო. როდესაც მამა დაამშვიდა, თქვა:

„მამა, მოითმინე მაშინ, როცა ნემრუდმა ცეცხლში ჩაგაგდო. ღმერთი შენით კმაყოფილი დარჩა. მეც თანახმა ვარ, მსხვერპლად ვიყო შეწირული. ღმერთით მეც მომთმენთაგანი ვიქნები! შენთან, ამ ქვეყანასთან განშორების შემდეგ, სამოთხეში წავალ! მე მხოლოდ იმაზედ ვწუხვარ, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში იგრძნობ შენი ხელით მსხვერპლად შეწირული შვილის მონატრებას. მამა, ნეტა, უფრო ადრე დედას გამოვმშვიდობებოდით, გადავხვეოდით!“

„შვილო, დედაშენის წინააღმდეგობას მოვერიდე!“

იმ დროს ისმაილი შვიდი თუ ცამეტი წლის იყო.

შვილმა დიდი მორჩილებით უთხრა:

„წამიყვანე იქ, სადაც ჩემი წაყვანა გებრძანა!“

ამის შემდეგ იბრაჰიმმა შვილი შესაწირად მოამზადა, ხელში დანა აიღო და ასე თქვა:

„ჩემო ალლაჰო, ეს ჩემი შვილია. ჩემი გულის ნაყოფია და ჩემთვის ადამიანებს შორის ყველაზე საყვარელია!“

ალლაჰის ბრძანებით, მსხვერპლად შესაწირმა ისმაილმა მამას ასე ურჩია:

„მამა, რამდენიმე სათხოვარი მაქვს:

1. ხელები და ფეხები კარგად შემიკარი, ტკივილისგან არ ავკანკალდე და რაიმე არ შემეშალოს;

2. კალთები აიკეცე, რომ ზედ ჩემი სისხლი არ მიგეშხეფოს;

3. დანა გალესილი იყოს, რომ სულის მიცემა გამიადვილდეს, თანაც შენც საქმეს სწრაფად მოამთავრებ;

4. დანას რომ გამომისვამ, სახეში არ შემომხედო! შესაძლოა, მამობრივმა გულისხმიერებამ ალლაჰის ბრძანების შესრულება დაგაგვიანებინოს;

5. ჩემი პერანგი დედას წაუღე, დაამშვიდებს! მას ეტყვი, შენი შვილი ალლაჰთან წავიდაო.“

როცა იბრაჰიმი ამ სიტყვებს ისმენდა, თვალებიდან ცრემლები მოსდიოდა. ბევრი იტირა და თქვა:

„შვილო, ალლაჰის ბრძანების აღსასრულებლად რა კარგ დახმარებას მიწევ!“ შემდეგ ხელები ცად აღაპყრო და ღმერთს ასე შეევედრა::

„ღმერთო, ამ საქმეში მოთმინება და გამძლეობა მომეცი!“

ისმაილმა შემდეგ უთხრა:

„მამა, ცის კარები გაიხსნა. გაოცებული ანგელოზები ღმერთს სეჯდეს უსრულებენ და ასე ევედრებიან: „ღმერთო, შენი კმაყოფილებისთვის ერთი შუამავალი მეორე შუამავალს მსხვერპლად სწირავს. შენ ისინი შეიწყალე!“

შემდეგ მამა შეაგულიანა:

„მამა, სიყვარულის პირობა, ბრძანების დროულად შესრულებაა! მიდი და რაც ნაბრძანები გაქვს, შეასრულე!“

იბრაჰიმმა ისმაილი დააწვინა და უთხრა:

„შვილო, განკითხვის დღემდე მშვიდობით! განკითხვის დღეს კვლავ შევხვდებით!“

ისმაილს დანა მთელი ძალით გამოუსვა. იმ წამს ალლაჰმა ჯებრაილს უბრძანა:

„მიუსწარი! დანა მოატრიალე!“

ჯებრაილი უმალ გამოეცხადა და დანა შეაბრუნა. იბრაჰიმმა კი დანა კვლავ მძლავრად გამოუსვა. დანამ ამჯერადაც არ გაჭრა.

ალლაჰმა ბრძანა:

„იბრაჰიმმა სიზმარი ნამდვილად დაადასტურა. ერთგულება გამოიჩინა.“

ამის შემდეგ ჯებრაილმა ალლაჰის ბრძანებით სამოთხიდან ერთი ყოჩი ჩამოიყვანა და თექბირი წარმოსთქვა:

اَللّٰهُ اَكْبَرُ اَللّٰهُ اَكْبَرُ

ალლაჰუ ექბერ, ალლაჰუ ექბერ (ალლაჰი უზენაესია, ალლაჰი უზენაესია).

იბრაჰიმმა ამ თექბირის გაგონებისთანავე პასუხად:

لاَ اِلَهَ اِلَّا اللّٰهُ وَ اللّٰهُ اَكْبَرُ

ლა ილაჰე ილალლაჰ ვე ლლაჰუ ექბერ (არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა. ალლაჰი უზენაესია).

ისმაილმაც თქვა:

اَللّٰهُ اَكْبَرُ وَ لِلّٰهِ الْحَمْدُ

ალლაჰუ ექბერ, ველილლაჰილ ჰამდ (ალლაჰი უზენაესია, ქება დიდება მას ეკუთვნის).

ამგვარად, დაედო საფუძველი არეფეს დღეს, დილის ლოცვიდან დაწყებულ „თეშრიყ თექბირებს“, რომელიც ბაირამის მეოთხე დღის ნაშუადღევის ნამაზამდე გრძელდება.

დიადი ღმერთისადმი მადლიერების გრძნობით აღვსილი მამა-შვილი სახლში დაბრუნდა. ჰაჯერი და ისმაილი ერთმანეთს გადაეხვივნენ. იბრაჰიმი კვლავ სარასთან დაბრუნდა.

ᘓ

როცა იბრაჰიმი ცეცხლში იქნა ჩაგდებული—საკუთარი სულით, ხოლო მსხვერპლად შეწირვის ბრძანებისას, შვილით გამოიცადა, ღმერთზე მინდობის მეშვეობით მან ორივე გამოცდა წარმატებით ჩააბარა.

ჯერი სიმდიდრით გამოცდაზე მიდგა.

გადმოცემის მიხედვით, იბრაჰიმს ათასობით ცხვარი ჰყავდა. მათ დასაცავად ძალიან ბევრი ძაღლი ჰყავდა. ჯებრაილი ერთ დღეს ადამიანის ფორმაში შევიდა, იბრაჰიმთან მივიდა და ჰკითხა:

„ეს ფარა ვისია?“

იბრაჰიმმა უპასუხა: „ცხვრის ფარა ღმერთის მიერ ჩემთვის მობარებული ამანათია!“

ჯებრაილმა ჰკითხა:

„მე მომყიდი?“

იბრაჰიმმა უპასუხა:

„ღმერთს ერთხელ თუ ახსენებ—ერთ მესამედს, სამჯერ თუ ახსენებ, ყველას მოგცემო!“

ჯებრაილმა უთხრა:

سُبُّوحٌ قُدُّوسٌ رَبُّنَا وَ رَبُّ الْمَلَئِكَةِ وَ الرُّوحِ

„ღმერთო ჩვენო! შენ სრულიად შორს ხარ ისეთი ნაკლოვანი თვისებებისგან, რომლებიც შენს დიდებულებას არ უხდება, შენ ანგელოზებისა და ჯებრაილის ღმერთი ხარ!“

იბრაჰიმმა უთხრა:

„ყველა შენია, წაიყვანე!“

ჯებრაილმა უთხრა:

„მე ანგელოზი ვარ, ვერ წავიყვან!“

იბრაჰიმმა უთხრა:

„შენ ანგელოზი ხარ, მეც „ღმერთის მეგობარი“ ვარ. მიცემულს უკან არ ავიღებ!“

საბოლოოდ იბრაჰიმმა ცხვრის ფარა გაყიდა. იმ ფულით მიწის ნაკვეთი იყიდა და იქაურობა მორწმუნეთა სასარგებლოდ საქველმოქმედო მიზნებისთვის გაიღო. ამგვარად, ქველმოქმედებას საფუძველი აქედან ჩაეყარა.

ალლაჰის მეგობარმა იბრაჰიმმა ალლაჰისთვის მთელი ქონება ერთ წამში მსხვერპლად გაიღო, ეს გამოცდაც წარმატებით ჩააბარა და დაამტკიცა, რომ ნამდვილად ალლაჰის მეგობარი იყო.

იბრაჰიმისთვის ისჰაყის მახარობლობა

უზენაესმა ალლაჰმა, იმის გამო, რომ იბრაჰიმმა შვილის მსხვერპლად შეწირვისას ერთგულება გამოიჩინა, მას ჯილდოდ მოხუცებულობაში კიდევ ერთი შვილი უწყალობა. იმ დროს იგი 120-ის, სარა კი 90 ან 99 წლისა იყო. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„და ჩვენ გავახარეთ იგი ისჰაყით, შუამავლად კეთილისმქნელთაგან. და გარდმოვსხით მადლი მასზე და ისჰაყზე. მათ შთამომავალთა შორისაა კეთილისმქმნელი და საკუთარი თავისადმი აშკარა უსამართლო.“ *(სურა საფფათი, აიათები 112-113)*

იბრაჰიმის განმასხვავებელი თვისება სტუმართმოყვარეობა იყო. ყველას უმასპინძლდებოდა. აქედან გამომდინარე, მისი მეტსახელი „სტუმართა მამა“ იყო.

სტუმართმოყვარეობა შუამავლების თვისებაა. ჭამა-სმისას საჭიროა, თავშეკავებაზე ყურადღების მიქცევა, რადგან დანაყრების შემდეგ საჭმელი იფლანგება. თუ სტუმარსაც გავუმასპინძლდებით, საჭმელი უთავბოლოდ, აღარ დაიხარჯება. გამასპინძლება, დაპატიჟება ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების მიზეზი გახდება.

იბნ აბბასის გადმოცემის მიხედვით, ჯებრაილთან ერთად ანგელოზების ერთმა ჯგუფმა იბრაჰიმს ისჰაყის გაჩენა ახარეს, იქიდან კი ლუტის ტომის გასანადგურებლად წავიდნენ.

ანგელოზებმა ადამიანის ფორმა მიიღეს და იბრაჰიმთან, როგორც სტუმრები, ისე მივიდნენ. იბრაჰიმმა მათ ხბოს ხორცი შეუწვა და დაულაგა. როცა მათგან არც ერთმა საჭმელს პირი არ დააკარა, იბრაჰიმი მიხვდა, რომ ისინი ანგელოზები იყვნენ. მაგრამ რადგანაც არ იცოდა, რომ ისჰაყის დაბადება უნდა ემახარობლებინათ, შეეშინდა.

იბრაჰიმი მღელვარებამ მოიცვა. თავისთვის გაიფიქრა:

„ნეტა, რამე ისეთი მოხდა, რამაც ალლაჰი განარისხა? თუ ჩემი ტომის გასანადგურებლად მოვიდნენ?“

კარგად რომ გაეგო, ანგელოზები იყვნენ თუ არა, კვლავ ჰკითხა:

„არ მიირთმევთ?“

„ჩვენ არ ვჭამთ“.

მაშინ იბრაჰიმმა წარმოთქვა „ბისმილლაჰ“, შემდეგ „ელჰემდულილლაჰ“ (დიდება ალლაჰს). ანგელოზებმა თქვეს:

„ის მართლაც ალლაჰის მეგობარია!“

შემდეგ კი იბრაჰიმს უთხრეს:

„ნუ გეშინია, იბრაჰიმ, ჩვენ აქედან ლუტის ტომთან წავალთ, მათ გავანადგურებთ!“

ამგვარად, უჭმელობისა და მოსვლის მიზეზი ნათელი გახდა.

იბრაჰიმის შიში რომ გაიფანტა, ანგელოზებმა ისჰაყისა და იაყუბის შესახებ ახარეს.

სარა ამ საუბარს ფარდის უკნიდან უგდებდა ყურს. იმის გამო, რომ სარა მორცხვი და დელიკატური ქალბატონი იყო, ხელები სახეზე აიფარა. გამომდინარე იქიდან, რომ თვითონ და მისი ქმარიც უკვე მოხუცები იყვნენ, ამ სამახარობლო ამბავმა გააოცა. ანგელოზებმა კი უთხრეს:

„შენ, ალლაჰის ბრძანება და ბედისწერა გაოცებს?“

იბრაჰიმი ამ ცნობამ ძალიან გაახარა, მაგამ ამავე დროს ლუტის ტომის განადგურებამ დაამწუხრა, რადგან ჯერ არ იცოდა, რომ იმათგან მორწმუნეები გადარჩებოდნენ. უნდოდა სატანჯველის ასაცილებლად ღმერთს შევედრებოდა, მაგრამ ანგელოზებმა უთხრეს, რომ

ვედრებას უკვე აზრი აღარ ჰქონდა და რომ სატანჯველი მხოლოდ ურწმუნოებს მოევლინებოდათ. ამ ამბავმა იბრაჰიმი გაამხიარულა.

ეს ჭეშმარიტება ყურანში ასეა გადმოცემული:

„და ვფიცავ! ჩვენი ელჩები იბრაჰიმთან მივიდნენ სამახარობლოთი და უთხრეს: „სალამი!“ მიუგო: „სალამი თქვენდა!“ და უმალვე მათ შემწვარი ხბო მიართვა.

მაგრამ როცა დაინახა, მათი ხელები არ გაწვდილა მისკენ, დაეჭვდა და შიში იგრძნო მათ მიმართ. უთხრეს: „ნუ გეშინია! უეჭველად, ჩვენ წარმოგზავნილნი ვართ ლუტის ხალხთან!“

და მის ცოლს გაეცინა ფეხზე მდგომს. მაშინ ვახარეთ მას ისჰაყი და ისჰაყის შემდგომ იაღყუბი.

თქვა : „ვაი, ჩემს თავს! ნუთუ მე უნდა შემეძინოს (შვილი), როცა მე დედაბერი ვარ, და ჩემი ქმარიც ბერიკაცია? უეჭველად, ეს სასწაულია!“

უთხრეს: „ნუთუ გაკვირვებთ ალლაჰის ბრძანება? წყალობა ალლაჰისა და ხვავი-ბარაქა მისი თქვენზეა, სახლის ბინადარნო! უეჭველად, იგია ყოვლადქებული, დიდებული!“

როცა იბრაჰიმს შიშმა გადაუარა და მას სასიხარულო ამბავი მოუვიდა, კამათი დაგვიწყო ლუტის ხალხთან დაკავშირებით.“ *(სურა ჰუდი, აიათები 69-74)*

წმინდა იბრაჰიმს ეშინოდა, რომ სატანჯველი გამჩენის უარმყოფელებთან ერთად ლუტსა და მორწმუნეებსაც დაატყდებოდათ თავს, ამ მიზეზით იმის სურვილით იწვოდა, რომ ალლაჰს მათზე სატანჯველის აცილებას შევედრებოდა:

„რადგანაც იბრაჰიმი თავმდაბალი, მგრძნობიარე და მომნანიებელი იყო.“ *(სურა ჰუდი, აიათი 75)*

ამავე დროს, უფრო ადრე იბრაჰიმი, ცაში რომ იქნა აყვანილი, მეამბოხეების განადგურების ვედრების გამო, ღმერთისგან გაფრთხილება მიიღო და ამის შემდეგ გული ადამიანების მიმართ უკიდურესი წყალობით აღევსო. ლუტის ტომმა ღვთიურ წყალობებს სრულად ზურგი აქცია და იმ დონეზე გაშმაგდნენ, რომ მათთვის სატანჯველის მოვლინება უკვე გარდაუვალი იყო. ვინაიდან ისინი სატანჯველის მოვლენას ჯიუტად ითხოვდნენ, ამის გამო, საზიზღრად

ქცევას აგრძელებდნენ. თავიანთ რიგებში წმინდა ადამიანების ხილვაც კი აღარ უნდოდათ. „წმინდა ადამიანები ჩვენგან წავიდნენ!“ — ამბობდნენ.

იბრაჰიმს, რომელსაც გული ადამიანების შეწყალების გრძნობით ჰქონდა აღსავსე, ანგელოზებმა უთხრეს:

„ჰეი, იბრაჰიმ! თავი ანებე ამას, უეჭველად, შენი ღმერთის ბრძანება უკვე მოევლინა და, უეჭველად, ეწევათ მათ სასჯელი გარდაუვალი!“ *(სურა ჰუდი, აიათი 76)*

ეს სინამდვილე „ზარიათის“ სურის 24-30-ე აიათებში მისი მნიშვნელობის საფუძველზე მეორდება.

იბრაჰიმის მიერ ისმაილის მონახულება

ისმაილი ერთ ჯურჰუმილელ ქალიშვილზე დაქორწინდა. ის ამ ტომს ძალიან უყვარდა და პატივს სცემდნენ, მათგან არაბული ისწავლა. დედა, ჰაჯერი რომ გარდაეცვალა, ისმაილმა ის ქააბასთან ახლოს, ჰიჯრის უბანში დაკრძალა.

იბრაჰიმი, ისმაილის დაქორწინების შემდეგ, მის სანახავად წავიდა. მაგრამ შვილი სახლში არ დახვდა. ცოლს ჰკითხა მის შესახებ, მანაც უპასუხა:

„სარჩოს მოსამარაგებლად წავიდა.“

შემდეგ იბრაჰიმმა ჰკითხა:

„როგორ ცხოვრობთო?“

ისმაილის ცოლმა უთხრა:

„ძალიან გვიჭირს, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ვართ!“

იბრაჰიმმა უთხრა:

„შენი ქმარი რომ დაბრუნდება, ჩემგან სალამი გადაეცი, უთხარი კარის ზღურბლი გამოცვალოს!“

ისმაილი სახლში რომ მივიდა, სასიამოვნო სუნი შეიგრძნო. მიხვდა, რომ სახლში მამა მოსულიყო. ცოლს ჰკითხა:

„ვინმე იყო მოსული?“

„დიახ, ასეთი და ასეთი მოხუცი იყო. შენზე მკითხა, ვუპასუხე. ჩვენი მდგომარეობა გვკითხა; მე ვუთხარი რომ საშინლად გვიჭირს.“

„რამე დამიბარა?

„სალამის გადმოცემა დამავალა და კიდევ, უთხარი, კარის ზღურბლი გამოცვალოსო!“

ამ თავაზიანი სიტყვების მნიშვნელობას ისმაილი ჩასწვდა და ცოლს უთხრა:

„ის კაცი მამაჩემი იყო. მე შენთან გაშორება მიბრძანა. ახლა უკვე შეგიძლია, შენს ოჯახში დაბრუნდე!“

ამის შემდეგ, სხვა ჯურჰუმულელ ქალზე დაქორწინდა.

დიადი ღმერთის დადგენილი ვადა რომ გავიდა, იბრაჰიმი ისმაილის სანახავად კვლავ წავიდა. ისევ მის სახლში მივიდა, მაგრამ შვილი სახლში კვლავ არ დახვდა. ახალ ცოლს ისმაილზე ჰკითხა. მანაც უთხრა:

„სარჩოს მოსამარაგებლად წავიდა.“

იბრაჰიმმა ჰკითხა:

„როგორ ხართ, სარჩო და შემოსავალი კარგი გაქვთ?“

„დიდება ალლაჰს, სიკეთესა და სიუხვეში ბედნიერად ვცხოვრობთ!“ უპასუხა და ალლაჰს ქება-დიდება შესწირა.

„რას ჭამთ, რას სვამთ?“-ჰკითხა იბრაჰიმმა

„ხორცს ვჭამთ, წყალს ვსვამთ.“

იბრაჰიმი ღმერთს შეევედრა:

„ღმერთო! ბარაქა გაუმრავლე!“

შემდეგ ისმაილის ცოლს უთხრა:

„შენი ქმარი რომ დაბრუნდება, სალამი გადაეცი, უთხარი, კარის ზღურბლს კარგად მოუაროს!“

როდესაც ისმაილი სახლში დაბრუნდა, ისევ ის სასიამოვნო სურნელება იგრძნო. მიხვდა, რომ იქ იბრაჰიმი ყოფილიყო და ცოლს ჰკითხა:

„ვინმე იყო მოსული?“

„დიახ, ერთი ნათელსახიანი მოხუცი იყო.“ იბრაჰიმის დაბარებული სალამი გადასცა, შემდეგ გააგრძელა:

„შენ გიკითხა, ვუთხარი სარჩოს თადარიგზეა წასული-მეთქი, როგორ ცხოვრობთო, მკითხა. ვუთხარი, სიკეთეში ბედნიერად ვცხოვრობთ- მეთქი.“

ისმაილმა ჰკითხა:

„ჩემთან რამე დაგაბარა?“

„დიახ, იმ პატივცემულმა შენ სალამი დაგიტოვა და დაგიბარა კარის ზღურბლს კარგად გაუფრთხილდესო.“

„ის მოხუცი კაცი მამაჩემია, შენ კი ჩვენი სახლის ღირსეული კარის ზღურბლი ხარ. მამამ მიბრძანა, კარგად მოგექცე და შენთან ერთად ტკბილად ვიცხოვრო.“ (ბუჰარი, ენბია, 9)

ამ იგავიდან გასაგებია, რომ ღმერთისთვის მადლობის გადახდა სიკეთის შეუწყვეტლობისა და მარაგის საშუალებაა. ალლაჰის წყალობების მცირედ დანახვა და ჩივილი უმადურობაა. შედეგი წყალობების შემცირება და ამ წყალობების შეწყვეტა იქნება.

ქააბას მშენებლობა

წლების შემდეგ იბრაჰიმი მექაში დაბრუნდა. მამა-შვილი ერთმანეთს ჩაეხუტნენ და მონატრების გრძნობა ამგვარად მოიკლეს. წმინდა იბრაჰიმმა შვილს უთხრა:

„ღმერთმა მიბრძანა და ერთი შენობა უნდა ავაგოთ. შენც დამეხმარე!“

ისმაილი ქვებს ეზიდებოდა. იბრაჰიმს კი სახლის კედლები ამოჰყავდა. „მაყამი იბრაჰიმი“ იბრაჰიმის ფეხის კვალი რომ ამჩნია, ის მარმარილოს ქვა, ქააბას კედლების მშენებლობისას ლიფტის მოვალეობას ასრულებდა.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„და როცა იბრაჰიმი ამაღლებდა სახლის საძირკველს ისმაილთან ერთად, (ევედრებოდნენ): ღმერთო ჩვენო! მიიღე ჩვენგან, რამეთუ შენ ხარ, უეჭველად, ყოვლისმსმენი, ყოვლისმცოდნე!“ *(სურა ბაყარა, აიათი 127)*

ქააბას მშენებლობის შესახებ, გადმოცემების მიხედვით, წმინდა ადამი და ევა სამოთხიდან გადმოსახლების შემდეგ დედამიწაზე ერთმანეთს არაფატზე შეხვდნენ, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ ერთად წავიდნენ და მივიდნენ იქ, სადაც ქააბაა. აქ წმინდა ადამმა იმის გამო, რომ ღმერთმა ერთმანეთს შეახვედრა, მას ღვთისმსახურება შეუსრულა. მას შეევედრა, კვლავ ებოძებინა ისეთი ადგილი, რომელსაც სამოთხეში გარს უვლიდა და ღვთისმსახურებას ამგვარად ასრულებდა.ასეც მოხდა, თუმცა ეს ადგილი წმინდა შითის დროს გაქრა და მის ადგილზე შავი ქვა დარჩა. წმინდა შითმა ამ ქვის ადგილას ძველის მსგავსი ოთხკუთხა შენობა ააშენა და ის შავი ქვა შენობის ერთ კუთხეში განათავსა. დღეს ეს, „ჰაჯერულ ესვედის“ სახელით ცნობილი „შავი ქვაა“. წარღვნის შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში ქვიშის ქვეშ იყო დამარხული. წმინდა იბრაჰიმი, ღმერთის ბრძანებით, იმ ადგილზე მივიდა და ისმაილი დედასთან ერთად იქ დაასახლა. შემდეგ ალლაჰის ბრძანებით ის ადგილი, სადაც ქააბა იყო, წმინდა შითის მიერ ჩაყრილი საძირკველი იპოვა და იმ საძირკველზე დღევანდელი ქააბა ააშენა. აიათში **„ამაღლებდა სახლის საძირკველს“**- ამის გამომხატველია.

იბრაჰიმმა, ქააბას მშენებლობა რომ დაასრულა, ალლაჰს ასე შეევედრა:

„და აკი, თქვა იბრაჰიმმა: ღმერთო ჩემო! ჰქმენ ეს უსაფრთხო მხარედ და მოჰმადლე ნაყოფნი მის ხალხს, ვინც მათგან ირწმუნა ალლაჰი და დღე უკანასკნელი. მან (ალლაჰმა) ბრძანა: „და ვინც უარყო (არ ირწმუნა), მათ ცოტა ხანს ვადროვებ, მერე კი ძალით მივიყვან ცეცხლის სასჯელთან“. და რა საზარელი ფინიშია!“ *(სურა ბაყარა, აიათი 126)*

ალლაჰი უარმყოფელებსაც აძლევს შესაძლებლობას, მის მიერ ნაბოძებ სიკეთეთაგან, რაც ნებავთ, ის ისარგებლონ. აქედან გამომდინარე, ამქვეყნიური სიკეთე ადამიანის რწმენასთან და ღვთისმსხურებასთან არ არის დაკავშირებული. ის მორწმუნესაც ეძლევა და ურწმუნოსაც.

სინამდვილეში ამქვეყნიური ყველა სიკეთე გამოცდის საშუალებაა. სიმდიდრეს და შესაძლებლობას თუკი მონა-მსახურობის საშუალებად ვაქცევთ, ორი სამყაროს ბედნიერებას მოგვიტანს. თუ სიშ-

მაგისა და სიბრიყვის საშუალებად იქცევა, მარადიულ ცხოვრებას გაანადგურებს, ბედნიერების ნაცვლად უბედურებას მოგვიტანს.

იბრაჰიმმა ვედრება ასე გააგრძელა:

„ღმერთო ჩვენო! გვქმენი ჩვენ შენდა მორჩილებად და ჩვენი შთამომავლებიდან შენდამი მორჩილი თემი. გვასწავლე ჩვენი საღვთო წესები და მოგვიტევე. უეჭველად, შენა ხარ მიმტევებელი, მწყალობელი! (სურა ბაყარა, აიათი 128**)**

ღმერთო ჩვენო! და მოავლინე მათში შუამავალი მათივე წიაღიდან, რომელიც წაუკითხავს მათ შენს აიათებს, ასწავლის მათ წიგნს და სიბრძნეს, განწმენდს მათ. უეჭველად, შენა ხარ ძლევამოსილი, ბრძენი!“ *(სურა ბაყარა, აიათი 129)*

აიათში საუბარი წინდა მუჰამმედ შუმავალზეა:

„მე ჩემი წინაპრის იბრაჰიმის ვედრებით; ნამახარობლევი ვარ!“ (აჰმედ იბნ ჰანბელ, V, 262)

წმინდა მუჰამმედ შუამავლის (ს.ა.ს) გენეალოგია ასეთია:

1. წმინდა მუჰამმედი
2. აბდულლაჰი
3. აბდულმუტალიბი
4. ჰაშიმი
5. აბდ მენაფი (ნამდვილი სახელი მუღირ)
6. ქუსაი
7. ჰაქიმ (ქილაბ)
8. მურრე
9. ქაბ
10. ლუვეი
11. გალიბ
12. ფიჰრ (ყურაიშ)
13. მალიქი
14. ნადრი
15. ქინანე
16. ჰუზეიმე
17. მუდრიქე

18. ილიას
19. მუდარ
20. ნიზარ
21. მაად
22. ადნან

ალლაჰის შუამავლის სუფთა გენეალოგია ადნანამდეა ჩამოთვლილი. ადნანი ისმაილის ოჯახიდანაა.

მოკლედ, იბრაჰიმის შთამომავლებში შუამავლები იყვნენ. მათ შორისაა წმინდა მუჰამმედ შუამავალიც (ს.ა.ს). ეს კი ისტორიაში წმინდა იბრაჰიმის განსაკუთრებული ადგილის მაჩვენებელია. ქააბა და ჰაჯობა ქვეყნიერების აღსასრულამდე იბრაჰიმის გახსენებებითაა მოცული. ამავე დროს, ყოველდღე მილიონობით მუსლიმი დღეში ხუთჯერ ლოცვისას, თაჰიათის წაკითხვისას, როცა წმინდა მუჰამმედ შუამავალს (ს.ა.ს) სალამს უთვლის, ალლაჰის მიერ იბრაჰიმისთვის ნაწყალობევ ლოცვასაც იხსენიებს. ასე რომ:

اَللّٰهمَّ صَلِّ عَلٰى مُحَمَّدٍ وعَلٰى اٰلِ مُحَمَّدٍ كَمَا صَلَّيْتَ عَلٰى اِبْرَاهِيمَ وعَلٰى اٰلِ اِبْرَاهِيمَ اِنَّكَ حَمِيدٌ مَجِيدٌ

اَللّٰهمَّ بَارِكْ عَلٰى مُحَمَّدٍ وعَلٰى اٰلِ مُحَمَّدٍ كَمَا بَارَكْتَ عَلٰى اِبْرَاهِيمَ وعَلٰى اٰلِ اِبْرَاهِيمَ اِنَّكَ حَمِيدٌ مَجِيدٌ

„ოჰ, ღმერთო! აჩუქე იმდენი იმედი და წყალობა მუჰამმედსა ﷺ და მის ოჯახობას, რამდენსაც შენ ჩუქნიდი იბრაჰიმსა ﷺ და მის ახლობლებს. ჭეშმარიტად, შენ ქებული (ალ-ჰამიდ) და დიდებული (ალ-მაჯიდი) ხარ!”

,,ოჰ, ღმერთო! აჩუქე იმდენი წყალობა მუჰამმედსა ﷺ და მის ოჯახობას, რამდენსაც ჩუქნიდი იბრაჰიმსა ﷺ და მის ანგელოზებს. ჭეშმარიტად შენ ქებული (ალ-ჰამიდ) და დიდებული (ალ-მაჯიდი) ხარ!” *(ბუჰარი, დეავათი 32, თირმიზი, ვითრი, 20; იბნ მაჯე, იქამე, 25)*

შესაფასებელი კითხვები

ა. უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს

1. რატომ ეწოდება იბრაჰიმს ებულ ენბია (შუამავალთა მამა)?
2. ქელდანის ტომის მმართველი თავდაპირველად სამართლიანი ადამიანი იყო, შემდეგ თავისი ქანდაკება რატომ გააკეთებინა და ღმერთობის პრეტენზია რატომ გამოთქვა?
3. რა იყო ნემრუდის მეფობის პერიოდში, დაახლოებით, ასი ათასი ახალდაბადებული ბავშვის დახოცვის მიზეზი?
4. რისთვის განისჯებიან განკითხვის დღეს ადამიანები, რომელთაც შუამავლები არ ჰყოლიათ?
5. ადამიანი დაფიქრებით შეძლებს მონოთეისტურ რწმენას მიაღწიოს? განმარტეთ ეს წმინდა იბრაჰიმის ცხოვრებიდან მაგალითების მოყვანით.
6. მანამ, სანამ მონოთეისტურ რწმენას მიჰყვებოდა, იბრაჰიმი მიხვდა, რომ კერპები არ არის ის არსებები, რომლებსაც შეიძლება თაყვანი სცე. ახსენით რა მეთოდით მიხვდა ის ამ ყველაფერს.
7. მას შემდეგ, რაც საკერპოში არსებული ყველა კერპი დაამსხვრია, ცული დიდ კერპს რატომ ჩამოკიდა კისერზე?
8. შეადარეთ ერთმანეთს, შვილის გამო, ნუჰის ვედრება და მამის გამო, იბრაჰიმის ღმერთზე ვედრება.
9. იბრაჰიმი ცეცხლში რომ ჩააგდეს, ღმერთმა ცეცხლს რა უბრძანა?
10. მიუხედავად იმისა, რომ ცხადი სასწაული დაინახა, ნემრუდმა მაინც რატომ არ ირწმუნა?

11. ფარაონის სასახლეში მიყვანილმა, სარამ ფარაონისგან თავდასახსნელად რა მოიმოქმედა?

12. რომელ შემთხვევას ეფუძნება ჰაჯობისას ცალკე მუხლად შესრულებული **„ეშმაკის ჩაქოლვა“**?

13. რომელი შემთხვევის საფუძველზე წარმოთქვამენ არაფას დღის დილის ლოცვის შემდეგ ბაირამის მეოთხე დღის ნაშუადღევის ნამაზამდე **„თეშრიქ თექბირებს“**?

14. გადმოეცით შემთხვევა, რომელიც პირველად იბრაჰიმის ცხოვრებაში მოხდა და დღევანდელი საქველმოქმედო ორგანიზაციების დაფუძნებას დაედო საფუძვლად.

15. წმინდა იბრაჰიმის მიერ, მაშინ, როცა ცეცხლში ვარდებოდა, სამი ანგელოზის დახმარებაზე უარის თქმა და ჯებრაილის კითხვაზე -**„ალლაჰისგან ხსნას რატომ არ ითხოვ?**—“ პასუხი: — **„მან ჩემი მდგომარეობა იცის!“—ცეცხლი ვისი ბრძანებით იწვის! წვა ვისი საქმეა!“**—ამ საშინელ მომენტში მისი როგორი სულიერი მდგომარეობის მაჩვენებელია?

ბ. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები

1. უზენაესმა ალლაჰმა იბრაჰიმზე ბრძანა ჩემი მეგობარიო. ამ მიზეზით მას ---------- ეწოდა.

2. ფარაონი სარას თავს დაესხა ის ---------- ჩათვალა და ძალიან შეშინდა. აქედან გამომდინარე, იმისთვის რომ მისგან განთავისუფლებულყო, ის გაათავისუფლა და საჩუქრად ---------- მისცა.

3. წმინდა იბრაჰიმს, იმის გამო, რომ ყველას უმასპინძლდებოდა---------- უწოდებდნენ.

4. ზემზემის წყლის ამოხეთქვის მიზეზი ---------- ვედრება გახდა.

გ. შემოხაზეთ ქვემოთ მოცემული კითხვების სწორი პასუხები

1. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელი არ არის იბრაჰიმის მიერ მონოთეიზმის ქადაგებისას გამოყენებული გზა?

ა. ტკბილი ენითა და რბილი სიტყვებით, თავაზიანი ფორმა გამოიყენა და ახლომახლო მხარიდან დაიწყო ქადაგება.

ბ. ღმერთს მუდმივად ევედრებოდა, რომ მას მისი ტომის ურწმუნო პიროვნებებისთვის ჭეშმარიტება შეემეცნებინა.

გ. ყოველი შესაძლებლობისას იმის ჩვენება ან წარმოთქმა, რომ კერპთაყვანისმცემელთა ღმერთები უსუსურები იყვნენ და არაფერში გამოდგებოდნენ.

დ. იმისთვის რომ კერპთაყვანისმცემლები საკერპოში უფრო ნაკლებად შესულიყვნენ, კერპებისთვის თაყვანი ნაკლებად ეცათ, უფრო ნაკლები ცოდვა ჩაედინათ; კერპების სახლში შესვლა და კერპების დამსხვრევა.

2. როგორ გამოიცადა წმინდა იბრაჰიმი საკუთარი სულით?

ა. ნემრუდთან ბრძოლით.

ბ. ცეცხლში ჩაგდებით

გ. ძნელ პირობებში ადამიანებისთვის მონოთეიზმის ქადაგებით.

დ. ისმაილის მსხვერპლშეწირვით.

3. ნემრუდი ძალიან გააოცა ცეცხლის ვარდის ბაღად გადაქცევამ და ამან მასზე ძალიან იმოქმედა. იბრაჰიმს უთხრა: „ახლა შენ ღმერთს ოთხი ათას მსხვილფეხა საქონელს დავუკლავ და ნამდვილად ოთხი ათასი მსხვილფეხა რქოსანი დაკლა. ამის შემდეგ წმინდა იბრაჰიმთან ბრძოლაც შეწყვიტა. მაგრამ კვლავაც არ ირწმუნა. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი არ შეიძლება იყოს ნემრუდის ამ ქცევის მიზეზი?

ა. ადგილ-მამულისა და სასულთნოს დაკარგვის შიში.

ბ. მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილე იცოდა, სიამაყისა და სიჯიუტის გაუტეხლობა.

გ. იმის გამო, რომ მისი შესაწირავი მიღებული არ იქნა, მისი სიჯიუტე უფრო გაიზარდა და ამის გამო, რწმენას აღარ მისდია.

დ. შიში იმისა, რომ ხალხის პატივისცემას დაკარგავდა.

4. როგორ იცნო იბრაჰიმმა ადამიანის ფორმაში შესული ანგელოზები?

ა. რომ ეცვათ, იმ ტანსაცმელმა მიახვედრა.

ბ. იმით, რომ ბევრს არ ლაპარაკობდნენ.

გ. იმით, რომ საჭმელს არ ჭამდნენ.

დ. იმით, რომ დაღვრემილი სახე არ ჰქონდათ.

5. ქელდანის ტომის მმართველი, ნემრუდი მმართველობის პირველ წლებში სამართლიანი, პატიოსანი და საზრიანი ხელმძღვანელი იყო. შემდგომში ნემრუდი ზღვარს გადავიდა, სიამაყემ და თავმოწონებამ შეიპყრო და ღმერთობის პრეტენზია გამოთქვა. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი არ არის ამის მიზეზი?

ა. გამდიდრებამ და მის გარშემო მყოფი ადამიანების გადამეტებულმა პატივისცემამ და ყურადღებამ ის გაათამამა.

ბ. სასულთნოსა და ძალაუფლების გაფართოებამ მას მოაჩვენა, რომ ისეთი ძალა ჰქონდა, რომელიც სინამდვილეში არ გააჩნდა.

გ. ნემრუდი ამქვეყნიური ქონების სიყვარულმა და დროებითმა გატაცებებმა ამქვეყანას უფრო მეტად მიაჯაჭვა; სასულთნოს დაკარგვის შიშმა კი ის უსამართლო ადამიანად აქცია და ჩავარდა ისეთ მდგომარობაში, რომ საკუთარ თავს ვეღარ ცნობდა.

დ. ნემრუდმა იბრაჰიმის შუამავლობაზე იეჭვიანა, მისი სულიერი სიკეთის შეშურდა და ამ შურმა ის ღმერთობის პრეტენზიამდე მიიყვანა.

6. წმინდა იბრაჰიმმა, როცა თავის გამჩენს ეძებდა, პირველად ვარსკვლავი დაინახ, რამაც მასზე მოახდინა ზემოქმედება, მთვარე რომ დაინახა, ვარსკვლავი მიატოვა, მზე რომ დაინახა, მთვარე უარყო, საბოლოოდ მიხვდა, რომ ამათგან არცერთი მისი ღმერთი არ იყო. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელია ამ შემთხვევიდან გამომდინარე გაკვეთილი?

ა. ურწმუნო ადამიანი თავისი შემოქმედის ძებნას ვარსკვლავებიდან თუ დაიწყებს, ნამდვილ ღმერთს იპოვის.

ბ. აქ აღწერილი არ შეიძლება სინამდვილეში მოხდეს.

გ. წმინდა იბრაჰიმის მიერ რამდენჯერმე დაეჭვების შემდეგ, ალლაჰის დაჯერება აჩვენებს, რწმენა რამდენად ძნელი საქმეა.

დ. ჭეშმარიტმა რწმენამ ადამიანთან რომც არ მიაღწიოს, თუ ის სამყაროში არსებულ ქმნილებებზე დაფიქრდება, შეძლებს ალლაჰი იპოვოს და შეიმეცნოს.

7. რას ნიშნავს „ებულ ედიაფ“?

ა. ობლების მამას

ბ. დაჩაგრულთა მამას

გ. ღარიბების მამას

დ. სტუმრების მამას

8. როდესაც იბრაჰიმს შვილი მსხვერპლშესაწირად მიჰყავდა, ეშმაკი რიგის და მიხედვით ვისთან მივიდა, რომ ამ საქმეზე ხელი აეღებინებინა.?

ა. იბრაჰიმი, ისმაილი, ჰაჯერი

ბ. ჰაჯერი, ისმაილი, იბრაჰიმი

გ. იბრაჰიმი, ჰაჯერი, ისმაილი.

დ. ჰაჯერი, იბრაჰიმი, ისმაილი.

9. როცა იბრაჰიმს ცეცხლში აგდებდნენ, გულში არავითარი შიში და მღელვარება არ ჰქონდა. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია ამის მიზეზი?

ა. ალლაჰისადმი მორჩილება და უსაზღვრო ნდობა.

ბ. ცოდნა იმისა, რომ ჯებრაილი დაეხმარებოდა.

გ. იმის ცოდნა, რომ ცეცხლი ვარდის ბაღად იქცეოდა.

დ. იმაზე ფიქრი, რაც უნდა იყოს, დავიწვები და თანაც ამათ წინააღმდეგ გამოსვლის ძალა არა მაქვსო.

10. წმინდა იბრაჰიმმა, საკერპოში კერპები რომ დაამსხვრია, ცული ყველაზე დიდ კერპს მხარზე ჩამოკიდა. თავის ტომს უთხრა: „დიდ კერპს არ სურდა, რომ მის გარდა ვინმესთვის გეცათ თაყვანი და შესაძლოა, სხვები ამ მიზეზით გაბრაზებულმა დაამტვრია. თუ გინდათ, თვითონ მას ჰკითხეთ!“ ამ ქცევითა და სიტყვებით მას რისი გამოტანა სურდა სააშკარაოზე?

ა. იმისა, რომ კერპები, რომლებსაც ხალხი ასე ენდობოდა და რომელთა დახმარებასაც იმედოვნებდა, იყო ნივთები, რომლებიც მაშინვე იმსხვრეოდა.

ბ. კერპებსაც, ისევე როგორც ადამიანებს, აქვთ შურისა და სიკეთის გრძნობა.

გ. კერპებისთვის, რომლებიც გარეგნულად დიდები ჩანან, პატარებსაც შეუძლიათ ზიანის მიყენება, თუ მოისურვებენ.

დ. კერპებს, რომლებსაც ადამიანები დიდი ძალის პატრონად თვლიდნენ და მათზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, სულ მცირე მოძრაობის შესრულებაც კი არ შეეძლოთ.

სწორი პასუხები

ა. გამოტოვებულ ადგილებზე ჩასასმელი სწორი პასუხები

1. ღმერთის მეგობარი
2. ჯინი- ჰაჯერი
3. ებულ ეიდაფ (სტუმრების მამა)
4. იბრაჰიმი

ბ. ტესტების სწორი პასუხები

1- დ	2- ბ	3- გ	4-გ	5-დ
6- დ	7-დ	8- ბ	9- ა	10-დ



წმიდა

ასმათელი

გულწრფელობის, მოწყალების, მორჩილებისა და ღმერთის იმედად ყოფნის გამაიდეალებელი

წმინდა ისმაილი

წმინდა ისმაილი მიეკუთვნება იმ შუამავალთა რიცხვს, რომელთა სახელებიც ყურანშია მოხსენიებული. მას სხვანაირად „ზედიჰულლაჰიც“ ეწოდება, რაც ალლაჰის მსხვერპლშესაწირს ნიშნავს. ისმაილი გახდა ჯურჰუმის ტომის შუამავალი. ეს ტომი იემენიდან წამოვიდა და ჰიჯაზის მხარეში დასახლდა. ისმაილი ალლაჰის მორჩილს ნიშნავს. მისი შესატყვისი ივრითზე ისმუელია. არაბულად გამოთქვამენ ისმაილს.

წმინდა ისმაილი ჯურჰუმიელების ბავშვებთან ერთად გაიზარდა. მათგან ისრის სროლა ისწავლა. ახალგაზრდობაში ისრებს ძალიან კარგად ისროდა.

ესლემის ტომში, ერთხელ, ისრების სროლაში შეჯიბრი ჩაატარეს. (წმინდა მუჰამმედ შუამავალი ს.ა.ს) მათთან მივიდა და უთხრა:

„ისმაილის შთამომავლებო! ისრები ისროლეთ! თქვენი წინაპარიც მოხერხებული მეისრე იყო.“ (ბუჰარი, ენბია, 9)

ისმაილმა, მამის გარდაცვალების შემდეგ, ქააბასა და ჰაჯობის ღვთისმსახურების აღსრულება გააგრძელა. პირველი, რაც გააკეთა, იყო ის, რომ ქააბას ფარდა ჩამოაფარა. უზენაესმა ალლაჰმა მას შუამავლობა უბოძა. ის, ჯურჰუმისა და ამალიქას ტომებთან ერთად, იემენის ტომების—მერიბისა და ჰადრანმევის მხარეების შუამავლადაც იქნა მოვლენილი. წმინდა ისმაილი მათ ისლამს ორმოცდაათი წლის განმავლობაში უქადაგებდა. ზოგმა ირწმუნა, ზოგმა არა, მაგრამ მორწმუნეები ძალიან ცოტა იყვნენ. ისმაილი მოვალეობას მოთმინებითა და უდრეკად ასრულებდა.

ის, რომ წმინდა ისმაილი სიტყვის ერთგული, ნამაზის შესრულებისა და ზექათის გადახდის მბრძანებელი, ალლაჰის საფეხურებზე კმაყოფილების მომპოვებელი შუამავალი იყო, აიათში ასეა ნაბრძანები:

„და ახსენე წიგნში ისმაილი: უეჭველად, იგი აღთქმის ერთგული, შუამავალი და მაცნე იყო!

და იგი უბრძანებდა თავის ხალხს ლოცვასა და ზექათს, და მან მიაღწია თავის ღმერთთან კმაკოფილებას.“ *(სურა მერიემი, აიათი 54, 55)*

სასწაულები

1. ეკლიანი მიწის ნაკვეთის მწვანე მინდვრად გადაქცევა;

2. უნაყოფო ცხვრებმა, მისი ვედრების წყალობით, რძე მოიწველეს, ხოლო მათი მატყლი ძაფსავით იყო;

3. მისი ვედრების წყალობით სილა ფქვილად იქცა;

4. ზემზემი მის გამო გაჩნდა და განკითხვის დღემდე იარსებებს.

ისმაილის უპირველესი მახასიათებლები:

ძალიან მომთმენი, სულგრძელი და ღვთის მორჩილი შუამავალი იყო.



ღმერთის იმედად ყოფნა, მორჩილება და ჰაჯობა

როგორც კი ახსენებ ღმერთის იმედად ყოფნას, მორჩილებასა და ჰაჯობას, პირველი რაც გაგახსენდება—იბრაჰიმი და მისი შვილი ისმაილია. რადგანაც ჰაჯობის ღვთისმსახურება ის ღვთისმსახურებაა, რომელიც მათი გულწრფელი ქმედების შედეგად დამკვიდრდა და ქვეყნიერების აღსასრულამდე გაგრძელდება.

ღმერთის იმედი (მორჩილება) ლექსიკურად დაყრდნობას, ნდობას, რწმუნების მიცემასა და რწმუნებულზე მინდობას ნიშნავს.

აიათებში ასეა ნაბრძანები:

„დაე, მხოლოდ ალლაჰს მიენდონ მორწმუნენი!“ *(სურა იბრაჰიმი, აიათი 11; სურა თევბე, აიათი 51)*

„გქონდეთ იმედი მხოლოდ ალლაჰის, თუკი თქვენ ხართ მორწმუნენი!“ *(სურა მაიდე, აიათი 23)*

وَمَنْ يَتَوَكَّلْ عَلَى اللهِ فَهُوَ حَسْبُهُ

„ხოლო ვინც სასოებს ალლაჰს, მაშინ იგი საკმარისია მისთვის.“ *(სურა ტალაყი, აიათი 3)*

ჰადისში კი ნაბრძანებია:

„თუკი თქვენ ალლაჰის იმედათ იქნებით, ისევე გიბოძებთ სარჩოს, როგორც ჩიტებს, რომლებიც დილით მშიერი გამოდიან და საღამოს მაძღარნი ბრუნდებიან!“ (თირმიზი, ზუჰდი, 33)

უზენაესი ალლაჰი ასე ბრძანებს:

„დაეკითხე მათ საქმეების თაობაზე. და როცა რამე საქმეს გადაწყვეტ, ალლაჰს მიენდე, უეჭველად, ალლაჰს უყვარს მინდობილები!“ *(სურა ალი-იმრანი, აიათი 159)*

დიადმა ღმერთმა ყველაფერი ყველაზე ლამაზი ფორმით გააჩინა და სისტემაში მოიყვანა. ამ სისტემის მოქმედება კანონებთანაა დაკავშირებული. საჭიროა ჩვენ მის დაწესებულ კანონებსა და წესებს დავემორჩილოთ, მივიღოთ ზომები და ალლაჰის ძალას შევეფაროთ. მაგრამ ალლაჰი თუ ინებებს, ბუნებრივი კანონების გარდა, სხვა კანონებსაც გაატარებს. ასე რომ:

წმინდა ადამი—მიწისგან, მისი ცოლი ევა კი, მისი სხეულისგან შექმნა.

კანონის შესაბამისად, ადამიანები ქორწინდებიან და ისე მრავლდებიან. წმინდა ისა, ამ წესის გამონაკლისად, მამის გარეშე, მხოლოდ წმინდა მარიამისგან გააჩინა.

წმინდა იბრაჰიმი ნემრუდის ცეცხლში არ დაიწვა. ცეცხლს უბრძანა: **„ცეცხლო! იბრაჰიმისთვის გრილი და უსაფრთხო იყავი!“**

წმინდა მუსას კვერთხის შეხებით ზღვა შუაზე გაუპო და მეორე ნაპირზე გასავლელი გზა გაუხსნა. ის და მისი ტომი ფარაონის ტირანიისგან იხსნა.

წმინდა უზეირს ასი წელი ეძინა, ისე იყო როგორც მკვდარი; ამ ხნის განმავლობაში, მის თავთან დადებული საჭმელი გაფუჭებისგან დაიცვა, მისი მკვდარი ვირი წმინდა უზეირთან ერთად ხელახლა გააცოცხლა.

წმინდა მუჰამმედ შუამავლის (ს.ა.ს) თანამიმდევარი ქეჰფ ქითმირი სამასი წლის განმავლობაში აძინა, საკვებისა და წყლის გარეშე აარსება.

დიადი ღმერთი ბევრ რამეს თვალებისთვის უხილავს ხდის, მაგრამ გულებს საკუთარი ნათელით გაანათებს და სულიერი თვალის მდგომარეობაში მოჰყავს. ამგვარად, გული გულს აჩვენებს იმას, რასაც თვალები ვერ ხედავს.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ:

წმინდა იბრაჰიმის ცეცხლში დაუწველობის მაგალითად აღება და ვიღაცის მიერ საკუთარ თავზე ანალოგიური შედეგის ლოდინი, უმეცრება იქნება.

წმინდა მევლანა ამ საკითხს ასე განმარტავს:

„ალლაჰის გზაზე ცეცხლში შესვლა არსებობს. მაგრამ ცეცხლში შესვლამდე უნდა გამოარკვიო, იბრაჰიმის თვისება გახასიათებს თუ

არა! ვინაიდან ცეცხლი შენ კი არა, იბრაჰიმისნაირებს ცნობს და არ წვავს!“

მოკლედ, ადამიანის მხრიდან საკუთარი თავის სრულყოფილად ჩათვლა და საკუთარი თავის ალლაჰის მეგობრებთან შედარება აშკარა უმეცრებაა. ასეთ პიროვნებას, საშიში დასასრულის მეტი, არაფერი ელოდება.

ჩვენი მოვალეობაა, შესაძლებლობების ფარგლებში, ზომები მივიღოთ, გამოსავალი მოვძებნოთ და საბოლოოდ მისდამი იმედით აღვსილნი, ღმერთს შევეფაროთ!

მცდელობის გარეშე ღმერთის იმედად ყოფნა ალლაჰის შუამავალმა აკრძალა:

ერთმა ბედუინმა ჰკითხა:

„ალლაჰის შუამავალო, აქლემი გავუშვა და ღმერთის იმედად დავტოვო, თუ დავაბა და შემდეგ ღმერთს მივენდო?“

შუამავალმა უპასუხა:

„აქლემი დააბი, ღმერთის იმედი მას შემდეგ გქონდეს!“ (თირმიზი, ქიამეთ, 60)

ხალიფა ომერს არ უნდოდა არმია დამასკოში შეეყვანა, რადგან იქ ეპიდემია იყო გავრცელებული. მეთაურმა აბუ უბეიდე იბნ ელ ჯერრაჰმა ჰკითხა:

„ხალიფავ, ალლაჰის ბედისწერას გაურბიხარ?“

წმინდა ომერმა უპასუხა:

„დიახ, ჩვენ ალლაჰის ერთი ბედისწერიდან სხვა ბედისწერისკენ გავრბივართ!“ (იხ. მუსლიმი, სელამი, 99)

ჰადისში ნაბრძანებია:

„თუ თქვენ გაიგონებთ, რომ სადმე შავი ჭირია გავრცელებული, იქ არ წახვიდეთ!“ (მუსლიმი, სელამი, 100)

ᘓ

ორივე სამყაროში მორწმუნის დამხმარე ალლაჰია. ვინც ალლაჰის იმედად იქნება, ის მისთვის საკმარისია. თუნდ პიროვნება და თუნდ საზოგადოება სიმშვიდესა თუ ბედნიერებას მხოლოდ ღმერთთან დაბრუნებით, მისთვის დახმარების თხოვნით და მასზე მინდობით მოიპოვებს.

მორჩილების არაბული შესატყვისია—„თესლიმიეთი“, რომელიც მომდინარეობს სიტყვიდან „სელიმე“, რაც ქედის მოხრას, თავსდამტყდარი მოვლენების უპროტესტოდ მიღებასა და სამშვიდობოს გამოსვლას ნიშნავს.

სწორედ, იბრაჰიმზე, რომელსაც გულში ალლაჰის გარდა, არავინ დაუტოვებია, ანგელოზებმა თქვეს:


„ღმერთო, იბრაჰიმს შვილი ჰყავს, სული და ქონება აქვს, შენი მეგობარი როგორ შეიძლება იყოს?!“

უზენაესმა ალლაჰმაც მას ქონებით, შვილითა და სულით გამოცდა მოუწყო და ანგელოზებს აჩვენა, რომ ის სრულიად იყო მასზე მინდობილი. ამ მორჩილებისა და ნდობის წყალობით სულს, ქონებასა და შვილს დიადი ღმერთის გზაზე მისთვის არავითარი დაბრკოლება არ შეუქმნია, რადგან იბრაჰიმის ენა მისი გულის თარჯიმანი იყო და მუდამ ამბობდა: **„ვიქმენ მუსლიმი (მორჩილი) სამყაროთა ღმერთისა!“** *(სურა ბაყარა, აიათი 131)*

ეს გამოცდები და მათი შედეგები ყველა ერთმორწმუნისთვის მაგალითად უნდა იქცეს.

ᘓ

ჰაჯობა წმინდა იბრაჰიმისა და ისმაილის მხრიდან ღმერთის იმედის ქონისა და მორჩილების სიმბოლოა. ის ადამიანს ადამიანური თვისებებისგან ათავისუფლებს და ღვთიურ გარემოში, მორჩილებითა და გამჩენისადმი ნდობით შეჰყავს. ჰაჯობა ღმერთის სიყვარულით აღვსილი გულის მონა-მსახურეობრივი მოვალეობაა. ჰაჯობის ღვთისმსახუ-



რებისას, ადამიანი იჰრამს რომ ჩაიცვამს, ამქვეყნიურობისგან სავსებით თავისუფლდება და მისი გული მხოლოდ ღმერთისადმი ხვეწნითაა დაკავებული. ამგვარად, ადამიანი სრული ნდობით გამჩენზეა დამოკიდებული. ამის შესახებ დიადი ღმერთი ყურანში ბრძანებს:

„ჰაჯობა ცნობილ თვეებშია და ვინც ამ დროს აღასრულებს ჰაჯს, არ ეთანაცხოვროს (ქალს), არ იბილწოს, არ იჩხუბოს ჰაჯის დროს; და რასაც კარგს იქმთ, ამას უწყის ალლაჰი: გაიმზადეთ საგზალი, მაგრამ საუკეთესო საგზალი, უეჭველად, ღვთისმოშიშობაა. ჰეი გონიერნო, გეშინოდეთ ჩემი!“ *(სურა ბაყარა, აიათი 197)*

როგორც ჩანს, როცა ადამიანს იჰრამი აცვია, ბალახის მოგლეჯა, თმის ბეწვის ამოძრობაც კი არ შეიძლება. ნადირობა, სქესობრივი კავშირი, ღმერთის ბრძანებებსა და აკრძალვებზე დაუმორჩილებლობა, ჩხუბი—არ შეიძლება. ყველა არსებისადმი გულისხმიერება უნდა გამოვიჩინოთ, რადგანაც ისინი ღმერთის გაჩენილი არიან.

ჰაჯობის ღვთისმსახურებაც გვაჩვენებს, რომ ცოდვების მიტევება მხოლოდ ვედრების, ღმერთის იმედად ყოფნისა და მასზე მინდობის შემდეგ შესრულებული ღვთისმსახურებების ბარაქით განხორციელდება.

ღმერთო ჩვენო, წილად გვარგუნე ბედნიერება ვიცხოვროთ შენდამი უსაზღვრო ნდობითა და მორჩილებით განმსჭვალულებმა! ჩვენი თავშესაფარი მხოლოდ შენ იყავი! წილად გვარგუნე მგრძნობიარე გულით ჰაჯობის შესრულების ბედნიერება!

აამინ!

შესაფასებელი კითხვები

ა. გაეცით პასუხები ქვემოთ მოცემულ კითხვებს

1. ისმაილის შესახებ აიათში მის რომელ თვისებებზეა ყურადღება გამახვილებული?
2. რას ნიშნავს ღმერთის იმედად ყოფნა?
3. წმინდა მევლანას სიტყვები: **„ალლაჰის გზაზე ცეცხლში შესვლა არსებობს, მაგრამ ცეცხლში შესვლამდე უნდა გამოარკვიო, იბრაჰიმის თვისება გახასიათებს თუ არა, ვინაიდან, ცეცხლი შენ კი არა, იბრაჰიმებს ცნობს და არ წვავს!“**— ახსენით ღმერთზე მინდობის გადასახედიდან!
4. რა არის „ღმერთზე მინდობის“ თავისებურებები მისტიციზმის მიხედვით?

ბ. შეავსეთ ქვემოთ მოცემული გამოტოვებული ადგილები

1. ისმაილის უპირველესი მახასიათებლები ---------- და ----------ა.
2. ჰაჯერი იმ იმედით, რომ ისმაილისთვის წყალს და საჭმელს იპოვიდა ---------- და ---------- გორაკებს შორის მიდი-მოდიოდა.
3. ---------- ღვთისმსახურება, ერთმორწმუნეთათვის იბრაჰიმისა და ისმაილისგან დარჩენილი სულიერი მემკვიდრეობაა.

გ. შემოხაზეთ ქვემოთ მოცემული კითხვების სწორი პასუხები

1. ისმაილის მიერ ნაჩვენებ ყველა სასწაულზე თუ დავფიქრდებით, იმ მხარის შესახებ, სადაც ის ცხოვრობდა, რა შეიძლება დავასკვნათ?

ა. მოსახლეობის თვალსაზრისით, ძალიან მჭიდროდ დასახლებული ადგილი იყო.

ბ. იყო ადგილი, სადაც ადამიანები მეზღვაურობითა და ხეტყის დამუშავებით იყვნენ დაკავებული.

გ. იყო მხარე, რომელმაც ისტორიაში დიდი ცივილიზაცია დატოვა.

დ. იყო გვალვიანი მხარე, სადაც მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას ეწეოდნენ.

2. რომელია ის სასწაული, რომელიც ისმაილმა ათასობით წლის წინ აჩვენა, რომლის მოწმე დღემდე გაჩენილი ყველა ადამიანია და რომელსაც ქვეყნიერების აღსასრულამდე გაჩენილი ყველა ადამიანი დაინახავს?

ა. წმინდა ისმაილის მიერ მამის წინაშე გამოჩენილი მორჩილება.

ბ. წმინდა ისმაილისთვის ალლაჰის წყალობით ამოხეთქილი ზემზემის წყალი, რომელიც არასდროს შრება.

გ. წმინდა ისმაილის მიერ მისი დამაეჭვებელი ეშმაკის ჩაქოლვა.

დ. წმინდა ისმაილის ვედრებით მინდვრის გორაკად გადაქცევა.

3. ქვემოთ ისმაილის თავს გადამხდარი შემთხვევები და ამ შემთხვევების გამომხატველი თვისებებია შედარებული. რომელია ამათგან შეცდომა?

ა. მსხვერპლად შეწირვის დროს მამისთვის ნაჩვენები თვისებები: მორჩილება და ღმერთზე მინდობა.

ბ. მსხვერპლად შესაწირად რომ მიდიოდა, ეშმაკისთვის არდაჯერება, მისთვის ქვების დაშენა, გამჭრიახობა და შორსმჭვრეტელობა

გ. მის ტომს თავს დამტყდარი უბედურებების წინააღმდეგ, მათთვის წყალობის თვალით შეხედვა, მათთვის ჭეშმარიტების შესამეცნებლად მუდმივად ღმერთზე ვედრება, გულისხმიერება და ლმობიერება.

დ. ალლაჰზე ვედრების წყალობით სილის ფქვილად ქცევა, ოსტატობა და მოხერხებულობა.

4. ქვემოთ მოცემულთაგან რომელია ის ორი თვისება, რომელიც გამჭრიახ მუსლიმანს უნდა ახასიათებდეს?

ა. ღმერთის იმედად ყოფნა და ბედისწერით კმაყოფილება.

ბ. ღმერთო უნდობლობა და საქმეების ალლაჰისთვის დატოვება.

გ. ზომების მიუღებლობა და ღმერთის იმედად ყოფნა.

დ. ჟინიანობა და ღმერთის იმედად ყოფნა.

5. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელი არ არის საკითხი, რომელსაც ჰაჯობის ღვთისმსახურების შესრულების დროს უნდა ვერიდოთ?

ა. ვინმესთან დავა, კამათი, ჩხუბი

ბ. ჰაჯობის ღვთისმსახურების შესრულებისას, ეშმაკის ჩაქოლვამდე მხვერპლშეწირვა.

გ. სქესობრივი ურთიერთობა და ამასთან დაკავშირებული სიტყვების გამოყენება.

დ ალლაჰის ბრძანებებზე დაუმორჩილებლობა, ამბოხება, ცოდვის ჩადენა.

სწორი პასუხები

ბ. გამოტოვებულ ადგილებზე ჩასასმელი სწორი პასუხები


1- მოთმინება, სულგრძელობა- ღმერთზე მინდობა

2- საფა-მერვე

3- ყურბანი (მსხვერპლი)

ჯ. ტესტების სწორი პასუხები

1- დ	2 -ბ	3- დ	4-ა	5- ბ


წმიდა
ისპყა

ბენი ისრაილის შუამავლების

შთამომავალი წმინდა ისჰაყი

შუამავალი ისჰაყი წმინდა იბრაჰიმისა და სარას შვილია. სარამ როცა გაიგო, რომ წმინდა ისჰაყი შეეძინებოდა, ძალიან გაუკვირდა და თქვა:

„ვაი, ჩემს თავს! ნუთუ მე უნდა შემეძინოს (შვილი), როცა მე დედაბერი ვარ, და ჩემი ქმარიც ბერიკაცია ? უეჭველად, ეს სასწაულია!“ უთხრეს: „ნუთუ გაკვირვებთ ალლაჰის ბრძანება? წყალობა ალლაჰისა და ხვავი-ბარაქა მისი თქვენზეა, სახლის ბინადარნო! უეჭველად, იგია ყოვლადქებული, დიდებული!“ *(სურა ჰუდი, აიათები 72, 73)*

„და ჩვენ გავახარეთ იგი ისჰაყით, შუამავლად კეთილისმქნელთაგან. და გარდმოვსხით მადლი მასზე და ისჰაყზე. მათ შთამომავალთა შორისაა კეთილისმქმნელი და საკუთარი თავისადმი აშკარა უსამართლო.“ *(სურა საფფათი, აიათები 112, 113)*

ყურანში ისჰაყიცაა შექებული:

„და გაიხსენე ჩვენი მსახური იბრაჰიმი, ისჰაყი და იაღყუბი ძლიერნი და გამჭრიახნი. უეჭველად, ჩვენ დავადგინეთ ისინი წრფელნი, განსაკუთრებით საიქიოს ხსოვნით. და უეჭველად, ჩვენს წინაშე ისინი იყვნენ გამორჩეულნი კეთილისმქმნელთაგან.“ *(სურა სადი, აიათი 45-47)*

ისჰაყს მამის გარდაცვალების შემდეგ დამასკოელებისა და პალესტინელების შუამავლობა დაევალა. უზენაესმა ალლაჰმა ის გამორჩეულ და კეთილ ადამიანად გააჩინა. მოხუცებულობისას თვალები დაუსუსტდა, დაბრმავდა. ისჰაყს ტყუპი ვაჟიშვილები შეეძინა. იაყუბი და იასე.

ქ. ხვარაზმი
ქ. ურგენჯი
ქ. ნასა
ქ. ანდარი
ქ. ტირმიზი
ქ. ბალხი
ქ. ბუხარა
ქ. სამარყანდი
ქ. ისფიჯაბი
ქ. ფარაბი
ქ. ისპიჯაბი
ქ. ტალასი
ქ. ბალასაგუნი
ქ. ნავაკეთი
ქ. ნასაბა
ქ. ნესა
ქ. ბაბადაღი
ქ. ნისა
ქ. ნისა
ქ. ნისა

ისჰაყმა სიცოცხლის ბოლოს ორივე შვილი ცალ-ცალკე დალოცა. იმის გამო, რომ იაყუბის შთამომავლობისგან შუამავლები წარმოიშვნენ, იასეს შთამომავლობისგან მეფეები და სულთნები წამოვიდნენ, ისინი დიადი ღმერთისადმი ვედრებაში იქნენ მოხსენიებული.

წმინდა ისჰაყი, გადმოცემის მიხედვით, ას სამოცი წლის ასაკში, დღევანდელი პალესტინის, ყუდუსის ტერიტორიაზე გარდაიცვალა. ის მამის, იბრაჰიმის საფლავის გვერდით იქნა დაკრძალული. (იბნ ესირ, ელ ქამილ, I, 127)

შესაფასებელი კითხვები

ა. შემოხაზეთ ქვემოთ მოცემული კითხვების სწორი პასუხები

1. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელი არ არის ის მდგომარეობა, რომელიც ღმერთზე მინდობილ ადამიანს შეესაბამება?

ა. ყოველივე იმის გაკეთება, რაც ხელიდან გამოუვა და ღმერთზე მინდობით გულის დამშვიდება.

ბ. საკუთარი თავისთვის სასიკეთო რამ თუ უნდა, ყოველგვარი შედეგისთვის მზადაა.

გ. როცა სურვილი არ უსრულდება, როცა ოცნება ემსხვრევა, უიმედობა მოიცავს და მოიწყენს.

დ. იცის, რომ სასიკეთო მიზნებისკენ წამყვანი გზები არასდროს ამოეწურება და ყოველთვის იმედიანად არის.

2. „და გაიხსენე ჩვენი მსახური იბრაჰიმი, ისჰაყი და იაღყუბი ძლიერნი და გამჭრიახნი. უეჭველად, ჩვენ დავადგინეთ ისინი წრფელნი, განსაკუთრებით საიქიოს ხსოვნით. და უეჭველად, ჩვენს წინაშე ისინი იყვნენ გამორჩეულნი კეთილისმქმნელთაგან.“ *(სურა სადი, აიათი 45-47)* **ამ აიათზე თუ დავფიქრდებით, ქვემოთ მოცემულთაგან, რომელ დასკვნას გამოვიტანთ?**

ა. იბრაჰიმი და ისჰაყი იყვნენ გულწრფელი მონა-მსახურები, რომლებიც საიქიო ცხოვრებაზე ფიქრობდნენ და ქმედებებს აწესრიგებდნენ.

ბ. იბრაჰიმი და ისჰაყი უზენაესი ალლაჰის მიერ მარადისობაში შუამავლად არჩეული მონა-მსახურები არიან.

გ. იბრაჰიმი და ისჰაყი ალლაჰის მონა-მახურებაში გულწრფელი ადამიანები იყვნენ.

დ. იბრაჰიმი და ისჰაყი არჩეულ შუამავლებს შორის კეთილი და მაღალ საფეხურზე მდგომი მონა-მსახურები არიან.

3. რა არის ისჰაყის მოდგმისგან კეთილი ადამიანებისა და შუამავლების ამქვეყნად მოვლენის, ღვთიური წყალობისა და ბარაქის ღირსების მიზეზი?

ა. ის, რომ ალლაჰის მიერ არჩეული შუამავალი იყო.

ბ. ის, რომ წმინდა მუჰამმედ შუამავალი (ს.ა.ს) ამ ქვეყანას მისი მოდგმისგან უნდა მოვლინებოდა.

გ. ამას მამამისი წმინდა იბრაჰიმი შეევედრა ღმერთს.

დ. ისჰაყი წმინდა იბრაჰიმის ბოლო შვილი იყო.

4. ქვემოთმოცემულთაგან,რომელი არ არის ისჰაყის სასწაულთაგან ერთ-ერთი?

ა. ხელის გადასმით შინაური ცხოველების ალაპარაკება.

ბ. მისი შუამავლობის ცხოველების მიერ დამოწმება.

გ. საქონლის ტყავიდან ცხოველების ხელახლა გაცოცხლება.

დ. ტომის სურვილის მიხედვით მთის ამოძრავება.

სწორი პასუხები

ბ. გამოტოვებულ ადგილებზე ჩასასმელი სწორი პასუხები

1. დამასკო —პალესტინა
2. იაყუბი
3. მეფეები — სულთნები

ჯ. ტესტების სწორი პასუხები

1- გ 2- დ 3- გ 4- ა



წმიდა ლუკა

ტირანი და უზნეო ხალხისთვის ბოლო წუთამდე ჭეშმარიტების მქადაგებელი, სოდომისა და გომორის შუამავალი

წმინდა ლუტი


შუამავალი ლუტი იბრაჰიმის ძმის, ჰარუნის შვილია. მისი სახელი ყურანის სხვადასხვა აიათებში ოცდაშვიდჯერაა მოხსენიებული. ლუტი არის შუამავალი, რომელმაც იბრაჰიმის პირველმა ირწმუნა და რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება, ალლაჰის გზაზე მასთან ერთად გადასახლებულიყო. ის წმინდა იბრაჰიმის მიერ მოტანილ ღვთიურ კანონებს ემორჩილებოდა. ღვთის სამსახურში მდგომი, გულუხვი, მომთმენი, ღვთისმოშიში და სტუმართმოყვარე ადამიანი იყო. მიწათმოქმედებას ეწეოდა. საკუთარი ხელით შოულობდა სარჩოს.

იმისთვის, რომ ადამიანებისთვის რწმენის ქადაგების საკითხში გამოცდილება მოეპოვებინა, ლუტი ერაყიდან წამოვიდა და ბიძასთან - იბრაჰიმთან ერთად სირიაში, პალესტინასა და ეგვიპტეში ცხოვრობდა. შემდეგ ალლაჰმა ის სოდომელებს მოუვლინა შუამავლად. სოდომში ცხოვრობდა ცოდვილი საზოგადოება, რომლისთვისაც სისხლისღვრა ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

უზენაესი ალლაჰი, წმინდა ლუტისა და მისი ტომის შესახებ ბრძანებს:

„და უეჭველად, ლუტი ერთ-ერთი შუამავალი იყო.“ *(სურა საფფათი, აიათი 133)*

„და ლუტი, რომელსაც ვუბოძეთ სიბრძნე და ცოდნა და ვიხსენით იგი იმ სოფლისგან, სადაც სისაძაგლეებს სჩადიოდნენ. უეჭველად, ისინი იყვნენ უკეთურნი და უზნეონი! “ *(სურა ენბია, აიათი 74)*


ხმელთაშუა ზღვა
თაბერიე
ნასირა
იერმუქა
ბუსრა
ნაბლუსი
იაფა
პალესტინა
ერიჰა
ამანი
იერუსალიმი
მკვდარი ზღვა
სოდომი და გომორი
(ეილე) აქაბე
სინა
აქაბეს ყურე
ჩრდილოეთი
დასავლეთი
აღმოსავლეთი
სამხრეთი

„და შევიფარეთ იგი ჩვენს მოწყალებაში. უეჭველად, იგი ერთ-ერთი მართალთაგანი იყო!“ *(სურა ენბია, აიათი 75)*

„და ისმაილი,იესელი, იუნუსი და ლუტი და ყველა აღმატებულვჰყავით სამყაროთა ზედა.“ *(სურა ენღამი, აიათი 86)*

მას შემდეგ, რაც ლუტს შუამავლობა დაევალა, მან სოდომელებისთვის ალლაჰის რწმენის ქადაგება დაიწყო. შუამავალმა ლუტმა მათ იქ გამეფებული უსირცხვილობისთვის თავის დანებებისა და დიადი ღმერთის მონა-მსახურობისკენ მოუწოდა.

სოდომის მკვიდრნი

ეს ხალხი დღევანდელი იორდანიის აღმოსავლეთ სანაპიროდ წოდებულ, ერაყისა და პალესტინას შორის არსებულ მიწებზე იყვნენ დასახლებული.

ეს უზომოდ ამორალური ტომი იყო. ეს იყო საზოგადოება, რომელიც ჩადიოდა ისეთ ქმედებებს, რაც მანამდე არცერთ საზოგადოებას ჩაუდენია. მათ მიერ ჩადენილი საზიზღარი და საძაგელი ქმედებები იმდენად უსაზღვრო იყო, რომ ამორალურობა პროფესიად გაიხადეს. მორალურად სუფთა ადამიანებს, რომლებიც მათ შეჩერებას ცდილობდნენ, არ უსმენდნენ, აჩუმებდნენ და ეუბნებოდნენ:

„წმინდანები ჩვენგან წავიდნენ!“

ამ ტომში ნამუსის, პატიოსნებისა და სირცხვილის გრძნობები დავიწყებული იყო. ისინი ჩადიოდნენ ისეთ სრამეს, რაც ცხოველებშიც კი არ გვხვდება.

ლუტს ასეთი გადაგვარებული ტომისთვის ჭეშმარიტების ქადაგება დაევალაო. დღედაღამ ცდილობდა მათ გამოეფხიზლებას, რათა სინამდვილე დაენახათ.

„აკი, მათ მათმა ძმამ ლუტმა უთხრა „განა არ შეიქმნებით ღვთისმოშიშნი?

უეჭველად, მე თქვენთვის წარმოგზავნილი სანდო შუამავალი ვარ.

გეშინოდეთ ალლაჰის და დამმორჩილდით!

მე არ გთხოვთ ამისათვის საზღაურს, რამეთუ მხოლოდ სამყაროთა ღმერთი მიბოძებს მე საზღაურს.

ნუთუ თქვენ მხოლოდ მამაკაცებისკენ გაგიწევთ ვნება და მიატოვებთ ცოლებს, რომლებიც ღმერთმა თქვენთვის საამისოდ შექმნა? არამც და არამც! თქვენ ადამიანობის ნიშანწყალი აღარ გაბადიათ!“ *(სურა შუარა, აიათები 161-166)*

სოდომელებმა ლუტის შუამავლობის მისია უარყვეს. მის ქადაგებას ყური არ ათხოვეს. ლუტმა ამ ხალხს მათ მიერ ჩადენილი ამორალურობის საშიშროების შესახებ უამბო.

„...უთხრა თავის ხალხს : განა, უნდა სჩადიოდეთ ისეთ სისაძაგლეს თქვენ, რაც სამყაროთაგან არავის ჩაუდენია აქამდე?“ *(სურა ეღრაფი, აიათი 80)*

ისინი გააფრთხილა, რომ მათ მიერ ჩადენილ ცუდ საქმეებს, ისინი უბედურებისკენ მიჰყავდა... სოდომელები არ აპირებდნენ ამორალურობა მოეშალათ, ამიტომ წმინდა ლუტს დასცინეს და მისი სამშობლოდან გაძევება გადაწყვიტეს. ეს ისტორია ყურანში ასეა გადმოცემული:

„და არ იყო პასუხი მისი ხალხისა, გარდა თავიანთი აზრის გამოთქმისა: გააძევეთ ისინი თქვენი ქალაქიდან. უეჭველად, ეგენი არიან ხალხი, რომელთაც ნამეტანი უმწიკვლოება სურთ!“ *(სურა ეღრაფი, აიათი 82)*

ამგვარი ამორალური ხალხის გადასახედიდან, სუფთად დარჩენა, ნამუსიანად და უმწიკვლოდ ცხოვრება, დანაშაული იყო. იმის გამო, რომ სულიერ საკვებს სიბინძურისგან იღებდნენ, სუფთა ადამიანებისგან მოუსვენრობას გრძნობდნენ და ემუქრებოდნენ:

„მიუგეს: „თუ არ მოიშლი, ერთ-ერთი გაძევებულთაგანი შეიქმნები.“ *(სურა შუარა, აიათი 167)*

წმინდა ლუტმა მათ ალლაჰის სატანჯველი კვლავ შეახსენა:

„ვფიცავ, ისინი შეაგონა მკაცრი სასჯელის თაობაზე, მაგრამ ეჭვით შეხვდნენ შეგონებანს!“ *(სურა ყამერი, აიათი 36)*

ვერ ჩასწვდნენ იმ საშინელ უბედურებას, რაც ელოდებოდათ, ღვთიური მუქარა არად ჩააგდეს და ქარაფშუტულად თქვეს:

„მაშ, დაგვატეხე თავს ალლაჰის სასჯელი, თუ კი ხარ მართალთაგანი!“ *(სურა ანქებუთი, აიათი 29)*

გამომწვარი ქვების წვიმა და საშინელი ხმა

მიუხედავად იმისა, რომ სოდომელები ღვთიური სატანჯველით გააფრთხილა, ლუტმა დაინახა, რომ ეს ხალხი გულგრილი დარჩა. ისინი იმდენად გასცდნენ საზღვრებს, რომ სატანჯველის მოვლენა ითხოვეს. შედეგად რისხვა დაიმსახურეს.

ასეთი მდგომარეობის შემხედვარე ლუტი ღმერთს შეეფარა და მისგან დახმარება ითხოვა:

„ღმერთო ჩემო! მიხსენ მე და ჩემი ოჯახი იმისგან, რასაც ისინი სჩადიან!“ *(სურა შუარა, აიათი 169)*

„თქვა: „ღმერთო ჩემო! შემეწიე იმ ხალხის წინაშე, რომელიც უკეთურობას ავრცელებს!“ *(სურა ანქებუთი, აიათი 30)*

ეს ვედრება ლუტისთვის ბოლო გამოსავალი იყო. ალლაჰმა ლუტის ტომის გასანადგურებლად ანგელოზები გამოგზავნა. ეს შმაგი ტომი მამაკაცის ფორმაში შესულ ანგელოზებსაც კი უკადრისად მოექცნენ. ეს შემთხვევა ყურანში ასეა მოთხრობილი:

„როცა ლუტთან მივიდნენ ჩვენი ელჩები, შეწუხდა მათ გამო, შეიწროვებულად იგრძნო თავი და თქვა: „ეს მძიმე დღეაო!“ *(სურა ჰუდი, აიათი 77)*

ანგელოზები ახალგაზრდების ფორმაში შესული მივიდნენ. ლუტმა ისინი ადამიანებად ჩათვალა და შეეშინდა, თავის ტომს მათთვის არ ეწყენინებინა. რადგან როგორც სურა „აარაფის“ მე-80 და 81 აიათებშია ნაბრძანები, იქ ჰომოსექსუალიზმი იყო გავრცელებული. ანგელოზები ლუტთან მივიდნენ:

„მოვიდნენ მასთან სირბილით მისი ხალხი, ხოლო ისინი სიავენს სჩადიოდნენ მანამდე. უთხრა: ჰეი, ხალხო ჩემო! აი ჩემი ქალიშვილები, ისინი უფრო სპეტაკნი არიან თქვენთვის. დაე, გეშინოდეთ ალლაჰის და ნუ შემარცხვენთ ჩემი სტუმრების წინაშე. ნუთუ თქვენ შორის არ მოიძებნება გონიერი კაცი?“ *(სურა ჰუდი, აიათი 78)*

განმარტებელის ზოგიერთი ყურანის აზრით, წმინდა ლუტმა ხალხს დაქორწინება საკუთარზე კი არა, ტომის ქალიშვილებზე ურჩია, რადგან მას მხოლოდ ორი ქალიშვილი ჰყავდა. რადგანაც ყველა შუამავალი თავისი მოდგმის სულიერ მამად ითვლება, — „აი ესენი ჩემი ქალიშვილებიაო“— წმინდა ლუტმა ტომის ქალიშვილები იგულისხმა.

მაგრამ თავზე ხელაღებულმა სოდომელებმა:

„უთხრეს: ხომ იცი, რომ შენი ქალიშვილები არ გვჭირდება. და უეჭველად, შენ მშვენივრად იცი, რაც გვინდაო .“

უთხრა: „ნეტავ, ძალა მომცა თქვენს დასაძლევად! ნეტავ, მქონდეს მტკიცე დასაყრდენი!“

უთხრეს: „ჰეი, ლუტ! უეჭველად, ჩვენ შენი ღმერთის ელჩები ვართ და ვერასდროს მოგეკარებიან ეგენი. მაშ, გზას გაუყევი ღამე, ცოლის გამოკლებით, შენი ოჯახით, და არც ერთმა თქვენგანმა უკან არ მოიხედოს. უეჭველად, მას ეწევა ის, რაც სხვებს ეწევა. უეჭველად, მათთვის აღთქმული დრო დილითაა. განა შორსაა დილა?“

და როცა მოვიდა ჩვენი ბრძანება, ამოვაბრუნეთ მათი დასახლება, და ზეციდან მიყოლებით დავატეხეთ თავს გამომწვარი თიხის ქვები,

შენი ღმერთის წინაშე ნიშანდადებული. და იგი უსამართლოთაგან შორს როდია...“ *(სურა ჰუდი, აიათი79, 80, 81, 82, 83)*

ღვთიური სატანჯველის მოვლინება უფრო დეტალურად სუა „ჰიჯრას“ 58-ე და 74-ე აიათებშია აღწერილი.

იქ მოთხრობილია, რომ ლუტის ტომის განადგურება, მზის ამოსვლისას საშინელი ხმაურით დაიწყო, რომელსაც შემდეგ ქვების წვიმა მოჰყვა. *(იხ. სურა ჰიჯრ, აიათები 73-74)*

დიადი ღმერთი, მას შემდეგ, რაც მოგვითხრობს ამორალური ტომის ამგვარი განადგურების შესახებ, ასე გვაფრთხილებს:

„უეჭველად, ამაში სასწაულებია იმათთვის, ვისაც დანახვა და შესმენა შეუძლია! და უეჭველად, იგი გზაგასაყარზეა.“ *(სურა ჰიჯრი, აიათები 75, 76)*

იმის გამო, რომ იქ ლუტის ტომი ჰომოსექსუალიზმის მსგავს ცოდვას სჩადიოდა, ალლაჰმა მათ თავდაპირველად საშინელი ხმა გააგონა, შემდეგ მათი ქვეყანა თავდაყირა დააყენა, ბოლოს კი მათ ქვის წვიმა მოუვლინა. ისტორიაში ერის განადგურების ამაზე საშინელი მაგალითი არ არსებობს.

სურა „ანქებუთში“ შემდგომში მოვლენილი ერთმორწმუნეებისთვის გაკვეთილად, ამ ამორალური ტომის განადგურებასთან დაკავშირებულ რამდენიმე დატოვებულ ნიშანზეა საუბარი:

„ვფიცავ, ჩვენ იმისგან დავტოვეთ ცხადი სურათი გონიერთათვის სასწაულად!“ *(სურა ანქებუთი, აიათი 35)*

ეს ნიშნებია: განადგურებულ ტომთან დაკავშირებული მოთხრობები, მათი სამშობლოს ნანგრევები, ციდან გაწვიმებული ქვები, შავად მომდინარე მდინარეები.

ლუტის ცოლები და შვილები

ლუტს, რომელსაც შუამავლობა დაევალა, ცოლად ჰყავდა ქალი სახელად ფევათი. ამ ქალმა მისი ირწმუნა. მაგრამ ფევათი ოცი წლის შემდეგ გარდაიცვალა. მის შემდეგ ლუტი სოდომელ ქალ ვაჰილეზე დაქორწინდა.

მაგრამ შემდეგში, როგორც გაირკვა, ვაჰილე ფარისეველი იყო და ხალხის ურწმუნოებისა და ამორალურობის წინაშე ხმას არ იღებდა. თუმცა, თავის ტომს, ლუტის წინააღმდეგ, მალულად მხარს უჭერდა.

ერთ დღეს, ანგელოზები, რომელბსაც ამ ტომის განადგურება ჰქონდათ დავალებული, როგორც კი ლამაზი ადამიანების სახით მათ სახლში შევიდნენ, ვაჰილე მაშინვე წავიდა და ეს ამბავი თავის ტომს აცნობა. ესე იგი ლუტს უღალატა. ამის შედეგად, ისიც მის ტომთან ერთად განადგურდა.

ლუტს ორი ქალიშვილი ჰყავდა. მათ მამის შუამავლობა სწამდათ. როცა ლუტის ტომი განადგურდა, ისინი მამასა და სხვა მორწმუნეებთან ერთად სოდომიდან გამოვიდნენ და ღვთიური სატანჯველისგან თავი იხსნეს.

შემდეგ ისინი მამასთან ერთად იბრაჰიმთან წავიდნენ. იბრაჰიმმაც ეს ორი ქალიშვილი თავისი ტომის ორ მორწმუნე პიროვნებაზე დააქორწინა.

ლუტის ტომის ცუდი ქმედებები და განადგურების მიზეზები

1. კერპების თაყვანისცემა

2. პომოსექსუალიზმის გავრცელება (მამაკაცის მამაკაცთან ურთიერთთანაცხოვრება).

წმინდა შუამავალი განკითხვის დღეს, ამ სამარცხვინო საქმეების მოქმედი ადამიანების სამწუხარო და დამამცირებელ მდგომარეობაზე, ასე მოგვითხრობს:

„ჩემ მიმდევართაგან იმას, ვინც ლუტის ტომის ქმედებებს ჩაიდენს, განკითხვის დღეს ალლაჰი ლუტის ტომის გვერდით გადაიყვანს, მათთან ერთად მოუყრის თავს.“ (სუიუთი, ჯამიულ-სარირ, II, 181)

ამ თემასთან დაკავშირებით, მალიქ იბნ დინარი ასე ამბობს: მანამდე არცერთი ერთმორწმუნე ჰომოსექსუალი არ ყოფილა. ეს უკა-

დრისი საქმე პირველად ლუტის ტომში გამოჩნდა. მათ ეს საქმე ეშმაკმა ასწავლა, რითაც ღვთიური სატანჯველისკენ გარეკა.

უზენაესმა ალლაჰმა ადამიანს სექსუალური ლტოლვა მათ გასამრავლებლად უწყალობა. ამის სხვა მიზნით გამოყენება, უსამართლო ქმედება, ადამიანის უმეცრება და სიშმაგეა. ჰომოსექსუალიზმი ადამიანის ღირსებასა და ნამუსს ფეხქვეშ თელავს და ისინი ცხოველებზე დაბალ საფეხურზე ეშვებიან

3. ჰომოსექსუალიზმით მოკვდინება. ლუტის ტომის შმაგი ადამიანები, როცა ვინმეს მოკვლას ისურვებდნენ, მას ჰომოსექსუალიზმს აიძულებდნენ. ამგვარად აწამებდნენ და შემდეგ ამ პიროვნებას კლავდნენ.

4. სოდომელები უნამუსობას აშკარად სჩადიოდნენ ისე, რომ პატიოსან ადამიანებს არცხვენდნენ. იმდენად დამდაბლდნენ, რომ გზებზე აშკარად გადიოდნენ, ეს გასართობად აქციეს.

5. გზის გადასაჭრელად, ქვის ნატეხებს აიღებდნენ, გზაზე დაჯდებოდნენ და გამვლელებს ესროდნენ. ვინმე უცხო თუ გაივლიდა, მას ქვებს ესროდნენ და ამასხარავებდნენ.

6. მაბეზღრობა და ინტრიგნობა უყვარდათ.

7. მოწყალების გაცემა არ უყვარდათ, საკმაოდ ძუნწი ადამიანები იყვნენ.

ᔓ

უზენაესი ალლაჰი, ლუტის ტომის განადგურებისგან, გაკვეთილის აღებას ასე გვირჩევს:

„ვფიცავ, ჩვენ იმისგან დავტოვეთ ცხადი სურათი გონიერთათვის სასწაულად!“ *(სურა ანქებუთი, აიათი 35)*

აიათში განადგურებული ტომების ნარჩენები, ქვეყნიერების აღსასრულამდე ამქვეყნად მოსულ ყველა ადამიანს გაკვეთილად გამოადგება.

ლუტის ტბაში არსებული სრულიად ცხადი ნიშნები, მართლაცდა, უკიდურესად საინტერესოა. ისე, როგორც საინტერესოა ლუტის ტბის გარშემო მომხდარი შემთხვევები, ასევე საყურადღებოა, ამ ტერიტორიის დღევანდელი გეოლოგიური მდგომარეობა. ტბა ხმელთაშუა ზღვის დონიდან ოთხასი მეტრით დაბლაა. ტბის ყველაზე ღრმა ადგილის სიღრმე ოთხასი მეტრია. ესე იგი, ყველაზე ღრმა ადგილი



ერთი ხედი ლუტის ტბის ანუ მკვდარი ზღვისგან

ხმელთაშუა ზღვის დონიდან რვაასი მეტრით დაბლაა. ესეც აჩვენებს, რომ ამ ტერიტორიის ადგილმდებარეობაც კი თითქოს ლუტის ტომის სიმდაბლის მიმანიშნებელია.

ლუტის ტბის სხვა თავისებურებები შემდეგია: წყალში მარილის შემცველობა დაახლოებით 30 პროცენტია. ამ პირობებში ტბაში თევზი და მცენარეები ვერ იარსებებს. ამ ტბას მკვდარი ზღვა ეწოდება. ამ დაწყევლილ ადგილზე ცხოველებიც კი ვერ ცოცხლობენ. ეს კიდევ ერთი საოცარი საბუთია.

ყურანში მოთხრობილი ამ შერისხული ტომის ამბები ჩვ. წ. აღმდე 1800-იან წლებში მოხდა. განადგურებულ სოდომისა და გომორის მხარეში იმ დროიდან დარჩენილი მარილის სიმრავლის მიზეზით დაკონსერვებიული ხეები გვხვდება. ქალაქის ნანგრევები, იმ ღვთიური სატანჯველის ზეგავლენით, მიწის ფსკერზე დაიძირა. ტბაც კუპრის ფერისაა, გარშემო საზიზღარი სუნი დგას. ეს საოცარი ტბა, იქ ჩადენილი ცოდვის საზიზღრობას, ამ პეიზაჟის საშუალებით წარმოუდგენს კაცობრიობას.

სოდომსა და გომორზე თავსდამტყდარი ღვთიური შურისძიება და პომპეის ტრაგედია ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

პომპეის ხალხის განადგურება

რომის იმპერიის გადაგვარებული მორალის სიმბოლო—ქალაქი პომპეი—იტალიაშია. პომპეიც, ისე როგორც ლუტის ტომი, ჰომოსექსუალიზმის გამო აღიგავა პირისაგან მიწისა.



ურწმუნო თუ ტირანი ტომის სიკვდილის წამება რა საშინელი სატანჯველისა და ღვთიური შურისძიების სურათია! მიუხედავად იმისა, რომ იქიდან ათას ცხრაასი წელი გავიდა, დღეს პომპეი უზნეო ადამიანების გაქვავების სურათს წარმოგვიდგენს. თითქოს ადამიანების სილუეტები ცხოველებად ქცეულა!

ისტორიული ჩანაწერები აჩვენებს, რომ ქალაქი განადგურებამდე უკულმართობის, უსირცხვილობისა და ამორალობის ჭაობში იყო ჩაფლული. იქიდან დაახლოებით სამოცდაათი წლის შემდეგ, ვეზუვის ვულკანიდან ამოხეთქილმა ლავამ ქალაქი ერთ წამში დაფარა და რუკიდან წაშალა. ამგვარად, ღვთიურ სატანჯველს ვერავინ გაექცა და თავი ვერ იხსნა. ის უბედურები, როცა უკულმართობას სააშკარაოზე ჩადიოდნენ, ჭკუის დამრიგებლურ ნიმუშებად დარჩენ გაქვავებულები.

ეს შემთხვევა ერთ წამში მოხდა. უზნეო ღვთიურმა სატანჯველმა ყველა ერთ წამში შეიპყრო და რა მდგომარეობაშიც იყვნენ, იმ მდგომარეობაში გააქვავა. მათმა ნარჩენებმა დღევანდელობამდე მოაღწია და ისტორიის საზიზღარ სცენათაგან ერთ-ერთია.

ყურანში ამის მსგავსი განადგურების შემთხვევები ასეა მოხსენიებული:

„(რისთვის არის საჭირო ლაშქარი) მხოლოდ ერთი საშინელი ხმა (საკმარისია) და მაშინვე ჩაკვდნენ!“ *(სურა იასინი, აიათი 29)*

„ჩვენ რამდენი თაობა გავანადგურეთ მათზე უწინ? განა გიგრძვნია ან გაგიგონია მათგან ჩქამი?“ *(სურა მერიემი, აიათი 98)*

იმათთვის, ვინც ჭეშმარიტებას ვერ ამჩნევენ, შემთხვევებს სულის სიღრმიდან არ უცქერიან, ვისაც შემეცნება არ შეუძლიათ, ისენი მხოლოდ ჩვეულებრივი ქანდაკებების ნარჩენებია.

ქალაქები სოდომი და გომორი შმაგი, უნამუსო და უსირცხვილო ადამიანების მიწაში ჩატანის ადგილია. ადისა და სემუდის ტომების გაქვავებული სამფლობელოები მხოლოდ ბაიყუშებს თუ გაამხიარულებს!

ტომების განადგურება და შთამომავლობის დაცვა

„განა არ მოღწეულა მათთან ამბავი, რომელნიც იყვნენ მათ უწინ: ნუჰის, ადისა და სემუდის ხალხისა, იბრაჰიმის ხალხის, მედიენისა და დაქცეულთა მკვიდრნისა? განა მათივე შუამავალთ არ მოუტანიათ ცხადი სასწაულები? მაშ, ალლაჰი კი არ მოპყრობია მათ უსამართლოდ, არამედ თავად მოექცნენ საკუთარ სულებს უსამართლოდ.“
(სურა თევბე, აიათი 70)

ამ გამოსაცდელ ქვეყანაზე, სადაც აუცილებელია ფხიზლად ყოფნა, კაცობრიობას უმეტესწილად ღრმად ეძინა. ამ დაუდევარმა ძილმა ისინი უმეცრებასა და ცდომილებაში შეიყვანა და სამწუხარო დასასრულისკენ გარეკა. ეს ქვეყანა მათთვის თავის მოტყუების ადგილად იქცა.

რწმენისა და ზნეობის გზასაცდენილთა თავსდამტყდარი უბედურებანი ღვთიური სატანჯველითაა აღსავსე. ნუჰის, ადისა და სემუდის ტომების ამაყ ადამიანებს, შუამავლების წინააღმდეგ მებრძოლ, ღმერთობაზე პრეტენზიის გამცხადებელ და საბოლოოდ ერთ პეშვ წყალში დამხრჩვალ ფარაონს, ბუზის მიერ დამარცხებულ ნემრუდს, ცხოველებზე დაბალ დონეზე დაშვებულ ლუტის ტომს და სხვა მსგავს ტირანებსა და მეამბოხეებს, ამქვეყნად არ ჩაუვლიათ?

ისტორიაში ერების განადგურების მიზეზები სრულიად ნათელია. ურწმუნო, ამორალური თუ უსამართლო ტომების განადგურება, რა საშინელი სატანჯველი და ღვთიური შურისძიების სურათია! მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ საუკუნეები გავიდა, დღეს პომპეი ჭკუის დამრიგებლური წარმოდგენის ადგილია. ადგილი, სადაც ამორალური ადამიანებია გაქვავებული ისე, თითქოს ცხოველად ქცეული ადამიანების სილუეტებია!

დედამიწის ფსკერზე ჩატანილი, შმაგი, უზნეო და უსირცხვილო ადამიანების სამყოფელი—სოდომ-გომორის ტომები, რომლებიც ამ ქვეყნას თავიანთი ბედნიერების სამეფოდ თვლიდნენ, ის გაქვავებული სამფლობელოები, დღეს სევდიან ნამსხვრევებს წარმოადგენს.

მათთვის ზეცას არ უტირია, თვალები არ აცრემლებულა, გულებს ტკივილი არ მიყენებია. პირიქით, დაჩაგრულთა წყევლით, ისინი ისტორიის სანაგვეზე აღმოჩნდნენ, სადაც მათი სასულთნოები იყო.

ურწმუნოების, ამბოხის, უსამართლობისა და ამორალურობის ისტორია ღვთიური შურისძიების საშინელი მაგალითებითაა აღსავსე. შუამავლების ნაჩვენებ გზაზე წინააღმდეგობის გამწევნი ან ალლაჰის წინააღმდეც აჯანყებულები, ადრე თუ გვიან, ღვთიური ძალის გამოვლინებასა და მწარე სატანჯველის პირისპირ აღმოჩნდებიან. ეს მდგომარეობა ღვთის უცვლელი კანონია.

უზენაესმა ალლაჰმა შუამავლები, ადამიანთა ვნებების გამო, საზოგადოებაში წარმოშობილი ჭრილობების სამკურნალოდ მოავლინა.

მაგრამ ისინი, რომლებიც ამქვეყნის მოოქროვილმა სახემ მოატყუა, შუამავლების გახსნილ ნათელ ჰორიზონტს დაშორდნენ და მარადიული უბედურების მაჩვენებელ საშინელ ნამსხვრევებად იქცნენ. მათ საზოგადოება გაავერანეს, სიღატაკე ბედნიერებად ჩათვალეს და იმედი გაუცრუვდათ. მათი შექმნის საოცრებასა და საიდუმლოს ვერ ჩასწვდნენ, ცხოველებს მიბაძეს და შედეგად ღვთიური სატანჯველი მოევლინათ, განადგურდნენ.

ისე, როგორც ადამიანში შიმშილის გრძნობა სხეულის არსებობის აუცილებლობიდან წარმოიშობა, გაჭირვების პერიოდში, ადამიანების მიერ ალლაჰის ძებნაც სულიერი საჭიროებაა. როცა ცეცხლში გადაგდებული იბრაჰიმი ალმა არ დაწვა, ნემრუდმა თქვა: „ღმერთობას არ შევწყვეტ, თუმცა შენს ღმერთს ოთხი ათას მსხვილფეხა რქოსანს დავუკლავ!“ მისი ეს გამონათქვამი და შემდეგ ფარაონის მიერ აღიარებული რწმენა, მაშინ როცა ის მიხვდა, რომ წყალში უნდა განადგურებულიყო, აჩვენებს, რომ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილი დაუდევრების, კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ურწმუნოების აფორიაქებისა და დაუცველობის მომენტში გონს მოსვლა ადასტურებს, რომ ისინი შინაგანად ჭეშმარიტებას აღიარე-

ბენ. ესეც იმის ნიშანია, რომ ადამიანის ბუნებაში რწმენის მოთხოვნილება დევს.

უკანასკნელი ამოსუნთქვისას ურწმუნოთა და დაუდევართა ცახცახი, რა სამწუხარო დასასრულია. სიკვდილის ანგელოზების მიერ „უფრო ადრე სად იყავით?“ წარმოთქმა, მწარე სატანჯველის მიზღვევის დასაწყისი იქნება.

ყველა ამქვეყნიური სიამოვნების მომსპობი სიკვდილი, ამავე დროს წარმავალი ვაჭრობის დასასრულია. ამ მიზეზით, ღვთისმოსავებსა თუ ბრძენებს მთელი თავიანთი არსება ალლაჰის თაყვანისცემის მდგომარეობაში მოჰყავთ და ამგვარად ჭეშმარიტებას უახლოვდებიან. სხეულს მუდმივად ამზადებენ სიკვდილისთვის და ამგვარად წარმავლობას თავს აღწევენ. სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა მდგომარეობაშიც რომ იყვნენ, ისინი მაინც განსხვავებული არიან.

თუ აუცილებელია სიკვდილისგან გაქცევა და შიში, მაშინ ღამის მოახლოებისას ცახცახმა უნდა აგვიტანოს. მაგრამ, როცა ღამის წყვდიადსა და საიდუმლოებაში ვიძირებით, შიშს არ ვგრძნობთ, რადგან ვიცით, რომ დილის მოსვლა, სამყაროს წესი— ღვთიური კანონია.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

يَا أَيُّهَا النَّاسُ إِنَّ وَعْدَ اللهِ حَقٌّ فَلَا تَغُرَّنَّكُمُ الْحَيَاةُ الدُّنْيَا

وَلَا يَغُرَّنَّكُمْ بِاللهِ الْغَرُورُ

„ჰეი, ხალხო! უეჭველად, ალლაჰის აღთქმა ჭეშმარიტია. მაშ, არ შეგაცდინოთ ამქვეყნიურმა ცხოვრებამ და დაე, არ გაცდუნოთ მაცდუნებელმა ალლაჰის თაობაზე!“ *(სურა ფატირი, აიათი 5)*

რა სამწუხაროა იმათი მდგომარეობა, რომელთაც ამქვეყნიური სიმშვიდის მოპოვება, საიქიო ცხოვრებასთან დაუკავშირებლად სურთ; ვინც სიცოცხლის ბოლო წუთამდე წარმავალი სიტკბოების მოპოვებასა და ამქვეყნიური მოსართავებით შემკობას ცდილობს!

როცა ისლამი გვიბრძანებს, სამყაროს ვუცქიროთ სიბრძნის თვალით, ამით სურს ცხოვრება ღვთის სამსახურში, შეგნებულად გავატაროთ.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„ნუთუ ჩათვალეთ, რომ ჩვენ გაგაჩინეთ ტყუილუბრალოდ და რომ თქვენ ჩვენთან არ იქნებით მობრუნებულნი?“ *(სურა მუყმინუნი, აიათი 115)*

„ნუთუ ჰგონიათ ადამიანებს, რომ ამაოდ იქნებიან მიტოვებულნი და არ გამოიცდებიან, თუ მხოლოდ იტყვიან „ვირწმუნეთ“?

ვფიცავ, ჩვენ გამოვცადეთ, რომელნიც მათზე უწინ იყვნენ. უეჭველად, ალლაჰმა იცის, რომელთაც სიმართლე თქვეს და რომელთაც იცრუეს!

თუ ჰგონიათ, რომელნიც სიავეს სჩადიან, თავს დაიძვრენენ? რაოდენ ცუდია მათ მიერ გამოტანილი მსჯავრი! *(ანქებუთი, აიათი 2, 3, 4)*

„ნუთუ ეგონა ადამიანს, რომ უპასუხისმგებლოდ იქნებოდა მიტოვებული?“ *(სურა ყიამეთი, აიათი 36*

ისლამი ადამიანის ცხოვრებას აკვნიდან საფლავამდე აწესრიგებს. მას საიქიო საიდუმლო სამყაროსთვის ამზადებს.

რა მწარე დანაკლისია ადამიანისთვის, აკვანსა და კუბოს შორის კავშირის არსებობის შეუმეცნებლად, სამყაროში თავისი ადგილისა და მოვალეობის დაუდგენლად, სიკვდილის შემდეგ მგზავრობის საოცრებასა და საიდუმლოში ჩაუწვდომლად, ცხოვრების უმიზნოდ გატარება. ეს მდგომარეობა რა შეიძლება იყოს, უკან დატოვებული სევდიანი მოგონებისა და სიკვდილის ტალღებში დაკარგვის გარდა.

ᔓ

როცა შუამავლებს ადამიანური ძალა ურწმუნოებისა თუ უსამართლობის წინააღმდეგ უთავდებათ, მათ ღვთიური ძალმომრეობა და შურისძიება უსწრებთ დახმარების სახით. შუამავალი ნუჰი, რომელიც 950 წლის განმავლობაში ითმენდა და იტანდა ყველაფერს, როგორც კი ძალა აღარ ეყო, ღმერთს შეევედრა;

„მაშინ შეჰღაღადა თავის ღმერთს: „უეჭველად, მე ძლეული ვარ. მაშ, შემეწიე!“ *(სურა ყამერი, აიათი 10)*

ამქვეყნიურ ცხოვრებაში ყველაზე საშიში წყალდიდობები, გრიგალი, მიწისძვრები, შიმშილობა, მტრის თავდასხმები და ეპიდემიებია. ეს ბუნებრივი კატაკლიზმები, რომლებსაც კარგი განვითარება არ მოჰყვება, მრავალ მიზეზსა და საიდუმლოს ეყრდნობა. ამგვარი

ტიპის შემთხვევები ადამიანების ამბოხებისა და ცოდვების მიზეზით ხდება. ამგვარად, ღვთიური წესების მოშლას უბედურებები მოაქვს.

ალლაჰი უსამართლო არ არის. ეს უბედურებები ადამიანების დამსახურებაა. ისინი, რომლებიც ღმერთის წესებს არ დაემორჩილებიან და მის წინააღმდეგ გამოვლენ, შურისძიებას ვერსად გაექცევიან.

ყურანში გაცხადებულია, რომ ღვთიური ბედისწერის გარეშე, ხეს ერთი ფოთოლიც კი არ მოსწყდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სამყაროში სრული ანარქია იქნებოდა.

ყველა ფიზიკური შემთხვევის უკან ათასობით საიდუმლოა დამალული. ამ საიდუმლოებებს შუამავლები და გულის სამყაროს წარმომადგენლები ცხადად ხედავენ. ამ საკითხთან დაკავშირებით ყურანში რამდენიმე გაცხადებაა:

„მაშ, შეხედე, როგორი იყო აღსასრული უსამართლოთა!“ *(სურა ყასასი, აიათი 40)*

„ჩვენ მათ უწინარეს რამოდენიმე თაობა გავანადგურეთ, რომელნიც მათზე უფრო ძლიერნი იყვნენ. ასეთი ძალაუფლების მიუხედავად (სიკვდილიდან გადარჩენისათვის) გასაქცევი დედამიწაზე ვერსად იპოვეს და ყოველთვის სასოწარკვეთილნი ბრუნდებოდნენ. უეჭველად, ამაში შეხსენებაა, ვინც გულმოდგინედ და კარგად შეისმენს.“ *(სურა ყააფი, აიათები 36, 37)*

„რამდენი დასახლება დავანგრიეთ, რომელშიც იყვნენ უსამართლონი და მათ მერე სხვები დავადგინეთ!“ *(სურა ენბია, აიათი 11)*

„ვფიცავ, ჩვენ გავანადგურეთ სოფელნი თქვენს ირგვლივ და ზედმიწევნით განვუმარტეთ აიათები, ეგების უკუმოქცეულიყვნენ!“ *(სურა აჰქაფი, აიათი 27)*

„რამდენი დასახლება, რომელთა მცხოვრებნიც უსამართლონი იყვნენ, დავღუპეთ და ახლა მიწასთანაა გასწორებული. რამდენი ჭაა მიტოვებული და რამდენი სასახლე!

განა არ უმოგზაურიათ დედამიწაზე, მათ გულს განა არ შესწევდა გაგება, ხოლო ყურებს შესმენა? უეჭველად, თვალი კი არ ბრმავდება, არამედ გული მკერდში!“ *(სურა ჰაჯჯი, აიათები 45-46)*

„განა ვერ ხედავენ რამდენი თაობა გავანადგურეთ მაგათ უწინ? მათ მივეცით ისეთი ძალაუფლება დედამიწაზე, როგორიც არ მოგვიცია თქვენთვის. და ჩვენ მოვავლინეთ ზეციდან მათდა უხვად წვიმა და დავადგინეთ მათ ქვემოთ მომდინარე მდინარეები. მაგრამ გავანადგურეთ ისინი თავიანთი ცოდვების გამო და მოვიყვანეთ სხვა თაობა მათ შემდგომ.“ *(სურა ენღამი, აიათი 6)*

„გამოიკვეთა უკეთურება ხმელეთზე და ზღვაში იმის გამო, რაც მოიხვეჭეს ადამიანთა ხელებმა, რათა აწიოს მათ ნაწილი იმისა, რაც ჩაიდინეს, ეგების უკუმოიქცნენ!“ *(სურა რუმი, აიათი 41)*

„რაც სიავეთაგან გეწიათ იმისთვისაა, რაც მოიხვეჭა თქვენმა ხელებმა და მოგიტევებთ მრავალთა.“ *(სურა შუარა, აიათი 30)*

„ღმერთი შენი როდია (ამის ჩამდენი)**, რომ გაანადგუროს უსამართლოდ სოფელნი, რომლის მკვიდრნი მშვიდობის მთესველნი არიან?!“** *(სურა ჰუდი, აიათი 117)*

„უეჭველად, ალლაჰი უსამართლოდ არ მოექცევა ხალხს, მაგრამ ხალხი თავიანთ სულებს უსამართლოდ ექცევიან.“ *(სურა იუნუსი, აიათი 44)*

ალლაჰი ისეთი განუსაზღვრელი ძალის პატრონია, რომ წმინდა იბრაჰიმს, რწმენის გამო, ნემრუდის ცეცხლი ვარდის ბაღად უქცია. წმინდა მუსას კვერთხით, ფარაონის სამფლობელო თავდაყირა დააყენა, ქააბას დანგრევის მსურველი ებრეჰის არმია, სპილოები თუ ჯარისკაცები პატარა ჩიტების არმიას გაათელვინა და მექა სპილოთა სასაფლაოდ აქცია; მსგავსი შმაგი ტომები მიწასთან გაასწორა.

ისლამი ადამიანს სერიოზულობას უქადაგებს. ახსენებს, რომ ხვალ ის ალლაჰის წინაშე უნდა წარსდგეს და პასუხი აგოს.

ადამიანი ტყუილუბრალო ქმედებებით, ჭორაობითა და უსარგებლო კითხვებით, პატივისა და ღირსების დამამდაბლებელი ქმედებებით, რწმენასა და ზნეობას ვერ იპოვის. უმეცრებთან ერთად სიმაღლე არ იზომება. უშინაარსო თავგადასავლის საძიებლად პირველ რიგში არ დგებიან.

თუ ამქვეყნიურ ცხოვრებაში, რომელიც ზაფხულის ღრუბელივით სწრაფად ჩაივლის, საიქიო ცხოვრების მღელვარების გარეშე ცხოვრობ, ეს იგივეა, რომ დღე საღამოს გარეშე აღიქვა.

წმინდა მევლანა ბრძანებს:

„სხეულის კვებასა და განვითარებას არ უყურო! რადგან საბოლოოდ ის მსხვერპლია, რომელიც მიწას უნდა მიებაროს. შენ შეეცადე, გული ნაყოფიერი წყაროდან გაავსო! უმაღლესთან წამსვლელი, პატივსაცემი ის არის.“

„სხეულს ცხიმიანი, თაფლიანი საკვები ცოტა მიეცი, რადგან ადამიანი, რომელიც სხეულს კვებავს, ვნებას აჰყვება და საბოლოოდ შერცხვენილი მიდის.“

„სულს სულიერი საზრდო მიეცი. მას მომწიფებული ფიქრი, დახვეწილი გაგება და სულიერი საკვები შესთავაზე, რათა იქ, სადაც წასასვლელია, ძლიერი წავიდეს!“

ღმერთო ჩვენო, სამწუხარო დასასრულისგან დაგვიფარე, წილად გვარგუნე სამოთხეში მოხვედრის ბედნიერება!

აამინ!

შთამომავლობის დაცვა

ღირსებისა და ნამუსის მნიშვნელობა, შთამომავლობის გაგრძელება და ოჯახის დაცვა, ღმერთის წყალობა—სიცოცხლის ბუნებრივი კანონების შედეგებია.

ადამიდან მოყოლებული შუამავლები ადამიანის შთამომავლობის კეთილდღეობისთვის ქორწინებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რადგან შთამომავლობის დაცვა ამ ინსტიტუტის არსებობითა და სიმყარითაა შესაძლებელი. თაობებში, რომლებიც ოჯახში არ იზრდებიან, ცხოვრების წესი ირღვევა; საზოგადოების კეთილდღეობის საფუძვლები ირყევა და იქ ანარქია იწყებს გამეფებას, რადგან აღვირახსნილობა სიმშვიდეს და ბედნიერებას ვერ მოიტანს.

კეთილშობილი თაობის აღზრდა, კაცობრიობისთვის იდეალი და საოცნებო ბედნიერებაა. ბავშვების აღზრდაზე წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„თქვენი შვილები დააფასეთ! მათი აღზრდისას გულმოდგინება გამოიჩინეთ!“ *(სუსიუთი, ჯამიუს საღირ, I, 47)*

შვილების აღზრდისთვის გადატანილი ტანჯვა-წვალება მშობლებისთვის ცოდვების შემცირების საშუალებაა.

ეს ქვეყნა გაჩენილია ალლაჰის მსახურების სახლად და მონა-მსახურობის აღსრულების ადგილად. ყურანი, რომელიც გვამცნობს ადამიანის ღირსებისა თუ პატივის დამკარგავი ერების რუკიდან წაშლის შესახებ, კაცობრიობისთვის ჭეშმარიტების გზის ჩირაღდანია და მას მარადიული ბედნიერების გზების ძიებაში გიდობას უწევს.

ღმერთო ჩვენო! წილად გვარგუნე ბედნიერება, შენი ნაწყალობევი სიკეთე, შენი ნება-სურვილისდა მიხედვით გამოვიყენოთ! ჩვენი შთამომავლები ჭეშმარიტ მონა-მსახურებად და წმინდა მუჰამმედ შუამავლის (ს.ა.ს) მიმდევრებად აქციე!

აამინ!

შესაფასებელი კითხვები

ა. გაეცით პასუხები ქვემოთ მოცემულ კითხვებს

1. რა იყო სოდომის ტომის ზნეობრივი მახასიათებელი?
2. ლუტის ტბის, რომელიც სოდომის ხალხის განადგურების ადგილზე მდებარეობს, დღევანდელი გეოგრაფიული მდებარეობა, წყლის თავისებურებები, იქ თევზებისა და მცენარეების არსებობის შეუძლებლობა, რა გაკვეთილს გვიჩვენებს?
3. **„ამგვარად, მზის ამოსვლისას საშინელმა ხმამ შეიპყრო ეგენი. ამგვარად, ამოვატრიალეთ ქალაქი თავდაყირა და მათზე გამომწვარი თიხის ქვები გავაწვიმეთ.“** *(სურა ჰიჯრი, აიათები 73, 74)* აიათებში მოცემული ცნობები ჩვენ რა გრძნობებისა და ფიქრებისკენ გვიბიძგებს?
4. რას მოგვითხრობს ჩვენამდე მოღწეული პომპეის ხალხის საოცარი სურათები მათი ამორალობისა და სიშმაგის შესახებ?
5. ადამიანი, რომელიც დედამიწაზე მოვლენილია როგორც ალლაჰის მოადგილე, ანუ არსება, რომელიც ღვთიური თვისებების გამომვლინებელია, თავისი ცხოვრების ნირით ისურვებს, ღმერთის მეგობარი იქნება, ისურვებს—მტერი. რა არის საჭირო იმისთვის, რომ ჩვენ ღმერთის მეგობრებად ვიქცეთ?

ბ. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები

1. იმისათვის, რომ ადამიანებისთვის ჭეშმარიტების ქადაგების გამოცდილება მიეღო, ლუტი ---------- ერთად სირიას, ეგვიპტესა და პალესტინაში წავიდა.
2. შმაგი ლუტის ტომი ---------- და ---------- განადგურდა.
3. ლუტის ტომის საქმიანობა (ჰომოსექსუალიზმი) ----------.

აჰმედი, ჰანბელი, მუსნედი, I, 317

გ. შემოხაზეთ ქვემოთ მოცემული კითხვების სწორი პასუხები

1. იმის გამო, რომ ადამიანი მონა-მსახურებისთვისაა გაჩენილი, ეს ქვეყანა ადამიანებისთვის ღვთისმსახურების ადგილია. ადამიანმა ამ ღვთისმსახურების სახლად შეთავაზებულ ქვეყნაში არსებული ყველაფერი მიზნის შესაბამისად უნდა გამოიყენოს. ისინი, ვინც ქვეყანასა და მის სიკეთეს მიზნის შესაბამისად არ იყენებენ, ბედნიერებას ვერასდროს მოიპოვებენ.

ქვემოთ მოცემულთაგან, რომელი არ შეესაბამება ამ პარაგრაფს?

ა. დიადი ალლაჰისთვის შესაბამისი მონა-მსახურების გასაწევად საჭირო თვისებებითა და შესაძლებლობებით შემკული ყველაზე ღირსეული არსება-ადამიანია.

ბ. ამქვეყნად არსებული ყველა სულიერი თუ უსულო არსება, ალლაჰისთვის მონა-მსახურების გამწევ ადამიანს ემსახურება.

გ. ყველა სულიერი არსებისგან გამორჩეული მახასიათებლის მატარებელი ადამიანი, იმ პერიოდში, როცა ამქვეყნად მისი შექმნის მიზნის შესაბამისად ცხოვრობს, ბედნიერებას მიაღწევს.

დ. ეს ქვეყანა ჰგავს ქარვასლას, სადაც ნებისმიერი ადამიანი ცოტა ხნით რჩება სტუმრად. იმ დროისთვის, რომელსაც აქ ღვთისმსახურებაში არ გაატარებს, საიქიოში განისჯება.

2. **სოდომის ტომის, რომელსაც გადაბიჯებული ჰქონდა სიშმაგისა და ამორალურობის ზღვარს, იმათ შესახებ, ვინც მათ არ ჰგავდა, ნათქვამი — „წმინდანები ჩვენგან წავიდნენ“ — ვერ აჩვენებს, რომ მათ გააჩდათ შემდეგი აზრი?**

ა. მათთვის აუტანელი იყო ის, რომ წმინდა ადამიანები შორს იდგნენ იმ უკუღმართობისგან, რომლის გზასაც თავად ადგნენ.

ბ. სურდათ გაეგოთ, ვინ იყვნენ მათი მსგავსნი.

გ. სურდათ მათ შორის აღზრდილიყვნენ სუფთა და ლამაზი ზნეობის ადამიანები.

დ. არ უყვარდათ ისინი, ვინც

არ სჩადიოდა იმ საზიზღარ საქმეს, რასაც თავად აკეთებდნენ.

3. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელი არ არის სოდომის ტომისთვის ჭეშმარიტებაზე თვალის ამხვევი დაუდევრობა და სიშმაგე?

ა. ლუტისთვის იმის მოთხოვნა, რომ არ ჩარეულიყო მათ უსირცხვილობასა თუ ამორალურობაში და ეს ნორმალურად ჩაეთვალა.

ბ. ლუტზე, რომელიც მათ სიწმინდესა და ლამაზი გზით სიარულს უქადაგებდა, გადასახლებით დამუქრება.

გ. ლუტისა თუ მათ გასანადგურებლად მოსული ანგელოზებისთვის ქვების დაშენა და მათი ამგვარად განდევნა.

დ. მიუხედავად იმისა, რომ ლუტმა ისინი გააფრთხილა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, გამოწვევა იმის წარმოთქმით, რომ „თუკი მართალს ამბობ- ალლაჰის სატანჯველი მოგვიტანე!“

4. როცა მისი ტომი განადგურდა, ლუტი და მისი ოჯახი ალლაჰის მოწყალებით გადარჩნენ. მხოლოდ ცოლი ვაჰილე განადგურდა. ისიც უბედურ ტომთან ერთად მიწის ფსკერზე აღმოჩნდა. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელი არ შეიძლება იყოს ამის მიზეზი?

ა. ვაჰილე ფარისეველი ქალი იყო და სოდომელებთან შეთანხმებულად მოქმედებდა.

ბ. ვაჰილე ხალხის ამორალურობასა და ურწმუნოებაზე ხმას არ იღებდა.

გ. ვაჰილე ლუტის წინააღმდეგ თავის ტომს მხარს უჭერდა.

დ. ვაჰილე სოდომური წარმომავლობის იყო.

5. საზოგადოებაში ღირსებისა თუ ნამუსის დაცვა, შთამომავლობისა და გენეალოგიის დაცვით, ლამაზი მორალის შენარჩუნება ალლაჰის მიერ ჩვენთვის მოთხოვნილი მნიშვნელოვანი მონამსახურეობრივი მოვალეობაა. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელი არ არის ამ მნიშვნელოვანი მოვალეობისთვის აუცილებელი პირობა?

ა. მაქსიმალური მცდელობა ყველა პიროვნების უმწიკვლობისა და სინდისის დასაცავად.

ბ. ახალგაზრდებისთვის რჩევა იმისა, რომ არ დაქორწინდნენ მანამ, სანამ არ მოიპოვებენ ქორწინებასთან დაკავშირებულ ყველა ცნობას.

გ. ქორწინების ინსტიტუტის პირობების ცხოვრებაში სათუთად გატარება.

დ. ოჯახური ცხოვრების გასაგრძელებლად ქორწინება და მეუღლეების ერთმანეთისადმი ნდობა.

სწორი პასუხები

ბ. გამოტოვებულ ადგილებზე ჩასასმელი სწორი პასუხები

1- წმინდა იბრაჰიმი

2- გამომწვარი ქვები— საშინელი ხმა

3- დაწყევლილია

გ. ტესტების სწორი პასუხები

1-დ 2- გ 3- გ 4- დ 5- ბ


წმინდა
ზეულყარონელები

აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ
მონოთეიზმის დროშის მატარებელი

წმინდა ზულყარნეინი

ზულყარნეინი არაბული სიტყვაა. წარმოქმნილია ორი სიტყვის შეერთებით „ზულ“ და „ყარნეინ“. ამის მიხედვით, ზულყარნეინი „ორი საუკუნის პატრონად“ ითარგმნება. რადგანაც ალლაჰმა მას ნათელისა და წყვდიადის ბრძანება მისცა, ის ქვეყნის აღმოსავლეთითა და დასავლეთით დადიოდა, მას ზულყარნეინი ეწოდა.

ზულყარნეინი ნუჰის შვილის, იაფეთის შთამომავალი იყო. მისი ნამდვილი სახელი იყო ალექსანდრე. ყურანში მოხსენიებულია ზულყარნეინის აღმოსავლეთსა და დასვლეთში ლაშქრობები. არსებობს თქმულებები, რომლებიც გვიჩვენებს, ის შუამავალი იყო თუ წმინდანი.

ზულყარნეინი ჯავშნებს აკეთებდა და ყიდდა, საკუთარი შრომით შოულობდა სარჩოს. იმას, რაც არ სჭირდებოდა, მოწყალების სახით ღარიბებს აძლევდა. ზულყარნეინი ურწმუნოებს დიდხანს ეომებოდა. იეჯუჯისა და მეჯუჯის[1] ტომების წინააღმდეგ სპილენძის კედელი გააკეთებინა. ალლაჰის რწმენას, მონოთეიზმს ქადაგებდა და ავრცელებდა.

ᔓ

როცა მუჰამმედ შუამავალი (ს.ა.ს) მექაში მცხოვრებ ერებს თავს გადამხდარ საოცარ ამბებს უყვებოდა, ებრაელებმა და სპარსებმაც წარსული ერთმორწმუნეების ამბების თხრობა დაიწყეს. მათ შორის

1 ეჯუჯი და მეჯუჯი ყურანში მოხსენებული ორი ტომის სახელია. ურწმუნო და უწესრიგო ეს ორი ტომი გადმოცემის მიხედვით დედამიწაზე ქვეყნიერების აღსასრულის მოახლოებისას გავრცელდებიან.

იყვნენ ებრაელები, რომლებიც ამბობდნენ, რომ მათი გვარიდან ბოლო შუამავალი ქვეყანას მედინაში მოევლინებოდა. ისინი მექელ კერპთაყვანისმცემლებს ასეთ რჩევებს აძლევდნენ:

„იქ ერთი შუამავალი გამოჩნდა. თუ ის ნამდვილი შუამავალია, მას გამოქვაბულის ამხანაგების (ასჰაბი ქეჰფ), ზულყარნეინისა და სულის არსის შესახებ ჰკითხეთ. თუკი გამოქვაბულის ამხანაგებსა და ზულყარნეინზე—მთელ, ხოლო სულის არსის შესახებ ნაწილობრივ პასუხს გაგცემთ, იცოდეთ, რომ ის ნამდვილი შუამავალია. თქვენ მას დაემორჩილეთ! მაგრამ ამ სამ საკითხზე თუ ვერ გიპასუხებთ, ის მატყუარაა!“

მექელმა კერპთაყვანისმცემლებმაც წმინდა მუჰამმედ შუამავალს (ს.ა.ს) ჰკითხეს:

„გამოქვაბულის ამხანაგები და აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში ლაშქრობით წასული ზულყარნეინი ვინ არიან? სულის არსი რა არის?“ ამაზედ სურა „ქეჰფი“ მოევლინა:

„ისინი გეკითხებიან შენ ზულ-ყერნეინის შესახებ. უპასუხე: „მე მოგიყვები თქვენ ამბავს მის შესახებ.“

უეჭველად, ჩვენ განვამტკიცეთ იგი დედამიწაზე და ვუბოძეთ მას ყველაფერი საბაბად.“ *(სურა ქეჰფი, აითები 83, 84)*

ზულყარნეინის განმასხვავებელი თვისებები

1. უზენაესმა ალლაჰმა ზულყარნეინს ძალა უბოძა. მანაც აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ ილაშქრა და ზულყარნეინის კედელი (სედდი ზულყარნეინი) აღმართა.

2. ზულყარნეინი ბრძანებებს აძლევდა ღრუბლებსა და ბუნების სხვა ძალებს.

3. მას ცოდნა და ძალა ებოძა. ამგვარად, მატერიალურ და მორალურ სამფლობელოს მბრძანებლობდა.

4. მას საოცარი თვისებების მატარებელი ორი—თეთრი და შავი დროშა ეწყალობა. თუკი ზულყარნეინი დღისით სალაშქროდ მიდიოდა, უკან შავ დროშას გაშლიდა და უკან სიბნელე დაისადგურებდა. ამგვარად, ზურგიდან მოსული მტერი მათ ვერ პოულობდა, გზას კარგავდა, წყვდიადში რჩებოდა და მარცხდებოდა. ღამით კი წინ თეთრ დროშას გაშლიდა და მისთვის თუ

ჯარისკაცებისთვის დღის ნათელი დაისადგურებდა და ამ შემთხვევაშიც მტერზე იმარჯვებდნენ.

5. ზულყარნეინი, რომელსაც ალლაჰი და განკითხვის დღე სწამდა, თავისი ქვეშევრდომებისთვის სამართლიანი და მოწყალე მმართველი იყო. დაპყრობილ ქვეყნებში ადამიანებს არ ჩაგრავდა და უსამართლოდ არ ექცეოდა. მათ ეუბნებოდა: „თქვენ შორის მან, ვინც დამნაშავე არ არის, არ ინერვიულოს. ვინც კეთილის მოქმედია, ამის საფასურს მიიღებს!“ მან, გულისხმიერებისა და გაგების წყალობით, ადამიანების გულები დაიპყრო. უყვარდა ყველაფერი, რაც ადამიანებისთვის სასიკეთო იყო.

6. გულუხვი და შემწყნარებელი ადამიანი იყო. სხვა მმართველების მსგავსად, სიმდიდრეს დახარბებული არ იყო. უყვარდა მასპინძლობა და მიტევება.

7. დარბაისელი, ბრძენი, ლმობიერი და გულისხმიერი ადამიანი იყო, გაბრაზებას სძლევდა. მისი მთავარი მიზანი ადამიანების სამსახური და დაჩაგრულებისთვის სამართლის მოტანა იყო. ის სიმდიდრეს მმართველი ელიტის კეთილდღეობისთვის არ იყენებდა, ხალხზე ფიქრობდა.

ლაშქრობები მონოთეიზმის ქადაგებისთვის

ზულყარნეინმა ბრძოლებით თავისი ქვეყანა გააფართოვა, სახელმწიფო გააძლიერა. რწმენის, ალლაჰის ბრძანებებისა და აკრძალვების ქადაგება სხვა ქვეყნებში დაიწყო. მორწმუნეებისგან შემდგარი არმიით უპირველესად დასავლეთისკენ წავიდა. სადაც მივიდოდა, ყველგან ურწმუნოებს მონოთეიზმს უქადაგებდა. დასავლეთის ბოლო წერტილამდე წინ წაიწია. აქ ხმელეთი გათავდა, უკიდეგანო ზღვის სანაპიროს მიადგა. მზე თითქოს ტალახის ტბაში ჩაიძირაო. იმ მხარეში მცხოვრებ ურწმუნო ტომს შეხვდა. მათგან ერთმა ნაწილმა მისი ირწმუნა. მათ, რომლებმაც არ ირწმუნეს, შეებრძოლა. ისინი წყვდიადში დატოვა და დაამარცხა. შემდეგ ამ ტომის უკან დარჩენილებმა მოინანიეს და მონოთეისტური რწმენა ყველამ ერთად აღიარა. აიათში ეს მდგომარეობა ასეა გადმოცემული:

„უეჭველად, ჩვენ განვამტკიცეთ იგი დედამიწაზე და ვუბოძეთ მას ყველაფერი საბაბად. ამგვარად გზას გაუდგა იგი.

როცა მიაღწია იმ ადგილს, სადაც მზე ჩადის, შენიშნა, რომ ის ჩადის ამღვრეულ წყაროსთვალში. მის ახლოს ნახა ხალხი. ვუთხარით

ჩვენ: „ჰეი, ზულ-ყერნეინ! შენ მათ ან დასჯი, ან სიკეთეს უქმნი!“ *(სურა ქეჰფი, აიათები 84, 85, 86)*

ამგვარი უფლებამოსილებით აღჭურვილი ზულყარნეინი ღვთიური კრიტერიუმების მიხედვით მოქმედებდა:

„თქვა: ვინც უსამართლოდ იქცევა, დავსჯით, მერე დაბრუნებულ იქნება თავის უფალთან და იგი დასჯის მას საშინელი სასჯელით.

ხოლო ვინც ირწმუნა და სიკეთე ჰქმნა, მაშინ მისთვისაა საუკეთესო საზღაური და მას ჩვენს ბრძანებებში დავუდგენთ სიოლეს!“ *(სურა ქეჰფი, აიათები 87, 88)*

ზულყარნეინი ადამიანებს მუდამ რწმენას უქადაგებდა. ის, ვინც მას ემორჩილებოდა, ხსნას მოიპოვებდა, ხოლო ვინც არ ირწმუნებდა — სასჯელს.

ᘓ

ზულყარნეინმა დასავლეთის შემდეგ აღმოსავლეთი დალაშქრა. აიათში ნაბრძანებია:

„მერე გზას გაუდგა იგი.



როცა მიაღწია ორ მთას შორის, დაინახა ხალხი, რომელსაც თითქმის არ ესმოდა ნათქვამი.“ *(სურა ქეჰფი აიათები 92, 93)*

ზულყარნეინი, ერთი თქმულების მიხედვით, ატლანტის ოკეანემდე, სხვა თქმულების მიხედვით კი, შავ ზღვამდე მივიდა. იქ ზღვის ჰორიზონტში მზის ჩასვლას უყურა. მაგრამ უდიდეს სამყაროსთან შედარებით, ეს წყალი უჯრედისოდენად მოეჩვენა. მზე ბურუსში გახვეულ ზღვის ჰორიზონტში ისე ჩადიოდა, თითქოს თიხანარევ წყლის უჯრედში იმარხებოდა. ნაპირზე ურწმუნო ხალხს შეხვდა. უზენაესმა ალლაჰმა ზულყარნეინს თავისუფლება მიანიჭა. მას უნდოდა დასჯიდა ამ ხალხს, უნდოდა ჭეშმარიტების გზას დააყენებდა.

აიათში მოხსენიებული მხარის ადამიანები, როცა მათ მზის სხივები საშინლად აცხუნებდა, ზღვაში ან გამოქვაბულში შედიოდნენ. მზის საშინელი მცხუნვარება რომ გაივლიდა, მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გამოქვაბულიდან გარეთ გამოდიოდნენ, შემოსავლის მოსაპოვებლად მუშაობდნენ. ზულყარნეინმა მათაც ჭეშმარიტი რწმენა უქადაგა.

ზულყარნეინი შემდეგ ჩრდილოეთში წავიდა სალაშქროდ. იქ მის წიანაღმდეგ უცხო ენაზე მოსაუბრე ტომი გამოვიდა. მათ თარჯიმნის საშუალებით ესაუბრა. მისი ამ ლაშქრობის შესახებ, უზენაესი ალლაჰი ასე ბრძანებს:

„მერე გზას გაუდგა იგი.

როცა მიაღწია ორ მთას შორის, დაინახა ხალხი, რომელსაც თითქმის არ ესმოდა ნათქვამი.“ *(სურა ქეჰფი აიათები 92, 93)*

ეს ტომი ეჯუჯისა და მეჯუჯის ტომმა შეაწუხა, ამიტომ ზულყარნეინისგან დამცავი კედლის აშენება ისურვეს. ასე აშენდა ზულყარნეინის კედელი. ამ ტომმა ჭეშმარიტების გზა აირჩია და გამუსლიმანდა. აიათში ასეა ნაბრძანები:

„უთხრეს: „ჰეი, ზულ-ყერნეინ! იეჯუჯი და მეჯუჯი ავრცელებენ ქვეყანაზე სიავეს. იქნებ შეგვეგროვებინა შენთვის გადასახადი, რათა აღმართო ზღუდე ჩვენსა და მათ შორის?“

უთხრა: „რითაც ჩემმა ღმერთმა განმამტკიცა, უფრო უკეთესია ჩემთვის თქვენ მოცემულ გადასახადზე. მაშ, ძალით შემეწიეთ და აღვმართავ თქვენსა და მათ შორის ზღუდეს!

მომიტანეთ რკინის ნაჭრები. „როცა მიაღწევს ორ მთას შორის სიმაღლეს, საბერვლით შეუბერეთ, სანამ გადაიქცეოდეს ცეცხლად!“

მერე უთხრა: „მომიტანეთ გამდნარი სპილენძი ზემოდან უნდა გადავასხა.“

ამგვარად ისინი ვერ შეძლებენ, რომ გადალახონ იგი და ვერ შეძლებენ მის გახვრეტას.

თქვა: „ესაა წყალობა ჩემი ღმერთისგან! მაგრამ როცა აღსრულდება ჩემი ღმერთის აღთქმა, ამას მიწასთან გაასწორებს, რამეთუ ჩემი ღმერთის აღთქმა ჭეშმარიტებაა!“ *(სურა ქეჰფი, აიათები 94-98)*

ზულყარნეინის კედელი ჩინეთის კედლისგან განსხვავებული იყო. მისი ადგილმდებარეობის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. ნათქვამია, რომ ამ კედლის დანგრევა ქვეყნიერების აღსასრულის მოახლოებას მოასწავებს. ეს კედელი ქვეყნიერების აღსასრულის მოახლოებისას დაინგრევა და დედამიწაზე იეჯუჯისა და მეჯუჯის ტომი გავრცელდება, არეულობა ჩამოვარდება. ისინი ისე გამრავლდებიან, რომ ათ მათგანზე ერთი ადამიანი და ჯინი მოვა. ყურანში ასეა ნაბრძანები:

„ბოლოს და ბოლოს, როცა გათავისულდებიან იეჯუჯ-მეჯუჯი, ყოველი მთიდან თავს დაესხმიან!“ *(სურა ენბია, აიათი 96)*

იეჯუჯისა და მეჯუჯის ტომი

თქმულების მიხედვით, იეჯუჯი და მეჯუჯი ორი ბოროტი და ვერაგი ერია. მათ გაბრტყელებული სახეები, პატარა თვალები, დიდი ყურები და მოკლე კისრები აქვთ. რაოდენობით მრავალნი არიან. ისე მრავლდებიან როგორც ბუზები. ისინი დედამიწაზე მილიარდობით გამრავლდებიან. ისე, როგორც ადამისა და ევას შემთხვევაში, იეჯუჯისა და მეჯუჯის ტომშიც მოკლე დროში მრავალრიცხოვანი შთამომავლობა იქნება. ამგვარად, მოსახლეობა უცებ გაიზრდება.

მოვა დრო და ზულყარნეინის კედელი დაინგრევა, მიწასთან გასწორდება. ეს ტომიც დედამიწას მოედება. მხოლოდ მექაში, მედინასა და ყუდუსში ვერ შევლენ. ისინი ამ წმინდა ადგილების გარდა, ყველგან მოედებიან. სადაც მივლენ, ყველაფერს შეჭამენ, შესვამენ, მარაგს თითქმის ბოლომდე ამოწურავენ და მათ გარშემომყოფებში არეულობას შეიტანენ. კუტკალიებივით გახდებიან, გარშემომყოფებს ჭიაღუებივით ზიანს მიაყენებენ. საბოლოოდ, ალლაჰი მათ გაანადგურებს.

საოცარი და სამაგალითო ისტორიები

ერთ-ერთი ლაშქრობისას ზულყარნეინი უცნაურ ტომს შეხვდა. ამ ტომს ამქვეყნიურ მოსართავებზე ხელი აეღო და სიკვდილის შიშისგან გასანთავისუფლებლად, სულის გასაწმენდად მხოლოდ მცენარეულ საკვებს ჭამდა და ღმერთს ემსახურებოდა. ამ ადამიანებს არ ჰქონდათ ბევრი ისეთი რამ, რასაც ამქვეყნიური სიმდიდრე ეწოდება. მათ სარჩოს მათივე მოყვანილი მწვანილი და ხილი წარმოადგენდა. ამ საჭმლის დასაცავად გულმოდგინებას იჩენდნენ. ამავე დროს ამ ტომის თითოეული წევრი საკუთარ საფლავს თხრიდა, ყოველდღე ასუფთავებდა და ღვთისმსახურებას აქ ასრულებდა. ზულყარნეინმა მათი მმართველები მოიხმო.

მეფემ შეუთვალა:

„მე არავის ნახვა არ მინდა და ის, ვისაც ჩემი ნახვა უნდა, ჩემთან მოდის!“

ზულყარნეინი მეფესთან მივიდა და ჰკითხა:

„მე შენ დაგპატიჟე, რატომ არ მოხვედი?“

მეფემ უპასუხა:

„შენ გასაჭირი არა გაქვს, გქონოდა მოვიდოდი.“

ზულყარნეინმა მმართველს უთხრა;

„ეს თქვენი მდგომარეობა რა არის? ის, რაც აქ ვნახე, დღემდე არსად მინახავს!“

„დიახ, ჩვენ ოქროსა და ვერცხლს მნიშვნელობას არ ვანიჭებთ. რადგან ვნახეთ, რომ იმას, ვის ხელშიც ეს სიმდიდრე მცირე რაოდენობით მოხვდება, მეტი უნდა და მშვიდად ვეღარ რჩება. ამის გამო, ჩვენ ამქვეყნიური სიმდიდრე არ გვაინტერესებს!“

ზულყარნეინმა ჰკითხა:

„ეს საფლავები რა არის? მათ რატომ თხრით და ღვთისმსახურებებს იქ რატომ ასრულებთ?“

მმართველმა თქვა:

„ამას იმისთვის ვაკეთებთ, რომ ამქვეყნიურობამ არ მიგვიზიდოს, რადგან საფლავები გვახსენებს, რომ იქ უნდა წავიდეთ, ყველაფერი უნდა დავტოვოთ.“

ზულყარნეინმა ჰკითხა:

„ბოსტნეულის გარდა რატომ არაფერს ჭამთ? არ შეიძლება, რომ ცხოველები გაზარდოთ და მათი რძე, ან ხორცი გამოიყენოთ?“

მმართველმა უპასუხა:

„არ გვსურდა ჩვენი კუჭი ცხოველების საფლავებად ქცეულიყო. მცენარეებით ჩვენ სარჩოს უზრუნველვყოფთ. ყელს რომ გადასცდება, მაინც ვერაფრის გემოს ვეღარ იგრძნობ!“

ერთმა ზულყარნეინს უთხრა:

„მირჩიე, რწმენა როგორ გავიძლიერო და ჭეშმარიტება გულით როგორ შევიგრძნო, შორსმჭვრეტელი როგორ ვიყო?“

„განრისხების მომენტში არავის გაუბრაზდე, ვინაიდან, ეშმაკი ადამიანს ბოროტებისკენ ყველაზე მეტად გაბრაზების მომენტში აქეზებს! სულსწრაფი არ იყო, თუ იჩქარებ, იმასაც დაკარგავ, რაც ხელთ გაქვს! ყველას, შენი ახლობელი იქნება თუ შორებელი, რბილად მოექეცი! ფრთხილად, ჯიუტი, უარმყოფელი და უსამართლო ნუ იქნები!“

ᘓ

ზულყარნეინმა სიკვდილის წინ ასეთი ანდერძი დატოვა:

„დამბანეთ, სუდარაში გამახვიეთ, შემდეგ კუბოში ჩამდეთ. გარეთ მხოლოდ ჩამოშვებული მკლავები დამიტოვეთ. ჩემი განძეული ჯორებზე დატვირთეთ. ხალხმა დაინახოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამქვეყნად პომპეზურ სასულთნოს ვფლობდი, ამქვეყნიური სიმდიდრის პატრონი ვიყავი, იმქვეყნად ხელცარიელი წავედი. მოწმე გახდნენ იმისა, რომ ჩემი მსახურებიცა და სიმდიდრეც ამქვეყნად დარჩნენ და თან არ გამყოლიან. ხალხი ამ მატყუარა და წარმავალმა ქვეყანამ არ შეაცდინოს!“

მისი დანაბარები ზუსტად შეასრულეს. მეცნიერები ამ ანდერძს ასე განმარტავენ:

„ჩემ უკან მდგარი ლაშქრით აღმოსავლეთსა და დასავლეთზე გავბატონდი. ჩემ ხელქვეით უთვალავი ჯარისკაცი და მსახური იყო. ჩემს ბრძანებას ვერავინ გადაუხვევდა. ქვეყანა თავიდან ბოლომდე ჩემი მმართველობის ქვეშ იყო. უთვალავი განძი მქონდა, მაგრამ ამვეყნიური სიმდიდრე მუდმივი არ არის. როგორც, ხედავთ, საფლავში ხელცარიელი მივდივარ! აი, ამქვეყნიური ქონება ამქვეყნად დარჩა. თქვენ, იმქვეყნად რომ გამოგადგებათ, ის საქმეები გააკეთეთ!“

ალლაჰის შუამავალი ზულყარნეინის ანდერძის მინიშნებებს ასე განმარტავს:

„მკვდარს (საფლავამდე) სამი რამ მიჰყვება. ესენია: ოჯახი, ქონება და მისი ნამოქმედარი. ამათგან ორი უკან ბრუნდება, ერთი თან მიჰყვება. ოჯახი და ქონება ბრუნდება, ნამოქმედარი (მასთან) რჩება.“
(ბუჰარი, რიქაქი 42,; მუსლიმი, ზუჰდი 5)

ამქეყნიური და საიქიო ბედნიერების მსურველი მორწმუნეები ვალდებული არიან თავიანთი სული, ქონება ან ალლაჰის მიერ მათთვის ნაწყალობები ყველა სიკეთე, დიდი მიზნებისა და საიქიო ჯილდოს მოპოვებისთვის დახარჯონ. ადამიანისთვის, რომელიც სიკვდილსა და საიქიო ცხოვრებაზე ფიქრობს, ალლაჰის ნების დაკმაყოფილებაზე უფრო მნიშვნელოვანი მიზანი არ არსებობს.

ალლაჰის გზაზე ბრძოლა და სიკეთისკენ მოწოდება

ყურანში ნაბრძანებია; **„უთუოდ, გამოიცდებით თქვენსავე ქონებითა და საკუთარი თავით...“** *(სურა ალი მირანი, აიათი 186)*

აქედან გამომდინარე, წყალობის უმიზნოდ გამოყენება, ადამიანს სამწუხარო დასასრულისკენ უბიძგებს. აიათში ნაბრძანებია:

„იმ დღეს, როცა არც სიმდიდრე, არც ძენი არავის წაადგება, გარდა იმისა, ვინც წარსდგება ალლაჰის წინაშე უბიწო გულით!“ *(სურა შუარა, აიათები 88, 89)*

ადამიანისთვის ბოძებული სიკეთე დაუდევრად, უმეცრებით თუ იქნება გამოყენებული, პიროვნებებშიცა და საზოგადოებაშიც მღელვარება ან უსამართლობა დაისადგურებს. თუ ადამიანს სუფთა გული ექნება და იმის მიხედვით იმოქმედებს, ჩვეულებრივ თავს სამოთხეში იგრძნობს. ამგვარად, საზოგადოებაში სიმშვიდე და ბედნიერება გაბატონდება.

აბუ საიდ ელ ჰუდრი გადმოგვცემს:

„ერთ დღეს, ერთმა ბედუინმა ალლაჰის შუამავალს ჰკითხა:

„ალლაჰის შუამავალო! მადლიანი ადამიანი ვინ არის?“

ალლაჰის შუამავალმა უპასუხა:

„მადლიანია ისეთი მორწმუნე ადამიანი, რომელიც ალლაჰის გზაზე ქონებითა, და სულით იბრძვის!“ *(ბუჰარი, ჯიჰადი 2, რიქაქი 34)*

შუამავლის თანამიმდევართაგან მუსაბ იბნ უმეირის მდგომარეობა რა ლამაზია!

მაშინ, როცა მუსაბ იბნ უმეირი მექაში ბევრ მატერიალურ შესაძლებლობას ფლობდა, მან ისლამის გზა აირჩია და მუსლიმი გახდა. მას დედ-მამა მემკვიდრეობის წართმევით დაემუქრა. ამის მიუხედა-

ვად, მას ისლამის რწმენა არ უარყვია, ურწუნოებას სიღარიბე არჩია და მედინაში ღარიბი, თუმცა ჭეშმარიტ მორწმუნედ ჰიჯრით გადავიდა.

უჰუდის ომში, მტრის იერიშისგან ალლაჰის შუამავლის დაცვის დროს, შეჰიდად დაეცა. იმის გამო, რომ მორწმუნეებს ეხმარებოდა, ალლაჰმა ანგელოზი მოავლინა, რომელმაც მუსაბ იბნ უმეირის სახე მიიღო და ხელში დროშა აიღო. ალლაჰის შუამავალმა ჯერ არ იცოდა, რომ ის შეჰიდად დაეცა და მედროშეს მიმართა:

„წინ წადი, მუსაბ!“

ანგელოზმა ეს სიტყვები რომ გაიგონა, ალლაჰის შუამავლისკენ გაიხედა. ალლაჰის შუამავალი მაშინვე მიხვდა, რომ ის ანგელოზი იყო, მუსაბი კი შეჰიდად დაცემულიყო. შემდეგ მუსაბ იბნ უმეირის წმინდა სხეული იპოვეს, მაგრამ სუდარა ვერ იშოვეს, რომ გაეხვიათ.

მუსაბ იბნ უმეირი ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანია, რომლებიც ყურანში არიან შექებული:

„მორწმუნეებს შორის არიან კაცნი, რომელნიც ალლაჰთან დადებული აღთქმის ერთგულნი დარჩნენ. მათ შორის არიან ისეთებიც, ვინც უკვე მოიხადა თავისი მოვალეობა და ისინიც, ვინც ჯერ კიდევ მოელის, მაგრამ არაფრით არღვევენ!“ *(სურა აჰზაბი, აიათი 23)*

უზენაესი ალლაჰი ასევე ბრძანებს:

„უეჭველად, ალლაჰმა იყიდა მორწმუნეებისგან მათი სულნი და ქონება მათთვის სამოთხის სანაცვლოდ. ისინი იბრძვიან ალლაჰის გზაზე, ხოცავენ და იხოცებიან. ეს თევრათში, ინჯილში და ყურანში არსებული ჭეშმარიტი აღთქმაა. და ვინ ასრულებს აღთქმას ალლაჰზე უკეთ? მაშ, გიხაროდეთ თქვენი ვაჭრობა, რომელიც დადეთ მასთან. და სწორედ ეს არის უდიდესი წარმატება.“ *(სურა თევბე, აიათი 11)*

ამ აიათის მოვლინების მიზეზებს ყურანის კომენტატორები ასე განმარტავენ:

„აქაბეს მეორე შეთანხმებისას,“ რომელიც სამოცდაათ ადამიანთან შედგა, აბდულლაჰ იბნ რევაჰამ თქვა:

„ალლაჰის შუამავალო, ღმერთისა და შენთვის ჩვენ რა პირობას გვიყენებ?“

ალლაჰის შუამავალმა ბრძანა:

„ღმერთისთვის ის პირობაა, რომ მას ემსახუროთ და მოზიარედ არაფერი გაუხადოთ. ჩემთვის პირობა ისაა, რომ მეც ისევე დამიცვათ, როგორც თქვენს სულსა და ქონებას დაიცავთ!“

წმინდა მუჰამმედ შუამავალს (ს.ა.ს) თანამიმდევრებმა ჰკითხეს:

„თუ ასე მოვიქცევით, ჩვენთვის რას მივიღებთ?“

— „სამოთხეს!“

— „რა მომგებიანი ვაჭრობაა! აქედან არც გადავუხვევთ და არც გვინდა გადახვევა!“ (იბნ ქესირი, თეფსირი, II, 406)

აი, რა დიდებული მაგალითია ჩვენთვის ალლაჰის შუამავლის თანამიმდევრების ცხოვრება და ალლაჰის გზაზე მათი ბრძოლა! ისინი ალლაჰის შუამავლის გულის სიღრმისა და სიფაქიზის ამრეკლავი პიროვნებები იყვნენ. მათი სულიერება ალლაჰის შუამავლის ზნეობით იყო შემკული.

ეს საკითხი ყურადღებამისაქცევია. გამოსამშვიდობებელ ჰაჯობაში 120 ათასამდე თანამიმდევარი მონაწილეობდა. ცნობილია, რომ ამათგან მხოლოდ ოცი ათასია მექასა და მედინაში დაკრძალული. ეს ნიშნავს, რომ დანარჩენი ასი ათასი ისლამის გასავრცელებლად დედამიწის ოთხივე მხარეს გაიფანტა, სანამდე მიღწევა შეძლეს, ის ადგილები მათ საფლავებად იქცა.

ისინი რწმენის გზაზე ღირსებისთვის ქონების ხარჯვასა და სულის გაცემას არ გაქცევიან. როცა ალლაჰის შუამავალმა მათ მიზნისთვის რწმენის დახმარება სთხოვა, მთელი სიმდიდრე და შესაძლებლობები მის წინ დაფინეს. ქალები საყურეებს, სამაჯურებსა თუ ყელსაბამებს სიხარულით იხსნიდნენ და მოწყალებად გასცემდნენ. სუმეიე ჰათუნი პირველი ქალი იყო, ვინც ისლამისთვის მსხვერპლად სიცოცხლე გაიღო, შეჰიდად იქცა და თავგანწირულობის მწვერვალს მიაღწია.

წმინდა აიშეს და ესმა ჰათუნი ბრმა იყო, სიცოცხლის ბოლომდე ვერ ხედავდა. მისი შვილი ალლაჰის გზაზე, ომში მიდიოდა, ჯავშანი ეცვა. ესმამ შვილს სხეულზე ხელი გადაუსვა, შეამჩნია, რომ ჯავშანი ეცვა და უთხრა:

„შვილო, ისე, როგორც მშიშარამ, შენც ჯავშანი ჩაიცვი? გაიხადე!“

ჰანსა ჰათუნი არ დამწუხრებულა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ოთხი შვილი ქადისეის ომში შეჰიდად დაეცა, ღმერთს მადლობა

შესწირა იმისთვის, რომ მან წილად არგუნა ბედნიერება, ოთხი შეჰიდის დედა ყოფილიყო.

წმინდა ოსმანის ოჯახმა მთელი თავისი განძი ალლაჰის გზაზე მოწყალებად გაიღო.

ომარ იბნ აბდულაზიზმა, როგორც კი ხალიფა გახდა, მთელი თავისი სიმდიდრე ხაზინას შესწირა.

აი ესენი, რაც გააჩნიათ ყველაფრის ალლაჰის გზაზე მოწყალებად გამღებნი, სამაგალითო პიროვნებები არიან.

თებუქის ლაშქრობისას, რომელიც საკმაოდ გაჭირვების პერიოდში მოხდა, წმინდა შუამავალთან უამრავი სამკაული მიიტანეს. თორმეტი წლის გოგონამაც კი, ჯერ კიდევ პატარაობისას ყურიდან საყურე მოიხსნა და მიიტანა.

ᔓ

სურა თევბეს 103-ე აიათში ნაბრძანებია:

„აიღე მათი ქონებიდან მოწყალება, რომ მისით გაასუფთაო და განწმინდო ისინი. და შეევედრე მათთვის, უეჭველად, შენი ვედრება სიმშვიდეა მათთვის. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ბრძენია!

როგორც კი მოევლინა ბრძანება-„მათგან მოწყალება აიღე!“ ალლაჰის შუამავლის თანამიდევრებს შორის მობილიზაცია დაიწყო. ყველამ, ვისაც რა გააჩნდა, ალლაჰის შუამავალთან მიიტანა. ისინი, ვისაც არაფერი გააჩნდათ, ტყეში შეშას ჭრიდნენ, ყიდნენ და მონაგები ალლაჰის შუმავალთან მიჰქონდათ. მატერიალური და სულიერი ძალები ამქვეყნიური, წარმავალი სიტკბოებისთვის არ დაუხარჯავთ და ამგვარად საიქიო სიღატაკეს დააღწიეს თავი. ისინი ცხოვრობდნენ იმ გაგებით, რომ ადგილ-მამული თუ ქონება ღმერთის საკუთრება იყო და მათ მხოლოდ ამანათად ებარათ, განსაზღვრული დროის ვადით. მოკლედ, სიცოცხლეს საიქიოში მარადიული ცხოვრების მოსაპოვებლად ატარებდნენ.

თებუქის ლაშქრობაში წასვლისას ჯარისთვის დახმარება გროვდებოდა. ენსართაგან ერთ-ერთმა, აბუ აქიფმა ერთი საწყაო ხურმა მიიტანა, რომელიც მას ყველაზე მეტად სჭირდებოდა.

„ალლაჰის შუამავალო! ორი საწყაო ხურმა რომ მიმელო საფასურად, მთელი ღამე ზურგით წყალს ვეზიდებოდი. ერთი საწყაო სახლში საჭიროებებისთვის დავიტოვე, მეორე კი, ღმერთის კმაყოფილების მოსაპოვებლად, შენ მოგიტანე!“ წმინდა შუამავალმა ბრძანა:

„ალლაჰმა შენი შესაწირად მოტანილიც და სახლში დატოვებულიც ბარაქიანად აქციოს!“ უქბე იბნ ამრი ასე გადმოგვცემს:

„როგორც კი მოწყალების გაღებაზე აიათი მოევლინა, იმ მოგებიდან, რომელსაც ტვირთის ზურგით ზიდვით ვშოულობდით, მოწყალების გაღება დავიწყეთ. ერთი კაცი მოვიდა და მოწყალება უხვად გაიღო. ფარისევლებმა თქვეს: „საჩვენებლად აკეთებს!“ სხვა მოვიდა და ერთი საწყაო ხურმა მოწყალებად გაიღო, ფარისევლებმა კვლავ თქვეს: „ალლაჰს ერთი საწყაო ხურმის გაჭირვება არ აქვს!“ *(ბუჰარი, ზექათი, 10, მუსლიმი, ზექათი 72)* ამაზედ შემდეგი აიათი მოევლინა:

„რომელნიც ძრახავენ ნებაყოფლობით წყალობის გამღებ მორწმუნეებს და იმათ, რომელთაც არაფერი აბადიათ, გარდა თავიანთი გულმოდგინებისა და ამის გამო გასცინიან მათ, ალლაჰმა გასცინა მათ. და მათთვისაა მწარე სასჯელი!“ *(სურა თევბე, აიათი 79)*

იმას, ვინც სიცოცხლეს, ქონებასა და მისთვის ბოძებულ სიკეთეებს დაუდევრად, ვნებასაყოლილი დახარჯავს, უზენაესი ალლაჰი ასე განსჯის: შენთან ჩემი შუამავალი არ მოვიდა და ჭეშმარიტება არ გამცნო? შენ ქონება არ მოგეცი, სიკეთეები არ გიწყალობე? შენ დღეისთვის რა მოამზადე? ადამიანი მარჯვნივ გაიხედავს, მარცხნივ გაიხედავს, არავინ არ არის. წინ გაიხედავს, ჯოჯოხეთის მეტს ვერაფერს დაინახავს!

ის, ვინც განვლილ დღეებს არ დაიანგარიშებს, დაუდევრობაში გატარებული დღეების გამო, სატანჯველისგან ვერ გათავისუფლდება. მას, ვინც ამქვეყნად ალლაჰის კმაყოფილებას ვერ მოიპოვებს, სიკვდილის შემდეგ, საშინელი ცხოვრება ელოდება. ურწმუნოდ, დაუდევრად დახუჭულ თვალებს, საფლავის საშინელი და სატანჯველი ბნელი აუხელს.

დიადი ღმერთი ადამიანებს ასე აფრთხილებს:

وَلْتَكُنْ مِنْكُمْ أُمَّةٌ يَدْعُونَ إِلَى الْخَيْرِ وَيَأْمُرُونَ بِالْمَعْرُوفِ
وَيَنْهَوْنَ عَنِ الْمُنكَرِ وَأُوْلَئِكَ هُمُ الْمُفْلِحُونَ

„(ო, მორწმუნენო!) და იყოს ხალხი თქვენგან სიკეთისკენ მომწოდებელი, მბრძანები მოსაწონისა და უკეთურების აღმკვეთი, და სწორედ, ეგენი არიან ნეტარნი.“ *(სურა ალი-იმრანი, აიათი 104)*

აიათში ნათლადაა განმარტებული, რომ მუდამ საჭიროა იმ ადამიანების პოვნა, ვინც რწმენას ქადაგებს. რწმენა თავდაპირველად წმინდა შუამავლის თანამიმდევრებს შორის არსებული, რწმენის მქადაგებლების მიერ გავრცელდა. მათ შემდეგ, ეს საქმე მათმა მიმდევარებმა, ამ გზაზე შეუდრეკლად მდგომმა გულწრფელმა სწავლულებმა, ალლაჰის გზაზე გმირულად მებრძოლებმა განაგრძეს.

ამ საკითხის შესახებ წმინდა მუჰამმედ შუამავალი ასე გვაფრთხილებს:

„თქვენგან მან, ვინც ბოროტებას დაინახავს, ხელით გაასწოროს, ამის ძალა თუ არ ეყოფა, ენით გაასწოროს, ამის ძალაც თუ არ ეყოფა, გულით შეიძულოს! ეს რწმენის ყველაზე სუსტი მდგომარეობაა!“
(მუსლიმი, იმანი, 78)

ცც

ყველაზე სასიკეთო სარჩო—ღვთისმოშიშობაა. ალლაჰის მეგობრების ყველაზე სასიკეთო დღე არის ის, რომელიც წინანდელზე მაღლა დგას. ჩვენ ამ ქვეყანას ისე ვერ დავტოვებთ, როგორც წარსულმა თაობებმა დატოვეს. მოვკვდებით ისე, თითქოს დავიძინეთ, მკვდრეთით აღვდგებით ისე, თითქოს გავიღვიძეთ და ჩვენი ქმედებების გამო აუცილებლად განვისჯებით! ყველაფერი, რაც სამყაროში არსებობს, მისკენ მიედინება! დაბრუნებაც მხოლოდ მასთან მოხდება!

ალლაჰმა ჩვენი გულები მისი კმაყოფილებისა და ჭეშმარიტების შემეცნებისთვის გაამყაროს! ჩვენ ვნების სიავისგან დაგვიფაროს!

აამინ!

ცც

შესაფასებელი კითხვები

ა. გაეცით პასუხები ქვემოთ მოცემულ კითხვებს

1. რა არის იეჯუჯისა და მეჯუჯის ტომებისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები?
2. რა ურჩია ზულყარნეინმა ადამიანს, რომელსაც სურდა რწმენა და შორსმჭვრეტელობა ჰქონოდა?
3. ზულყარნეინმა ანდერძად დატოვა, რომ სიკვდილის შემდეგ მისი ხელები გარეთ დაეტოვებინათ, მსახურები და მისი ქონება კი საფლავამდე მიეყოლებინათ. რას ასწავლის ეს ადამიანებს?
4. თუ ჩვენი რელიგიისა და რწმენის გამო გადასახლება მოგვიხდება, რაზე უარის თქმაა ყველაზე რთული?
5. წმინდა შუამავლის რა გავლენაა იმაში, რომ მისი თანამიმდევრები მზად იყვნენ ყველაფერი მსხერპლად გაეღოთ მოწყალების გზაზე?
6. მისი რომელი ფიქრისა და გაგების მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ მიუხედავად იმისა, რომ საიქიოში არავითარი ამქვეყნიური სიკეთე არ მიჰქონდა, ადამიანებს ისინი შეაგროვებინა?
7. რა იყო იმის მიზეზი, რომ წმინდა მუჰამმედ შუამავალს (ს.ა.ს) ებრაელებმა ზულყარნეინისა და გამოქვაბულის ამხანაგთა (ასჰაბი ქეჰფ) შესახებ ჰკითხეს?
8. ახსენით საიდუმლო, რომელიც ზულყარნეინს მტრებზე გამარჯვებას მოაპოვებინებდა?
9. როგორ იქცევა სიკვდილსა და სიკვდილის მეორე მხარეზე მაფიქრალი ადამიანი?
10. წმინდა მუჰამმედ შუამავლის (ს.ა.ს) აღწერით, ვინ არის კეთილი ადამიანი?

ბ. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები

1. ზულყარეინი ---------- შვილის იაფეთის შთამომავალია.
2. უდიდესმა ღმერთმა ზულყარნეინს ძალა მისცა. მანაც აღმოსავლეთსა და დასავლეთში ილაშქრა და ---------- ააშენა.
3. ალლაჰის გზაზე ნამდვილი მებრძოლია, ის ვინც ---------- ბრძოლობს.
4 ზულყარნეინმა იმისათვის, რომ მონოთეიზმი ექადაგა, თავდაპირველად ---------- ლაშქრობა მოაწყო.

გ. შემოხაზეთ ქვემოთ მოცემული კითხვების სწორი პასუხები

1. მას შემდეგ, რაც მუსლიმი გახდა, მუსაბ იბნ უმეირმა ბევრი ის მატერიალური თუ არამატერიალური შესაძლებლობები, რომლებიც მექაში გააჩნდა, მიატოვა და მედინაში ჰიჯრით გადავიდა. მან უჰუდის ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა და თავგანწირვის მაგალითად იქცა. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელი არ არის მის მიერ ჩადენილი თავგანწირვა და შეუპოვრობა?

ა. მშობლების შეპირებულ დიდ მემკვიდრეობასა და უზრუნველყოფილ ცხოვრებას რწმენა არჩია და ალლაჰისთვის შეპირებულისთვის ზურგი არ შეუქცევია.

ბ. ყველა ნათესავისა და ახლობლის სიძულვილმა ის ალლაჰის გზას ვერ დააშორა.

გ. მუსაბ იბნ უმეირს, რომელიც ცხოვრების არცერთ ეტაპზე ამქვეყნიური ქონებისკენ არ გადახრილა, ზედმეტსახელად ეწოდა „ღარიბების მფარველი“.

დ. როცა უჰუდის ომში მტრის იერიშის მოგერიებისას სული განუტევა და შეჰიდად იქცა, ვაჟკაცობისა და გამბედაობისგან არაფერი დაუკარგავს.

2. წმინდა მუჰამმედ შუამავალი (ს.ა.ს) ბრძანებდა: „მორწმუნემ ალლაჰის გზაზე ქონებითა და სულით უნდა იბრძოლოს!“ სხვაგვარად, „ალლაჰის გზაზე ნამდვილი მებრძოლი—სულით იბრძვის“. ამ ორ ჰადისს თუ შევადარებთ, ქვემოთ მოცემულთაგან, რომელ დასკვნას გამოვიტანთ?

ა. ისლამურ ცნობიერებაში ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული სამყაროს, რომლებიც ერთმანეთთან არ არის დაკავშირებული, ცნება არსებობს.

ბ. ვნებასთან ადამიანის ბრძოლა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მტერთან ბრძოლა.

გ. როცა ადამიანი ალლაჰის გზაზე იბრძვის, უნდა გაითვალისწინოს, რომ შესაძლოა ქონება და სული დაკარგოს. ამავე დროს, საჭიროა ვნებასთან ბრძოლაც.

დ. ადამიანი, რომელიც ქონებითა და სულით იბრძვის, ალლაჰის გზაზე ზოგიერთ ამქვეყნიურ სიკეთეს კარგავს, ხოლო ვნებასთან მებრძოლს ასეთი დანაკარგი არ აქვს.

3. წმინდა მუჰამმედ შუამავლის (ს.ა.ს) მიერ ახლად გამუსლიმებულებთან დადებული „აქაბეს მეორე შეთანხმების“ ერთერთი პირობა იყო, ალლაჰის შუამავალი დაეცვათ ისე, როგორც საკუთარ სულსა და ქონებას დაიცავდნენ. ამ პირობის მეშვეობით წმინდა შუამავალს აქაბეს მეორე შეთანხმებაში მონაწილე სამოცდაათ მუსლიმში, რომელი თავისებურებების დანახვა სურდა?

ა. იყვნენ თუ არა დახარბებული ქონებასა და ადგილ-მამულს.

ბ. შეეძლოთ თუ არ ალლაჰის შუამავლის დასაცავად სულისა და ქონების მსხვერპლად გაღება.

გ. მართლა სწამდათ თუ არა ალლაჰის არსებობა და მისი შუამავლობა.

დ. იყვნენ თუ არა, აქაბეს პირველი შეთანხმებისას, მიცემული სიტყვის ერთგულნი.

4. ერთ-ერთი ლაშქრობისას ზულყარნეინი უჩვეულო თვისებების მატარებელ ტომს გადააწყდა. ისინი ღვთისმსახურებას თავიანთთვის გათხრილ საფლავებში ასრულებდნენ. ამავე დროს ხორცს არ ჭამდნენ, მხოლოდ მცენარეული საკვებით იკვებებოდნენ, ამქვეყნიურ ქონებასაც ფასს არ ანიჭებდნენ. ამის მიხედვით, ქვემოთ მოცემულ ალტერნატივათაგან რომელია სწორი?

ა. უჩვეულო, საფლავში შესრულებული ღვთისმსახურების მიზეზი, სიკვდილის შიშით იყო გამოწვეული.

ბ. არ იცოდნენ, ხორცის ჭამა თუ შეიძლებოდა, ამიტომ ბოსტნეულითა და ხილით იკვებებოდნენ.

გ. რადგანაც არ იყენებდნენ ოქროსა და ვერცხლს, ფიქრობდნენ, რომ ამქვეყნიურ ქონებას ფასი არ ჰქონდა.

დ. იმისათვის, რომ ამქვეყნიურ ქონებისთვის ფასი არ მიენიჭებინათ და სიკვდილი მუდამ გახსენებოდათ, საფლავებს თხრიდნენ და თაყვანისცემას იქ ასრულებდნენ.


სწორი პასუხები

ბ. გამოტოვებულ ადგილებზე ჩასასმელი სწორი პასუხები

1. ნუჰ
2. ალექსანდრე მაკედონელი
3. ზულყარნეინის კედელი
4. ვნებით
5. დასავლეთით

გ. ტესტების სწორი პასუხები

1- გ 2- ბ 3- ბ 4- დ


წმინდა
იასუაბი
წმინდა
იესუაზი

სინანულითა და სიყვარულით მოთმინების
ნიმუშად ქცეული
წმინდა იაყუბი

მონობისა და პატიმრობის ტანჯვაგამოვლილი
და საბოლოოდ ეგვიპტეში ადამიათა
გულთამპყრობელად ქცეული
წმინდა იუსუფი

ისჰაყის შვილი იაყუბი პალესტინაში (ქენანის) მხარეში მცხოვრებ ადამიანებისთვის მოვლენილი შუამავალია.

გადმოცემის მიხედვით, ის დაიბადა მედიენის ან დამასკოს მხარეში. იაყუბი ლიასის ტყუპისცალი იყო და რადგანაც პირველი ლიასი დაიბადა, შემდეგ კი-თვითონ, სახელად იაყუბი უწოდეს ნიშნავს.

„იაყუბს“ კიდევ ერთი ლექსიკური მნიშვნელობა აქვს და ალლაჰის სუფთა მონა-მსახურს ნიშნავს. იაყუბის ზედმეტსახელი კი ისრაილია, რაც ალლაჰის მონა-მორჩილს ნიშნავს.

მისი შთამომავლებისგან ბევრი შუამავალი მოევლინა ამქვეყანას. ესენი არიან: წმინდა მუსა, წმინდა ჰარუნი, წმინდა დაუდი, წმინდა სულეიმანი, წმინდა ზექერია, წმინდა იაჰია და წმინდა ისა.

იაყუბის ტყუპისცალი ლიასი კარგი მონადირე იყო. ერთ დღეს, როცა ის სანადიროდ წავიდა, იაყუბმა დედას თავისი ცხვრებიდან ერთი დააკვლევინა და შეაწვევინა. მომზადებული საჭმელი წმინდა ისჰაყს წინ დაუდო და უთხრა:

„აი ამით, შვილი გიმასპინძლდება!“

ამაზე წმინდა ისჰაყი ღმერთს შეევედრა, იაყუბის შთამოამვლებისგან შუამავლები და მეფეები მოვლინებოდნენ ამქვეყანას.

იაყუბი რომ წავიდა, ლიასი ნადირობიდან დაბრუნდა და მამას უთხრა:

ბაჰრეინის ყურე
ტიგროსი
ბაბილონი
ერიდუ
ურუქი
ლარსა
ბეირუთი
სიდონი
ტვიროსი
ისრაელის ქვეყნები
წითელი ზღვა
მედიანი
ეილე

„მამა, შენ რომ გინდოდა, ის ნანადირევი მოგიტანე!“

ისჰაყი ამ საჩუქრის სანაცლოდ, მისთვისაც შეევედრა ღმერთს:

„მისი შთამომავლობა, მიწის მსგავსად, მრავალი და ნაყოფიერი იყოს!“

დიადმა ღმერთმაც ლიასს მრავალი და ნაყოფიერი შთამომავლობა უწყალობა.

დიადი ღმერთი აუცილებლად აკმაყოფილებდა ყველა შუამავლის ერთ ვედრებას. მაშინ, როცა ყველა შუამავალმა ეს ვედრება ამქვეყნად ყოფნისას წარმოთქვა, წმინდა მუჰამმედ შუამავალამა თავისი ვედრება განკითხვის დღისთვის შემოინახა. იმ დღეს ყველა მხოლოდ თავისი თავისთვის დაუწყებს ღმერთს ვედრებას იმ დღის საშინელებისა და მოსალოდნელი განსასჯელის შიშით განმსჭვალული. შუამავალი მუჰამმედი ﷺ ღმერთს ყველა მორწმუნის შეწყალებას შეევედრება და მისი ვედრება დაკმაყოფილებული იქნება.

ლიასის ძმა იაყუბზე ეჭვიანობდა. დედამ, ორ ძმას შორის უთანხმოება რომ არ ყოფილიყო, ზომები მიიღო და იაყუბი ბიძასთან (დედის ძმასთან) გაგზავნა. ბიძას ორი ქალიშვილი ჰყავდა. დიდს ერქვა ლაია, პატარას-რაჰილი.

იაყუბი ბიძას შვიდ წელიწადს ემსახურა და ამის შედეგად შეძლო მის უფროს ქალიშვილზე ლაიაზე დაქორწინებულიყო. ამის შემდეგ შვიდი წელი კიდევ ემსახურა და უმცროს ქალიშვილ რაჰილეზეც დაქორწინდა.

როცა ბიძამ ქალიშვილები იაყუბს მიათხოვა, მათ მოსამსახურეებად ორი მხევალი ზულფე და ბელჰა მისცა. თუმცა ორივე მსახური იაყუბს აჩუქა. წმინდა იაყუბს ლაიასგან—ექვსი, ზემოთ მოხსენიებული მხევლებისგან—ოთხი, რაჰილისგან ორი შვილი შეეძინა. რაჰილს შვილი დიდი ხნის განმავლობაში არ ჰყავდა. რაჰილი ღმერთს შეევედრა და შვილი — იუსუფი გაუჩნდა. მის მიყოლებით მეორე შვილიც შეეძინა—ბუნიამინი. მისი დაბადებიდან მეორმეცე დღეს რაჰილი გარდაიცვალა.

იაყუბს იუსუფის დაბადების წელს შუამავლობის მისია დაეკისრა. მას შემდეგ, რაც ადამიანებს მონოთეიზმი უქადაგა, მისი პალესტინაში ბევრმა ადამიანმა ირწმუნა.

ეს ცნობები ყურანის სხვადასხვა აიათებში ასეა მოცემული:

„ჩვენ მას (იბრაჰიმს) ვუბოძეთ ისჰაყი და იაღყუბი და ჩვენ დავადგინეთ ორთავე შუამავლებად.

და ვაჩუქეთ მათ ჩვენი წყალობისგან და ჩვენ დავადგინეთ მათთვის უზენაესი ენა, როგორც ჭეშმარიტების ენად!“ *(სურა მარიამი, აიათები 49, 50)*

„და გაიხსენე ჩვენი მსახური იბრაჰიმი, ისჰაყი და იაღყუბი ძლიერნი და გამჭრიახნი.

უეჭველად, ჩვენ დავადგინეთ ისინი წრფელნი, განსაკუთრებით საიქიოს ხსოვნით.

და უეჭველად, ჩვენს წინაშე ისინი იყვნენ გამორჩეულნი კეთილისმქმნელთაგან.“ *(სურა სადი, აიათები 45-47)*

იუსუფი ძმებისგან ყოველმხრივ განსხვავდებოდა. პატარაობიდანვე მამის დიდი სიყვარული დაიმსახურა. იაყუბმა იუსუფში თავისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები დაინახა. ამ მიზეზით ის მისკენ სხვა შვილებზე მეტად იყო გადახრილი. ის ძალიან უყვარდა, ყველა შვილებზე მეტად უფრთხილდებოდა და გვერდიდან არ იშორებდა.

იუსუფის ამბავი

იუსუფის ამბავი ყურანში ნოველებიდან ყველაზე კარგადაა გამოხატული, სურა „იუსუფი“ ეწოდა.

უბეი იბნ ქაბეს გადმოცემის მიხედვით, ალლაჰის შუამავალი ასე ბრძანებდა:

„თქვენს მონებს სურა „იუსუფი“ ასწავლეთ, ვინაიდან ყველა მუსლიმს, ვინც მას დაწერს და შინაურებსა თუ თავის მონებს ასწავლის, უდიდესი ალლაჰი სიკვდილის წამის დარდს გაუადვილებს! არცერთი მუსლიმისადმი შურის შესაძლებლობაც აღარ მიეცემა.“ (ზემაჰშერი, ქეშშაფი, III, 98)

იუსუფს თავს გადახდა ისეთი უბედურებები, როგორებიცაა ძმების შურიანობის გამო ჭაში ჩაგდება და დილეგში გამომწყვდევა. იუსუფს, რომელსაც ამ უბედურებების წინაშე ღვთისმოსაობა არ დაუკარგავს, შემდგომში ალლაჰმა მას ძალა, დიდება და სასულთნო უწყალობა.

იუსუფი, რომელსაც ბევრი ტანჯვა–წვალება ჰქონდა გადატანილი, სულთნობის პერიოდში სუსტებს, გაჭირვებულებს, ღარიბებსა და უპოვართ უფრო გულისხმიერად ეპყრობოდა.

უნდა ვიცოდეთ, რომ ვინც სურა „იუსუფს“ წაიკითხავს, მასში არსებულ უმაღლეს და ღრმა აზრებზე დაფიქრდება, ის სიხარული მოევლინება, რაც იუსუფს მოევლინა.

სურა „იუსუფი“ უთვალავი საოცრებითა და გაკვეთილებითაა აღსავსე. სურაში მოთხრობილია ისეთი საკითხები, როგორებიცაა შუამავლობის მისია, მონობა, ციხე, სიზმრის ახსნა, მოთმინება, განშორება, სიყვარული, უბედურების მომენტში ლამაზად მოქცევა, მტრის ჩაგვრის ატანა, დასჯის ძალის ქონისას მიტევება, ქალების ხრიკებისა და ინტრიგების დაძლევა.

ამ სურაში ასევე საუბარია შუამავლობის მემკვიდრეობაზე, სულისა და გულის, სულიერ სიძლიერეზე. ამ სურაში, იუსუფის საპირისპიროდ, ზულეიჰა ვნების მორჩილს წარმოადგენს. მხოლოდ შემდეგში სულს აღზრდის და ამგვარად ალლაჰის კმაყოფილებას მოიპოვებს. შედეგად კი, მისი და იუსუფის სული ერთ მთლიანობად იქცევა და მის თავსდამტყდარ უბედურებებსა თუ დარდს სულიერად გაინაწილებს, სრულყოფილებას მიაღწევს.

ამ სურას მოვლინების მიზეზი კი შემდეგია:

ებრაელი სწავლულები კერპთაყვანისმცემლების ბელადებთან მიდიოდნენ და ასე ეუბნებოდნენ:

მუჰამმედს ჰკითხეთ, ვნახოთ!

კერპთაყვანისმცემელთა ბელადებიც წმინდა მუჰამმედ შუამავალთან მივიდნენ და ესენი ჰკითხეს. ამასთან დაკავშირებით, სურა „იუსუფი“ მოევლინა.

ამ სურის მოვლინების პერიოდში, ალლაჰის შუამავალსა და მორწმუნეებს ერთმანეთის მიყოლებით უბედურებები დაატყდათ თავს. წმინდა შუამავალმა ძვირფასი ხატიჯე და ბიძია აბუ ტალიბი დაკარგა. მორწმუნეებზე ზეწოლა უფრო გაძლიერდა. ეს სურა მოევლინა იმ წელს, რომელიც ისლამის ისტორიაში მწუხარების წლადაა ცნობილი. ალლაჰის შუამავალმა და მისი თანამიმდევრებმა გამორჩეული ფორმით ჰპოვეს ნუგეში. ამავე დროს ამ სურაში წმინდა შუამავლის გზაზე დამდგარ მორწმუნეებს ახარეს, რომ გამარჯვება ახლოს იყო.

„ელიფ. ლამ. რა. აი ეს ცხადი წიგნის აიათებია.

უეჭველად, ჩვენ გარდმოვავლინეთ იგი არაბულად, ეგების მოგეხმოთ გონებისთვის!

ჩვენ გიყვებით შენ საუკეთესო ამბებს, რაც ამ ყურანით შთაგაგონეთ, თუმცაღა აქამდე, დიახაც, რომ უმეცართა შორის იყავი.“ *(სურა იუსუფი, აიათები 1-3)*

იუსუფი ძმებს შორის ყველაზე ლამაზი იყო. ნესების მხარეშიც ასევე ყველაზე ლამაზი იყო. მას ხვდა პატივი სამი შუამავლის შთამომავალი ყოფილიყო. აგრეთვე ერგო პატივი ყოფილიყო შუამავალი, ლამაზი გარეგნობის, ქვეყნის მმართველი და ჰქონოდა ისეთი მაღალი თვისებები, როგორიცაა სიძნელის ჟამს მოთმინება და ლამაზად მოქცევა. ეს ალლაჰის რა ლამაზი და უმაღლესი წყალობებია. მისი ვედრებებიც, ასევე, ვედრებათაგან ულამაზესი იყო.

„ცათა და დედამიწის გამჩენო, შენ ხარ ჩემი მფარველი წუთისოფელში და საიქიოში. მიმიბარე შენ მუსლიმად და დამამკვიდრე კეთილისმქმნელთა შორის!“ *(სურა იუსუფი, აიათი 101)*

ეს სურა პირველია, რომელიც ალლაჰის შუამავალს გარდმოევლინა, როგორც ისტორიული ცნობები.

ამავე დროს, ამ სურაში იუსუფის გული, იაყუბის სული, რაჰილის ცხედარი, იუსუფის თორმეტი ძმა—ვნების გრძნობებს წარმოადგენს. ყურანში ამგვარი უამრავი უბადლო მნიშვნელობებია. ამათ მისახვედრად საჭიროა ჭეშმარიტების დამნახავი თვალი და წვრილმანების შესამჩნევი შორსმჭვრეტელობა.

წმინდა იუსუფის სიზმარი

„აკი, უთხრა იუსუფმა თავის მამას: ჰეი, მამიკო! უეჭველად, მე დავინახე თერთმეტი ვარსკვლავი, მზე და მთვარე. დავინახე ისინი ჩემთვის ასრულებდნენ სეჯდეს.“ *(სურა იუსუფი, აიათი 4)*

ის, რომ იუსუფს ძმები ვარსკვლავების სახით ესიზმრა, გამოხატავს, რომ ძმები ცხოვრების დინებისას ერთმანეთს მხარს აძლევდნენ და მისთვის მიმართულების მიცემისას ერთმანეთზე ზეგავლენას ახდენდნენ. მზისა და მთვარის ვარსკვლავების შემდეგ მოხსენიება კი იმის მინიშნებაა, რომ იუსუფი მამას ძმების შემდეგ იპოვიდა.

ერთი ებრაელი ალლაჰის შუამავალთან მივიდა და ასე უთხრა:

„მუჰამმედ, რომლებია ის ვარსკვლევები, იუსუფს რომ დაესიზმრა? “

ალლაჰის შუამავალი ერთხანს გაჩუმდა. ამ დროს ჯებრაილი მოვიდა და ვარსკვლავების სახელები ამცნო. წმინდა მუჰამმედ შუამავალი ებრაელს მიუბრუნდა და უთხრა:

„შენ რომ გამცნო ისინი, ისლამს მიიღებ?“

ებრაელმა უთხრა:

„დიახ!“

ამის შემდეგ ალლაჰის შუამავალმა განაგრძო:

„ესენია: ჯერეიანი, თარიქი, ზეიალი, ქაბისი, ამუდანი, ფელიქი, მისბაჰი, დარუჰი, ფერა, ვესაბი, ზალქეფითეინ. იუსუფს ესიზმრა, რომ ეს ვარსკვლავები, მზე და მთვარე ციდან ჩამოვიდნენ და მას სეჯდე შეუსრულეს.

ებრაელმა თქვა:

„ღმერთმანი, შენი ჩამოთვლილი სახელები ნამდვილია!“

სიზმრები სამ ნაწილად იყოფა

პირველი—ადამიანის ოცნებების შედეგია, ყოველდღიურ ცხოვრებაში დაკავებული საქმიანობისა და შემოქმედების ნახვა, ან შეყვარებულის მიერ საყვარლის დასიზმრება, ამ ტიპისაა.

მეორე არის სიზმრები, რომელიც ეშმაკის მიერ დაეჭვებულ სულს დარდში აგდებს და არეულ-დარეული სიზმრებია. ალლაჰის შუამავალი ასე ბრძანებს:

„კარგი სიზმარი-ალლაჰისგანაა. დარდიანი სიზმარი-ეშმაკისგან. ასე რომ თქვენგან ვინმე ცუდ სიზმარს თუ ნახავს, მისგან ალლაჰს ვეფარებიო სამჯერ-თქვას. თუ ასე მოიქცევა, ეშმაკი მას ზიანს ვერ მიაყენებს.“ (ბუჰარი, თიბბი, 39)

მესამე-როგორც წმინდა შუამავალი ბრძანებს:

„ღვთისმოსავი სიზმარი ღვთისმოსავ ადმიანს ესიზმრება ან სიზმარი მას აჩვენებს.“(ბუჰარი, თაბირი, 5)

„უთხრა: „შვილო ჩემო! არ მოუყვე ეს შენი სიზმარი შენს ძმებს, თორემ მახეს დაგიგებენ. უეჭველად, ეშმაკი ადამიანთა აშკარა მტერია.

აი ასე რჩეულად გყოფს შენი ღმერთი და შენ გასწავლის სიზმრების ახსნას. მისი წყალობა აღსრულდება შენზე და იაღყუბის ოჯახზე, როგორც უწინ აღსრულდა იგი შენს წინაპრებზე: იბრაჰიმზე და ისჰაყზე. უეჭველად, შენი ღმერთი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!

ვფიცავ, იუსუფისა და მისი ძმების ამბავში სასწაულნია მათთვის, ვინც მას ეძიებს!“ *(სურა იუსუფი, აიათები 5-7)*

გულის მომკვლელი ცეცხლი: ეჭვიანობა

იაყუბის შვილებიდან იეჰუდა, რობილი და შემუნი, ვერაფრით მიხვდნენ, მამას იუსუფი რატომ უყვარდა და მასზე ეჭვიანობა დაიწყეს:

„აკი, უთხრეს: „დიახაც, რომ იუსუფი და მისი ძმა უფრო საყვარელნი არიან ჩვენი მამისთვის, ვიდრე ჩვენ. და ჩვენ ერთი ჯგუფი ვართ. უეჭველად, მამაჩვენი ცხად გზააბნევაშია.

მოჰკალით იუსუფი ან გაასახლეთ სადმე სხვა მიწაზე, რათა სახე მამათქვენის ისევ თქვენ მოგეპყრათ. და იქმენით ამის შემდგომ მშვიდობისმთესველი ხალხი.“ *(სურა იუსუფი, აიათები 8, 9)*

იუსუფის სიზმრის შემდეგ იაყუბი მიხვდა, რომ მის შემდეგ შუამავლობას იუსუფი გააგრძელებდა და მისდამი სიყვარული გაუძლიერდა. ეს მდგომარეობა ძმებმა რომ შეამჩნიეს, შური დღითი დღე უფრო გაუძლიერდათ, ისე რომ ამ შურმა ისინი იუსუფისთვის მახის დაგებამდე მიიყვანა.

იაყუბის იუსუფისადმი გადამეტებული სიყვარული პროპორციულად მისი გამოცდებისა და უბედურებების გაზრდის მიზეზი გახდა.

უდიდესი ღმერთის თვისებათაგან ერთი—მუდმივი მეთვალყურეობაა. ესე იგი, უდიდესმა ღმერთმა, რომელმაც დაინახა რომ იაყუბის გულში სხვა არსების სიყვარული გამეფდა და რომ ეს სიყვარული ზღვარს სცილდებოდა, მის შესაკავებლად და ზომიერებაში დასაბრუნებლად, ის აშკარა უბედურებას გადაჰყარა. ამგვარად, იაყუბის სიყვარული ღმერთისკენ მიმართა და ამგვარად მას წყალობა მოუვლინა.

მართლაც და, იაყუბმა იუსუფის შუბლზე შუამავლობის ნათელი დაინახა, ამის გამო მას უფრო დიდი მნიშვნელობა მიანიჭა. მამის ამ სიყვარულმა და მისკენ გადახრამ სხვა ძმებს მის მიმართ შურის გრძნობა გაუჩინა. დადგა დღე გულში დაბუდებულმა ამ შურმა გადმოხეთქა და ძმებმა იუსუფისგან გასათავისუფლებლად ბოროტი გეგმა შეიმუშავეს.

აიათისგან ასაღები ყველაზე მნიშვნელოვანი გაკვეთილი ისაა, რომ იმისთვის, რათა სიყვარული ეჭვინობის საბაბად არ იქცეს, ის გულში ღრმად, მალულად უნდა დარჩეს.

იაყუბის ისუფისადმი გადამეტებული სიყვარული ღმერთისთვის მიუღებელი იყო. მისი სურვილია ადამიანები ასეთი მდგომარეობების-

გან შორს იდგნენ, უდიდესმა ალლაჰმა ამის გამო მისი გამოცდა მოინდომა. ამ მიზეზით იუსუფი მამას დააშორა, რადგან მამისთვის შვილთა გამოცდა ძალიან დიდი გამოცდაა. მაშინ როცა ნუჰმა ურწმუნოების განადგურება ისურვა, ისინი დასწყევლა, როცა შვილი დაინახა წყალში, ვერ მოითმინა და თქვა:

„ღმერთო ჩემო, ჩემი შვილი ჩემი ოჯახის წევრია!“

ᔓ

გული, რომელიც ყველა პოზიტიური თუ ნეგატიური გრძნობების ადგილია, ალლაჰის გზაზე ვიღაცისადმი განსაკუთრებული სიყვარულით თუ აღივსება და ღმერთის ხსენებით არ განიწმინდება, შავდება, ბოროტების სურვილი უჩნდება. როგორც აიათშია ნაბრძანები:

„დიახ, მხოლოდ ალლაჰის ხსენებით ჰპოვებს გულნი სიმშვიდეს!“
(სურა რადი, აიათი 28)

ღმერთის ხსენება ალლაჰის შემეცნებით გულს აღვიძებს. გული დაუმორჩილებლობისგან მხოლოდ ამ გზით თავისუფლდება, რადგან გული ღმერთის სახლია და მისდამი სიყვარულის გამოვლინების ადგილია. თუ გულში ღმერთის ხსენება არ არის, ის შავდება და კვდება, ვნებების ტყვე ხდება.

შურის გრძნობა გაკიცხულია, რადგან ის ალლაჰის ბრძანებებთან წინააღმდეგობაში მოდის.

მუჰამმედ შუამავალი ﷺ ბრძანებს:

„შური სიკეთეს ისე ჭამს და ამთავრებს, როგორც ცეცხლი წვავს შეშას.“ (აბუ დაუდი, ედები 44, იბნ მაჯე, ზუჰდი 22)

შურის გრძნობა ყველაზე მეტად აზარალებს მას, ვისაც ის გააჩნია. ეს სხვისკენ ნასროლი, მაგრამ ბუმერანგის პრინციპით უკან დაბრუნებელი თვალში მომხვედრი და დამაბრმავებელია. მას გაბრაზების მეტი არავითარი სარგებელი არ მოაქვს. საბოლოოდ ადამიანს არცხვენს და სახელგატეხილს ტოვებს. სწორედ ამიტომ, ძმების მიერ იუსუფისთვის შურის გამო გაკეთებული ბოროტება, საბოლოოდ თავად მათ დაუბრუნდათ.

მუხანათური გეგმა

ძმებმა იუსუფის წინააღმდეგ აშკარა შეთქმულება მოაწყეს:

„მაშინ მათგან ერთ-ერთმა თქვა: „არ მოკლათ იუსუფი. თუკი ხართ რაიმეს გამკეთებლები, ჩააგდეთ იგი ჭის ფსკერში, რომ რომელიმე ქარავანმა გადააწყდეს და აიყვანოს.“ *(სურა იუსუფი, აიათი 10)*

იაჰუდამ ძმები ამ წინადადებაზე დაითანხმა. იუსუფის ძმების მდგომარეობა როგორი ჭკუის სასწავლებელია, რომ მათ შორის ყველაზე გულისხმიერმაც კი, შურის მიზეზით, იუსუფის ორმოში ჩაგდება ურჩია დანარჩენებს.

ესეც აჩვენებს, რომ ადამიანებში შურის მიზეზით მეგობრის ტყავში გახვეული ბევრი მტერია. საჭიროა მათ ვუფრთხილდეთ შესაძლებლობების ფარგლებში.

ნამდვილად გულმართალი ადამიანი არის მხოლოდ ის, ვისაც ცოცხალი გული აქვს. ამის საპირისპიროდ, ღმერთის ხსენებისას შორს მდგომი გული ვნების გავლენის ქვეშ ექცევა, შურისა და ვნების ცეცხლით იწვის, უხეშდება, ის ადამიანი მოჰყავს იმ მდგომარეობაში, რომ მისი სხეულის ნაწილებს ღვთისმსახურების შესრულების თავი აღარ აქვს. ამ მდგომარეობაში ჩავადნილი გულები, ხმელ ხესავით, ცეცხლში დაწვის გარდა, არაფერში გამოდგებიან. ამ მდგომარეობაში ჩავარდნისგან ღმერთს ვეფარებით.

უდიდესი ღმერთი ბრძანებს:

„ვაი მათ, ვისი გულიც გაქვავებულია ალლაჰის ხსენებისგან. სწორედ ისინი არიან, ცხად გზააბნევაში.“ *(სურა ზუმერი, აიათი 22)*

ᔓ

საბოლოოდ იუსუფის ძმებმა გეგმა შეიმუშავეს და მამასთან მივიდნენ:

„უთხრეს: „მამაჩვენო! რატომ არ გვანდობ იუსუფს? უეჭველად, ჩვენ მისთვის კეთილმოსურნენი ვართ.

გამოგზავნე იგი ჩვენს ერთად ხვალ. დაე, დატკბეს და მოილხინოს, უეჭველად, ჩვენ დავიცავთ მას!“ *(სურა იუსუფი, აიათები 11, 12)*

უბედურება წარმოთქმულ სიტყვასთანაა კავშირში

„უთხრა: უეჭველად, თქვენს ერთად მისი წამოსვლა აღმაშფოთებს მე. რამეთუ მეშინია, რომ უყურადღებოდ დარჩებით მისადმი და მას მგელი შეჭამს.“ *(სურა იუსუფი, აიათი 13)*

ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, იაყუბმა სიზმარი ნახა, რომელშიც თვითონ ერთი მთის წვერზე, იუსუფი კი დაბლობზე იყო. უცებ ათი მგელი გამოჩნდა, იუსუფს თავს დაესხა. იუსუფი მათ შორის დაიკარგა. იაყუბმა შვილებს ამ მიზეზით უთხრა: „მეშინია ის მგელმა არ შეჭამოს!“ ამგვარად, მისი მღელვარება გამოხატა. ეს ძმებისთვის გასაღები გახდა, იუსუფისთვის მახე როგორ უნდა დაეგოთ, რადგან ძმებმა მანამდე არ იცოდნენ, რომ მგლებს ადამიანის შეჭმა შეეძლოთ.

ჰადისში ნაბრძანებია:

„უბედურება წარმოთქმულ სიტყვასთანაა კავშირში.“ *(სუიუთი, ჯამლუ საღირ, I, 110)*

იბნ სიქქათი ასე ამბობდა:

„ადამიანი ენით რომ უბედურებას მოიწევს, ფეხის გადაბრუნებით ასეთ უბედურებას ვერ მოიწევს! რადგან ფეხის გადბრუნების შედეგად გაჩენილი იარა დროთა განმავლობაში განიკურნება, ენით დაშვებულმა შეცდომამ კი შეიძლება ადამიანი სიცოცხლის დაკარგვამდე მიიყვანოს.“

მიუხედავად იმისა, რომ იაყუბმა სიზმარი ნახა, სისუსტე გამოიჩინა და იუსუფს ძმებთან ერთად წასვლის ნება დართო. მის ამ მოქმედებას შეესაბამება ქვემოთ მოცემული გამონათქვამი:

„ბედისწერა და უბედური შემთხვევა რომ ხდება, გამჭრიახობა იკარგება.“

ადამიანი, რომელიც ვნებას მიენდობა და იტყვის „ამას არავითარ შემთხვევაში არ გავაკეთებ!“— ეშმაკს უღებს კარებს და ეშმაკიც მას მანამდე არ მოასვენებს, სანამ არ გაამასხარავებს, მას რაც უნდა, იმას არ გააკეთებინებს და ქვეყნის სასაცილოდ არ გახდის. ამის გამო, საჭიროა სიტყვები შევარჩიოთ და ღმერთს შევეფაროთ!

ძმების ვერაგობა

„როცა წაიყვანეს და გადაწყვიტეს, რომ ჩაეგდოთ იგი ჭის ფსკერში, მაშინ ჩვენ ზეშთავაგონეთ მას, რომ უთუოდ შენ აცნობებ მათ რაც ჩაიდინეს, როცა ეს აღარ ემახსოვრებათ.“ *(სურა იუსუფი, აიათი 15)*

აიათში ნაბრძანებზე: „ჩვენ იუსუფს ზეშთავაგონეთ!“— დაყრდნობით ყურანის განმმარტებელთაგან უმრავლესი აცხადებს, რომ წმინდა იუსუფს შუამავლობა ჯერ კიდევ მაშინ ებოძა.

შვილებმა იუსუფის მინდორში წაყვანა რომ დაიჟინეს და იუსუფმაც გამოთქვა ამის სურვილი, ბედისწერისადმი მორჩილების შესაბამისად, იაყუბმაც ნება დართო.

ძმებმაც, იმისთვის, რომ მამა კმაყოფილი ყოფილიყო, მანამ, სანამ მის თვალს მიეფარებოდნენ, იუსუფი მხრებზე შესმული ატარეს. როგორც კი თვალს მიეფარნენ, მიცემული პირობა დაარღვიეს, იუსუფი ძირს ჩამოაგდეს და უთხრეს:

„მატყურა სიზმრების პატრონო, სად არის ვარსკვლავები, რომლებმაც შენ სეჯდე შეგისრულეს? მოვიდნენ დ ჩვენი ხელიდან გიხსნან!“

იუსუფის ცემა და წვალება დაიწყეს. იუსუფი რომელ ძმასაც შეეფარებოდა, უფრო მეტ წვალებას იღებდა, წყრომასა და ცემას ღებულობდა. ვეღარ გაუძლო, ტირილი დაიწყო და თქვა:

„მამა, რა სწრაფად დაივიწყეს შენთვის მოცემული სიტყვა და შენი დანაბარები! ერთი განახა, შენ შვილს რას უკეთებენ! ამას მონის შვილსაც კი არავინ გაუკეთებს!“

გადმოცემის მიხედვით, რობილმა იუსუფი ააყენა და მიწას დაანარცხა, შემდეგ მკერდზე დააჯდა და მისი მოკვლა სცადა. ლევს კი მისთვის კისრის გადატეხვა უნდოდა. იუსუფი ძმებისგან ყველაზე გულისხმიერს იეჰუდას ეძახდა:

„იეჰუდა! ალლაჰის გეშინოდეს და ხელი შეუშალე მათ, ვისაც ჩემი მოკვლა უნდათ!“

იეჰუდაში გულისხმიერებამ გაიღვიძა და თქვა:

„არ მოკლათ! განა ამ საკითხზე სიტყვა არ მომეცით?“

მათ უთხრეს:

„დიახ!“

„თუ ასეა, ის ჭაში ჩააგდეთ!“

წმინდა იუსუფის ჭაში ჩაგდება

სხვებიც იეჰუდას წინადადებას დათანხმდნენ, „ძალიან კარგიო—“თქვეს და მისი ჭაში ჩაგდება გადაწყვიტეს.

ჭასთან მივიდნენ. იუსუფი ძმებს ტანსაცმელზე ექაჩებოდა, ტიროდა, მაგრამ ისინი ხელს კრავდნენ. პერანგი გახადეს და ხელის მოკიდება არაფერზე რომ არ შეძლებოდა შეუკრეს. მამის დასარწმუნებლად კი ცხვრის დაკვლა და პერანგის მის სისხლში ამოსვრა გადწყვიტეს.

პერანგი რომ გახადეს, იუსუფმა ძმებს უთხრა:

„ძმებო, პერანგი მომეცით, თუ მოვკვდები ჩემი სუდარა იქნება, თუ გადავრჩები—ტანსაცმელი იქნება!“

მაგრამ ძმებმა ის უკან არ მისცეს.

იუსუფი როცა ჭაში ნახევრად ჩაუშვეს, ჩავარდესო და თოკი გადაჭრეს. ჭის ფსკერზე წყალი იყო. იუსუფი ჭაში რომ ჩავარდა, ერთ გვერდითა ქვაზე მოიკიდა ფეხი. იმ იმედით, რომ იქნებ ძმებში გულისხმიერებამ გაიღვიძოს და მე აქიდან ამომიყვნონო, ფეხზე დადგა და დაიყვირა. მაგრამ ძმებმა, როგორც კი მიხვდნენ, რომ არ მომკვ-



დარაო, ქვების სროლით და მისი მოკვლა მოინდომეს. ამაში მათ ხელი ისევ იეჰუდამ შეუშალა.

ამ დროს უზენაესმა ალლაჰმა ჯებრაილი მოიხმო:

„ჩემს მონა-მსახურს მიუსწარი!“

ჯებრაილმა ბრძანება მაშინვე შეასრულა, იუსუფი დაიჭირა, ჭაში უსაფრთხო ადგილზე დასვა. იუსუფს იბრაჰიმის პერანგი ჩააცვა და მას მანამ, სანამ ჭაში იმყოფებოდა, სამოთხის სიკეთეებიდან აჭმევდა და ასვამდა.

იუსუფი ჭაში რომ ჩააგდეს, ღმერთს ასე შეევედრა:

„მოწმევ, დაუსწრებელი რომ არ ხარ! ახლოს მყოფო, შორს რომ არ ხარ! დაუმარცხებელო ძლევამოსილო!“თავს დამტყდარი დარდისგან სიმშვიდეში გამომიყვანე, ხსნის კარები გამიღე!“

თქმულების მიხედვით, იუსუფი ჭაში სამ დღეს დარჩა. არსებობს სხვა თქმულებაც, რომლის მიხედვითაც, ის იქ ერთ საათს დარჩა.

ჯებრაილმა ჭაში იუსუფს ეს ვედრება ასწავლა:

„ყოველგვარი დარდის მომშორებელო! ყველა ვედრების შემსმენო! ყველა სიძნელის გამაადვილებელო! ყველა უპატრონოს პატრონო და ყველა მარტოსულის მეგობარო, ჩემო ალლაჰო! ერეთადერთო ღმერთო, შენდობას გთხოვ! გთხოვ თავსდამტყდარი ეს დარდი სიმშვიდედ მიქციო და უბედურებიდან გამოსასვლელი კარი გამიღო! ღმერთო, შენი სიყვარული ჩემს გულში ისე განათავსე, რომ იქ არავითარი წუხილი არ დარჩეს, იქ შენ გარდა არავის ხსენების ადგილი არ დარჩეს, გულისხმიერებს შორის ყველაზე გულისხმიერო, ღმერთო დამიფარე!“

იუსუფმა ჭაში ღმერთის ხსენება დაიწყო. ანგელოზებმა მისი ლამაზი ვედრება რომ გაიგონეს, ალლაჰს მისი მოსმენის ნება სთხოვეს. ალლაჰმაც ანგელოზებს ადრე ნათქვამი სიტვყვები შეახსენა და ნება დართო:

„ანგელოზებმა უპასუხეს: ვინც უკეთურობას დასთესს და სისხლს დაღვრის, ისეთი ქმნილება უნდა დაადგინო? როცა ჩვენ გამუდმებით გადიდებთ, თაყვანს გცემთ და სიწმინდეს ვაღიარებთ შენსას?! ბრძანა (ალლაჰმა): ვიცი მე, რაც არ იცით თქვენ!“ *(სურა ბაყარა, აიათი 30)*

მაშინ, როცა სული და გული სულიერი სამყაროსკენ მიილტვის, ვნება, ვნებასთან დაკავშირებული ძალა და მდაბალი გრძნობები ცხოველური სამყაროსკენ იხრება. თუ ადამიანი ვნებისგან არ განიწმინდება, ვნებას დატოვებს ისე, როგორც არის, ის სულის წინააღმდეგ გამოვა და სხეული სულზე გაბატონდება. ეს ცოდვილების მდგომარეობაა. ღმერთის ხსენების შედეგად გულში ლამაზი გრძნობები იკავებს ადგილს, გამარჯვება გულსა და სულს რჩება, ვნება და სხეული სულის წინაშე ქედს იხრის. ეს ბედნიერი ადამიანების მდგომარეობაა.

ალლაჰმა იაყუბსა და იუსუფს საშინელი დარდი და დიდი მწუხარება არგუნა. მათ თავს ტანჯვა-წამება და მწარე გამოცდა იმიტომ დაატყდათ, რომ უფრო მეტად გაზრდილიყო მათი მოთმინების უნარი და ალლაჰთან სიახლოვე. ამგვარად, ისინი ყოველთვის ღმერთისკენ მიემართებოდნენ, ყოველთვის მასთან ერთად იქნებოდნენ და განთავისუფლდებოდნენ ყველაფერ იმისგან, რაც წარმავალია. ამგვარად მიაღწევდნენ უმაღლეს საფეხურს, რადგან არსებობს ისეთი საფეხურები, რომელთანაც მხოლოდ უბედურებისა და ტანჯვა-წვალების ატანით მიიღწევა.

სწორედ, იუსუფის თორმეტი წლით საპატიმროში დარჩენის შედეგი იყო ის, რომ მას მარტოობით, თავშეკავებით, ტანჯვა-წვალებითა და ბრძოლით სრულყოფილებასთან მიეღწია. იუსუფი მამასთან რომ დარჩენილიყო, შესაძლოა ამის განხორციელება შესაძლებელი არ ყოფილიყო. აი, ამის გამო იყო, რომ შუამავლები რაღაც პერიოდის განმავლობაში, სამშობლოსგან მოშორებული— უცხოობაში ცხოვრობდნენ..

ᔓ

იუსუფის ჭაში ჩამგდები ძმები სახლის გზას გაუდგნენ. მოჩვენებით:

„და გვიან ღამით ტირილით მივიდნენ მამასთან.

უთხრეს: „ჰეი, მამაჩვენო! სირბილში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს, იუსუფი კი ჩვენს საგზალთან დავტოვეთ, მაშინ მგელმა შეჭამა იგი. შენ მაინც არ დაგვიჯერებ, თუნდაც სიმართლეს ვამბობდეთ.“ *(სურა იუსუფი, აიათები 16, 17)*

შემდეგ ტირილით დაუმატეს;

„მიუტანეს მისი პერანგი ცრუ სისხლით. უთხრა: „არა! თქვენ თქვენმა სულმა შეგაცდინათ ამ საქმეში. მაგრამ მე ძლიერი მოთმინება მმართებს. მხოლოდ ალლაჰია მფარველი იმისგან, რასაც თქვენ აღმიწერთ. “ *(სურა იუსუფი, აიათი 18)*

გადმოცემის მიხედვით, იუსუფის სიხლიანი პერანგი იაყუბს რომ მიუტანეს, მოთმინება გამოიჩინა.

ყველაზე ლამაზი მოთმინება

იაყუბს, რომელიც ცრემლებს აფრქვევდა, მოთმინების მეტი არაფერი დარჩენოდა. მანაც მოითმინა ისე, რომ მის მდგომარეობაზე არვისთან დაუჩივლია:

„მიუგო: „მხოლოდ ალლაჰს შევჩივი ჩემს ნაღველს და დარდს. და მე ვუწყი ალლაჰისგან იმას, რასაც თქვენ არ უწყით.“ *(სურა იუსუფი, აიათი 86)*

ალლაჰის შუამავალმა ჯებრაილს ჰკითხა:

„იაყუბის იუსუფთან განშორებამ რა საფეხურს მიაღწია?“

ჯებრაილმა კი უპასუხა:

„შვილის დაკარგვას სამოცდაათი დედა რომ განიცდის, იმ დონეს მიაღწია.“

ალლაჰის შუამავალმა ჰკითხა:

„თუ ასეა, მისი მადლი რამდენია?“

„მისი მადლი ასი შეჰიდის მადლს უდრის, რადგან მას ალლაჰი ერთი წუთითაც კი არ ჩაუთვლია ბოროტად.“ *(სუიუთ, ედ დურრულ მენსურ, IV, 570)*

აი, ეს მოთმინება ყველაზე ლამაზი მოთმინებაა!

ყველაზე ლამაზი მოთმინებაა, როცა თავს დამტყდარ უბედურებაზე სხვასთან არ იჩივლებ, ამით აჩვენებ, რომ მას იტან. გადატანილ ტანჯვას ადამიანებთან თუ იჩივლებ, ამ შემთხვევის წინაშე გამოჩენილი მოთმინება სპეციფიკურობას კარგავს.

წმინდა იუსუფის ჭიდან ამოყვანა და გაყიდვა

როცა იაყუბი ასეთ ლამაზ მოთმინებას იჩენდა, იუსუფი ჭაში მორჩილებით ღმერთზე მინდობილი იყო. ამ დროს:

„მოვიდა ქარავანი. გაგზავნეს თავიანთი მეთულუხენი. როცა თულუხი ჩაუშვა, გაოცებულმა წამოიძახა: „ჰეი, სამახარობლო, ეს ყმაწვილია!“ და დამალეს იგი გასაყიდ საქონლად. ხოლო ალლაჰი უწყის, რასაც სჩადიან.

და ის გაყიდეს მცირე ფასად. სულ რაღაც რამდენიმე დირჰემად, ისედაც არაფრად უღირდათ იგი.“ *(სურა იუსუფი, აიათები 19, 20)*

მიუხედავად იმისა, რომ იუსუფის სილამაზემ ისინი მოხიბლა, პატრონი გამოუჩნდება და წაგვართმევსო, ის დაბალ ფასად, სასწრაფოდ ერთ ტყვეებით მოვაჭრეს მიჰყიდეს.

სურა „აჰზაბის“ 38-ე აიათში ნაბრძანებია:

„ალლაჰის ბრძანება, უთუოდ, განგების გამოვლინებაა!“ როცა ისურვებს ადამიანზე ეს ბედისწერა განხორციელდეს, ზოგჯერ იმ ადამიანს წააბორძიკებს და შემდეგ მას განახორციელებს.

იუსუფმა ერთ დღეს სარკეში საკუთარ სილამაზეს შეხედა და ასე თქვა:

„მე რომ მონა ვყოფილიყავი და გავყიდულიყავი, შეუფასებელი ვიქნებოდა, ბევრ ფულს ვეღირებოდი!“

ამ შეცდომის მიზეზით, ის მონად, თანაც ძალიან დაბალ ფასად იქნა გაყიდული. მისი დაბალ ფასად გაყიდვის შემთხვევა ძალიან საყურადღებოა.

გადმოცემის მიხედვით, ერთ დღეს, მუჰამმედ შუამავალი ﷺ როცა მეჩეთიდან სახლში ბრუნდებოდა, ბავშვები გზად დახვდნენ და უთხრეს:

„ჰასანისა და ჰუსეინის მსგავსად, ჩვენც თუ არაფერს მოგვცემ, ჩვენ შენ თავს არ დაგანებებთ!“

ალლაჰის შუამავალმა ბილალს უთხრა:

„სახლში წადი, რასაც იპოვი, მოიტანე და ჩემს სულს, ამით ვიყიდი!“

ბილალი წავიდა და რვა კაკალი მოიტანა. ალლაჰის შუამავალმა საკუთარი თავი ბავშვებისგან ამ კაკლებით იყიდა.

შემდეგ ბრძანა:

„ჩემი ძმა იუსუფი უფასურად გაყიდეს. აი მეც, რვა კაკლად გამყიდეს!“

ᔓ

ერთ-ერთ ჰადისში წმინდა მუჰამმედ შუამავალი ბრძანებს:

„უეჭველია, ალლაჰი თქვენში არათუ გარეგნობასა და სიმდიდრეს, არამედ გულსა და ქმედებებს შეხედავს!“ (ბუჰარი, ნიქაჰი 45, ედები 57, 58, ფერაიზ 2)

სწორედ, წმინდა ჰაჯერი ფარაონმა სარას მხევლად მისცა, საბოლოოდ კი, მან წმინდა ისმაილი გააჩინა, რომლის შთამომავალია წმინდა მუჰამმედ შუამავალი (ს.ა.ს)

ადამიანის ფიზიკურ აგებულებას სხვა რაიმე ღირებულება არა აქვს. სხეული სულის გარსის მოვალეობას ასრულებს. ადამიანი მხოლოდ სულის აგებულებით მოიპოვებს პატივსა და ღირსებას, ან კიდევ დამდაბლდება.

ესე იგი, ადამიანს სუფთა გული და ლამაზი ქმედებები თუ აქვს, ალლაჰის საფეხურებზე მოწონებულია. ის ლამაზია თუ არა ფიზიკურად ან ბევრი ქონება აქვს თუ არა, მნიშვნელოვანი არ არის. ადამიანი სხეულის ტყვედ რომ იქვცევა, როგორ დაბალ ფასად იყიდება! ნეტა განკითხვის დღეს, რა ფასად შეფასდებიან ისინი, ვინც თავიანთ სულსა და გულს ვნებების ტყვეებად აქცევენ?

აქედან გამომდინარე, მორწმუნემ ნამდვილი ღირებულება და პატივი რა არის, კარგად უნდა იცოდეს. ვნების ტყვედ არასდროს არ უნდა იქცეს. აიათში ნაბრძანებია:

„გინახავს ის, ვინც თვისი ვნება გააღმერთა? ნუთუ მისი დამცველი და მფარველი იქნები?“ *(სურა ფურყანი, აიათი 43)*

ᔓ

„ეგვიპტელმა, რომელმაც იყიდა იგი, უთხრა თავის მეუღლეს: „კეთილად მოეპყარი მას! ეგებ რამეში გამოგვადგეს ან შვილად ავიყვანთო.“ აი, ასე დავამკვიდრეთ იუსუფი დედამიწაზე, რათა გვესწავლებინა მისთვის სიზმრების ახსნა. და ალლაჰი ძლევამოსილია თავის საქმეში, თუმცაღა ადამიანთა უმრავლესობა არ უწყიან ამას.“ *(სურა იუსუფი, აიათი 21)*

ყურანის განმმარტებელთა აზრით, იუსუფის მყიდველმა ტყვეებით მოვაჭრემ, ის შემდეგ, ეგვიპტის ფინანსთა მინისტრს მიჰყიდა. ფინანსთა მინისტრმა მისი გონიერება და თავისებურებები შეამჩნია და ამიტომ მისი გამოყენება ან შვილად აყვანა იფიქრა.

მას შემდეგ, რაც იუსუფი დაბალ ფასში გაიყიდა, მისი ყიდვა ფინანსთა მინისტრის მიერ, მის მაღალ ფასში გაყიდვის მაჩვენებელია. სწორედ, იმან, ვინც პირველად იყიდა იუსუფი, მოკაზმა, გასაყიდად გამოიყვანა და სამ დღეს გაგრძელებული აუქციონის შემდეგ გაყიდა. ბოლოს იუსუფი ეგვიპტის ფინანსთა მინისტრმა მისი წონის მუშკის, მარგალიტის, ოქროს, ვერცხლისა და აბრეშუმის საფასურად იყიდა.

წმინდა იუსუფი და ზულეიჰა

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„როცა ზრდასრული შეიქნა იგი, ვუბოძეთ მას სიბრძნე და ცოდნა. აი, ასე ვუზღავთ კეთილისმქმნელთ!“ *(სურა იუსუფი, აიათი 22)*

წმინდა იუსუფი დროთა განმავლობაში გაიზარდა, ჩამოყალიბდა, მოხდენილი და ლამაზი გარეგნობის ახალგაზრდა დადგა. ეს მდგომარეობა გახდა იმის მიზეზი, რომ იმ სახლის, სადაც ის ცხოვრობდა, ქალბატონს—ზულეიჰას იუსუფის მიმართ სხვა გრძნობები აღეძრა.

„ქალმა ისურვა მისგან, რომლის სახლშიც ცხოვრობდა იგი, ვნების აღსრულება. მან ჩარაზა კარები და უთხრა: „მოდი ჩემთან!“ უთხრა: „ალლაჰმა დამიფაროს! უეჭველად, იგი ჩემი ბატონია. მან კარგად მომეპყრო. უეჭველად, ცოდვილნი ვერ გადარჩებიან!“

და ვფიცავ, რომ ქალმა ისურვა მასთან თანაცხოვრება, და რომ არ დაენახა თავისი ღმერთის აშკარა ნიშანი, ისიც ისურვებდა მასთან თანაცხოვრებას. აი, ასე ავაცილეთ მას სიავე და გარყვნილება. უეჭველად, იგი ჩვენი გულწრფელი მსახურთაგანი იყო.“ *(სურა იუსუფი, აიათები 23, 24)*

ყურანის განმმარტებლები, „მტკიცებულებას“ ასე განმარტავენ:

იუსუფმა იდუმალი ხმა როცა გაიგონა „ფრთხილად! ფრთხილად!“, ზულეიჰას ხმას „მოდი“ ყურადღება აღარ მიაქცია. ეს იდუმალი ხმა სამჯერ განმეორდა, ამან გამოაფხიზლა და ზულეიჰას ზურგი აქცია.

უზენაესი ალლაჰის ბრძანებით, იაყუბი შვილს სულიერად დაეხმარა, ვნებას აყოლილი ზულეიჰათი გატაცებისგან დაიფარა. აიათში გადმოცემული ეს შემთხვევა სულიერი დახმარებისა და კავშირის მაგალითია.

ალი იბნ ჰასენი ამბობს:

ზულეიჰას თავის ოთახში ერთი კერპი ჰქონდა, რომელსაც თაყვანს სცემდა. თავისთან იუსუფი რომ მიიწვია, კერპს ფარდა ჩამოაფარა. იუსუფმა ჰკითხა:

„ასე რატომ გააკეთე?“

ზულეიჰამ უპასუხა:

„როცა ცოდვას ჩავიდენ, მრცხვენია მისი, არ მინდა დამინახოს!“

იუსუფმა ასე უთხრა:

„მაშინ, როცა შენ გრცხვენია, ქვის ნატეხის, რომელსაც არაფერი ესმის, ვერაფერს ხედავს და ვერაფერს ხვდება; მე უფლება არა მაქვს მრცხვენოდეს ჩემი ღმერთის, რომელმაც მე ყველაზე ლამაზი ფორმით გამაჩინა და რომლისთვისაც დაფარული არაფერია?!“

ᔓ

იუსუფმა ზულეიჰას წადილი რომ შეამჩნია, შეშინებული კარისკენ გაიქცა. ზულეიჰა გამოეკიდა:

„გაიქცნენ ორივე კარისკენ. და ჩამოახია ქალმა მას პერანგი უკნიდან. და კართან გადააწყდნენ ქალის პატრონს. ქალმა უთხრა: რა სასჯელს იმსახურებს ის, ვინც შენი ოჯახისთვის სიავე მოინდომა, თუ არა დილეგში ჩაგდებას, ან მწარე სასჯელსო.“ *(სურა იუსუფი, აიათი 25)*

აზიზმა უთხრა:

„ჩემი ოჯახისთვის ბოროტების გაკეთება ვის უნდოდა?“

ზულეიჰამ თავის დანაშაულებრივ განზრახვას მეორე დაუმატა. იუსუფს ცილი დასწამა და თქვა:

„ლოგინში მეძინა. ეს ახალგაზრდა მოვიდა ჩემთან, თავისი ვნების დაკმაყოფილება უნდოდა.“

აზიზი იუსუფს მიუბრუნდა და უთხრა:

„ახალგაზრდავ! შენ რომ გაგიკეთე, იმ სიკეთის საფასური ეს იყო? ჩემთვის ეს არ უნდა გაგეკეთებინა!“

ამ შემთხვევის საპირისპიროდ, ცილისწამებისგან დასაცავად:

„უთხრა: „თვითონ ისურვა ჩემთან თანაცხოვრება!“ ქალის ოჯახიდან ერთ-ერთმა ასეთი გამოსავალი შესთავაზა: „თუ მისი (იუსუფის) პერანგი წინიდანაა ჩამოხეული, იგი მართალს ამბობს და იგი (იუსუფი) ცრუთაგანია.

და თუ მისი (იუსუფის) პერანგი უკნიდანაა ჩამოხეული, იგი (ქალი) ცრუობს, და იგი მართალთაგანია.“ *(სურა იუსფი, აიათები 26, 27)*

ერთი გადმოცემის მიხედვით, აზიზმა ზულეიხას უთხრა:

„მტკიცებულებას თუ არ მაჩვენებ, შენ სიტყვას არ დავიჯერებ!“

სხვა გადმოცემის მიხედვით კი, იუსუფი ალლაჰს შეევედრა, მისი უდანაშაულობის მტკიცებულება ეჩვენებინა.

„ხოლო როცა (ქმარმა) დაინახა მისი პერანგი უკნიდან იყო ჩამოხეული, (ცოლს) უთხრა: უეჭველად, ეს თქვენი ხრიკებია. თქვენი მზაკვრობა, უეჭველად, დიდია.

ჰეი, იუსუფ! არავის მოუყვე ეს! (ქალო) შენ კი პატიება ითხოვე, უეჭველად, შენ ცოდვილთაგანი ხარ!“ *(სურა იუსუფი, აიათები 28, 29)*

შემთხვევა ხალხს შორის გავრცელდა.

„ქალაქში ქალები ალაპარაკდნენ: „აზიზის ცოლმა თავის მსახურთან თანაცხოვრება მოიწადინაო, მისთვის გული დაუწვავს სიყვარულსო. უეჭველად, ჩვენ ვხედავთ მას, აშკარა გზააბნევაშია.“ *(სურა იუსუფი, აიათი 30)*

იუსუფის შემხედვარე ქალები ხელებს იჭრიდნენ

ზულეიხამ მასზე გავრცელებული ჭორების შესახებ რომ გაიგო, გადაწყვიტა ეგვიპტელი ქალებისთვის ჭკუა ესწავლებინა:

„ხოლო როცა ქალმა გაიგო მათი ჭორიკნობა, მოსაწვევი გაუგზავნა მათ, მოუწყო მათ მუთაქა-სავარძლები, და თითოეულს დანა მისცა. მერე ქალმა უთხრა: გადი მათთან! ქალებმა რომ დაინახეს იგი, აღფრთოვანდნენ და ხელები დაისერეს. და თქვეს: დიდება ალლაჰს! ეს ადამიანი არ არის, ეს თუ იქნება ღირსეული ანგელოზიო!

უთხრა: აი ის, ვის გამოც მკიცხავდით მე. ვფიცავ, რომ მასთან თანაცხოვრება ვისურვე. მაშინ უარყო, მაგრამ თუ იმას არ გააკეთებს,

რაც ვუბრძანე, უთუოდ, დილეგში ჩააგდებენ და უთუოდ, დამცირებულთა შორის აღმოჩნდება!“ *(სურა იუსუფი, აითები 31, 32)*

იუსუფს სახე მზესავით უბრწყინავდა. როცა ეგვიპტის ქუჩებში სეირნობდა, ქალების ინტრიგების გამო ეშინოდა, ალლაჰის ბრძანების წინააღმდეგ არ წასულიყო, ამიტომაც ხელები აღაპყრო და ღმერთს შეევედრა. სთხოვა ის დაეცვა, ვინაიდან ქალთან წინდახედულად თუ არ მოიქცევი, ეშმაკის მახეზე უფრო სახიფათოა.

„(იუსუფმა) შეევედრა: „ღმერთო ჩემო! დილეგი ჩემთვის უფრო უკეთესია იმაზე, რისკენაც მიხმობენ, დილეგში ყოფნა მირჩევნია იმის გაკეთებას, რასაც მაიძულებენ, და თუ მათ მზაკვრობას არ ამაცილებ, შეიძლება გადავიხარო მათკენ და უგუნურთა შორის აღმოვჩნდე!“ *(სურა იუსუფი, აიათი 33)*

უნდა ვიცოდეთ, რომ ვნებას თუ დავუთმობთ, ესე იგი, ვნების სურვილებს თუ შევასრულებთ, მისი შარიდან განთავისუფლება შეუძლებელია. მისგან განთავისუფლების გზა ალლაჰზე თავშეფარება და მისი ბრძანებების შესრულებაა. იუსუფი ალლაჰს შეეფარა და ხსნა მოიპოვა. **„მაშინ შეისმინა ღმერთმა მისმა ვედრება მისი, ამგვარად ააცილა მას მზაკვრობა მათი. უეჭველად, იგი ყოვლისმსმენია, ყოვლისმცოდნეა!“** *(სურა იუსუფი, აიათი 34)*

გულს სრულყოფილებასთანაც რომ ჰქონდეს მიღწეული, მარტოდმარტო, ღმერთის მფარველობის გარეშე, ვერ შეძლებს ამქვეყნიური მახეებისგან თავდაცვას, ვნებისა და ეშმაკისგან თავის დაღწევას, თავისთავს მარტო ვერ დაიცავს! უფრო ადრე, აიათში მოცემული ღმერთის მტკიცებლებებიც ამის გამომხატველია.

დილეგი

იუსუფის ვედრების დაკმაყოფილების მიზეზით:

„მერე, (აზიზმა და მისმა ამხანაგებმა) აშკარა საბუთების ხილვის შემდეგაც, (ხალხის ჭორებისთვის წერტილის დასასმელად) მათ მაინც საჭიროდ ჩათვალეს გარკვეული ვადით დილეგში ჩაესვათ.“(*სურა იუსუფი, აიათი 35)***

იუსუფს ტანსაცმელი გახადეს, ბეწვიანი ხალათი ჩააცვეს, ფეხები ჯაჭვით შეუკრეს. იუსუფი დილეგის კარებთან რომ მივიდა, თავი დახარა, ბისმილლაჰ წარმოთქვა და (ალლაჰის სახელით) შიგ შევიდა. ყველა მის გარშემო მოგროვდა. ცოტა ხნის შემდეგ იუსუფმა ტირილი დაიწყო. ჯებრაილი მოვიდა და ტირილის მიზეზი ჰკითხა. იუსუფ-

მა უთხრა, რომ დილეგში არ იყო ადგილი, სადაც ლოცვას შეძლებდა და ამან დაამწუხრა, ჯებრაილმა მას უთხრა:

„სადაც ისურვებ, იქ ილოცე! ალლაჰმა, დილეგის შიგნით და გარეთ, ორმოცი არშინი შენთვის გაასუფთავა.“

„და შევიდა მასთან ერთად დილეგში ორი ჭაბუკი. თქვა მათგან ერთ-ერთმა: „უეჭველად, მე ჩემი თავი დავინახე, რომ ყურძენს ვწურავდი.“ და თქვა მეორემ: „უეჭველად, მე ჩემი თავი დავინახე, რომ თავით პური მიმქონდა და ჩიტები ჭამდნენ მისგან. გვამცნე ამის ახსნა ჩვენ, რამეთუ, უეჭველად, ჩვენ დავინახეთ, რომ შენ კეთილთაგანი ხარ.“

უთხრა: არ მოვა თქვენთან საჭმელი, რომლითაც იკვებებით, ვიდრემდის მე არ გამცნობთ თქვენ იმის ახსნას. ესაა იმათგან, რაც ჩემმა ღმერთმა შემასწავლა. უეჭველად, მე მივატოვე სარწმუნოება იმ ხალხისა, რომელთაც არ სწამთ ალლაჰი და უარყოფენ იმქვეყნიურ ცხოვრებას.“ *(სურა იუსუფი, აიათები 36, 37)*

იუსუფმა დილეგში ახალგაზრდების მდგომარეობა შეაფასა და მათთვის მონოთეისტური რწმენის ქადაგება მოინდომა. ამ მიზეზით, მანამ, სანამ მათ სიზმრებს აუხსნიდა, მათ მოუთხრო, რომ ის ჭეშ-



მარიტ რწმენას აღიარებდა, რომ ცოდნა დიადი ღმერთისგან ებოძა და რომ ეგვიპტელები მცდარ გზაზე იდგნენ. ამგვარად, ისინი მონოთეიზმისთვის მოამზადა. შემდეგ მათ ჭეშმარიტი რწმენა უქადაგა. აქედან გაკვეთილად უნდა ავიღოთ, რომ მორწმუნემ ყველაზე ძნელ მდგომრეობაშიც კი, არ უნდა დაივიწყოს ღმერთის ბრძანებებისა და აკრძალვების შესრულების მოვალეობა.

აი ეს და შემდეგი სამი აიათი ამასთანაა დაკავშირებული.

„და მივჰყევი ჩემი წინაპრების: იბრაჰიმის, ისჰაყის და იაღყუბის სარწმუნოებას. შეუძლებელია, ჩვენ ვინმე თანაზიარი გავუხადოთ ალლაჰს. აი ეს ალლაჰის მადლია ჩვენზე და ადამიანებზე, თუმცა ადამიანთა უმრავლესობა უმადურია.

ჰეი, ჩემო დილეგის მეგობრებო! განა უამრავი ღმერთების ყოლა ჯობია, თუ ერთადერთი ძლევამოსილი ალლაჰის?!

მის გარდა, რასაც ეთაყვანებით, მხოლოდ ცარიელი სახელებია, რომლებიც შეარქვით თქვენ და თქვენმა მამებმა, ალლაჰს არ გარდმოუვლენია მათ შესახებ სამტკიცი. უეჭველად, მსჯავრის დადება მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის. მან ბრძანა, რომ არ სცეთ თაყვანი არავის, მის გარდა. აი, ესაა ჭეშმარიტი სარწმუნოება. თუმცაღა ადამიანთა უმრავლესობა არ უწყიან ამას!“ *(სურა იუსუფი, აიათები 38-39-40)*

წმინდა იუსუფის მიერ სიზმრების ახსნა-განმარტება

წმინდა იუსუფმა დილეგის ორ ამხანაგს, რომელთაც სიზმრის ახსნა სთხოვეს, ჭეშმარიტი რწმენის ქადაგების შემდეგ უთხრა:

„ჰეი, ჩემო დილეგის მეგობრებო! ერთი თქვენთაგანი თავის ბატონს ღვინოს მიართმევს, მეორე კი ჩამოხრჩობილი იქნება და ჩიტები თავს დაუკორტნიან. გადაწყვეტილია საქმე, რომლის ახსნაც გინდოდათ.

და უთხრა: რომელიც, უეჭველად, უნდა გადარჩენილიყო მათგან: „უამბე ჩემზე შენს ბატონს !“ მაგრამ დაავიწყა ეშმაკმა მას, თავის ბატონზე მოყოლა, ამიტომ დაჰყო დილეგში კიდევ რამდენიმე წელი.“ *(სურა იუსუფი, აიათი 41, 42)*

ყურანის ზოგიერთი განმმარტებელის აზრით, იუსუფის მიერ ღმერთისგან დახმარების სხვისი საშუალებით თხოვნა, ეჭვიანობა იყო, რადგან ეს მდგომარეობა შუამავლებისთვის შეცდომად ითვლება. ამ შეცდომის გამო, იუსუფი ხუთ წელიწადს -ციხეში, შვიდ

წელიწადს კი დილეგში დარჩა. ამგვარად, თორმეტი წელი პატიმრობაში გაატარა.

ᔓ

მალიქ იბნ დინარის გადმოცემის მიხედვით:

იუსუფმა მეღვინეს როგორც კი უთხრა:

„მე შენს ბატონთან მახსენეო!“- ალლაჰმა ასე ბრძანა:

„იუსუფ, ჩემ გარდა სხვა რწმუნებული გაიჩინე, მე შენ ყველას ჩამოგაშორებ!“

იუსუფმა ტირილი დაიწყო და თქვა:

„ღმერთო ჩემო! მწუხარებებისა და უბედურებების სიმრავლისგან ჩემს გულში დარდმა ჩაიბუდა. ღმერთით, ამის შემდეგ, პირიდან ამგვარი სიტყვა აღარ დამცდება!“

ჰასან ბასრი ყოველი წაკითხვისას ტიროდა და ასე ამბობდა:

„თავს რამე თუ დაგვატყდება, მაშინვე ადამიანებთან გავრბივართ. ჩვენს ამ მდგომარეობას რა შედეგი მოჰყვება?“

შუამავალი ბრძანებდა:

„ალლაჰმა ჩემი ძმა იუსუფი შეიწყალოს! მას მეღვინესთვის რომ არ ეთქვა: მე შენს ბატონთან მახსენე! - დილეგში ხუთი წლის შემდეგ კიდევ შვიდ წელს არ დარჩებოდა.“(ბურსევი, რუჰულ ბეიან, IV, 264)

მაგრამ დიადმა ღმერთმა შუამავლებისთვის ბოძებული ჩვევები, დარდი და ათასგვარი წვალება, მათ სასჯელად კი არა, წყალობად უბოძა. ჰადისში ნაბრძანებია:

„როცა ალლაჰს თავისი მონა-მსხური უყვარს, მას უბედურებებს მოუვლენს და გამოცდის!“(ალი ელ მუთთაყი, ქენზულ უმმაი, III, 334)

ეგვიპტის ხელმწიფის სიზმარი

„და თქვა მეფემ: უეჭველად, სიზმარი ვნახე შვიდ მსუქან ძროხას ჭამდა შვიდი გამხდარი ძროხა, და შვიდი მწვანე თავთავი, შვიდი გამხმარი თავთავის გვერდით. ჰეი, დიდებულნო, განმიმარტეთ ჩემი სიზმარი თუ იცით სიზმრის ახსნა!

უთხრეს: „რთული სიზმრებია, ჩვენ არ ვიცით ასეთი სიზმრების ახსნა.“

იმათგანს, რომელიც გადარჩა, დიდი ხნის მერე გაახსენდა და თქვა: მე გაცნობებთ თქვენ მის ახსნას, ახლავე გამგზავნეთო .“

„ჰეი, იუსუფ, კაცო მართალო! აგვიხსენი რას ნიშნავს, შვიდ მსუქან ძროხას რომ შვიდი გამხდარი ძროხა ჭამს და შვიდი მწვანე თავთავი რომ შვიდი გამხმარი თავთავის გვერდითაა? ეგების დავბრუნდე ხალხთან, რათა გაიგონ მაგათმა !“

უთხრა: „შვიდ წელიწადს თესეთ ჩვეულებისამებრ, და რასაც მოიმკით, დატოვეთ იგი თავისივე თავთავში, გარდა იმ მცირედისა, რასაც მიირთმევთ.

შემდეგ დადგება შვიდი მკაცრი წელი, რომელნიც შესჭამენ იმას, რაც მოაგროვეთ, გარდა იმ მცირედისა, რასაც დაზოგავთ.

მერე, ამის შემდგომ, მოვა წელი, რომელიც ხალხს უხვ წვიმას მოუტანს და დაწურავენ მასში ისინი.“

და ბრძანა მეფემ: „აქ მომგვარეთ იგი!“ ხოლო როცა მივიდა მასთან ელჩი, უთხრა: ,,მიბრუნდი შენს ბატონთან და ჰკითხე მას დიაცების მდგომარეობა, რომლებმაც ხელები დაისერეს. უეჭველად, ჩემმა ღმერთმა უწყის მათ ხრიკებს.“ *(სურა იუსუფი, აიათები 43-50)*

წმინდა იუსუფმა ზულეიხას სახელი აქ თან დელიკატურობისა და თან პატივისცემის გამო არ ახსენა. თანაც სჯეროდა, რომ ის მისი უპირველესი მტერი იყო და ახალ მახეს მოერიდა.

„(ხელმწიფემ ქალებს) უთხრა: „რას ლაპარაკობდით, როცა იუსუფის ცდუნებას ლამობდითო?“ მიუგეს: „დიდება ალლაჰს! ცუდი არა ვიცით მასზე!“ აზიზის ცოლმა თქვა: „ახლა ჭეშმარიტება გაცხადდა! მე ვლამობდი მის ცდუნებას. ხოლო იგი, უეჭველად, მართალთაგანია.“*(სურა იუსუფი, აიათები 51)*

(ელჩი წავიდა და ამ უეჭველი ცილისწამების მოთხრობის შემდეგ, იუსუფს უთხრა): **,,აი ეს,** (ცილისწამების გარკვევის მოთხოვნის მიზეზი) **რათა იცოდეს, უეჭველად, მე არ მიღალატია მისთვის მის არყოფნისას, ხოლო, უეჭველად, ალლაჰი არ ჰქმნის წარმატებულს მზაკვრობას მოღალატეთა.** *(სურა იუსუფი, აიათები 52)*

წმინდა იუსუფის საზრიანობა

იუსუფს დილეგიდან გამოსვლა არ უნდოდა მანამ, სანამ მის თავს გადამხდარი მოვლენების სინამდვილეს ეგვიპტის ხელმწიფეს კარგად არ გააგებინებდა და სინამდვილეს აზიზს არ აუხსნიდა. ვინაიდან იუსუფს სურდა, ყველას გაეგო, რომ ის დილეგში უსამართლოდ ჩააგდეს. ამგვარად, მან ჭკუა გამოიყენა და დიდი მოთმინებისა თუ სიდინჯის მაგალითი წარმოადგინა, რითაც მოშურნეებსაც

ხელი შეუშალა, უფრო მეტად აერიათ - მისთვის გაკეთებული ყველა ბრალდება ტყუილი ან ცილისწამება რომ იყო, დაამტკიცა და ეჭვებისგან მთლიანად განთავისუფლებული დილეგიდან გამოსვლას დათანხმდა.

წმინდა იუსუფის ბრალდებისგან განთავისუფლებისას გამოჩენილი მგრძნობელობის მსგავსს, ალლაჰის შუმავალთანაც ვხვდებით. საფფიე ბინთ ჰუვეი გადმოსცემს:

ალლაჰის შუამავალი განმარტოვდა. ის იმ ღამეს მოვინახულე, ვესაუბრე. შემდეგ, სახლში წამოსასვლელად რომ ავდექი, ისიც ჩემს სახლში წამოსაყვანად ადგა. ამ დროს ენსარებისგან ორი ადამიანი შეგვხვდა. როგორც კი შუამავალი დაინახეს, განშორება ისურვეს. წმინდა შუამავალმა უთხრა:

„გაჩერდით! ცოტა ნელა. გვერდით რომ მახლავს, ეს ქალი ჩემი ოჯახობა-საფფიე ბინთ ჰუიეია.“

მათ უთხრეს:

„ალლაჰის შუამავალო, შუამავლისთვის არახელსაყრელი ქცევისგან ალლაჰს ვთხოვთ პატიებას!“

ალლაჰის შუამავალმა ბრძანა:

„ეშმაკი ადამიანის სხეულში ისე ხეტიალობს, როგორც სისხლი, შემეშინდა, მას თქვენს გულში ბოროტება ან ეჭვი არ დაეთესა.“ (ბუჰარი, ითიყაფი, 11; მუსლიმი, სელამი, 23-25)

უზენაესი ალლაჰი, ყურანში, თავის მონა-მსახურებს, ასე აფრთხილებს:

„არ მისდიო იმას, რისი ცოდნაც არ მოგეპოვება შენ. უეჭველად, ყურის, თვალის და გულისგან, (სხეულის ნაწილების) ყველასგან პასუხი მოეკითხება!“ *(სურა ისრა, აიათი 36)*

ᔓ

წმინდა იუსუფმა თავისი უდანაშაულობა დაამტკიცა და ხალხის ბრალდებებისგან განთავისუფლდა. მაგრამ ამჯერად, იმისთვის, რომ ვნების მახეში არ გაბმულიყო, დიად ღმერთს შეეფარა და ასე თქვა:

„და არ ვამბობ, ჩემი სული ყოვლად უბიწოა. უეჭველად, სული, გარდა იმათი, ვისაც შეიწყალებს ჩემი ღმერთი, დიახაც რომ ყველას

სიავისკენ უბიძგებს. უეჭველად, ჩემი ღმერთი შემნდობია, მწყალობელია!“ *(სურა იუსუფი, აიათი 53)*

სხვა აიათში, ის, რომ ვნებისგან დაცვა და მისგან გაწმენდა მხოლოდ ალლაჰს შეუძლია, ასეა გამოხატული:

„ალლაჰი განწმენდს იმას, ინებებს ვისაც. ალლაჰი ყოვლისმსმენია, ყოვლისმცოდნეა!“ *(სურა ნური, აიათი 21)*

მართლაც და, ადამიანი, ყველაფრის გამო გულის გასაწმენდად, ალლაჰს უნდა შეეფაროს და შეევედროს.

ალლაჰი თუ ინებებს, მონას სულთნად აქცევს

განვითარებული მოვლენების შედეგად, ეგვიპტის ხელმწიფემ, რომელმაც შეამჩნია წმინდა იუსუფის დიპლომატია, შორსმჭვრეტელობა და არაჩვეულებრივად სუფთა მიზანი, თქვა:

„და თქვა მეფემ: „აქ მომგვარეთ იგი, მას პირად მრჩევლად დავიდგენ!“ ხოლო, როცა დაელაპარაკა მას, თქვა: „უეჭველად, ამიერიდან ჩვენთან უმაღლესი ჩინის მფლობელი და სანდო ხარ შენ.“ *(სურა იუსუფი, აიათი 54)*

დილეგიდან გამოსვლის დრო რომ მოვიდა, იუსუფმა რიტუალურად განიბანა და ახალი ტანსაცმელი ჩაიცვა. დილეგში მყოფებისთვის სიკეთეს შეევედრა ღმერთს.

იუსუფმა, დილეგიდან რომ გამოდიოდა, შემდეგი სიტყვები წარმოთქვა:

„აქაურობა-უბედურების სადგური, ცოცხლების სასაფლაო, მტრების აურზაურისა და მეგობრების გამოცდის ადგილია.“

ხელმწიფესთან როგორც კი შევიდა თქვა:

„ჩემო ალლაჰო, სიკეთეს შენგან ვითხოვ, მისი ბოროტებისგანაც შენს ძლიერებას ვეფარები!“

ხელმწიფემ ბევრი ენა იცოდა, მაგრამ იუსუფმა-მასზე მეტი. ეს რომ გაიგო, ხელმწიფე ძალიან გაოცდა და მისი ნანახი სიზმრის ახსნის მოსმენა იუსუფისგან ისურვა. წმინდა იუსუფმა ის რაც ელჩს უთხრა, თავიდან მოჰყვა.

ამ ახსნა-განმარტებით გაოცებულმა ხელმწიფემ იკითხა, რა ზომების მიღება იყო საჭირო? იუსუფმა უპასუხა:

„სიუხვის წლებში ბევრი მოსავალი უნდა დათესოთ და მარაგი შეინახოთ. ამგვარად, შიმშილობის წლებში თან თქვენს სარჩოს უზრუნველყოფთ, თან ექსპორტირებას მოახდენთ და ამგვარად ხაზინაში შემოსავალი გექნებათ.“

ამჯერად ხელმწიფემ ჰკითხა:

„კარგი, ამ საქმეს ვინ გააკეთებს?“

„უთხრა: „დამადგინე ამ ქვეყნის ხაზინათა განმკარგველად, რადგანაც მე საუკეთესო მეუნჯე და ხაზინადარი ვარ!“ *(სურა იუსუფი, აიათი 55)*

როგორც ამ აიათიდან ჩანს, სამართლიანი და შარიათის კანონების აღმსრულებელი პიროვნების მიერ, ხელმძღვანელის მოვალეობის მოთხოვნა ნებადართულია. მაგრამ მუსლიმების მიერ, ამგვარი მოთხოვნებისა და მისწრაფებების კვალზე დადგომა, ლამაზი არ არის.

ამავე დროს, ამ აიათში მინიშნებულია, რომ იმისთვის, რათა ალლაჰის ბრძანებები დედამიწაზე დომინირებული იყოს, სამართლიანობა გამეფდეს, სავალდებულოა მმართველობა უსამართლო ხელმძღვანელს ჩამოერთვას, მაგრამ ამ მოვალეობის სიმძიმე და პასუხისმგებლობა ძალიან დიდია. აქედან გამომდინარე, ეს შესაფერის ადამიანებს ეკუთვნით.

იუსუფმა, იმის გამო, რომ ამ საკითხში ყველა პირობის მაქსიმალურ ფარგლებში მატარებელი იყო და არსებული ვითარება ამისკენ უბიძგებდა, ფინანსების მეთვალყურეობა თავისთავზე აიღო.

„აი, ამგვარად დავამკვიდრეთ იუსუფი დედამიწაზე, რათა მას ეცხოვრა იქ, სადაც უნდოდა. მოვუვლენთ ჩვენს წყალობას, ვინებებთ ვისაც და არ დავუკარგავთ საზღაურს კეთილისმქმნელთ!

და უთუოდ იმქვეყნიური საზღაური ბევრად უკეთესია, რომელთაც ირწმუნეს და ღვთისმოშიშნი გახდნენ.“ *(სურა იუსუფი, აიათები 56, 57)*

ხელმწიფემ იუსუფს თავისი უფლებამოსილებაც გადასცა და მთელი ეგვიპტის მმართველობაც მას მიანდო.

იუსუფი, როგორც ალლაჰის არჩეული მონა-მსახური და შუამავალი, მათ მონოთეისტურ რწმენას უქადაგებდა. რაღაც დროის შემდეგ, ალლაჰის დიდი წყალობით იუსუფის წინაშე ჭეშმარიტი რწმენა აღიარა. მასთან ერთად ბევრმა ადამიანმა ირწმუნა.

წმინდა იუსუფმა ეგვიპტის მართვა-გამგებლობა და ხაზინადარობა რომ აიღო ხელში, მოვალეობის შესრულება იმით დაიწყო, რომ მიწათმოქმედებას დიდი მნიშვნელობა მიანიჭა. მოსავალი გაიზარდა. მარცვლეულს, რომელიც საჭირო აღარ იყო, ბეღლებში აგროვებდნენ. საბოლოოდ დადგა ის შიმშილობის წლები, რომლებზეც სიზმრის ახსნაში იყო საუბარი. მარაგად შენახული მოსავალი თან ეგვიპტელების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გამოიყენებოდა, თან სხვა ქვეყნებში გადიოდა და ხაზინაში შემოსავალს უზრუნველყოფდა. შიმშილობაში ჩავარდნილი ადამიანები ყოველი მხრიდან მოდიოდნენ და თავიანთთვის სარჩო მიჰქონდათ.

ზულეიხაზე დაქორწინება

იმ დროისთვის, ზულეიხას რაც ებადა, ყველაფერი ხალხისთვის დაერიგებინა და თავისთვის აღარაფერი დარჩენოდა. იუსუფის სიყვარულის გამო, ტირილით თვალის უპეები ჩაუშავდა და სხეული დაუპატარავდა, მოხუც ქალს დაემსგავსა. საბოლოოდ, იმ გზაზე სადაც იუსუფი დადიოდა, ერთ უკაცრიელ ადგილას წავიდა. დაფიქრდა ყველაფერზე, რაც მანამდე თავს გადახდა და ჭეშმარიტებას ჩასწვდა, თაყვანს რომ სცემდა, იმ კერპთან მივიდა და უთხრა:

„საბრალო ხარ შენ და ის, ვინც შენ სეჯდეს გისრულებს თუ მონა-მსახურობას გიწევს! შენ ჩემს მოხუცებულობას ხელი არ შეუშალე, ჩემი იმედების შესრულებისა და გამოუვალ მდგომარეობიდან გამოყვანისთვის, არაფერი არ გააკეთე! დღეის ამას იქით, შენს დიდებულებას უარვყოფ და იუსუფის ღმერთს ვირწმუნებ!“ ამგვარად, დილა-საღამოს სამყაროს გამჩენის, უბადლო და ერთადერთი ღმერთის ხსენებაში იყო.

ერთ დღეს იუსუფმა თანმხლებ მხედრებთან ერთად ზულეიხას სახლის წინ ჩაიარა. ზულეიხა მაშინვე სახლიდან გამოვიდა და იუსუფს ასე დაუძახა:

„თაყვანს ვცემ იმ დიდი ძალის პატრონს, რომელიც სულთნებს ცოდვების მიზეზით—მონად, მონებს კი—ღმერთის მონა—მსახურობის მიზეზით, სულთნად აქცევს!“

იუსუფი საკმაოდ შორს იყო, მაგრამ ალლაჰის ბრძანებით ქარმა ხმა მასთან მიიტანა. იუსუფმა ხმა ვერ იცნო და ამ ხმის პატრონის მდგომარეობით დაინტერესდა. იმათ, ვინც ზულეიხას მდგომარეობის გამოსარკვევად მივიდნენ, უთხრა, რომ ჩემი დარდის წამალი მხოლოდ იუსუფი შეიძლება იყოსო. მის წინაშე მივიდა და იუსუფს

თხოვა, ღმერთისთვის მისთვის ძველებური სილამაზისა და თვალების დაბრუნება ეთხოვა, შემდეგ კი მასზე დაქორწინება სთხოვა.

იუსუფი ღმერთს შეევედრა და მისი პირველი ორი სურვილი შესრულდა. ალლაჰის ბრძანებით, ზულეიჰას ძველებური სილამაზე -თვალები - კვლავ ებოძა. ხოლო ზულეიჰას მესამე თხოვნაზე იუსუფმა თავი დახარა და ღრმად ჩაფიქრდა. ამ დროს, ჯებრაილი მოვიდა და ზულეიჰაზე, რომელიც ჯერ კიდევ უბიწო იყო, იუსუფს უთხრა:

„იუსუფ, ღმერთი სალამს გიგზავნის და გიბრძანებს საბრალო ქალის თხოვნა არ უარყო! მასზე დაქორწინდი. ვინაიდან ის სააქაოშიც და საიქიოშიც შენი მეუღლეა!“

ამ ბრძანების შემდეგ იუსუფმა ზულეიჰაზე იქორწინა, ხელები ცად აღაპყრო და ღმერთს ასე შევედრა:

„ჩემთვის უამრავი სიკეთის მწყალობელო, ყველაზე დიდო შემწყნარებელო, ჩემო ალლაჰო! უსაზღვრო ქება დიდებას გიძღვნი!

ღმერთო! გევედრები, ჩემზე მოღებული წყალობა სრულყოფილი გახადო, მამაჩემი იაყუბი მაჩვენო და იმისთვის რომ მანაც დამინახოს თვალისჩინი დაუბრუნო და ძმებსაც ჩემთან შეხვედრის შესაძლებლობა მისცე! შენ ვედრებების შემწყნარებელი ხარ, ძალა ყველაფრისთვის გეყოფა!“

ძმების სარჩოს საყიდლად მოსვლა და წმინდა იუსუფის ლამაზი გეგმა

ჩამოვარდნილი შიმშილობის გამო, იაყუბმა, იუსუფის ღვიძლი ძმა—ბუნიამინი თავისთან დაიტოვა და დანარჩენი შვილები სარჩოს საყიდლად ეგვიპტეში გაგზავნა.

„და იუსუფის ძმები მოვიდნენ და წარსდგნენ მის წინაშე. (იუსუფმა) **მაშინვე იცნო ისინი, ხოლო მათ ვერ იცნეს იგი.**

და როცა (იუსუფმა) **გაამზადებინა მათთვის მარცვლეულის მარაგი, უთხრა: „მომიყვანეთ მამით თქვენი ძმა** (ბუნიამინიც). **განა ვერ ხედავთ, უეჭველად, მე მთლიან საწყაოს ვიძლევი** (კაცის თავზე) **და** (თქვენი ძმის წილსაც მოგცემთ) **რომ მე საუკეთესო მასპინძელი ვარ?**

ხოლო თუ არ მოიყვანთ მას ჩემთან, მაშინ ჩემგან მარცვლეულის მარაგს ვერ მიიღებთ და ჩემს ახლომახლოს აღარ გაიაროთ!“

თქვეს: „შევეცდებით იგი გამოვთხოვოთ თავის მამას და, უეჭველად, ასე მოვიქცევით.“

და უთხრა თავის მსახურებს: „მათი ფული მათსავე ნივთებში ჩადეთ, ეგება, როცა თავიანთ ოჯახთან დაბრუნდებიან, ნახონ და უკან მობრუნდნენ!“

ხოლო, როცა დაბრუნდნენ თავიანთ მამასთან, უთხრეს: „ჰეი, მამაჩვენო! ჩვენ აგვეკრძალა მარცვლეულის მარაგი. გამოგზავნე ჩვენს ერთად ჩვენი ძმა, რათა მარცვლეულის მარაგი მივიღოთ. და, უეჭველად, დავიცავთ მას ჩვენ.“

უთხრა: „განა, განდოთ თქვენ იგი, როგორც განდე თქვენ მისი ძმა წინათ? მაგრამ ალლაჰი საუკეთესო მფარველია და მწყალობელთა მწყალობელია იგი!“ *(სურა იუსუფი, აიათები 58/64)*

აქედან შემდეგი რამ უნდა გავიგოთ: მორწმუნეები მხოლოდ ალლაჰს უნდა მიენდონ, სხვების მფარველობას არ უნდა ენდონ, რადგან ალლაჰის გარდა ყველა და ყველაფერი მფარველობას საჭიროებს. უზენაესი ალლაჰი კი არაფერს არ საჭიროებს.

იაყუბის შვილები ათასგვარ სიტყვებს აფრქვევდენენ და ცდილობდნენ მამის დათანხმებას ბუნიამინის წასაყვანად:

„და როცა გახსნეს თავიანთი ბარგი, ნახეს მათთვის უკან დაბრუნებული ფული. თქვეს: „ჰეი, მამაჩვენო! რაღა ვინატროთ მეტი? ესაა ჩვენი ფული. უკან დაგვიბრუნეს ჩვენ და ჩვენ შევძლებთ სარჩო ვიშოვოთ ჩვენი ოჯახისთვის, დავიცვათ ჩვენი ძმაც და შევიმატოთ ერთი აქლემის საპალნე. ეს კი ცოტაოდენია.“ *(სურა იუსუფი, აიათი 65)*

საბოლოოდ, წმინდა იაყუბი ბუნიამინის გაგზავნას დათანხმდა.

„(იაყუბმა) უთხრა: „ვერ გამოვგზავნი მას თქვენთან ერთად, სანამ არ დადებთ აღთქმას ალლაჰის წინაშე, რომ უკან ჩამოიყვანთ, თუ არ დაგატყდებათ რაიმე უბედურება თქვენ.“ მაშინ მათ აღთქმა დადეს, უთხრა: ალლაჰია მოწმე, რასაც ვამბობთ ჩვენ .“

უთხრა: ჰეი, შვილნო ჩემნო! (ქალაქში) **ნუ შეხვალთ ერთი კარიბჭით, და შედით სხვადასხვა კარიბჭით. მე ვერ შევცვლი ალლაჰის განგებას თქვენ თაობაზე. რადგან განსჯა მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის, მას ვსასოებ. მაშ, მას უნდა სასოებდეს ყველა მსასოებელი!“** *(სურა იუსუფი, აიათები 66, 67)*

მიზეზი იმისა, რომ იაყუბმა შვილებს ეგვიპტეში სხვადასხვა კარებიდან შესვლა უბრძანა, მათი ახოვანება და ლამაზი ჩაცმულობა იყო. ამავე დროს, წინა მოსვლისას ხელმწიფემ მათ ის პატივი დასდო და მასპინძლობა გაუწია, რაც მანამდე არავისთვის უჩვენებია. ყვე-

ლას გაოცებული მზერა მათკენ იყო მიპყრობილი. ქალაქში ერთად თუ შევიდოდნენ, შეიძლებოდა თავს ცუდი ამბავი დასტყდომოდათ..

„და შევიდნენ ისე, როგორც დაარიგა მამამ. მაგრამ ამან ვერ ააცილა ისინი ალლაჰის განგებას. ეს მხოლოდ იაღყუბის სურვილი იყო, რომელიც აღასრულეს. და უეჭველად, იგი ცოდნას ფლობდა, რომელიც ჩვენ შევასწავლეთ, მაგრამ ადამიანების უმრავლესობა არ უწყიან.“ *(სურა იუსუფი, აიათი 68)*

მე შენი ძმა იუსუფი ვარ!

„და როცა ისინი წარსდგნენ იუსუფთან, ღვიძლი ძმა თავისთან წაიყვანა. უთხრა: „უეჭველად, მე შენი ძმა ვარ! არ ინაღვლო იმის გამო, რასაც ისინი სჩადიოდნენ.“ (*სურა იუსუფი, აიათი 69*

გადმოცემის მიხედვით, წმინდა იუსუფმა ძმებს საჭმელი მისცა. ისინი სუფრასთან ორ-ორი დასვა. ბუნიამინი მარტო რომ დარჩა გული აუჩუყდა და ატირდა:

„ჩემი ძმა იუსუფი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ის ჩემთან ერთად დაჯდებოდა“

იუსუფმა ის თავის სუფრასთან დასვა. ჭამის შემდეგ ძმები სახლებში სტუმრად ისევ ორ-ორად გაუშვა. ბუნიამინი ისევ მარტო დარჩა. იუსუფმა თქვა:

„ამას მეწყვილე არ ჰყავს, მაშინ ის ჩემთან დარჩეს!“

ამგვარად, ბუნიამინი ღამე მასთან დარჩა. იუსუფმა მას უთხრა:

„შენი მკვდარი ძმის ადგილზე ძმად მიმიღებ?“

ბუნიამინმა უთხრა:

„შენნაირ ძმაზე უარს ვინ იტყვის! მაგრამ შენი მამა-იაყუბი, დედა კი, რაჰილე არ არის..“ წმინდა იუსუფმა ტირილი დიწყო, ადგა და ბუნიამინს გადაეხვია. შემდეგ მას სიმართლე უთხრა:

„მე შენი ძმა ვარ, მათ მიერ ჩვენთვის გაკეთებულს ყურადღება არ მიაქციო!“

იუსუფის მიერ ბუნიამინისთვის ნათქვამში: „მათ მიერ წარსულში ჩვენთვის გაკეთებულს ყურადღება არ მიაქციო!“-დევს მინიშნება, რომ ალლაჰი შურისმაძიებლებს ჯილდოს არ მოაპოვებინებს. სწორედ, იუსუფს რა გაუკეთეს, შური როგორ იძიეს და რა ტანჯვა გადაატანინეს, მაგრამ საწადელი ვერ აიხდინეს. უზენაესმა ალლაჰ-

მა თავდაპირველად ორი ძმა, შემდეგ კი, იაყუბი და იუსუფი ერთმანეთს შეახვედრა.

წმინდა იუსუფის მიერ ბუნიამინის დატოვება

მას შემდეგ, რაც თავისი თავი გააცნო, იუსუფმა ბუნიამინს უთხრა:

„ძმაო, შენ მე ჩემთან დაგიტოვებ. შენ იცი, რომ ჩემთან განშორების გამო, მამაჩვენის დარდი და მწუხარება უსაზღვროა. თუკი შენც აქ დაგიტოვებ, მისი მწუხარება უფრო გაიზრდება. მაგრამ იმისათვის, რომ ცოტა ხნის შემდეგ მას შევხვდეთ, ასე მოქცევაა საჭირო. მე ამ საკითხზე ლამაზ გეგმას მოვამზადებ!“

ბუნიამინს ასე რომ უთხრა, შემდეგ:

„ხოლო (იუსუფმა) როცა გაამზადებინა მათი მარცვლეულის მარაგი, ჩადო თავისი ღვიძლი ძმის (ბუნიამინის) ნივთებში ფიალა. (ქარავანი დაიძრა თუ არა) ერთმა გზირმა შესძახა: „ჰეი, მექარავნენო, (გაჩერდით!) უეჭველად, თქვენ ქურდები ხართ!“

მათკენ მიბრუნდნენ და უთხრეს: „რა დაკარგეთ?“

მიუგეს: „დავკარგეთ მეფის თასი. ვინც მას მოიტანს, ერთი აქლემის საპალნე მას და ამის თავდები მე თვითონ ვარ“.

ძმებმა თქვეს: „ვფიცავთ ალლაჰს! თქვენ კარგად იცით, რომ ამ მხარეში სიავეების ჩასადენად არ მოვსულვართ და ჩვენ ქურდები არ ვართ“.

უთხრეს: თუკი თქვენ აღმოჩნდებით მატყუარები, მაშინ რა სასჯელი ეკუთვნის მას ?“

თქვეს: „სასჯელი იმისა, ვისაც თავის აბგაში აღმოუჩნდება, თავად თვითონაა სასჯელი. ასე ვსჯით უსამართლონს.“ *(სურა იუსუფი, აიათები 70-75)*

იაყუბის შარიათის კანონების მიხედვით, ქურდს თუ დაიჭერდნენ, ჩადენილი საქმის სანაცვლოდ, ერთი წლის განმავლობაში მოპარული ქონების სანაცვლოდ, ქონების პატრონს მონად დაუყენებდნენ. ეგვიპტის კანონების მიხედვით კი, ქურდს გაროზგავდნენ და მოპარული ქონების ორმაგ საფასურს გადაახდევინებდნენ.

წმინდა იუსუფმაც, იმისთვის, რომ ბუნიამინი თავისთან დაეტოვებინა, მისი დასჯა მამის შარიათის მიხედვით ისურვა.

„დაიწყო მათი აბგების დათვალიერება, თავისი ღვიძლი ძმის აბგაზე წინ. მერე ღვიძლი ძმის აბგიდან ამოიღო იგი. ასეთი მეთოდი

შევამზადეთ იუსუფისთვის. ვერ შეძლებდა, რომ შეაკავებინა თავის ძმა მეფის კანონიდან გამომდინარე, თუ არ ინებებდა ამას ალლაჰი. ჩვენ ხარისხით უმაღლესვჰყოფთ, ვინებებთ ვისაც. რამეთუ ცოდნის მქონეზე ზემოთ ყოვლისმცოდნეა!

მათ თქვეს: თუ ამან მოიპარა, მისმა ძმამაც მოიპარა უწინ.“ მაგრამ ეს იუსუფმა გულში ჩაიდო და არ გაუმხილა იგი მათ. თქვა: მით უარესია თქვენი მდგომარეობა და ალლაჰი უწყის, რასაც ამბობთ.“ *(სურა იუსუფი, აიათები 76, 77)*

თქმულების მიხედვით, იუსუფი მამიდას ძალიან უყვარდა. მაგრამ როცა გაიზარდა, მამამ თავისთან წამოყვანა ისურვა. მამიდა კი იუსუფს არაფრით შორდებოდა. ამის გამო, იბრაჰიმის მიერ მისთვის მემკვიდრეობით დატოვებული ქამარი წელზე შემოარტყა. შემდეგ თქვა, რომ ქამარი დაეკარგა. ქამარი მოძებნეს და იუსუფს უნახეს შემორტყმული. კანონის თანახმად, იუსუფი თავისთან დაიტოვა. იუსუფის ძმებს ამ მდგომარეობის მინიშნება უნდოდათ.

„უთხრეს: დიდებულო ვეზირო! უეჭველად, ჩვენ ღრმად მოხუცი მამა გვყავს. დაიტოვე ჩვენგან ერთ-ერთი ამის სანაცვლოდ. უეჭველად, ჩვენ ვხედავთ, რომ შენ კეთილისმქმნელთაგანი ხარ.

მიუგო: ალლაჰმა დაგვიფაროს, რომ სხვა ავიყვანოთ ნაცვლად იმისა, ვისთანაც აღმოვაჩინეთ ჩვენი ქონება. თუკი ჩვენ ასე მოვიქცევით, მაშინ უთუოდ უსამართლონი ვიქნებით!

ხოლო როცა ყოველგვარი იმედი გადაეწურათ, მოსათათბირებლად განმარტოვდნენ. მათგან უფროსმა თქვა: განა, არ იცით, რომ მამათქვენმა აღთქმა დაგადებინათ ალლაჰის წინაშე და მის წინაც, რაც იუსუფის მიმართ ჩაიდინეთ? ამიტომ არ წავალ ამ ქვეყნიდან, ვიდრე ნებას არ მომცემს მამაჩემი ან არ განმსჯის ალლაჰი, რამეთუ იგი საუკეთესოა მსაჯულთა შორის!

თქვენ დაბრუნდით მამათქვენთან და ასე უთხარით: ჰეი, მამაჩვენო! შენმა შვილმა ნამდვილად იქურდა. ჩვენ მხოლოდ იმას ვმოწმობთ, რაც ვიცით, ხოლო ჩვენ არ ვიცით იდუმალი.

ჰკითხე ქალაქს, რომელშიც ვიყავით და ქარავანს, რომელთან ერთადაც დავბრუნდით. უეჭველად, ჩვენ სიმართლეს ვამბობთ.“ *(სურა იუსუფი, აითები 78-82)*

ადგდნენ, მამასთან მივიდნენ და ძმის სიტყვები ზუსტად გადასცეს.

ჯილდოს კარების გამღები ტანჯვა

„(მამამ) თქვა: „არა! სულმა თქვენმა კეთილად მოგაჩვენათ ეს საქმე. აწ ძლიერი მოთმინება მმართებს. ეგების, ალლაჰი ყველას დამიბრუნებს. უეჭველად, იგი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!“ *(სურა იუსუფი, აიათი 83)*

გამომდინარე იქიდან, რომ ადრე ძმებმა მამას იუსუფის ჭაში ჩაგდების შესახებ ტყუილი უთხრეს, ამჯერად სიმართლეც რომ ყოფილიყო, მამამ დაჯერება არ ისურვა და უთხრა:

„არა, თქვენ ვნებამ შეგაცდინათ და ამგვარი დიდი საქმისკენ გიბიძგათ, თორემ ჩევნი შარიათის მიხედვით, ქურდის ტყვედ დატოვება, ეგვიპტის მბრძანებელს, საიდან უნდა სცოდნოდა?“

„გატრიალდა მათგან და თქვა: „ოჰ! საცოდავი იუსუფი!“ და ორივე თვალზე სითეთრე მოედო. მაგრამ გულში იკლავდა მწუხარებას.“ *(სურა იუსუფი, აიათი 84)*

იაყუბი იუსუფის დაკარგვის დღიდან დადარდიანებული იყო. ის ამ მდგომარეობით ღმერთს იმდენად დაუახლოვდა, რომ იმ დროს დედამიწაზე, ალლაჰის თვალსაზრისით, იაყუბზე ღირსეული არავინ იყო.

ალლაჰის შუამავალიც თავისი მიმდევრებისგან ითხოვდა, რომ დიდი თუ მცირე უბედურება მოეთმინათ და ღმერთისგან წყალობის იმედი ჰქონოდათ. იმ მომთმენებს, ვინც ორი საყვარლით (ესე იგი, ორი თვალი წაართვა) გამოსცადა, ამცნო რომ სანაცვლოდ სამოთხე ელოდებათ. *(იხ. ბუჰარი, მერდა, 7)*

იაყუბმა ტირილის გამო მხედველობა დაკარგა, მას თავისი შვილების ნამოქმედარის დანახვა რომ შეძლებოდა, მისი დარდი და მწუხარება უფრო გაიზრდებოდა.

ᔓ

გადმოცემის მიხედვით, იაყუბი ორმოცი წლის გამნმალობაში ტიროდა. მისი სიბრმავის შესახებ ზოგიერთები ასე ამბობდნენ:

უზენაესმა ალლაჰმა იაყუბს ეს სიბრმავე იუსუფის ზმანებისა კი არა, ალლაჰის მიმზიდველობის თვისების მუდმივად საცქერლად უბოძა. რადგან დიადი ღმერთი იუსუფში მიმზიდევლი სინათლით გამოვლინდა. იაყუბს ის ასე ძალიან ამიტომ უყვარდა. მაგრამ მის წინაშე ჩადენილი შეცდომის გამო, ღმერთმა იუსუფი მისგან წაიყვანა და ის თვალისჩინიც წაართვა, რომლითაც მას უცქეროდა.

აქ მინიშნებულია, რომ ადამიანი სამყაროს სილამაზეს თვალით რომ უცქერის, ის გულში უნდა ჩაიბეჭდოს და მანამ, სანამ მათი ცქერის საშუალება ექნება უნდა ეცადოს, რომ ღვთიურ მიმზიდველობას თვალყური ადევნოს.

ალლაჰის წყალობის იმედი არ უნდა გადაიწურო!

„(შვილებმა წმინდა იაყუბს)

უთხრეს: „ვფიცავთ ალლაჰს! შენ კიდე იუსუფზე ფიქრს აგრძელებ. ბოლოს და ბოლოს თავს დაისნეულებ ან დაიღუპავ.“

მიუგო: „მხოლოდ ალლაჰს შევჩივი ჩემს ნაღველს და დარდს. და მე ვუწყი ალლაჰისგან იმას, რასაც თქვენ არ უწყით.

ჰეი, შვილნო ჩემნო! წადით, იუსუფი და მისი ძმა კარგად მოძებნეთ. და ალლაჰის წყალობის იმედს ნუ გადაიწურავთ. უეჭველად, არ ეწურებათ იმედი ალლაჰის მოწყალებიდან, გარდა ურწმუნო ხალხისა.“ *(სურა იუსუფი, აიათები 85, 86, 87)*

ალლაჰისგან იმედის გადაწურვა, დიადი ღმერთის მოწყალისა და შემწყალებლის თვისებების შეუმეცნებლობას ნიშნავს. რადგან ფარაონმაც კი ბოლო ამოსუნთქვისას ალლაჰის სახელი ახსენა.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„არ მოიწყვიტოთ იმედი ალლაჰის წყალობისგან.“ *(სურა ზუმერი, აიათი 53)*

როგორც ამ აიათშიც ჩანს, ღმერთის იმედს მხოლოდ ურწმუნოები გადაიწურავენ.

იაყუბს, რომელსაც ეს ნორმად ჰქონდა დაწესებული, იმედი არ დაუკარგავს და ეგვიპტის მბრძანებელს, (ესე იგი-შვილს იუსუფს-) სხვა შვილების ხელით წერილი გაუგზავნა.

„(ბისმილლაჰირ რაჰმანიირ რაჰიმ) მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით!“

ალლაჰის მეგობრის-იბრაჰიმის ძე ისჰაყის ძე ისრაილის ძის- იაყუბისგან ეგვიპტის მბრძანებელს:

ჩვენ ვართ გვარი, რომელთაც ბევრი უბედურება დაგვატყდა თავს. ჩემი წინაპარი იბრაჰიმი ნემრუდის ცეცხლით გაიტანჯა, მაგრამ მოითმინა. ღმერთმა ის სამშვიდობოს გამოიყვანა. მამაც სხვა გატაცებებით გამოიცადა და მოითმინა. ალლაჰმა ისიც დააჯილდო-

ვა. რიგი ჩემზე მოდგა და მეც შვილი იუსუფი დავკარგე. მის გამო, ტირილით თვალისჩინი დავკარგე, წელში მოვიხარე. მე სიმშვიდეს, ჩემ გვერდით, ამანათად დატოვებული შვილი მაპოვნინებდა. გითქვამთ, რომ ის ქურდია. ჩვენ გვარში ქურდი არ გამოვა. ჩვენ ქურდებს არ ვაჩენთ. მას მე თუ დამიბრუნებ დამიბრუნებ, თუ არა და ისე დაგწყევლი, რომ ეს წყევლა შენს შვიდ თაობაზე გადავიდეს!“

იუსუფმა ეს წერილი რომ წაიკითხა, ატირდა და შემდეგი პასუხი მისწერა:

„(ბისმილლაჰირ რაჰმანიირ რაჰიმ) მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით!“

ისრაელის ძე იაყუბს ეგვიპტის მბრძანებლისგან;

მოხუცო ადამიანო, თქვენი წერილი მოვიდა. ის წავიკითხე და მის შინაარსს მივხვდი. იქ ღვთისმოსავ წინაპრებს ახსენებ და თითოეული მათგანის უბედურებებში ჩავარდნასა და მოთმინებაზე წერ. როგორც ისინი ითმენდნენ, შენც ისე მოითმინე! ეს ბოლო სიტყვაა!“

იაყუბმა წერილი რომ წაიკითხა, თქვა:

„ალლაჰს ვფიცავ, რომ ეს ხელმწიფის წერილი არ არის, ეს შუამავლის წერილია. ამის დამწერი თუ იქნება, იუსუფი იქნება!“ და იმისთვის, რომ შვილებს სინამდვილე გაეგოთ, ისევ ეგვიპტეში გაგზავნა. ისინიც ისევ გზას გაუდგნენ:

„ხოლო როცა წარსდგნენ ისინი მის წინაშე, უთხრეს: „ჰეი, დიდებულო ვეზირო! ჩვენ და ჩვენს ოჯახს გაჭირვება გვეწვია. და მოვედით მხოლოდ მცირედი ქონებით. მაგრამ მოგვეცი მის სანაცვლოდ სრული საწყაო, და გვიმოწყალე ჩვენ. უეჭველად, ალლაჰი დააჯილდოვებს გულმოწყალეებს“.

უთხრა: „გაიხსენეთ თუ არა, რა უყავით იუსუფს და მის ძმას, როცა იყავით უმეცარნი?“ *(სურა იუსუფი, აიათები 88, 89)*

სამაგალითო პატიება

„(ძმებმა) უთხრეს: ნუთუ ნამდვილად იუსუფი ხარ შენ? მიუგო: (დიახ) „მე იუსუფი ვარ, ეს კი ჩემი ძმაა! ალლაჰმა ჩვენ მოწყალება გვიბოძა. რადგანაც, ვინც ღვთისმოშიშია და (თავს დამტყდარ უბედურებებს) მოითმენს, უეჭველად, ალლაჰი არ დაუკარგავს საზღაურს კეთილისმქმნელთ!“

(ძმებმა) თქვეს: „ვფიცავთ ალლაჰს, უთუოდ ალლაჰმა უპირატესგყო ჩვენზე და ჩვენ (შენდამი მოქმედებით) დიახაც რომ შევსცოდეთ!“

(იუსუფმა) მიუგო: „დღეს არ არს კიცხვა თქვენზე. დაე, ალლაჰმა შეგინდოთ, რამეთუ იგი მოწყალეთა უმოწყალესია!“ *(სურა იუსუფი, აიათები 90-92)*

აღზრდის მეთოდთაგან ყველაზე ლამაზი ბოროტებაზე სიკეთით პასუხის გაცემაა. ასეთ შემთხვევაში მტერი მტრობას თავს ანებებს, მასში კარგი მიზნები და მეგობრობა იჩენს თავს. ბოროტების ჩამდენი მეგობარი უფრო ახლობელი ხდება და სიყვარული ჩნდება. ეს ჭეშმარიტება აიათში ასეა გადმოცემული:

وَلا تَسْتَوِي الْحَسَنَةُ وَلَا السَّيِّئَةُ اِدْفَعْ بِالَّتِي هِيَ أَحْسَنُ

فَإِذَا الَّذِي بَيْنَكَ وَبَيْنَهُ عَدَاوَةٌ كَأَنَّهُ وَلِيٌّ حَمِيمٌ

„არ არის თანასწორი სიკეთე და სიავე. დახვდი იმით, რომელიც საუკეთესოა. მაშინ იგი მტრობა, რაც შენსა და მას შორის იყო, გექცევა გულითად მეგობრად.“ *(სურა ფუსსილათი, აიათი 34)*

ამ საკითხზე ალლაჰის შუამავლისგან საოცარი მაგალითი:

აბუ სუფიანი შუამავლობამდე წმინდა მუჰამმედ შუამავლის მეგობარი იყო. შუამავლობის შემდეგ კი მას მტრად გადაეკიდა და სატირული პამფლეტები დაწერა. შუამავლის პოეტმა ჰასსან იბნ საბითმა ამ პამფლეტებს პასუხი გასცა. შემდეგში აბუ სუფიანმა თავისი საქციელი ინანა და მედინაში, სადაც ალლაჰის შუამავალი იმყოფებოდა, გზას გაუდგა. ებვას უბანში წმინდა მუჰამმედ შუამავალს (ს.ა.ს) შეხვდა. შუამავალს მისთვის სახეში არ შეუხედავს. აბუ სუფიანი ამან ძალიან დაამწუხრა. იმ აიათით, რომელიც მას ადრე ალიმ ასწავლა, პატიება ითხოვა: **„თქვეს: „ვფიცავთ ალლაჰს, უთუოდ ალლაჰმა უპირატესგყო ჩვენზე და ჩვენ დიახაც რომ შევსცოდეთ!“** *(სურა იუსუსფი, აიათი 91)* ალლაჰის შუამავალმაც, რომელიც შემწყნარებლობის ოკეანეს წარმოადგენდა, სურა „იუსუფიდან:“

„მიუგო: „დღეს არ არს კიცხვა თქვენზე. დაე, ალლაჰმა შეგინდოთ, რამეთუ იგი მოწყალეთა უმოწყალესია!“ *(სურა იუსუფი, აიათი 92)* და ამგვარად, აბუ სუფიანს ყველაფერი აპატია. ეს მდგომარეობა, უზე-

ნაესი ალლაჰის მიმტევებლობის თვისების, ადამიანებში წარმოჩენის ყველაზე კარგი გამოვლინებაა.

ჩემი პერანგი მამას თვალებზე მოუსვით!

იუსუფმა ძმებს უსაზღვრო მოწყალების გამოჩენით მიუტევა და თავისი პერანგი მამასთან გაატანა. ძმებს ასე უთხრა:

„წაიღეთ ეს ჩემი პერანგი და გადააფარეთ მამაჩემს სახეზე. მხედველობა დაუბრუნდება. და მთელი ოჯახით ჩემთან დაბრუნდით.“ *(სურა იუსუფი,აიათი 93)*

იუსუფი ძმებს დილა-საღამოს წვეულებას უმართავდა და მათ გულუხვად უმასპინძლდებოდა. ძმები კი მისთვის ადრე გაკეთებულს იხსენებდნენ და ამის გამო რცხვენოდათ. მასთან ერთი კაცი გაგზავნეს და უთხრეს:

„შენ, დილა-საღამოს ჩვენ საჭმელზე გვპატიჟებ! ჩვენ კი, იმის გამო, რაც გაგიკეთეთ გვრცხვენია!“

იუსუფმა თავმდბლობა თუ გულჩვილობა გამოიჩინა და უპასუხა:

„ეგვიპტელები მე დღემდე ისე მიცქერდნენ, როგორც დილეგიდან გამოსულ ტყვეს და ამბობდნენ, ალლაჰმა გვაპატიოს, მაგრამ ოც დირჰემად გაყიდულმა მონამ რას მიაღწია, შეხედე! დღეს, თქვენი მეშვეობით მე პატივი მოვიპოვე, რადგან ისინი მიხვდნენ, რომ მე თქვენი ძმა და დიდი შუამავლის იბრაჰიმის შვილიშვილი ვარ! “ მათ პატივისცემით მოეპყრო და დაამშვიდა.

„და როცა ქარავანი გასცილდა (ეგვიპტეს), თქვა მათმა მამამ: (გვერდით მყოფებს) „უეჭველად, მე ვგრძნობ იუსუფის სურნელს, თუკი უგუნურად არ შემრაცხავთ.“

(მათაც) უთხრეს: „ვფიცავთ ალლაჰს, უეჭველად, შენ კვლავინდებურად გზააბნევაში ხარ!“ (სურა იუსუფი, აიათები 94, 95**)**

წმინდა იაყუბის თვალების ახელა

„ხოლო როცა მოვიდა მახაროზელი, გადააფარა მას იგი სახეზე და მაშინვე დაუბრუნდა მხედველობა. (იაყუბმა) უთხრა: განა არ მითქვამს თქვენთვის, უეჭველად, მე ვუწყი ალლაჰისგან (ზეშთაგონებით) იმას, რასაც არ უწყით თქვენ?“ *(სურა იუსუფი, აიათი 96)*

ეს მახარობელი, წმინდა იაყუბის შვილი, იეჰუდა იყო. „იუსუფის სისხლიანი პერანგი მამას მე მივუტანე, ის დარდში დავახრჩე. ახლა ამ პერანგს ისევ მე წავუღებ და მამას გავახარებ!“ გადმოცემის მიხედვით, ამ ფიქრით შეპყრობილმა ეგვიპტიდან ქენანის მხარემდე, გზა ფეხშიშველმა და თავშიშველმა გაიარა.

წმინდა მევლანა ამ აიათთან დაკავშირებით, იმას, რომ ალლაჰის საიდუმლოებების ცოდნა მხოლოდ გულის უნარით მქონეთ ეწყალობებათ, ასე გამოხატავს:

იაყუბი თავადაც იყო იმ არაჩვეულებრივი მახასიათებლების მფლობელი, რომელსაც იუსუფში ხედავდა. იუსუფში იმ ნათელს, რომელსაც იაყუბი თავისი გამჭრიახობით ხედავდა, ძმები ვერ ხედავდნენ. რადგან ძმების გულის სამყარო შორს იდგა იუსუფის არაჩვეულებრივი თვისებების დანახვისა და გაგებისგან. ღმერთის შუამავალმა—იაყუბმა—თავისი მახასიათებელები იუსუფში რომ დაინახა, გულმა მისკენ გაუწია.

იაყუბს იუსუფისადმი მიდრეკილება ჰქონდა. აქედან გამომდინარე, იუსუფის პერანგის სუნმა მასთან ძალიან შორი მანძილიდან მიაღწია. ხოლო ძმები, რომელთაც ეს პერანგი ხელში ეჭირათ, ამ სუნს ვერ გრძნობდნენ, რადგან იუსუფის პერანგი ძმების ხელში ამანათი იყო. ძმებს მხოლოდ და მხოლოდ პერანგის იაყუბთან მიტანა და გადაცემა ევალებოდათ. ესე იგი, ის პერანგი ძმების ხელში იგივე იყო, რაც ტყვით მოვაჭრის ხელში გულმოდგინე მხევალი. ეს მხევალი, ტყვით მოვაჭრეს კი არა, იმ ადამიანს ეკუთვნის, ვინც მისი ფასი იცის და მას იყიდის.

იუსუფის პერანგით იაყუბისთვის თვალების ახელა იმ თვისობრიობის მაგალითია, რომ ადამიანსა თუ მისთვის არამატერიალური ღირებულების ნივთს შორის კავშირია და ეს ღვთიური დახმარების საშუალებაა.

„(შვილებმა) უთხრეს: „ჰეი მამაჩვენო! ჩვენი ცოდვების გამო (ალლაჰის) შენდობა შესთხოვე. უეჭველად, ჩვენ განზრახ ცოდვა ჩავიდინეთ!“

(იაყუბმა) მიუგო: „თქვენთვის შენდობას შევთხოვ ჩემს ღმერთს ახლო ხანში. უეჭველად, იგი შემნდობია, მწყალობელია.“ *(სურა იუსუფი, აიათები 97, 98)*

იაყუბმა, „თქვენთვის ღმერთს მიტევებას ვთხოვო!“ იმიტომ უთხრა, რომ მანამ, სანამ ღმერთს თხოვ მიტევებას, უნდა გაპატიოს იმან, ვის წინაშეც დანაშაული ჩაიდინე. შვილებისთვის მიტვების ღმერთისთვის თხოვნა იუსუფის ნახვამდე გადადო.

დიდი მონატრების შემდეგ შეხვედრა, სიხარული და ახდენილი სიზმარი

წმინდა იუსუფთან ერთად ხელმწიფე თუ მთელი ხალხი წმინდა იაყუბისა და ოჯახის წევრების შესახვედრად გამოვიდა და მწკრივად მოეწყო. იაყუბი და იუსუფი ერთმანეთის პირისპირ რომ აღმოჩნდნენ, ყველა ცხენიდან ჩამოქვეითდა და ორი შუამავალი ერთმანეთს გადაეხვია. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„(ყველა ერთად ეგვიპტისკენ დაიძრა) **ხოლო როცა ისინი მივიდნენ იუსუფთან, მოეხვია მშობლებს და უთხრა: „შემოდით ეგვიპტეში, ალლაჰის ნებით, უსაფრთხოდ!“** *(სურა იუსუფი, აიათი 99)*

დიდი ჯილდო, მუდამ დიდ უბედურებასა და ძნელი გატაცებების წინაშე გამოჩენილ, ლამაზ მოთმინებას მოჰყვება.

იაყუბმა, ამ შეხვედრისთანავე ხელები ცად აღაპყრო და ალლაჰისადმი უდიდესი მადლიერების გრძნობით აღსავსემ, შემდეგი ვედრება წარმოთქვა:

„ჩემო ალლაჰო, იუსუფისთვის ჩემი გოდება, მასთან დაშორების გამო, მცირე მოთმინება და ჩემი შვილების მიერ ძმისთვის გაკეთებული, მოგვიტევე!“

წმინდა იუსუფიც უდიდეს მადლიერებას განიცდიდა და ღმერთს ადიდებდა:

„აიყვანა მან თავისი მშობლები ტახტზე და მათ აღასრულეს მისთვის სეჯდე. და უთხრა: ჰეი, მამავ ჩემო! ეს არის განმარტება იმისა, რაც წინათ სიზმრად ვნახე. ჩემმა ღმერთმა ცხადჰყო იგი. სიკეთე მიყო, როცა დილეგიდან გამომიყვანა და თქვენც მოგიყვანათ უდაბნოდან მის მერე, რაც ეშმაკმა შუღლი ჩამოაგდო ჩემსა და ჩემს ძმებს შორის. უეჭველად, ღმერთი ჩემი სიკეთის მიმცემია, ინებებს ვისთვისაც. უეჭველად, იგი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია!

„ღმერთო ჩემო! შენ მე მიბოძე ძალაუფლება და მასწავლე სიზმრების ახსნა. ცათა და დედამიწის გამჩენო, შენ ხარ ჩემი მფარველი წუთისოფელში და საიქიოში. მიმიბარე შენ მუსლიმად და დამამკვიდრე კეთილისმქმნელთა შორის!“ *(სურა იუსუფი, აიათები 100, 101)*

გადმოცემის მიხედვით, წმინდა იაყუბი ეგვიპტეში შვილთან დარჩა და ოცდაოთხი წლის შემდეგ გარდაიცვალა. დაკრძალულ იქნა დამასკოში, მამის ისჰაყის გვერდით, როგორც ანდერძად ჰქონდა დატოვებული. ეგვიპტელებმა, იმის გამო, რომ იუსუფი ძალიან უყვარდათ, მისი თავიანთ სამშობლოში დატოვება ისურვეს. წმინდა იუსუფიც მამის შემდეგ ეგვიპტეში კიდევ ოცდასამ წელიწადს დარჩა. გარდაცვალების შემდეგ, ეგვიპტელებმა მისი ცხედარი მარმარილოს სკივრში ჩაასვენეს და ნილოსში ჩაძირეს. შემდეგ, წმინდა მუსამ მისი ცხედარი იპოვა და მამის—იაყუბის—გვერდით დაკრძალა.

შესაფასებელი კითხვები

ა. გაეცით პასუხები ქვემოთ მოცემულ კითხვებს

1. რა არის სურა იუსუფის ზეგარდმოვლენის მიზეზი?
2. რა იყო ის საზიზღარი თვისება, რომელმაც ძმებს წმინდა იუსუფის მოკვლისკენ უბიძგა?
3. ჭაში რომ აგდებდნენ, იუსუფი, ღმერთს როგორ ეხვეწებოდა?
4. მიუხედავად დილეგში ცხოვრების ყველა სიძნელისა და დარდისა, იუსუფის მიერ დილეგში მყოფთათვის მონოთეიზმის ქადაგება, ჩვენ რის მაგალითს გვაძლევს?
5. რა გახდა წმინდა იუსუფის პატიმრობიდან განთავისუფლების მიზეზი?
6. რას გვასწავლის ის ფაქტი, რომ ზულეიჰამ, როცა ცოდვის ჩადენას აპირებდა, ოთახში დადგმულ უსულო კერპს ფარდა ჩამოაფარა?
7. იუსუფმა ძმების ბოროტებას სიკეთით უპასუხა. მათ შერცხვათ. რა სიტყვები იყო იუსუფის თავმდაბლობისა და გულჩვილობის მაჩვენებელი?
8. რას ნიშნავს მდგომარეობის ტრანსფერი?
9. ახსენით რატომ უყვარდა იაყუბს იუსუფი სხვა შვილებზე მეტად.
10. განმარტეთ რა სარგებელი მოაქვს სურა „იუსუფის“ სწავლასა და სწავლებას.
11. რამდენ ჯგუფად იყოფა სიზმრები? ჩამოთვალეთ სახეობები!

12. იუსუფის მიერ შემდეგი სიტყვების თქმა „მე ხაზინადარის პასუხისმგებლობა დამაკისრეთ“- ისლამურ თავმდაბლობასთან წინააღმდეგობაში არ მოდის? განმარტეთ!

13. რას გვახსენებს იუსუფის მიერ ძმებისთვის პატიება და გულისხმიერი მოპყრობა?

ბ. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები

1. იუსუფის ამბავი, ყურანში ---------- გამოხატული.
2. ყურანში ნოველის სახით პირველად ---------- სურა მოევლინა.

გ. შემოხაზეთ ქვემოთ მოცემული კითხვების სწორი პასუხები

1. ჩვენთვის რა კარგი მაგალითია მისთვის გაკეთებული ყველა ბოროტების მიუხედავად, იუსუფის მიერ ძმებისთვის პატიება, და თქმა: „დღეს თქვენ არაფერს გსაყვედურობთ და არ შეგარცხვენთ. ღმერთმა გაპატიოთ! ის მწყალობელთაგან ყველაზე მოწყალეა!“ ამის მიხედვით, ქვემოთ მოცემულთაგან, რომელი არ არის ბოროტებაზე სიკეთით პასუხის შედეგი?

ა. ქრება ადამიანებს შორის სიძულვილი და შუღლი.

ბ. ბოროტების სანაცვლოდ კარგი საქციელი იმ ადამიანებს შორის თუ მოხდება, რომლებიც ადრე მეგობრები იყვნენ, მათ შორის სიყვარული და მეგობრობა უფრო მტკიცდება.

გ. ბოროტების ჩამდენის მიმართ სიკეთის ჩადენა, ბოროტის კიდევ უფრო გაბოროტებას უწყობს ხელს.

დ. ალლაჰის ბრძანებების მიმართ მორჩილებით, მის კმაყოფილებასთან ერთად, გულის სიმშვიდესაც მოვიპოვებთ.

2. ---------- სხვას რომ იმ ქვას ესვრის, რომელიც უკან თვალში მასვე მოხვდება და დააბრმავებს, იმ ადამიანის მდგომარეობას ჰგავს. რომელი სიტყვა უნდა ჩაისვას გამოტოვებულ აგილას?

ა. სიამაყე

ბ. ჟინი

გ. შური

დ. სიზარმაცე

3. წმინდა იუსუფის ჭაში ჩაგდება და მას შემდეგ მომხდარი შემთხვევები ბევრი ადამიანისთვის იქცა გამოცდად და გაკვეთილად. ამის მიხედვით, რომელია ქვემოთ მოცემულთაგან შეცდომა?

ა. იუსუფი იძულებული გახდა დაქორწინებულიყო ზულეიჰაზე, რომელიც მისი მტერი იყო.

ბ. იაყუბი დაშორდა შვილს, რომელიც ძალიან უყვარდა, გულზე ჰყავდა მიჯაჭვული და მისი თვალის სინათლეს წარმოადგენდა.

გ. იუსუფი მიხვდა, რომ სილამაზეს არავითარი ფასი ჰქონდა და რომ თავის შეფარება მხოლოდ ღმერთზე შეიძლებოდა.

დ. ძმებისთვის, მათი ბოროტების მიუხედავად, იუსუფის კეთილი საქციელი გაკვეთილად იქცა.

4. (იუსუფმა) თქვა: „ღმერთო ჩემო! დილეგი ჩემთვის უფრო უკეთესია იმაზე, რისკენაც მიხმობენ, დილეგში ყოფნა მირჩევნია იმის გაკეთებას, რასაც მაიძულებენ, და თუ მათ მზაკვრობას არ ამაცილებ, შეიძლება გადავიხარო მათკენ და უგუნურთა შორის აღმოვჩნდე!“ *(სურა იუსუფი, აიათი 33)* **ამ ვედრების შედეგად, ქვემოთ მოცემულთაგან, როგორი შედეგი შეიძლებოდა დამდგარიყო?**

ა. ვნების საფრთხისა და ბოროტებისგან ხსნის ერთადერთი გზა-ალლაჰზე თავშეფარება, მისი ბრძანებების შესრულებაა.

ბ. იუსუფი შუამავალი იყო, მაგრამ ცოდვის ჩადენა შეეძლო.

გ. ადამიანი, რომელსაც სული ვნების საწინააღმდეგოდ აქვს გაძლიერებული, შეცდომასა და ცოდვას არ ჩაიდენს.

დ. ყველამ, ვისაც ემუქრება ვნებაზე დამორჩილების საფრთხე, დილეგი უნდა არჩიოს.

5. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია იუსუფის მიერ ბუნიამინის თავისთან დატოვების ნამდვილი მიზეზი?

ა. ძმებს შორის, ყველაზე მეტად, ბუნიამინი უყვარდა.

ბ. მამასთან, იაყუბთან, შესახვედად საფუძვლის მომზადება.

გ. ბუნიამინის დასჯა იმისათვის, რომ ხელმწიფის წყლის ტოლჩა აიღო და დამალა.

დ. ძმების ბოროტებისგან ბუნიამინის დაცვის სურვილი.

6. „ და როცა ისინი წარსდგნენ იუსუფთან, ღვიძლი ძმა (ბუნიამინი) თავისთან წაიყვანა. უთხრა: „უეჭველად, მე შენი ძმა ვარ! არ ინაღვლო იმის გამო, რასაც ისინი სჩადიოდნენ.“- (სურა იუსუფი, აიათი 69) **ამ აიათიდან, რა შედეგის მიღებაა შეუძლებელი?**

ა. იუსუფის მიერ ბუნიამინის დამშვიდება.

ბ. ძმების ბოროტი განზრახვა და მიზნები მას ზიანს ვერ მიაყენებდა.

გ. ბუნიამინის, რომელსაც ძმებზე შურისძიება სურდა, დამშვიდება.

დ. იუსუფის მიერ ბუნიამინისთვის იმის რჩევა, რომ ძმების შურიანობა და ბოროტება მოეთმინა.

7. „იუსუფი“ ნოველად მოვლენილი პირველი სურაა. გამჭრიახი ადამიანებისთვის ძალიან ღრმა, ფაქიზი და უსაზღვრო მნიშვნელობების მატარებელია. მასში მოცემული პიროვნებები სხვადასხვა ხასიათის მაჩვენებლები არიან. აქედან გამომდინარე, ქვემოთ მოცემულთაგან, რომელია შეცდომა?

ა. წმინდა იუსუფი გულს წარმოადგენს

ბ. წმინდა იაყუბი—სულს, დედა რაჰილი სხეულს წარმოადგენს.

გ. იუსუფის ძმები ვნების გრძნობებს წარმოადგენენ.

დ. ზულეიჰა საღ აზრს წარმოადგენს.

8. უზენაესმა ალლაჰმა იაყუბს, რომელიც იუსუფის გარეგნულ სილამაზით ტკბებეოდა, მხედველობა წაართვა, მაგრამ მას დაუტოვა გულის თვალი, რომელიც იუსუფში გამოვლინებულ ღვთიურ თვისებებს ხედავდა. აქედან გამომდინარე, ქვემოთ მოცემულთაგან, რომელი შედეგის მიღება არ არის შესაძლებელი?

ა. უზენაესმა ალლაჰმა იაყუბს ერთი სიკეთე წაართვა, მაგრამ მას მის ნაცვლად უფრო მეტი სიკეთე უწყალობა.

ბ. უზენაესმა ალლაჰმა ინება იაყუბს მის გაჩენილებში გარეგნული მშვენიერების ნაცვლად დაენახა ჭეშმარიტი სილამაზე.

გ. ადამიანი მანამ ვერ შეძლებს ჭეშმარიტი სილამაზის დანახვას, სანამ გულიდან არ ამოიღებს ამქვეყნიურ სილამაზეზე ფიქრს, რომელსაც თვალით უცქერის.

დ. უზენაესმა ალლაჰმა, ჩადენილი ცოდვის გამო, იაყუბს მხედველობა წაართვა და ამგვარად დასაჯა.

9. როდესაც სურა „იუსუფი“ ზეგარდმოევლინა, იმ წელს ალლაჰის შუამავალი და მორწმუნეები მრავალგვარი დარდისა და გამოცდის წინაშე აღმოჩნდნენ. ქვემოთ მოცემულ გამოცდათაგან, რომელი არ ყოფილა იმ წელს?

ა. უჰუდის ომში დამარცხებისას სამოცდაათი მორწმუნის შეჰიდად დაცემა.

ბ. წმინდა მუჰამმედ შუამავლის (ს.ა.ს) ცოლის — ხატიჯეს გარდაცვალება.

გ. წმინდა მუჰამმედ შუამავლის (ს.ა.ს.) ბიძის, აბუ მუტალიბის გარდაცვალება.

დ. კერპთაყვანისმცემლების მხრიდან მორწმუნეებზე ზეწოლისა და ჩაგვრის გაძლიერება.

10. იუსუფის პერანგის გაგზავნით, იაყუბის თვალის ჩინის სასწაულისგან, რომელი შედეგის მიღებაა შეუძლებელი?

ა. იუსუფის პერანგის სუნმა იაყუბის თვალები განკურნა.

ბ. იმის გამო, რომ იაყუბს იუსუფი ძალიან უყვარდა, მისთვის შვილის პერანგი სულიერი ფასეულობის მატარებელი იყო.

გ. იუსუფის პერანგით იაყუბის თვალების ახელა, ნივთთან კავშირისა და დახმარების თვისობრიობის მატარებელია.

დ. იუსუფის პერანგი ძმებს დღეების განმავლობაში ეჭირათ ხელში, მაგრამ ის მათთვის სულიერი ფასეულობის მატარებელი არ იყო.

სწორი პასუხები

1- ყურანში იუსუფის სურაში მოთხრობილი ამბავი

1- იუსუფის სურა

დ. ტესტების სწორი პასუხები

1- გ 2- გ 3- ბ 4- ა 5- ბ 6- დ 7- გ 8- გ

9- გ 10- დ 11- დ 12- ა


წმიდა
ოჯახები

წმინდა შუაიბი

გადმოცემის მიხედვით, წმინდა შუაიბი იბრაჰიმის ან სალიჰის შთამომავალია.

თქმულებაში ასევე ნათქვამია, რომ დედის მხრიდან მისი შტო წმინდა ლუტის ქალიშვილამდე მიდის და თანაც ის წმინდა ეიუბის დეიდაშვილია. ამავე დროს შუაიბი წმინდა მუსას სიმამრი იყო.

შუაიბი მთიან და ტყიან ადგილებზე დასახლებული, ორი მეზობელი მხარის—მედიენისა და ეიქეს—შუამავლად იქნა მოვლენილი. შუაიბი მედიენში დაიბადა და გაიზარდა. ახალგაზრდობა იქაურ ტომში გაატარა. ეს ხალხი გზიდან ამცდარი და შმაგი იყო. წმინდა შუაიბი მათგან განსხვავებულ, სუფთა და უმწიკვლო ცხოვრებას ეწეოდა. ამით ის ადამიანებისთვის მაგალითად იქცა. მათ რჩევებს აძლევდა და სიკეთისკენ მოუწოდებდა.

შუაიბი ბევრს ლოცულობდა და ადამიანების უფლებებს დიდ ყურადღებას აქცევდა. ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ზომა წონისას სხვისი უფლებები არ დაერღვია. სხვებსაც ურჩევდა, სხვათა უფლებები მხედველობაში მიეღოთ, ყოველთვის ცდილობდა სამართლიანი ყოფილიყო.

შუაიბი, ამ ორი ტომის განადგურების შემდეგ, მექაში დასახლდა და სიცოცხლის ბოლომდე იქ ცხოვრობდა. ის მექაშია დაკრძალული.

ეღვე
მჯდიენი
სანა
წითელი ზღვა
სოდომის სამეფო
სოდომის სამეფო
თებუქე
ეიქე
ცხვიბტე

მედიენელები

მედიენი აქაბეს ყურედან ჰუმუსის დაბლობამდე გადაჭიმული მხარეა. სახელი „მედიენი“ამ ტომმა იქ მცხოვრები ერთი გვარისგან მიიღო.

მედიენელებმა ალლაჰზე ღვთისმსახურებასა და მორჩილებაზე უარი თქვეს, უკულმართობისა და ამბოხების გზას დაადგნენ, კერპებისა და ქანდაკებების თაყვანისცემა დაიწყეს. იმის გამო, რომ ქალაქი მედიენი საქარავნო გზაზე მდებარეობდა, აქაური მოსახლეობა ვაჭრობით იყო დაკავებული. მაგრამ მათ შორის თაღლითობა იმდენად იყო გავრცელებული, რომ ხელოვნებისა და ოსტატობის ნიმუშად ქცეულიყო. როცა ისინი, ვაჭრობისას, საქონელს ყიდულობდნენ, წონას აკლებდნენ და ნაკლებ ფულს იხდიდნენ. ხოლო როცა თავად ჰყიდდნენ, წონას უმატებდნენ და საქონელში ზედმეტ ფულს ახდევინებდნენ. ყიდვისა და გაყიდვის დროს სხვადასხვა სასწორს იყენებდნენ. მედიენელები ხალხს გზაზე გადაუდგებოდნენ და ქონების ნაწილს ართმევდნენ. განსაკუთრებით უცხოელების ქონებას ათასგვარი ინტრიგნობით იგდებდნენ ხელში. ადამიანებთან ურთიერთობისას ათასგვარ გაიძვერობას მიმართავდნენ, მათ აწვალებდნენ და უსამართლოდ ექცეოდნენ. უზენაეს ალლაჰს, მათთვის უხვად ბოძებული სიკეთისთვის, მადლობას არ უხდიდნენ. ალლაჰის უარყოფითა და კერპებზე თაყვანისცემით, უმადურობას იჩენდნენ. მოკლედ, მედიენელების რწმენა კერპთაყვანისმცემლობა, ვაჭრობის საფუძვლებზე დაუმორჩილებლობა, თაღლითობა, სიცრუეზე დაფუძნებული საზოგადოებრივი წყობა და სპეკულაცია იყო.

ანუ მედიენში ყველა ზნეობრივი მხარე მოშლილი იყო და სარწმუნოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ მორალური საფუძვლები დეგრადაციას განიცდიდა.

როცა მედიენელები ასეთ ბედოვლათურ ცხოვრებას ეწეოდნენ, უდიდესმა ალლაჰმა მათ შუამავლად შუაიბი მოუვლინა. წმინდა შუაიბი მათ სასარგებლო რჩევებს აძლევდა, ღმერთის ბრძანებებისა და აკრძალვების შესახებ მოუთხრობდა. ეუბნებოდა, რომ მხოლოდ ღმერთს უნდა მომსახურებოდნენ, მისთვის მოზიარედ არავინ და არაფერი უნდა გაეხადათ, ვაჭრობისას ზომა-წონაში არ უნდა ეცრუათ, საიქიოსა და განკითხვის დღის უნდა ეწამათ და დედამიწაზე პანიკა არ უნდა დაეთესათ. მათ ამცნობდა, რომ ალლაჰის სატანჯველი ძალიან მძიმე, ხოლო ბოძებული სიკეთე უსასრულოა. ეს შემთხვევა აიათში ასეა გადმოცემული:

„მედიენის ხალხთან მათი ძმა შუაიბი (მოვუვლინეთ). უთხრა: „ხალხო ჩემო! თაყვანი ეცით ალლაჰს, რამეთუ არ არს თქვენთვის სხვა ღვთაება, გარდა მისი! საწყაოსა და სასწორს ნუ დააკლებთ. უეჭველად, მე ვხედავ როგორ კეთილდღეობაში იმყოფებით და, უეჭველად, მე მეშინია თქვენდამი ყოვლისმომცველი დღის სასჯელისა!“ *(სურა ჰუდი, აიათი 84)*

„უთხრა: ჰეი, ხალხო ჩემო! თაყვანი ეცით ალლაჰს, არ გყავთ სხვა ღმერთი მის გარდა. თქვენ მოგივიდათ უკვე ცხადი მტკიცება თქვენი ღმერთისგან. სრულად დაიცავით საზომი და სასწორი, არ წაართვათ ხალხს ის, რაც მათ ეკუთვნით, და არ გამოიწვიოთ არეულობა ქვეყნად, მისი კეთილმოწყობის შემდეგ. თუკი ხართ მორწმუნენი, ეს თქვენთვისვეა უკეთესი! *(სურა ელრაფი, აიათი 85)*

„ჩემო ხალხო! თაყვანი ეცით ალლაჰს, სასოებდეთ უკანასკნელ დღეს და არ ჰქმნათ სიავე ქვეყნად, უკეთურების გავრცელებით! (ისეთი საქმეები ჩაიდინეთ, იქ სარგებლობას რომ მოიგიტანთ!)“ *(სურა ანქებუთი, აიათი 36)*

შუაიბის ტომი ნაყიდ საქონელს ნაკლებად, გაყიდულს კი ზედმეტად სწონიდნენ. შუაიბი მუდამ ცდილობდა, ხალხი ამ მდგომარეობიდან გამოეფხიზლებინა. მათ აფრთხილებდა, რომ თუ ამ ქცევებს არ შეეშვებოდნენ და არ მოინანიებდნენ, ნაბოძებ ყველა სიკეთეს დაკარგავდნენ. უზენაესმა ალლაჰმა ამ ტომს ბევრი ქონება და სიკეთე უწყალობა. აქედან გამომდინარე, მათ უფლება არ ჰქონდათ, ეთაღლითათ და საზღვრებს გადასულიყვნენ.

შუაიბი უმარტავდა მათ, რომ ვაჭრობის საფუძვლები, ზომა-წონა დაეცვათ და ნორმალურ მოგებას დასჯერებოდნენ, რადგან ნორმალური მოგება საქმისა და ვაჭრობისთვის უსაფრთხოა. ხოლო, ალლაჰის წინაშე ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემა, ადამიანს პირნათელს ხდის. შუაიბი რჩევას ასე აგრძელებდა:

„თუ ხართ მორწმუნენი, ალლაჰის დანატოვარი (შარიათით დაშვებული მოგება) თქვენთვის უფრო უკეთესია. და მე როდი ვარ (ყოველგვარი თქვენი უზნეობის დამაბრკოლებელი) თქვენი გუშაგი.“ *(სურა ჰუდი, აიათი 86)*

ანუ თქვენ მიერ ჩადენილი ცუდი საქმეების გამო არ განგსჯით და თქვენთვის ბოძებული სიკეთის მიმართ უმადურობის გამო, მის დაკარგვას ვერ დავაბრკოლებო. ჩემი მოვალეობა მხოლოდ იმის ქადაგებაა, რასაც მამცნობენო.

ზემოთ მოცემულ აიათებში, შუაიბი თავის ტომს, შემდეგ ხუთ საკითხს უქადაგებდა:

1. მონოთეიზმის აღიარებასა და მხოლოდ ალლაჰისთვის ღვთისმსახურებას;

2. მისი შუამავლობის აღიარებას;

3. ზომა-წონაში წესიერებას, სამართლიანობასა და თაღლითობის უკუგდებას;

4. ადამიანთა ყველა უფლების პატივისცემას. ყაჩაღობის, ქურდობის, მექრთამეობის, გზის გადაჭრისა და მსგავსი, ფარულ თუ აშკარა ბოროტ ქმედებებზე უარის თქმას;

5. რწმენისა და ქვეყნის საქმეებში ამბოხის, შფოთის შეუტანლობას.

შუაიბის ნაქადაგები ეს ხუთი საფუძველი, მოკლედ, შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: „ალლაჰის ბრძანებების პატივისცემა, მისი გაჩენილი არსებებისადმი თანაგრძნობა და გულისხმიერება“.

შუაიბის ქადაგებამ გარშემომყოფებზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. ადამიანები მის მოსანახულებლად ჯგუფებად მოდიოდნენ, მისი სწამდათ და მის ნაქადაგებს ასრულებდნენ. ამის მიუხედავად, ისეთებიც ბევრი იყვნენ, ვისაც მისი არ სჯეროდათ. ურწმუნოებს ეს ახალი კანონები აფორიაქებდათ და ბრაზდებოდნენ. რადგან შარიათით დაშვებული მოგება მათ მცირედ ეჩვენებოდათ. „ნორმალური მოგებით ვერავინ გამდიდრდებაო!“—ამბობდნენ და ერთმანეთს უსამართლობისა და მცდარი საქმეებისკენ აქეზებდნენ. გაბოროტებულნი შუამავალს ეუბნებოდნენ:

„უთხრეს: „ჰეი, შუაიბ! ნუთუ შენი ლოცვა გიბრძანებს, რომ უარი ვთქვათ იმაზე, რასაც ჩვენი მამები თაყვანს სცემენ, ან არ განვკარგოთ ჩვენი ქონება ისე, როგორც თავად გვსურს? უეჭველად, შენ ლმობიერი და ჭკვიანი ხარ!“ *(სურა ჰუდი, აიათი 87)*

აქ ლოცვა რწმენის მნიშვნელობითაა ნახსენები, რადგან ის მის ყველაზე დიდ ღვთისმსახურებას წარმოადგენს.

„(შუაიბმა) უთხრა: „ხალხო ჩემო! მაშინ რას იტყვით: თუ ვარ ცხად სამტკიცებზე ჩემი ღმერთისგან და თუ მიბოძა მან საუკეთესო სარჩოსაბადებელი? არ მინდა გამოვირჩეოდე თქვენგან და ვქმნა ის, რისი გაკეთებაც თქვენ აგიკრძალე. მინდა მხოლოდ იმის გამოსწორება, რაც შემიძლია. ჩემი წარმატება მხოლოდ ალლაჰზეა. მე მხოლოდ მას ვსასოებ და მისკენ მივიქცევი!“ *(სურა ჰუდი, აიათი 88)*

შუაიბი ამ კრიტერიუმების შუქზე ქადაგებას მოუბეზრებლად აგრძელებდა, მაგრამ შმაგი ტომი მის ამ რჩევა-დარიგებებს ყურს არ უგდებდა. მათი სიშმაგე იმის გამო, რომ წმინდა შუაიბი ძლიერი გვარის წარმომადგენელი იყო, უფრო გაიზარდა. მას ვერავითარ ბოროტებას უკეთებდნენ და იმ მორწმუნეებს, რომელთაც მისი სწამდათ, ემუქრებოდნენ. წმინდა შუაიბმა ისინი ამ საკითხთან დაკავშირებითაც გააფრთხილა:

„ნუ ჩაუსაფრდებით ყველა გზის სათავეში, რომ დაექადნოთ და აღუკვეთოთ ალლაჰის გზა ვინც იწამა, და სიმრუდე გწადიათ მისი. და გაიხსენეთ, ცოტანი რომ იყავით და შემდეგ გაგამრავლათ. შეხედეთ, როგორი იყო უკეთურთა აღსასრული.“ *(სურა ეღრაფი აიათი 86)*

შუაიბი, ყველაფრის მიუხედავად, საკუთარ ტომს ჭეშმარიტებას უქადაგებდა. იბრაჰიმისთვის გამოგზავნილი კანონების მიხედვით მოქმედებდა. მისი შუამავლობა დამასკომდე გავრცელდა. ალლაჰის სიყვარულით ანთებული გულებით, მის სანახავად, მედიენში ჩამოდიოდნენ. მედიენელები კი გზაზე იდგნენ და ცდილობდნენ, მათთვის შუაიბის ნახვის საშუალება არ მიეცათ. ეს კი ეშმაკზე მორჩილების ცხადი ნიშანია, რადგან, როცა ის განდევნილი იქნა, ეშმაკმა დიად ღმერთს უთხრა:

„მიუგო: რაკი ჩემი გზიდან გადაცდენა ინებე, უთუოდ, ჩავუსაფრდები მე მათ შენს სწორ გზაზედ; მერე, უთუოდ, გამოვეცხადები წინიდან და უკნიდან, მარჯვნიდან და მარცხნიდან. და ვერ ჰპოვებ მათგან უმეტესს მადლიერს.“ *(სურა ეღრაფი აიათები 16, 17)*

მაგრამ შუაიბის ტომმა თავი არ დაანება:

1. ყაჩაღობას, ადამიანების მიმართ მუქარასა და მათ შეწუხებას;

2. ალლაჰის რწმენის გავრცელებაში ხელის შეშლას;

3. მცდელობას, რომ მორწმუნეები დაეეჭვებინათ და შეცდომაში შეეყვანათ.

ბოლო გაფრთხილება

წმინდა შუაიბს ტომის ცუდი ქცევები და ამბოხი სწყინდა. ამ მიზეზით მათი უმეცრების ძილისგან გამოფხიზლებას დიდი მოთმინებით ცდილობდა:

„ჰეი, ხალხო ჩემო! დაე, ჩემთან უთანხმოებამ თავს არ დაგატეხოთ ის, რაც უწინ ეწია ნუჰის ხალხს, ან ჰუდის ხალხს, ან სალიჰის ხალხს. და არც ლუტის ხალხი არიან თქვენგან შორს.“ *(სურა ჰუდი, აიათი 89)*

ანუ დიდი დრო არ არის გასული მას შემდეგ, რაც ლუტის ტომი განადგურდაო, აქედან გამომდინარე, დროის თვალსაზრისით თქვენთან ახლოს დგანანო, ისინი თქვენგან განსხვავებული არ იყვნენ ურწმუნოებაში, ბოროტებასა და სხვა უკუღმართობებში, რომელიც განადგურებას საჭიროებს. ეს გაკვეთილად უნდა აიღოთო!-მოუწოდებდა მათ წმინდა შუაიბი.

„(ამ მდგომარეობაში) პატიება შესთხოვეთ თქვენს ღმერთს და მერე მოინანიეთ მის წინაშე. უეჭველად, ჩემი ღმერთი მწყალობელია, (მისი მონა-მსახურების) მოყვარულია.“ *(სურა ჰუდი, აიათი 90)*

ტომის წინამძღოლი კერპთაყვანისმცემლები წმინდა შუაიბის ამ წინადადებას არ დაეთანხმნენ:

„უთხრეს: „ჰეი, შუღაიბ! ბევრი რამ შენი ნათქვამიდან გაუგებარია ჩვენთვის. და, უეჭველად, გთვლით ჩვენ შორის სუსტად. შენი მოდგმა რომ არა, ჩაგქოლავდით. და არაფრით ხარ ჩვენზე აღმატებული!“

(შუაიბმა) უთხრა: „ხალხო ჩემო! ნუთუ თქვენთვის ჩემი მოდგმა უფრო ძვირფასია, ვიდრე ალლაჰი, რომ თქვენ მას ზურგი აქციეთ? უეჭველად, ჩემი ღმერთი გარემოიცავს იმას, რასაც თქვენ სჩადიხართ!“ *(სურა ჰუდი, აიათები 91-92)*

როცა შუაიბმა ამ ურწმუნო და შმაგი ტომის გამოსწორების იმედი გადაიწურა, ისინი ალლაჰს გადასცა. მათთვის გასაკეთებელი აღარაფერი დარჩა. მაგრამ იქნებ ჭკუა ისწავლონო, მოსალოდნელი ღვთიური სატანჯველი შეახსენა:

„თუ ნაწილმა თქვენგან იწამა ის, რითაც მოვლენილ ვარ, და მეორე ნაწილმა არ იწამა, მაშინ მოითმინეთ, სანამ ალლაჰი არ განსჯის ჩვენს შორის, რამეთუ საუკეთესო მსაჯულია იგი!“ *(სურა აარაფ, აიათი 87)*

მედიენელებმა შუაიბი კვლავ ტყუილში დაადანაშაულეს. დაემუქრნენ, რომ მას და მის მიმდევრებს მედიენიდან განდევნიდნენ. მათ შორის მორწმუნეების ცხოვრება უკვე სახიფათო იყო:

„თქვეს თავკაცნმა მისი ხალხიდან, რომელნიც ქედმაღლობდნენ: უთუოდ, ჩვენი სოფლიდან გაგაძევებთ შენაც, შუღეიბ, და რომელთაც ირწმუნეს შენთან ერთად, ან უსათუოდ უნდა დაუბრუნდეთ

ჩვენს რჯულს. (შუაიბმა) მიუგო: თუნდაც ზიზღს ვგრძნობდეთ მის მიმართ?

ალლაჰს უთუოდ ცილს დავსწამებთ, თუკი დავუბრუნდებით თქვენს სარწმუნოებას მას შემდეგ, რაც ალლაჰმა გვიხსნა მისგან. და არ იქნება, ჩვენ დავუბრუნდეთ მას გარდა, ალლაჰის ნებისა, ჩვენი ღმერთისა. ჩვენი ღმერთი გარემოიცავს ცოდნით ყველაფერს. ჩვენ ალლაჰს ვჰმორჩილობთ. ღმერთო ჩვენო! განსაჯე ჩვენსა და ჩვენს ხალხს შორის ჭეშმარიტებით, რამეთუ შენ ხარ საუკეთესო მსაჯული!“
(სურა ელრაფი აიათები 88-89)

ამ აიათში, შუაიბმა ტომის მიერ შეთავაზებულ, ძველ რწმენაზე დაბრუნების წინადადებაზე უარი თქვა. ეს იმის გამოხატულებაა, რომ ალლაჰის ნებას უპირობოდ ემორჩილებოდა, რადგან შუამავლებსა და მათი მემკვიდრე სწავლულებს ალლაჰის სატანჯველის მუდმივად ეშინოდათ.

ამის გამო, შუაიბმა თქვა, რომ ალლაჰის რწმენის უარყოფა და თქვენი რწმენის მიღება ის არ არის, რაც შეიძლება მოხდესო. მაგრამ ალლაჰი ჩვენს განადგურებას თუ ისურვებს, ვერაფერს ვიზამთ, რადგან ყველა ჩვენი საქმე მის ხელშია. ეს ნიშნავს, რომ ის მასზე მორჩილს გააბედნიერებს, ხოლო, ვისაც ისურვებს, ცოდვების გამო დასჯის.

მიუხედავად ამისა, დაუმორჩილებელი ტომი გონს არ მოეგო. თავად არ სწამდათ და მორწმუნეებსაც ვერ იტანდნენ. მათ მუდმივად ემუქრებოდნენ. ვინც რწმენის მისაღებად მიდიოდა, მათ გზას უჭრიდნენ, შუაიბს აძაგებდნენ და ცდილობდნენ მათთვის რწმენის მიღებაზე უარი ეთქმევინებინათ.

„უთხრეს თავკაცნმა მისი ხალხიდან, რომელთაც უარყვეს: თუ თქვენ გაჰყვებით შუღეიბს, უეჭველად, წაგებულთა შორის იქნებით!
(სურა ელრაფი, აიათი 90)

მაღლიდან წამოსული საშინელი ხმა

შუაიბს ჭეშმარიტების გზას აცდენილი ხალხისთვის უკვე აღარაფერი დარჩა გასაკეთებელი. მან თქვა:

„ჰეი, ხალხო ჩემო! იმოქმედეთ როგორც თქვენ გინდათ, უეჭველად, მეც ვმოქმედებ. სულ მალე გაიგებთ, ვის ეწევა სასჯელი დამამცირებელი და ვინ არის ცრუ. დაელოდეთ და უეჭველად, მეც თქვენთან ერთად დაველოდები!“

და როცა გაცხადდა ნება ჩვენი, ჩვენ ვიხსენით შუღეიბი და, რომელთაც ირწმუნეს მის ერთად, ჩვენსავე წყალობით. ხოლო რომელთაც უსამართლობა ჰქმნეს, შეიპყრო საშინელმა ხმამ, და იქმნენ თავიანთ სახლებში მუხლებზე დაჩოქილნი.“ *(სურა ჰუდი, აიათები 93-94)*

„ამრიგად, შეიპყრო ეგენი ძლიერმა მიწისძვრამ და იქმნენ თავიანთ სახლებში დაჩოქილნი მუხლებზე.

და რომელთაც ცრუდ შერაცხეს შუაიბი, ვითომც არ უცხოვრიათ იქ. რომელთაც ცრუდ შერაცხეს შუაიბი, სწორედ ეგენი არიან დაზარალებულნი.“ *(სურა ელრაფი აიათები91,92)*

ამგვარად, მედიენელი ხალხი უკუღმართობის, თაღლითობის, უსამართლობის, ალლაჰისა და შუამავლის წინააღმდეგ ამბოხის და მსგავსი საძაგელი ქმედებებისთვის დაისაჯა. ეს სასჯელი უსამართლოების ბოლოა და ისინი მას ვერსად გაექცევიან. მათ არავინ შეიცოდებს:

„(შუაიბმა) მაშინ გატრიალდა მათგან და უთხრა: ჰეი, ხალხო ჩემო! უეჭველად, მე გადმოგეცით ჩემი ღმერთის უწყებანი! და დაგარიგე თქვენ, მაშინ რატომღა ვიდარდო ურწმუნო ხალხის გამო?“ *(სურა ელრაფი, აიათი 93)*

„თითქოს იქ არც ეცხოვრათ. დიახ! გაიწირნენ მედიენელნი, როგორც გაიწირნენ სემუდეველნი!“ *(სურა ჰუდი, აიათი 95)*

იმის გამო, რომ ისე, როგორც სემუდის ტომი, შუაიბის ტომიც არ უგდებდა რჩევებს ყურს, მათ მსგავსად საშინელი ხმითა და ხმაურით განადგურდნენ. ამ ორი ტომის ერთნაირად განადგურება იმის ნიშანია, რომ ისინი მორალით ერთმანეთს ჰგავდნენ. იმის გამო, რომ ალლაჰის წყალობას დაშორდნენ, ორივე ერთნაირად იყო დაწყევლილი და მედიენის ტომი სემუდის ტომს ამითაც ჰგავდა.

სემუდის ტომი—ქვემოდან, მედიენის ტომი კი, ზემოდან წამოსულმა ხმაურმა გაანადგურა. ამგვარად, ისინი ალლაჰის წყალობისგან შორს დარჩნენ და თავი სააქაო თუ საიქიო სატანჯველში ჩაიგდეს.

ეიქელები

ეიქე ხშირი ტყით დაფარულ ადგილს ეწოდება. ეს წითელი ზღვიდან მედიენამდე გადაჭიმული მხარეა. იქ მცხოვრებლებს ეიქელები ეწოდებათ. შუაიბს, ეიქელებისთვის, რომლებიც მედიენელების მსგავსად სიუხვეს, სიკეთესა თუ სიმდიდრეში ცხოვრობდნენ და მონო-

თეიზმსა და ჭეშმარიტებას დასცილებოდნენ, სწორი გზის ჩვენება დაევალა.

ეიქელებმაც შუაიბი უარყვეს. უზენაესი ალლაჰი მათი მდგომარეობის შესახებ ასე ბრძანებს:

„ეიქეს მცხოვრებლებმა ცრუდ შერაცხეს შუამავლები.“ *(სურა შუარა აიათი 176)*

„ეიქეს მკვიდრნიც, დიახაც, უსამართლონი იყვნენ.“ *(სურა ჰიჯრი, აიათი 78)*

„შუღეიბმა უთხრა მათ: „განა არ შეიქმნებით ღვთისმოშიშნი?

უეჭველად, მე თქვენთვის წარმოგზავნილი სანდო შუამავალი ვარ!

მაშ, გეშინოდეთ ალლაჰის და დამმორჩილდით!

მე არ გთხოვთ საზღაურს ამისათვის, რამეთუ დამაჯილდოებს მე სამყაროთა ღმერთი!“ *(სურა შუარა, აიათები 177-180)*

ალლაჰის შუამავლები ადამიანთა წინაშე ორ თვისებას ავლენდნენ:

1. ქადაგების სანაცვლოდ, ადამიანებისგან არავითარ საზღაურს ელოდებოდნენ. მათთვის ცნობილი იყო, რომ ამის ჯილდოს ალლაჰისგან მიიღებდნენ.

2. თითოეული უბადლო მაგალითს წარმოადგენდა. მათი სიტყვა, საქმე თუ ცხოვრების ფორმა ერთი იყო.

ამ ორ თავისებურებაზე სურა „იასინშიც“ არის ყურადღება გამახვილებული. ჰაბიბი ნეჯჯარიმ სოფელში მქადაგებლებად მოსულთა შესახებ თავის ტომს უთხრა:

„სოფლის მცხოვრებლებო, თქვენთან მოსულებს თქვენგან რაიმე საზღაური უნდათ? ეს ადამიანები ჭეშმარიტებას ქადაგებენ? თუ ისინი თქვენგან საზღაურს არ ითხოვენ, ღირსეულად ცხოვრობენ და ღვთის სამსახურში არიან, ამ შემთხვევაში თქვენც მას დაემორჩილეთ!“

წმინდა შუაიბმა ეიქელებისთვის რჩევის მიცემა ასე გააგრძელა:

„საწყაო აავსეთ სრულად და ნუ იქნებით იმათგანი, ვინც დამკლებია.

აწონეთ ზუსტი სასწორით!

არ მოაკლოთ ხალხს ის, რაც ეკუთვნით და არ ქმნათ ქვეყნად ავი, უკეთურობას ნუ გაამრავლებთ!

და გეშინოდეთ მისი, რომელმაც გაგაჩინათ თქვენ და პირველი თაობაც!

მიუგეს: „უეჭველად, ერთ-ერთი მოჯადოებულთაგანი ხარ!

ისეთივე ადამიანი ხარ, როგორც ჩვენ და ვფიქრობთ ერთ-ერთი ცრუთაგანი ხარ.

თავს დაგვატეხე სასჯელი ციდან, თუ ხარ მართალთაგანი!“ *(სურა შუარა, აიათები 181-187)*

ციდან მოსული სატანჯველი: გადამბუგავი ცეცხლის ალი

მისი ტომის მიერ, თამამად ალლაჰისგან სატანჯველის მოთხოვნის საპირისპიროდ:

„უთხრა: „ღმერთი ჩემი უკეთ უწყის, რასაც სჩადიხართ!“ *(სურა შუარა, აიათი 188)*

შემდეგ ალლაჰს შეევედრა. შუაიბმა ღმერთს მათ მიერ მოთხოვნილი სატანჯველი სთხოვა.

ამის შემდეგ, უცებ ცხელმა ქარმა დაიწყო ქროლა. ცისფერი კოლოები გამოჩნდნენ და ეიქელებს გადაეკიდნენ. ურწმუნოები, ამ უბედურების წიანააღმდეგ, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ჰაერის ტემპერატურა უფრო და უფრო იზრდებოდა. ადამიანე-



ბი გამდინარე წყლის ნაპირებს, ხეებისა და საჩრდილობლებს აფარებდნენ თავს.

ჰაერის ტემპერატურამ გაუსაძლის ზღვარს რომ მიაღწია, ჯებრაილმა ღრუბელი გამორეკა. ურწმუნოებმა ეს ღრუბელი რომ დაინახეს, გრილი საჩრდილობელიაო იფიქრეს და მის ქვეშ თავშესაფერებლად გაეშურნენ. ყველა ღრუბლის ქვეშ რომ შეიკრიბა, ხმა მოესმათ:

„ეიქელებო, თქვენს შუამავალს ცილს რომ სწამებდით და გეგონათ სატანჯველი არასდროს მოგევლინებოდათ, აი, ეს იგემეთ! თქვენ რომ კერპებს თაყვანს სცემდით, უთხარით და იქნებ მოგეშველონ!“

და მაშინვე ღრუბლებიდან ცეცხლის წვიმა წამოვიდა. ყველაფერი, რაც ურწმუნოებს ეკუთვნოდათ, გადაბუგა, ხეები და ქვებიც კი;

„ცრუდ შერაცხეს და დატყდათ თავს მტანჯველი სასჯელი ბნელი დღისა. უეჭველად, ეს იყო იმ დღის დიდი სასჯელი!

უეჭველად, ამაშია სასწაული, მაგრამ უმრავლესობამ მაინც არ ირწმუნა!

უეჭველად, შენი ღმერთი ძლევამოსილია, მწყალობელია!“ *(სურა შუარა აიათი 189-191)*

ამგვარად, მედიენელები, ჯებრაილის ყვირილითა და მიწისძვრით, ეიქელები კი, საჩრდილობლად ჩათვლილი ღრუბლისგან წამოსული ცეცხლით განადგურდნენ.

განადგურების შემდეგ

შუაიბი, ამ ტომების განადგურების შემდეგ, მედიენში დასახლდა. იქ დაქორწინდა და ორი ქალიშვილი შეეძინა.

შუაიბს იმის გამო, რომ ძალიან ლამაზად საუბრობდა და აქედან გამომდინარე, მისი საუბარი ქადაგებისას ხალხზე დიდ ზეგავლენას ახდენდა, კითხვებზე დამაჯერებელ პასუხებს იძლეოდა, კარგად მოსაუბრე შუამავალი შეარქვეს.

წმინდა შუაიბისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი თავისებურება ის იყო, რომ ალლაჰის შიშის გამო, ბევრ ცრემლს ღვრიდა. ბოლოს ამდენმა ტირილმა სხეულიდან ძალა გამოაცალა და თვალებიდანაც კარგად ვეღარ ხედავდა. მიუხედავად ამისა, იმდენი იტირა,

სანამ არ დაბრმავდა. რადგან თვალები დიად ღმერთს დაუბრუნა, მან ზეშთაგონებით ჰკითხა:

„შუაიბ, რატომ ტირიხარ? სამოთხის მონატრებისა თუ ჯოჯოხეთის შიშის გამო?“ შუაიბმა უპასუხა:

„ღმერთო, შენ იცი, რომ არც სამოთხის მონატრებისა და არც ჯოჯოხეთის შიშის გამო. მიზეზი მხოლოდ შენი სიყვარულის გულში ჩასახლებაა და შენ სილამაზეს რომ ვერ ვიხილავ, ამის გამო, ვღელავ. თუკი საიქიოში შენი სილამაზის ნახვას შევძლებ, არაფერზე ვიდარდებ.“

დიადმა ღმერთმა უთხრა:

„იმის გამო, რომ შენი სიტყვის ერთგული ხარ, ჩემი სილამაზის ნახვა დალოცილ იყოს, შუაიბ! ამ მიზეზით ჩემთან მოსაუბრე მუსა იბნ იმრანს მსახურად გაძლევ!“

აი, ღმერთთან ახლომყოფების მდგომარეობა ასეთია. ისინი დაუდევრების საწინააღმდეგოდ, უპირველესად ღმერთის კმაყოფილების მოპოვებაზე ფიქრობდნენ. ხალხის კმაყოფილებას კი ყველაზე ბოლოსთვის იტოვებდნენ. ღმერთის სიყვარული მათ გულს ისე შემოეხვია, რომ არც ამქვეყნიურ და არც იმქვეყნიურ სიკეთეს ცალი თვალითაც კი არ უცქერდნენ.

უზენაესი ალლაჰი შუამავლებს იმისთვის აგზავნიდა, რომ მათ ადამიანებისთვის გულის თვალი აეხილათ. ლამაზი მორალით შეემოსათ, ღვთისმსახურების შესრულება მოკრძალებულ მდგომარეობაში შეძლებოდათ, ეს ყველაფერი კი ალლაჰთან მისაახლოებლად იყო საჭირო.

გულის თვალახელილ ადამიანებს აღზრდა და ჭეშმარიტების გზაზე დადგომა მთელი გულით სურთ. ისინი ამას ღმერთის გზაზე წინ წასასვლელად იყენებენ. ხოლო ისინი, რომლებსაც ეს არ სურთ, სიჯიუტეს იჩენენ და მედიდურობენ, შუამავლების რჩევებს ყურს არ უგდებენ. იმათ, რომელთაც სულიერების ახლო საფეხურთან მიღწევა არ სურთ, წყვდიადსა თუ უმეცრებაში რჩებიან და ბოროტებას სჩადიან, ვარდებიან საცოდავ მდგომარეობაში, როცა, ისე როგორც ბრმებმა, არ იციან, სად წავიდნენ. მათ მდგომარეობაზე შუაიბი ასე ამბობს:

„უეჭველად, მე გადმოგეცით ჩემი ღმერთის უწყებანი! და დაგარიგე თქვენ , მაშინ რატომღა ვიდარდო ურწმუნო ხალხის გამო?“ *(სურა ელრაფი, აიათი 93)*

შესაფასებელი კითხვები

ა. გაეცით პასუხები ქვემოთ მოცემულ კითხვებს

1. როგორ ექცეოდნენ მედიენელები მათ ქვეყანაში სავაჭროდ მოსულ უცხოელებს?

2. სად გაატარა შუაიბმა სიცოცხლის ბოლო წლები?

3. მედიენელების რომელი საქციელის გამო თქვა შუაიბმა: **„ჩემო მოდგმავ! ალლაჰს მონა-მსახურება გაუწიეთ და განკითხვის დღის იმედი იქონიეთ!“** *(სურა ანქებუთი , აიათი 36)*

4. მედიენელები, რომელთაც შუაიბის არ სწამდათ, მორწმუნეებს რატომ ემუქრებოდნენ და რატომ ცდილობდნენ ისინი ჭეშმარიტებას ამცდარიყვნენ.

5. ჩამოთვალეთ მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია მედიენელების განადგურებამ?

6. შეადარეთ ერთმანეთს სემუდის ტომისა და მედიენის ტომის განადგურების ფორმები.

ბ. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები

1. შუაიბი იმის გამო, რომ კარგად საუბრობდა და ხალხის დარწმუნება შეეძლო ---------- სახელით მოიხსენიება.

2. შუაიბის ---------- დაკარგვის მიზეზი---------- გამო ბევრი ტირილი იყო.

3. ალლაჰის საყვარელი ადამიანების გულებს ---------- ისე ფარავს რომ, ამქვეყნიურ თუ იმქვეყნიურ სიკეთეებს ცალი თვალითაც კი აღარ უცქერიან.

გ. შემოხაზეთ ქვემოთ მოცემული კითხვების სწორი პასუხები

1. **„ჩემო მოდგმავ! ფრთხილად! ჩემ მიმართ მტრობამ თქვენ თავს არ დაგატეხოთ ნუჰის, ჰუდის ან სალიჰის ტომებზე თავსდატეხილი უბედურება! თუმცა (განადგურებული) ლუტის ტომი თქვენგან შორს არ არის!“** *(სურა ჰუდი, აიათი 89)* **ამ გაფრთხილებისგან რა შედეგს ვერ გამოვრიცხავთ?**

ა. მედიენის ტომი, შესაძლოა, ლუტის ტომის შთამომავლები ყოფილიყვნენ.

ბ. უარყოფას და ამბოხში მედიენის ტომი ჰგავდა იმ ტომებს, რომელთა სახელებიც აქ არის მოხსენიებული.

გ. საჭირო იყო მედიენის ხალხს გაკვეთილი აეღო ლუტის ტომისგან, რომელიც დროის თვალსაზრისით, მედიენის ტომთან ყველაზე ახლოს იდგა.

დ. საჭიროა ჭკვიანმა და შორსმჭვრეტელმა ადამიანებმა სხვა ადამიანების თავსდამტყდარი უბედურებებისგან გაკვეთილი აიღონ.

2. **რომელ პუნქტშია სწორად მოცემული იმ შუამავლების ჩამონათვალი, რომლებიც შუაიბის ნათესავები იყვნენ?**

ა. ადამი, იბრაჰიმი

ბ. ისა და მუსა

გ. სალიჰი და იბრაჰიმი

დ. ეიუბი და მუსა

3. **„უთხრეს: „ჰეი, შუაიბ! ბევრი რამ შენი ნათქვამიდან გაუგებარია ჩვენთვის. და, უეჭველად, გთვლით ჩვენ შორის სუსტად. შენი მოდგმა რომ არა, ჩაგქოლავდით. და არაფრით ხარ ჩვენზე აღმატებული!“**

(შუაიბმა) უთხრა: „ხალხო ჩემო! ნუთუ თქვენთვის ჩემი მოდგმა უფრო ძვირფასია, ვიდრე ალლაჰი, რომ თქვენ მას ზურგი აქციეთ? უეჭველად, ჩემი ღმერთი გარემოიცავს იმას, რასაც თქვენ სჩადიხართ!— *(სურა ჰუდი, აიათები 91-92)* **ეს აიათები კერპთაყვანისმცემლების როგორი რწმენის მაჩვენებელია?**

ა. ალლაჰის დიდებულებისა და ძალის ნაცვლად ამქვეყნიურ ძალებს სცემდნენ პატივს.

ბ. ალლაჰის ყოვლისშემძლეობის მაგივრად ადამიანის ძალას ანიჭებდნენ მნიშვნელობას.

გ. შუაიბის ჩაგვრას იმიტომ ვერ ბედავდნენ, რომ ალლაჰის სატანჯველის ეშინოდათ.

დ. შუაიბი მისი გვარის წარმომადგენლებს ძალიან უყვარდათ.

4. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელი არ არის ის ლამაზი თვისება, რომელსაც შუაიბი თავის ტომს უქადაგებდა?

ა. ზომა-წონაში თაღლითობისთვის თავის დანებება, სამართლიანობის დაცვა.

ბ. ერთი ღმერთისა დ შუამავლის რწმენა.

გ. სტუმრებისა და უცხოელების მოკვლის ბრძანების არგაცემა.

დ. ქურდობის, მექრთამეობისა და სპეკულაციისგან შორს დგომა.

5. მიუხედავად იმისა, რომ შუაიბის რჩევების მოსმენა არ სურდათ, ეუბნებოდნენ; „ჰეი, შუღეიბ! ნუთუ შენი ლოცვა გიბრძანებს, რომ უარი ვთქვათ იმაზე, რასაც ჩვენი მამები თაყვანს სცემენ, ან არ განვკარგოთ ჩვენი ქონება ისე, როგორც თავად გვსურს? უეჭველად, შენ ლმობიერი და ჭკვიანი ხარ!“ — *(სურა ჰუდი, აიათი 87)* **ეს მდგომარეობა მათი როგორი გაგების მაჩვენებელია?**

ა. მიუხედავად იმისა, რომ რწმენას არ აჩვენებდნენ, შინაგანად მაინც სწამდათ.

ბ. მიუხედავად იმისა, რომ არ სურდათ შუაიბის მოტანილი რწმენისა და სოციალური პრინციპის აღიარება, მისი პიროვნების მიმართ გაოცებას გრძნობდნენ.

გ. მიუხედავად იმისა, რომ შუაიბი არ უყვარდათ, მის მიმართ კეთილგანწყობილი იყვნენ.

დ. შუაიბის მოტანილ რწმენასა და სოცილურ წესრიგს გულში ეთანხმებოდნენ.

6. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელი არ არის ის ნიშანი, რომელიც ეიქელებისთვის სატანჯველის მოვლენამდე გამოჩნდა?

ა. ცხელი ქარის ქროლვა

ბ. ცისფერი კოღოების გავრცელება.

გ. ჰაერის ტემპერატურის უკიდურესად მომატება.

დ. ცის კაბადონის მთლიანად შავი ღრუბლებით დაფარვა.

7. „(შუაიბმა) უთხრა: „ჩემო მოდგმავ! ჩემი გვარი თქვენზედ ალლაჰისგან უფრო პატივცემულია, რომ ის (მისი ბრძანებები დაივიწყეთ), ზურგი შეაქციეთ და უკან დატოვეთ! უეჭველია, რომ ჩემი ღმერთი თქვენი ნამოქმედარის (ცოდნითა და ძალით) **მთლიანად შემორტყმულია.“** (სურა ჰუდი, აიათები 91-92) **აქედან რომელ შედეგს ვერ გამოვრიცხავთ?**

ა. შუაიბი თავის ტომს კი არა, მთლიანად ღმერთს ენდობოდა.

ბ. მედიენში შუაიბისთვის ზიანის მიყენება უნდოდათ, მაგრამ მისი გვარის შიში აბრკოლებდათ.

გ. მედიენელები ალლაჰის ძალას არაფრად აგდებდნენ.

დ. შუაიბის ტომის განადგურება სურდათ.

8. ქვემოთ მოცემულთაგან, რომელი არ არის ეიქელების ცუდი თვისება?

ა. რწმენის სანაცლოდ, შუამავლებისგან საზღაურის მოთხოვნა.

ბ. შუამავლისთვის ცილისწამება და მისი ჩაგვრა.

გ. ალლაჰის წინააღმდეგ ამბოხი და მონოთეიზმისგან დაშორება.

დ. ვაჭრობაში თაღლითობა.

სწორი პასუხები

ა. გამოტოვებულ ადგილებზე ჩასასმელი სწორი პასუხები

1- კარგათ მოსაუბრე შუამავალი **ჰათიბულ ენბია** (შუამავალთა მქადაგებელი)

2- მხედველობის-ღმერთის სიყვარული

3. ღმერთის სიყვარული

ბ. ტესტების სწორი პასუხები

1- ა	2- დ	3- ა	4- გ
5- ბ	6- დ	7- დ	8- ა

სარჩევი

წინასიტყვაობა / 5

შესავალი / 11

ყურანის ნოველების თავისებურებები 11

წმინდა ადამი / 19

გაჩენა 19

ჩვენი გაჩენა მიზეზები და საიდუმლოებები 21

წმინდა ადამის გაჩენა 23

ადამიანის გაჩენა 24

სულის შთაბერვა 28

სულის ხუთი ეტაპი 29

ადამის წინაშე ანგელოზების მიერ სეჯდეს შესრულება 31

წმინდა ევას გაჩენა და წმინდა ადამთან ქორწინება 34

წმინდა ადამისა და ევას სამოთხიდან გამოდევნა 37

ყურანში მოცემული, ადამიანის ზოგიერთი სუსტი წერტილი 39

ადამიანის უძლურებისგან გათავისუფლება და ღმერთისკენ მიმართვა..... 48

წმინდა ადამისა და ევას დედამიწაზე გადმოსახლება 50

დედამიწაზე ჩადენილი პირველი დანაშაული 51

აბელისა და კაენის შესახებ ნოველისგან წარმოშობილი გაკვეთილები ... 52

წმინდა ადამის ცხოვრებიდან ასაღები გაკვეთილები 54

მონანიება და ღმერთისთვის ცოდვების მიტევების თხოვნა 57

შესაფასებელი კითხვები 61

წმინდა იდრისი / 67

გულის სამყარო და საიდუმლო 69

გულის საფეხურები 75

1. მკვდარი (დალუქული) გულები 75

2. ავადმყოფი გულები 75
3. დაუდევარი გულები 77
4. ღმერთის მხსენებელი გულები 80
5. ცოცხალი გულები 82
შესაფასებელი კითხვები 84

წმინდა ნუჰ (ნოე) / 87

ნუჰის ტომის თავისებურებანი 91
ქადაგების გრძელი წლები 93
ჭეშმარიტებას მოკლება 95
უბედური ტომის წამების მოთხოვნა 96
მოვლენილი სატანჯველი:წარღვნა 99
წყლების დაწევა 101
აშურას დღე 102
ნუჰის შეცდომები 103
ნუჰის ტომის განადგურების უპირველესი მიზეზები 104
ღმერთისადმი ნუჰის მადლიერება 104
მოთმინება 107
შესაფასებელი კითხვები 112

წმინდა ჰუდი / 117

სოდომის ტომი 119
საოცრებებით აღსავსე ღვთიური გაფრთხილებები 122
საშინელი გრიგალი 124
წმინდა ჰუდის სასწაულები 125
შესაფასებელი კითხვები 127

წმინდა სალიჰი / 131

სემუდის ტომი 133

ქადაგების დაწყება 135
აქლემის სასწაული 138
უმადურობა 140
საშინელი ხმა და მიწისძვრა 142
სემუდის ტომის განადგურების მიზეზები 143
ზნეობის სილამაზე 145
შესაფასებელი კითხვები 147

წმინდა იბრაჰიმი / 153

ჩემი ღმერთი ალლაჰია 158
მონოთეიზმის ქადაგება 158
წმინდა იბრაჰიმის მიერ კერპების დამსხვრევა 160
წმინდა იბრაჰიმის ცეცხლში ჩაგდება 163
ცეცხლის ვარდის ბაღად გადაქცევა 167
ნემრუდისა და ქელდანის ტომის განადგურება 168
იბრაჰიმის გადასახლება 169
ჩიტების გაცოცხლება 171
იბრაჰიმისა და ჰაჯერის ქორწინება 172
ყურბნით გამოცდა 174
იბრაჰიმისთვის ისჰაყის მახარობლობა 181
იბრაჰიმის მიერ ისმაილის მონახულება 184
ქააბას მშენებლობა 186
შესაფასებელი კითხვები 190

წმინდა ისმაილი / 197

სასწაულები 200
ღმერთის იმედად ყოფნა, მორჩილება და ჰაჯობა 201
შესაფასებელი კითხვები 207

წმინდა ისჰაკი / 211

შესაფასებელი კითხვები 216

წმინდა ლუტი / 221

სოდომის მკვიდრნი 223

გამომწვარი ქვების წვიმა და საშინელი ხმა 225

ლუტის ცოლები და შვილები 227

ლუტის ტომის ცუდი ქმედებები და განადგურების მიზეზები 227

პომპეის ხალხის განადგურება 230

ტომების განადგურება და შთამომავლობის დაცვა 232

შთამომავლობის დაცვა 238

შესაფასებელი კითხვები 240

წმინდა ზულყარნეინი / 245

ზულყარნეინის განმასხვავებელი თვისებები 248

ლაშქრობები მონოთეიზმის ქადაგებისთვის 249

იეჯუჯისა და მეჯუჯის ტომი 252

საოცარი და სამაგალითო ისტორიები 253

ალლაჰის გზაზე ბრძოლა და

სიკეთისკენ მოწოდება 256

შესაფასებელი კითხვები 262

წმინდა იაყუბი - წმინდა იუსუფი / 267

იუსუფის ამბავი 272

წმინდა იუსუფის სიზმარი 274

სიზმრები სამ ნაწილად იყოფა 275

გულის მომკვლელი ცეცხლი: ეჭვიანობა 276

მუხანათური გეგმა 278

უბედურება წარმოთქმულ სიტყვასთანაა კავშირში 279

ძმების ვერაგობა 280
წმინდა იუსუფის ჭაში ჩაგდება 281
ყველაზე ლამაზი მოთმინება 284
წმინდა იუსუფის ჭიდან ამოყვანა და გაყიდვა 285
წმინდა იუსუფი და ზულეიჰა 287
იუსუფის შემხედვარე ქალები ხელებს იჭრიდნენ 289
დილეგი 290
წმინდა იუსუფის მიერ სიზმრების ახსნა-განმარტება 292
ეგვიპტის ხელმწიფის სიზმარი 293
წმინდა იუსუფის საზრიანობა 294
ალლაჰი თუ ინებებს, მონას სულთნად აქცევს 296
ზულეიჰაზე დაქორწინება 298
ძმების სარჩოს საყიდლად მოსვლა და
წმინდა იუსუფის ლამაზი გეგმა 299
მე შენი ძმა იუსუფი ვარ! 301
წმინდა იუსუფის მიერ ბუნიამინის დატოვება 302
ჯილდოს კარების გამღები ტანჯვა 304
ალლაჰის წყალობის იმედი არ უნდა გადაიწურო! 305
სამაგალითო პატიება 306
ჩემი პერანგი მამას თვალებზე მოუსვით! 308
წმინდა იაყუბის თვალების ახელა 308
დიდი მონატრების შემდეგ შეხვედრა,
სიხარული და ახდენილი სიზმარი 310
შესაფასებელი კითხვები 312

წმინდა შუღაიბი / 319

მედიენელები 323
ბოლო გაფრთხილება 326
მაღლიდან წამოსული საშინელი ხმა 328

ეიქელები 329
ციდან მოსული სატანჯველი: გადამბუგავი ცეცხლის ალი 331
განადგურების შემდეგ 332
შესაფასებელი კითხვები 334